


რეტენატურა და სეროუნება

N10
10/2010

1522
2010



ქეთევანი
მუსრან მატაპარიანი

მსაგულთბავ
მიხა იახვილი

პუსიკა
ნანი გრეგვაძე

დუგუჩვი
გორდიას კვანცი



თეზისა
ჯემალ ინჯია

ჩინო
მიხეილ ჭიაურელი

ბლოზა
ვანო ჩხიკვაძე





ლიტერატურა და ხელოვნება

N10(58)

10/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი,
გამომცემელი და მთავარი
რედაქტორი:

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი
მდივანი:

დავით კახაბერი

რედაქტორი:

ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერები:

სალომე ფორჩხიძე
ლექსო ოთარაშვილი

გარეკანის მხატვრობა:

მიშა იაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და
ხელოვნება“ გთავაზობთ
რეკლამის განთავსებას
ჟურნალის ფურცლებზე.
დანვრილებითი ინფორმა-
ციისათვის მოგვმართეთ:
მობ: 899 25 60 14;
893 58 95 44;

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქრომა, ლოგო

- 3. ჯემალ ინჯია - პოეზია
- 7. ვანო ჩხიკვაძე - მუშების ომი (დასახედი)
- 26. შოთა ტოგონიძე - პოეზია
- 28. ეთეხ თედიაშვილი - „ბიჯე ჰაილი!!!“
- 39. მანანა ქუჩაძე - პოეზია

ფიქციონი

- 41. მაია სეფაშვილი - გოგიას ევანძი

თარგმანი

- 50. ძენიტხიმ ტანიძაძე - სვიჩინგი
(თახტმნა ზაად ბოტკოვედმა)

ჟენი

- 54. ედახე უბლაძე - მეხან მაქავახიანის
ჩიომის ევფონია

პოეზიები

- 57. თენგიზ უთელიძე - საგასეხლომ ჩანახატები

თეატრი

- 60. ცისანა თევდოშაძე - ზოგიერთი საჩიქვო მასალა

პროზა

- 64. თამაზ მესხი - სტუმად ნანისთან

კინო

- 69. მაია მიქაია - ქართული ტაძარი პაჩინში

მხატვრობა

- 71. ქეთევან ახობაძე - მიშა იაშვილი

„როგორც ყფალო, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“

რადიელ ერისთავი

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ იღებს შეკვეთებს პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (ნიგნები მაგარი და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები; სარეკლამო ბუკლეტები და სხვა), დაზიანებული ნიგნების აღდგენაზე



მისამართი: მხატვრის ქ. 4

ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47; 899 25 60 14

E.male. litandart@yahoo.com



vaja.otarashvili@yahoo.com

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ 2010 წლის გამომცემები



წიგნების შიგნის მსურველები

დაზვიგაზშირდით: 31 70 47; 899 25 60 14





ლევან ციკლაური

წვიმების სეზონი

(სონეტების გვირგვინი)

1

უარყოფილი სიყვარულის მფარველო ღმერთო,
მიდგას წვიმების შემოდგომა, დახუნძლულს წლებით,
მაგრამ ყოველ ღამე ნააღზე ამ იმედით ვწვები:
ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება ერთობ,
ჩემივე ბაღში მტრები ჩუმად არ მკრავენ ხელ-თოფს
და მზად ვიქნები, უბედობის აქამდე მძლები,
რომ მშობელ მინას მივაბარო დაღლილი ძელები,
რომ დათოვლილი აივნიდან ზამთარი ვხვეტო.
„ჰოს“ მოველოდი უსასრულოდ და ამ მოლოდინს
ლამის ვემსხვერპლე. ახლა ვიპოე მწარე ნაყოფებს.
ნუთისოფელი ორივესთვის იყო ბოროტი,
მაგრამ უფალო, ასე ძვირფასს, ასე მახლობელს,
მაგარი ყავით, თუნდაც მორფით, თუნდ მარლბოროთი
შეუმსუბუქე სატკივარი ჩემს უარყოფელს.

2

შეუმსუბუქე სატკივარი ჩემს უარყოფელს,
ვინც მეფე-ქალის ულამაზეს სახელს იმნოვებს,
ვისთვისაც ერთი კარაველაც კი ვერ ვიპოვნე
და ამ ავდარში მის ბედს ვანდობ მკლავებს — ამ ხოფებს.
წვიმის წვეთები თმის ბულულზე სევდას ამყნობენ.
უკურნებელი დარდი ხომ ვერც მე მოვიშორე.
ნუთუ საყვარლის ჰოროსკოპში ვერ მოვნიშნო მე
მყოფადის მრუდი? გვპირდებოდა, აკი, ნამყო ბევრს.
წვიმების სეზონს დავხვდით ისე მოუმზადებლად.
როგორც სამშობლო აგვისტოში დახვდა დამწყობელს.
არ გვესწავლება მოყვასისთვის თავის დადება.
ქართველი ერი არ ჰგავს ყულფში თავის გამყოფ ერს.
ჩემი ხატი კი, ღმერთო, ერთი ხელის დადება,
ცად მობოინე ანგელოზთა დასში ამყოფე.

3

ცად მობოინე ანგელოზთა დასში ამყოფე,
ვინც მე ცხოვრება გამიმწარა და მაინც მიყვარს.
თამარის ქოლგას შეყუჟული არასდროს ვიყავ,
ფერებს ვფლანგავდი პალიტრაზე მის შესამკობელს.
უნყალოდ აწვიმს გულისსწორის ადგილ-სამყოფელს
და მის მასპინძელს ხელში თოთო ბალღსავით ვიყვან.
არ მიპოვია ნაწვიმარზე ეს ქალი ნიყვად,
ვისი მკლავებიც პატრონივით მართლაც ლალობენ.
მთელი სიცოცხლე ისეთ მიზანსცენას ვუცდიდი,
რომ სანატრელთან ერთად ფართოდ გესუნთქა, მკერდო.
ნულარ გენვიოს კაემანი მცირე, ნურც დიდი,

აღფრთოვანება გაგაოცებს სულისდგმავ ერთო!
ღმერთო, ხელს ვისაც გულმონყალედ მუდამ უწვდიდი,
მარტის იებით მოუჩითე ვაკე და ფერდო!

4

მარტის იებით მოუჩითე ვაკე და ფერდო!
ხომ ხედავ, შენთვის ვევედრები ზენაარს ანუ
წვიმის მბრძანებელს, ვინც ბილინგვას გვირეცხავს ვანურს,
რომ წაიკითხოთ — რა სალმობა გვჭუჭავდა ძველ დროს.
წვიმს და ცხელი ხარ. თავზე გვესხმის კოკა თუ ვედრო.
ცივ ხელებს ვუშვერ შენს ლოყებზე ავარდნილ ალმურს.
დრო გაგინელებს გულ-ყინულის გასაღობს ამ ლულს,
ჯერ კი, გნებავს თუ არა გნებავს, მე უნდა მენდო.
ისევე ვბავშვები გულმოკლული შენი არათი.
მაინცდამაინც ჩვენთვის ვერდი ვერაფერს ვერდობს.
მსურს უზენაესს ავუგზავნო თხოვნის ბარათი:
აალებინე კლავიშებზე, უფალო, ჯერ „დო“
ჩემი ოცნების დასაკოცნელ ბავშვურ არათითს,
არ დაუგმანო სინათლისკენ აჭრილი ერდო.

5

არ დაუგმანო სინათლისკენ აჭრილი ერდო.
და ჩემს თვალისჩინს ნუ გაუჭრობ თავის თვალისჩინს.
საკმარისია, სიზმრებში რომ გზები ქალიშვილს
სიკვდილ-სიცოცხლის მიტოვებულ საზღვარზე ედო.
თემიდასავით აგხვევია თვალები, ბედო,
მომგვრელო წვიმის, სნეულების, ლხენის, ქარიშხლის.
უშველე თამარს, ვინც ჩემს ნიაზს დღემდე არ იშლის,
მაგრამ ჰვიცავს, რომ კაცს არასდროს დავინვენ ზედო.
რა ვუთხრა ამ ქლექს, დამნაშავე სწორედ იგია.
სუსტი ფილტვებით ვილაცები კი ამაყობენ,
მაგრამ ჩვენ რა გვაქვს საამაყო, ვერ გამოგია.
ვისი თმის სუნიც მე მაგონებს ველურ მახობელს,
ხალხში ხმამალა არასოდეს ის არ მიქია,
ჭორები თავზე ისედაც ბევრ ღრუბელს ამხობენ.

6

ჭორები თავზე ისედაც ბევრ ღრუბელს ამხობენ
პრეისტორიულ ციხე-კომპში დამწყვდეულ ორ გულს.
ჩამოშლის არცთუ უწყინარი მენყერი ქონგურს,
მაგრამ სიყვარულს სტიქიები ვერ დაამხობენ.
ის შეიძლება გაამრავლონ, ვერ კი გაყოფენ.
თუ გული გულობს, რაყიფების გაუძლებს კონკურსს.
მისთვის, მეგრელი გოგონა რომ აჟღერებს ჩონგურს,
ცრემლები მცვივა მე-ხედქცეულს და გასახმობელს.
წვიმა არ წყდება. მე გაკოცებ, აი, ყვრიმალზე,
რომელსაც ახლა ის ცრემლები კი არ ალლობენ.
ნუ ნახვალ, ცოტაც გაჩერდი, ნუ აიკვირადლებ.
აღლო მკარნახობს, თუმც არ ნიშნავს ხშირად აღლო ბევრს,
რომ, რაც არ უნდა იჯამბაზო, დადგე ყირაზე,
ჯადოსნურ ღობეს ვერ გასცდები, იცის ამ ღობემ.

7

ჯადოსნურ ღობეს ვერ გასცდები, იცის ამ ღობემ —
ვინ დაატყვევოს, ვინ დატოვოს წვიმის ამარა.
ბევრი ოცნება შენკენ სწრაფვამ მიმისამარა,
დააქლექაო სიყვარულმა, ჩემზეც ამხობენ.
ავვისტოს გორი ვიყავი და მტრებმა დამბომბეს,
არ დავეძებდი უბადრუკი თავის სამალავს.
წავიდა რუსი, წაიყოლა თავის „ამალა“,
შენ გადავიჩინე და გიღრჩოლებ ბოლმის ნაპობებს.
ვცდილობ, გაგათბო გაუსაძლის ენკენისთვეში,
ჩემი გულ-გვამის თავად ასე მბანგავო ბრენდო,
მონატრებული დაქალივით გიხუტებს თქემი,
კიდევ კარგი, რომ მოილია სიტყვების ხენდრო.

თუ გაუღიმებ სიყვარულის უაბჯრო ქეშკის,
 შემოგვევლება, როგორც მშობლის სამარეს ენდრო.

8

შემოგვევლება, როგორც მშობლის სამარეს ენდრო.
 მეგრულად უნდა გითხრა: სკანი გოლუაფირო.
 ჩემთან მყოფო და მაინც შორო გაღმა ნაპირო,
 შორეული და ჩემთვის მაინც მსოფლიო ცენტრო.
 შენი გულისთვის მედეასთვის მინდოდა მემეტრო.
 ვინც არ დატოვა სამშობლოში ქლექის აბი, რომ
 შენ განეკურნე... და ბრუსდამხვევ ყავას, პაპიროსს
 არ დაექოლა შენი სულის უძირო მეტრო.
 ჩანს, შეგამციენა, სულზე ტკბილო, მტლად დაგედები,
 ეს, მე როდესაც დავიბადე, გადანყდა ზევით,
 შემოგანანი ეგ მკლავები, როგორც გედების
 თეთრი კისრები თვით აიდის წყვდიადის ხევით.
 შენ ხარ მიზეზი ნაძვისადმი ჩემი ვედრების:
 ბოშურის ნაძვო, მიეც მისი საკბილო კევი.

9

ბოშურის ნაძვო, მიეც მისი საკბილო კევი,
 გაჟღინთე შენი სურნელებით სათნო არსება.
 იმ ავგაროზით, განდ რომ ძველი საყდრის კარს ება,
 ხომ კვლავ ფრთხებიან ღამის ჭინკა და მწუხრის დევი?!
 არ შემიშინდეს, არ გათვალოს უგვანი ქცევით
 რამე ავსულმა, თქვენს ტყეებში რომ ითარსება.
 ცას ვთხოვ თამარის ჯანითა და ღონით ავსებას
 ალქიმისკოსი — სეტყვის ხენდროს მარცვლებად მქცევი.
 ძვალ-რბილში გვატანს კოკისპირულ წვიმათა ნესტი.
 სექტემბერი თან რბილი არის, თან ავზნიანობს.
 ჯელტმენის ღამის ამოვწურე სუყველა უესტი,
 ვცდილობ, უხეში ზნით არავინ დავაზიანო.
 ნუ დაამადლი თამარს, ჩემო ნაცნობო, შენს სტილს —
 ფილტვებში ფრთხილად დაუარე, ტანას ნიავო.

10

ფილტვებში ფრთხილად დაუარე, ტანას ნიავო.
 შენი უანგზადით გამოვკვებე ჩემი ბავშვობა.
 არ უწერია თავანყვეტილ ტანას დაშრობა,
 ხომ მეთათანხმები, ეკლესიავ, სამნავიანო.
 მათხავს თამარი — ნირვაზე არ დავაგვიანო.
 რომ არ ჩავუთვლი ამ გათათხვას, იცის აშრობად.
 ერთხელ ხუმრობით მითხრა ჩემდა ჭირად ნაშობმა:
 მელა ხარ, მე კი მალრჩობელა შენი მქვიანო.
 ჩვენ ერთ ბალიშზე არ გვდებია თავი არასდროს,
 არც ზიარტახტის ზამბარები დაგვგლია ქნევით.
 ზოგჯერ ვახერხებ, რომ ოცნება შემოვალასტო,
 მას არაფერი უშავდება ამგვარი ხევით.
 გადაიკარე! ხომ არა გთხოვ შენ ორ ან ას ტომს, —
 ის გაახარე, ცავ, ვარსკვლავთა კაშკაშა ფრქვევით.

11

ის გაახარე, ცავ, ვარსკვლავთა კაშკაშა ფრქვევით.
 ვისაც ბედით არ უწერია მგოსნის ქვრივობა.
 სხვა დედაკაცი შეასრულებს მის მაგოვრობას
 და ის ჩემ შემდეგ ველარაფერს გაარკვევს რკვევით.
 გადავლილია ჩემს კალოზე ფუტურო კვერი,
 არავინ უწყის ჯვარცმის მსგავსი ჩემი გმირობა.
 დღემდე მითანგავს მემამბოხე გულს უპირობა.
 მას ვერ იმკიან ზოგჯერ, რასაც თესავენ, მკელნი.
 რა იქნებოდა, ვახს რომ ჭიგოდ შემომდგომოდი,
 ოი, რა რთველი გვექნებოდა, ადამიანო!
 წვიმების სეზონს შევხვდებოდით შემოდგომობით,
 რქებს მოვამტვრევდით ყანებისთვის ჯიხვს და ნიამორს...
 მაინც არა გთმობ. შენი ტრფობის ვცოცხლობ მონობით,
 მოქიმპებმა რაოდენიც უნდათ, იავონ.

12

მოქიშპეებმა რაოდენიც უნდათ იავონ,
მე შევიქმნები სიყვარულის განა მხარჯავი.
ჩოხას არ მიმკობს რაინდული ქამარ-ხანჯალი,
არ ვამილახვრობ, არ ვწერეთლობ, არ ვდადიანობ,
მანც ჩემს ბედზე საბოლოოდ არ ვდარდიანობ.
ნელზე სულ მერტყა მამაკაცის, თამარ, ხვანჯარი.
ხან სიხარული მატორტმანებს — მგოსანს, ხან ჯვარი
(ვინ თქვა, ისინი რომ მხარდამხარ არ დადიანო).
თვალეებს მოთხრობას ვინ მიუძღვნის პოეტის გარდა,
მელანი ცოტა შემოგწირე, ნალველა — ბევრი.
ჩვენ შორის რკინის ჩამოშუშვა იღბალმა ფარდა,
მანც ავაგსე ტრფიალების უფსკერო ქვევრი.
ვსვამ. არ იცლება დალოცვილი. გარნმუნებ: არ და
არ დავაქანებ ჩემს სიყვარულს მისდამი ქვევით.

13


არ დავაქანებ ჩემს სიყვარულს მისდამი ქვევით,
ვინც ვნებიანი გამოხედვით მყო მონუსხული.
ვერ წავიკითხე ვისი მზერა მაშინ. ნუსხურიც
ვერ წამიკითხავს ჩემი ძალის ამაო ხმევით.
მაღალი სიცხით, ზღვის დონეზე დაბალი წნევით,
ჯანმრთელობაზე არასოდეს ვარ გაბუსხული.
არა მჩვევია ქესატობის გამო ბუზლუნი,
არც სიმძიმის გაქარწყლება ჰაშიშის წევით.
თამარი ერქვა დედას, შვილსაც ჰქვია თამარი,
ბოდიში, ნინოვ, ქეთევანო და მარიამო,
სულ სხვა თამარმა გამინათა ზეცის თავანი.
ჩემი გზა ისევე ურმულივით თამარიანობს.
არ დავეცემი, სანამ სული მიდგას მთავარი,
სანამ ვარსებობ, რაც არ უნდა მრუდედ ვიარო,

14

სანამ ვარსებობ, რაც არ უნდა მრუდედ ვიარო,
მე გულისნადებს გარეგნულად ვერ გაგიმულავნებ.
თავს ვერ მოგახვევ მანანნალა ბარდის ამ ჯღანებს,
სევდა-ვარამს რომ ამწიფებენ სამგლოვიაროდ.
ქართულად გეტყვი: თუმცა მიკლავ გულს უიაროდ,
თუმცა წვიმების სეზონს მიცვლი ბნელ ქარიშხალზე,
მე შენკენ ლტოლვას ისე ვერვინ ვერ ჩამიშხამებს,
როგორც გურია ვერ იხილავს რუსულ იალონს.
როდემდე უნდა იყო ჩემზე განარისხები,
გსურს კი მიჯნურის კლასიკური ცრემლები ვლვენთო
ან ლოტოსებით დაგდაფნო ან თამარისკებით?
მელანქოლიის ველოდები გულუხვად მრგვალ თოვლს
და არ დამღალო საყვარელი თამარის ქებით,
უარყოფილი სიყვარულის მფარველო ღმერთო.

15

უარყოფილი სიყვარულის მფარველო ღმერთო,
შეუმსუბუქე სატკივარი ჩემს უარყოფელს.
ცად მობოინე ანგელოზთა დასში ამყოფე,
მარტის იებით მოუჩითე ვაკე და ფერდო.
არ დაუგმანო სინათლისკენ აჭრილი ერდო,
ჭორები თავზე ისედაც ბევრ ღრუბელს ამხობენ.
ჯადოსნურ ლობეს ვერ გასცდები, იცის ამ ლობემ,
შემოგეველება, როგორც მშობლის სამარეს ენდრო.
ბოშურის ნაძვო, მიეც მისი საკბილო კევი,
ფილტვებში ფრთხილად დაუარე ტანას ნიაგო,
ის გაახარე, ცავ, ვარსკვლავთა კამკამა ფრქვევით.
მოქიშპეებმა რაოდენიც უნდათ, იავონ,
არ დავაქანებ ჩემს სიყვარულს მისდამი ქვევით,
სანამ ვარსებობ, რაც არ უნდა მრუდედ ვიარო.



ვანო ხხოცვაძე

შუშაბის ომი

რომანი

26

პველი რვეულიდან

„მიშა, ჩემი ჩასვლიდან, მეცხრე დღეს დაიხრჩო.

დილით, ნაბახუსეგზე, ცივ წყალში შეცურა და გული გაუსკდა.

ვილაცამ ამბავი მოიტანა, დამბებთან კაცი გამოურიყიო.

ერთბაშად შეიძრა, აფუთფუდა, აფორიაქდა სასადილო.

ნატაშამ მეუღლის ცარიელ სკამს დახედა და ხელში კოვზი გაუცივდა. ყველამ თავის მაგიდას მოავლო თვალი, ვინ აკლდათ, ვინ არ მივიდა სასაუზმოდ.

ზღვის მხარეს შეღებული, შუშის კედელში ჩატანებული კარიდან, პრესის სახლის პლაჟზე შეკრებილი ხალხისაკენ, მოკლევზე გავიქეცი.

ექიმმა მიშას ჩამქრალ მაჯას თითები გაუშვა, მუხლისკვერებზე დაცემულ ნატაშას მხარზე თანაგრძნობით მიუთათუნა ხელი და ამოხეთქა მწუხარე ქალის ძარღვებდაბერილმა ყელმა...

აცახცახებული ნელი ზურგიდან მომეყრდნო:

დასასრული. დასაწყ. № 6,7,8,9

— საცურაოდ რომ მიდიოდა, კორტებთან გამოიარა და ხელი ამინია.

— ნახევარი საათის წინ იყო და, აღარ არის... უკვე წარსულად იქცა! — ვთქვი რატომღაც.

— ნუთუ ადამიანისაგან მხოლოდ უმოძრაო სხეული რჩება?

— ადამიანისაგან რაც რჩება, იმას ჩვენ ვერ ვხედავთ.

ნატაშა წამოაყენეს. ქალს კენჭებით დაჩხვლევტოდა მუხლები და რატომღაც მიშაზე მეტად შემებრალა.

სულ ასეა, მეფე უკვე ჭირისუფლები მგონია ხოლმე ცოდვა. რატომ, არ ვიცი.

ბრგე, დაკუნთული კაცი, ზღვის წყლით გაჟღენთილი, მძიმე ნარიყივით იწვა. აღარაფერი ანსხვავებდა უსიცოცხლო ქვებისაგან, თუნდაც იმ ბოთლისაგან, რომელიც, შეიძლება, თვითონ გამოსცალა და ახლა ლაქაშებთან დაგდებულს, გამველელ-გამომველლები რომ დააგორებდნენ.

მიშას სიკვდილმა შეგვძრა. ჩვენ, დროებით, ერთი სახლის ბინადარნი ვიყავით და ყველას მოგვაკლდა. სულ მცირე ხნით მაინც გავვახსენდა, რომ სიკვდილის სახით საერთო, დაუძინებელი მტერი გვყავდა.

მაგრამ ტრავედიასთან შეგუებას დიდი დრო სულაც არ სჭირდება, მითუმეტეს, თუკი ის მეზობელთან მოხდა — სადილად ჯერ კიდევ არ გაველო საერთო ზაფრას, ვახშამზე და მეორე დილით კი შემოქმედებითი სახლის ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა.

მიშას ადგილზე, დარბაზის ბოლოდან, სამზარეულოს ობშივარით შეწუხებული დამსვენებელი გადმოიყვანეს. ისიც სწრაფად მოერგო გარდაცვლილის სკამს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ნაშლოდა მიშას ხელის ნათითურები.

გარდაცვლილი სასწრაფო დახმარების მანქანით აეროპორტში წაასვენეს და, რა თქმა უნდა, აბარგებული მეუღლეც თან გაჰყვა.

— სანყენია, — თქვა ივან ანდრეევიჩმა, როდესაც „სასწრაფო“ თვალს მიეფარა, — იყო, რაღაც, მიშას პოეზიაში მაიაკოვსკისებური, შემართული, მებრძოლი...

— ახლა, ადამიანი? — მკლავზე დაეყრდნო ნინა ბორისოვნა.

— ძვირფასი, შესანიშნავი, უანგარო... გულღია რუსული სულის...

ჩემთან ავედით.

ქრისტიანი ადამიანი ნავიდა, შევინყალოთ-მეთქი, გავხსენი წითელი ღვინის ბოთლი.

ნელიმ მაცივარი გამოაღო, ყველაფერს უცებ მიაგნო, გამოიღო, დაჭრა, თეფშებზე მოგვართვა.

— შენ აქ ძალიან გაშინაურებული ჩანხარ! — ეჭვიანად შეხედა ნინა ბორისოვნამ.

— დიახ, ძალიან, მამიდა, ძალიან... მერე რა არის ამაში ცუდი? — ჩაეკითხა გაღიზიანებული.

— კარგი რა არის? ყური მოვიყრუე.

სტარკოვი ჩემს ნაწერ თაბახის ფურცლებს ათვალეერებდა და თავს ღიმილით აქნევდა, რა უცნაური გრაფიკაა, ასე მგონია ამ ანბანს ვერასოდეს ავითვისებდიო.

— რატომ, განა ჩინურზე ან იაპონურზე

რთულია? როგორც იწერება, ისე გამოითქმის... რუსებს, თითქმის ყველა ენიდან შესანიშნავი მთარგმნელები გყავთ, ქართული ორგინალიდან კი, არავინ.

— მიზეზიც გეცოდინებათ, რატომ? — ღვიწრო დააგემოვნა სტარკოვმა.

— რა ვიცი, ალბათ, უფროსი ძმის სინდრომი... რუსი მთარგმნელები არ თვლიან საჭიროდ, ორიგინალში ნაიკითხონ ქართველი კლასიკოსები...

— ვერ დაგეთანხმებით, რუსულად შესანიშნავად ითარგმნა არა მარტო თანამედროვე მწერლები, იგივე ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა... —

— სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ჯერ კიდევ სემინარიულ ვაჟა-ფშაველაში, ვინც მომავალი გენიოსი ამოიცნო, რუსი იყო, გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი, დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი.

— არ მსმენია მაგ პიროვნების შესახებ, დავინტერესდები, დიახ... უეჭველად... სემიონოვი, არა?..

ბოლოს ვთქვი, ახლა მინდა ჩვენს შორის, ყველაზე ნორჩი პიროვნება დავლოცო-მეთქი:

— ნელი, აქ რომ მოდიხარ, ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია, — გოგოს ვუყურებდი და მამიდამისს ნელანდელ შეკითხვაზე ვპასუხობდი, — ამ კედლებში, არავინ ცხოვრობს ისეთი, ვინც შენ მეორედ გატყენს გულს.

ნელიმ, სახემეხურებულ ნინა ბორისოვნას ნიშნისმოგებით გადახედა.

ცოტა შევთვერით. თუკი ადამიანები გულს გაუხსნიან, ერთმანეთთან მისასვლელ გზებს უეჭველად აღმოაჩენენ.

ცოლ-ქმარმა მიმინვიეს მოსკოვში და მათ გულწრფელობაში ეჭვიც არ შემპარვია.

ნელი შეყოვნდა, სუფრას ავალაგებ და ჩამოვალო, გააცილა სტარკოვები...

ავინის მოაჯირზე გადაყუდებული ვენეოდი.

ვიგრძენი, ნელი ფეხაკრეფით რომ გამოვიდა და ზურგსუკან გამიჩერდა.

— დიდი მადლობა, ჩემზე რომ ზრუნავთ, მაგრამ... მე თუ მზადა ვარ... გულის ტკენისათვის?

„ვაჰ, გადამრევს ეს გოგო.“

— სამაგიეროდ მე არა ვარ მზად! — გამიჭირდა შემობრუნება, ნიკაპთან მიტანილი, ათრთოლებული თითების დანახვა.

ამას ნელიც მიხვდა და ნომრიდან გავიდა.“

27

ნატო თბილისში დილით მიდის. შვილების დავალებით, სასწრაფოდ რაღაც საბუთები აქვს გასამზადებელი და ინტერნეტით ამერიკაში გადასაგზავნი. მერე, როგორც კი ამუშავდება აეროპორტი, თვითონაც წავა...

ჩავალ თბილისში და ქვეყნის სარბენი მექნებაო.

დედაქალაქი ცოცხლობს, ცხოვრობს, ჩაბმულია საქმიან მოლაპარაკებებში, ხვდება და აცილებს დელეგაციებს, დაჰქრის სამთავრობო და სამხედრო ესკორტი და დაღონებული გადმოიყურება, რამდენიმე წლის წინ, ქალაქის ბრტყელშუბლა მერისაგან შეურაცხყოფილი

„ქართველის დედა“... თუმცა მთელი საქართველოც რომ დაღონდეს და დედაქალაქი სულაც მარტო დარჩეს, მერე რა, „მეგობარი ქვეყნები“ ერთ ქალაქ-სახელმწიფოს ველარ შეინახავენ?

აქ, დაპყრობილ ქალაქში, ერთი მენაღე მუშაობდა და სიხარულით ლამის გული გამისკდა, თბილისში კი რამდენი ასეთი სიხარულია.

რაც შეგვეხება ჩვენ... ჩვენთან ჯერ კიდევ ნკრიალებენ ნანგრევებში ჩამარხული მობილურები, არ შემშრალა კედლებს შენთხეული სისხლი და ტვინი, საკუთარ, მონყვეტილ ფეხებს დაჰყურებს აკივლებული ქალი და ჭირისუფალი მამა ბედნიერია, რომ სხვებისაგან განსხვავებით, მის გარდაცვლილ შვილს, თავი მაინც შერჩა მხრებზე...

გავიმარჯვეთო! გავიმარჯვეს თუ არა, ამ ხალხს ჰკითხონ... —

ეჰ, თუკი მსოფლიოა გადარეული, ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ — ხომ ხედავთ, ვიქტორ პეტროვიჩ, აქეთაც კარგა მაგრად ასხიათ, ტერფიდან კენწერომდე არიან დახუნძლულები.

ოი, „Боже царя храни!“

უთენია გავლილი პირველი მატარებლის ხმაური ხერხივით ჭრის სიჩუმეს.

ამ ხმაურით არის გაყოფილი სხვადასხვა საფიქრალით დამძიმებული სამყაროც და არავინ იცის რომელი ნაწილი რომელს გადასწონის. ჩაივლის მატარებელი, გაჰყვება უკან გამოზბული, განელილი გამოძახილი და შუბანანდის შეღებული სარკმელიდან, ხეივანის ფოთლებში შეფრთხილებული ჩიტების ფაჩუნს გავიგონებ.

— დაბრუნდნენ, აქაც დაბრუნდნენ ჩიტები.

— განა სადმე იყვნენ წასულულები? — უკვირს ახალგამოღვიძებულ ნატოს.

თავს მკერზე მაყრდნობს და ჩიტებს ყურს ვუგდებთ.

ნუთუ მომეჩვენა და არსადაც არ გაფრენილან?

შინიდან რომ გამოვედით, ხეივიდან დამფრთხალი ფრთოსნებით აფრიაძულებულ ცას ავხედე:

„ერთი შეხედვით უწესრიგო მოძრაობაში, მაინც როგორი ჰარმონია და თანხმოობაა.

რა გვემართება ადამიანებს?

ჩიტები რატომ არ იბრძვიან ცის გასაყოფად?..“

ეზოდან გამოსვლამდე ნატომ სახლს მიხედდა:

— რა ვიცი, კიდევ როდის ვნახავ აქაურობას! — ჩაილაპარაკა ნალვლიანად.

ძველი ხიდით აღარ წავედით.

მეორე ხიდის ყურთან 215 და 311 ნომერი ტანკები მორიგეობდნენ. ტანკის მუხლუხზე დაფენილ გაზეთზე, მოზრდილ ნაჭრებად დანანილებული, კარგად ჩამნიფებული საზამთრო იდო. ჯარისკაცები შეექცეოდნენ და ხელებიდან წითელი ჩვენი მოსწურწურებდათ.

— რა აქმევთ, ასე ადრიანად, — მხართან მოკრულ ნატოს გააკანკალა.

მეც — საზამთრომ კი არა, სისხლს მიმგვანებულმა წვენმა და საზამთროს ნაკბილარებიანმა ნაჭერმა შემზარა, ნადირის მიერ დაღრჯნილ, ნათქვლევ ცოცხალ ხორცს რომ ჰგავდა.

გავიარეთ, გავცდით, გადავკვეთეთ პირობითი საზღვარი.

თუკი მოინდომებენ, აქეთაც გადმოვლენ, სადამდეც კი ტანკი ილოლიალებს, სულ ამათი იქნება და ამ ძალადობის ზეიმში, ჩვენ მხოლოდ გულხელდაკრეფილი მოწმის „სტატუსი“ გვექნება — ეს არის გამაოგნებელი.

გვირაბში ჩავედით.
წყალი ისევ წვეთავს.

— იცი, შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ... — ნატო რატომღაც უკან იხედება, თითქოს არ უნდა მისი ნათქვამი საზამთროს ჩაფრენილმა ჯარიკაცებმა რომ გაიგონონ, — შარშან, შეიძ ნოემბერს ჩვენი ნიღბოსნების უფრო შემეშინდა, ვიდრე ახლა, დამპყრობლებში გამოვლისას... იცი, რატომ? ეს, დღეს თუ ხვალ მოსახდელი ჭირი, უნდა მოვიხადოთ; შინაური დამსჯელი კი სულ ჩემს გვერდით უნდა იყვეს. შეიძლება, მომავალში, ხელიც კი ჩამოვართვა, ტაში დავუკრა და, ჩემი არჩევანის წყალობით, ხელისუფლებაშიც წამოსკუბდეს, როგორც არაერთხელ, არაკაცმა, თავისთავი ისევ შემომატყუოს... სიარულის დროს ემოციური ლაპარაკი არ შეიძლება, აი როგორ დავილაღე! — შედგა კიბის საფეხურზე.

ბაქანის თავისკენ წავედით. თუმცა ვინ იცის, თავი საით არის. ვისთვის ბოლოა — თავი და, ვისთვის პირიქით, თავია — ბოლო. მთავარია შენ საიდან მოდიხარ, საითკენ გაქვს გეზი აღებული.

მატარებლით გამგზავრების მსურველები ახლაც ცოტანი იყვნენ. ისინიც, ერთ ჯგუფად მიმდგარნი ომზე, ლტოლვილებზე, დანგრეულ სახლ-კარზე და დაღუპულებზე საუბრობდნენ. მათ დიალოგში თითქოს ველარ ვიგორძენი გაუსადილის ტკივილის სიმძაფრე, ეტყობა, გაშინაურებულმა ტრაგედიებმა, ყველანაირ თავსდატყობილ უბედურებას, მათ შორის სიკვდილსაც დაუკარგეს სერიოზულობა.

მოსახვევში მატარებელი შემოიზღაზნა.

გაგვახსენდა, რომ ვშორდებით.

— ისევ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ?

— ისევ... აი, ამ ამოტყობილ ფილაქანთან!

— რატომ არ მითხარი, თემურს რა მოუვიდა?

— შენ აღარ გიკითხავს.

— ახლა ხომ გეკითხები...

ვაგონში შევყევი, ფანჯარასთან დავსვი და ხელჩანთა გვერდით დავუდგი.

— ჩადი, თორემ დაიძრება... რა მოუვიდა-მეთქი!

— გახსოვს, ოთხმოცდაცამეტში, გაგრის სტადიონზე, ქართველი ბიჭის თავით ფეხბურთი რომ ითამაშეს...

— რას მეუბნები!.. — მაშინაც ასეთი თვალები ჰქონდა, თემური მის მეუღლეს რომ ასულიერებდა.

ვაგონის ფანჯარაში გადიდებული სურათით ჩარჩა.

ეს მატარებელიც წავიდა.

წავიდა.

ერთ დღეს მეც წავალ, როცა გავარკვევ ამ ბაქანს საით აქვს თავი და ბოლო.

წავალ და აქ აღარავინ დარჩება.

აღარავინ — დაბოლმელმა დაგდებული სი-

ვარეტის ცარიელ კოლოფს ფეხი ამოვუქნიე.

28

ძველი რვეულიდან

„გუშინ ნატაშა დაბრუნდა. ფოიეში რომ გადავეყარე, თვალები მოვიფშვინტე, მეგონა მეჩვენება-მეთქი.

დაკრძალა ქმარი და ჩამოვიდა. კოკოშასთან აუდიენციით კმაყოფილი იყო, რაც გამიცდა, დირექტორი იმ დღეებსაც დამიმატებსო. შეფერთხილა, დასვენება ნამდვილად სჭირდება.

დღეს კი, სადილად, მაგიდასთან მარტო ვარ, თუმცა განყოფილი ოთხ ადამიანზეა. მიდი და, თუ თავი გაქვს იბაირამე, შეუბერე, იჯერე გული მონატრებული „პერლოვკით“, ოთხი ბორშით, ოთხი კატლეტით, გნებავს ქათმის ბარკლის ძირით, კომპოტით...

წავიდნენ ჩემი მაგიდის წევრები — სტარკოვი, მწერალთა დელეგაციასთან ერთად, საზღვარგარეთ მიფრინავს, ნინა ბორისოვნას შვებულება უმთავრდება და ნელის მარტო ხომ არ დატოვებდნენ, ისიც ნაიყვანეს.

შემოქმედებითი სახლის „რაფი“ შესასვლელთან ჩამოვდგა:

სტარკოვები გამცილებლებს ეთხოვებიან.

ჩემი რამდენიმე რჩევა-დარიგება ნელიმ ყურადღებით მოისმინა.

— ფრჩხილების კვნეტაც არ ითვლება, მაინცადამაინც, კარგ საქციელად, — ჩამოვალე-ბინე ტუჩებთან მიტანილი საჩვენებელი თითი.

— ერთი რჩევა ჩემგანაც მიიღეთ, — ყურთან ცხელი სუნთქვა შემომაფრქვია, — მუჭში ჩამწყვდეულ ჩიტებს, იოლად ნუ გაუშვებთ... ცოდვანი არიან, შეიძლება ქორმა ან მელამ შეჭამოს.

— მე მხოლოდ ისეთ ჩიტებს ვუშვებ, ქორსა და მელას რომ არ შეეჭმევიანებან... გაიგე?

— გავიგე! — მომეხვია და ცოტა წაუცრემლა.

სულელი.

ცრემლი მეც მომერია — ვერ ვიტან განშორებას.

— ბიძაჩემი ხომ შეგპირდათ, წიგნის გაცემაში მოგეხმარებითო... ჩამოხვალთ? უეჭვლად ჩამოვლით!.. მართლა, კიდევ ერთი რჩევა... ახლავე, მამიდა!.. როდესაც ბურთის მისაღებად მოძრაობთ, ჩოგანი ზურგსუკან ნუ გრჩებათ...

„ჩოგანი კი არა, ცხოვრება რჩება უკან, ჩვენ რომ ვგვგონია წინ მივდივართ და სადაცაა ბედს ვეწვევით.“

„რაფის“ ფანჯრიდან გადმოყოფილმა ნელის ხელმა კოცნა გადმოისროლა...

პრესის სახლში ლონდა არ დამხვდა, ავად ყოფილა და სამუშაოზე ვერ მოსულა.

ყავა მეორე ქალმა მომიდულა, მაგრამ ჩემი უგუნებობის ბრალი იყო თუ ყავა გამოდგა უგემური, ცოტა მოვსვი და წამოვედი.

ნელის წასვლამ სულ დააცარიელა აქაურობა. თემური მაინც იყოს...

დავაპირე დამერეკა, მაგრამ გადავიფიქრე. ნომრიდან პირსახოცი ჩამოვიტანე და ზღვის

სანაპიროს გაუფყვი. გაცვდი პლავს, დავად-
ეკი ქვა-ღორღიან ვინრო ზოლს. ხელმარჯვნივ
გაყამირებული, დანაგვიანებული, ალაგ-ალაგ
დაჭაობებული მინდორია. მინდორზე უცნაური,
მოლურჯო ფერის ფრინველები ირევიან, ჩემს
მიახლოვებაზე ზანტად დაიქნევენ ფრთებს,
გამშორდებიან და ცოტა მოშორებით ჩაფ-
რინდებიან ხოლმე.

სანაგვეებს თოლიები დასტრიალებენ. ჩხა-
ვიან, იგუნვლებიან ნაგავში. ვიფიქრე, — პოეტ-
ებს, ვისაც ლექსები აქვთ თოლიებზე, ალბათ,
ასეთ მდგომარეობაში არ უნახავთ, მათი ღორ-
მუცელობისათვის არ უყურებიათ-მეთქი.

ბინდებოდა, პლაჟზე რომ დავბრუნდი.
დამსვენებლები სანაპიროდან გაკრეფლი-
ყვნენ, მხოლოდ რამდენიმე გოგო-ბიჭი ერთად
შექუჩებულიყო, ცეცხლი დაენთოთ და ნაკვერ-
ჩხლებზე შემთბარ, დანისპირით ტკაცუნით
გადახსნილ ნიჟარებში დურდოსავით მოთიმ-
თიმე ხამანკებს ტუჩების წრუპუნით ისრუ-
ტავდნენ.

სასარგებლოაო, ამბობენ, მაგრამ თვალ-
ისათვის იმდენად გამაღიზიანებელია, რომ
შეუძლებელია სასარგებლო იყოს.

ყოველ შემთხვევაში — ჩემთვის.

მოპიკნიკებთან მოშორებით გულაღმა
გავიშოტე და თავქვემ დაკეცილი პირსახოცი
დავიდე.

შეჩვეულ ადამიანთან ან ადამიანებთან გა-
მოთხოვება, ყოველთვის ცუდ გუნებაზე მაყ-
უნებს.

კიდევ უფრო მომენამლა გუნება, როცა
გავიფიქრე, რომ შეიძლება ხვალაც ამნაირ, ჩას-
ვრილ ხასიათზე ვიყო.

და საერთოდ, რისთვის უნდა გათენდეს
ხვალინდელი დღე, თუკი ისიც ასევე უინტერე-
სოდ დაღამდება?

ჩემს მეზობლად ჩაიწვა ცეცხლი, აახვიეს
ზღვის ნობათის გურმანებმა და სულ მარტო
დავრჩი.

ზღვა შეტოკდა. შემპარავმა შრიაღმა სანა-
პიროს ჩაურბინა. ნინ წამოჩოჩებულმა ტალ-
ღებმა ფეხისგულეებზე მომილიტინეს.

რამდენიც არ უნდა ეცადონ, მაინც ვერ
გამაცინებენ.

პირქვე დავემხე და ვიგრძენი, რომ ქვიშის
უთვალავი ნამცეცი მოულოდნელად, მილიარ-
დობით წიანჭველად იქცა, შეირხა, აფუთფუთ-
და, გაიშალა, განივრცო, შეესია სანაპიროს,
ძირში გადალრღნა ლაქაშის სადემარკაციო
ხაზი და დასასვენებელი სახლისაკენ დაიძრა.

თვალი გავახილე.

ცხადი იყო თუ სიზმარი?

უკვე კარგად ბნელოდა. პროჟექტორის
ფხიზელი თვალი, ცარიელ სანაპიროზე, ვილა-
ცას დაეძებდა. შეიძლება ის ვილაც სულაც მე
ვიყავი, მაგრამ მოძრავი ქვიშით დაფარულს
ვერ მხედავდა. ანდა არ იცოდა, რომ მეც შემ-
სანსლეს წიანჭველებმა და მხოლოდ ფიქრილა
დავრჩი, რომლის აღმოჩენაც, დანახვაც (ჯერ-
ჯერობით) პროჟექტორს უჭირს... უჭირს,
თორემ განა ფიქრში ჩადენილ დანაშაულს
რაიმე შეედრება? ფიქრს რომელი საზღვარი,

საბაჟო და მესაზღვრე, საიდუმლო სამსახური
შეაკავებს, თუნდაც ამ უკიდევანო ქვეყანას
ნახევრად შიშველი განა ავდროინას მსგავსი ქა-
ლების მესერი შემოარტყა?

დღე ეშმაკების ვართ, ღამე... ფიქრში
გადავდივართ ნებისმიერ საზღვარზე და
გადაგვაქვს და გადმოგვაქვს თავისუფლების
სურვილი.

რა იცის, ვითომ ყოვლისშემძლე ციკლოპის
თვალმა, ოცნებაში რომელ ტაძარში ვლოცუ-
ლობთ...

თახსირები, როგორ გაბედეს ჩვენთვის
ხატების გამოცვლა!

ახლა ეს ქვიშის წიანჭველები...

შარშან, ამ დროს, სასადილოს მაგიდას-
თან ცოლ-შვილიანი ინტელიგენტი დამიმეზო-
ბლეს. ზოგადად „ინტელიგენტი“ იმიტომ, რომ
არც წერდა, ამდენად არც აქვეყნებდა და, რაც
მთავარია, არც კითხულობდა, მაგრამ ერთ სე-
რიოზულ, შემოქმედებით ორგანიზაციაში, ე.წ.
ორგმდივანად იყო მივლინებული.

ჰოდა, ორგმდივანი, რომელსაც განსა-
კუთრებული სიფხიზლე ევალებოდა, თითქ-
მის ყოველი ვახშობის წინ, მწუხარე სახით
დაურევდა ხოლმე კოვზს უფერულ ჩაის ნაყენს
და ამოიოხრებდა, წვიმებით და უმოქმედობით
შენუხებული სულის დასაწყნარებლად, სულ
რალაც 100 გრამიც საკმარისიაო...

100 გრამი! მხოლოდ ასი გრამი და, სქელ-
შუბლა გაიხარებდა, ხელახლა დაიბადებოდა.
როგორც კი ამ ყველაზე სანუკვარ ნატვრას
აიხდენდა, მხარზე ხელს დამკრავდა, „კარგად
ვცხოვრობთ“ და უკანალჩამოვარდნილ ცოლს
საცეკვაოდ გაიწვევდა.

ეჰ, ინტელიგენტების შეფს თუ თავად ინ-
ტელიგენტს სრულყოფილი ბედნიერებისათვის
ცოტა ყოფნიდა, და ეს ცოტაც, როცა გულით
უნდოდა, მაინცდამაინც მაშინ არ ჰქონდა.

თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, როდის აღარ უნ-
დოდა.

იჯდა მოლუშული, განიერი ყბებით უგემუ-
რად იღმურძლებოდა და თვალებიდან მოშვე-
ბული ონკანივით ეღვრებოდა სევდა, ზიზღი,
სიძულვილი.

ეს საქმეა? მხოლოდ ასი გრამი და დამშვიდ-
დებოდა, წარბს გახსნიდა, გაილიმებდა, გალ-
ამაზდებოდა ქვეყანა, სუფთად გაპარსული,
ვარდის წყლით შეხელილი კანიც აღარ ექნებო-
და გამაღიზიანებლად მოპრიალე და საძაგელ
სუნიანი.

შენ კი არ დალევდიო? — ცდილობდა, ჩემი
სახით თანამგრძობელი და მოზიარე მაინც
ეპოვა.

რა იცოდა, მე რაზე ვფიქრობდი, რამდენი
მილიონი გრამი თავისუფლება მწყუროდა...
ამას მხოლოდ 100 გრამი... სპირტი... ან რალაც
ისეთი, რაც სპირტს შეიცავს...

ჩემს ოთახში ავანთე სანთელი, დავეცი მუხ-
ლებზე და უფალს შევღალადე:

— ღმერთო, გაგვიჩინე სამართალი, მოგვე-
ცი ორივეს რასაც ვნატრობთ და გაგვიშვი ჩვენ-
ჩვენს გზაზე!

ეჰ, ღმერთმა კიდევ რომ მოინდომოს, ვინ

არის გამშვები.

ერთხელ მკითხა, თქვენთან ჭაობები თუ არისო.

კითხვა მოულოდნელი და დამაბნეველი იმდენად იყო, რომ არ ვიცოდი, მეორე სვლაზე რას მიმზადებდა.

ჩვენთან რა უნდა-მეთქი, კოლხეთის დაბლობზე კი არა, თუ სადმე ნანვიმარზე, ნაჩლიქარში გაჩენილი, ქინქლადახვეული ჭანჭყობია, ისიც კი დავუმაღლე.

კი, იქნებაო.

უფრო მტკიცედ ვიუარე.

აბა, ის რა ქვეყანაა, სადაც ჭაობი არ არისო. გიჟი და ეგეთი? ხომ ვიცი, 100 გრამი, სულ რაღაც 100 გრამი და... სხვანაირად აჭიჭიკდება.

ჩამოვუთვალე ევროპის სახელმწიფოები, სპარსეთი, ეგვიპტე, იაპონია, ავსტრალია... არ მგონია იქაურობა ჭაობებს მიჰქონდეს და ხალხს მალარია სჭამდეს — მაშ ქვეყნები არ ყოფილან-მეთქი.

ისინი რაში მაინტერესებს, ჩვენ, ვინც შიგნითა ვართ, იმათზე გეუბნებითო...

აა, ხომ გასაგებია, „ლობის“ შიგნით კარგად ვლპებით და ვჭაობდებით თუ არა, ეს აინტერესებდა, პატივცემულს!

რას ვიზამთ, ჭაობის ნადირს, ჭაობი ენატრება.

იქვე, ხელსაწმენდზე, ლექსი მივანერე:

მე რაღა მინდა ჭაობთან,

ჭაობში ბევრი დაობდა,

ამ მუდრეგთან და ოხერთან,

ნუ დამსვამ ო, დამიცევი

ღმერთო, შენ მაინც მოგვხედე,

ვიდრე ჭაობად ვიქცევით.

ალეე-ჰომ!.. აბა, ვინ გადაახტება ჭაობის იმპერიას!..

შეგრილებულმა წყალმა საცობივით მალლა ამომავდო, მერე მიმილო, ჩამიხვია, ჩამიკრა, გამათბო — ვიდრე სუნთქვა მეყოფა, ჩაყვინთული მივცურავ, ზემოდან პროჟექტორის განოლილი სინათლის ბილიკი უკუნეთში იკარგება, მაგრამ არც მე ვარ ბეთლემელი ქრისტე და არც ციკლოპის თვალიდან გამომკრთალი შუქია ის ნათელი, ზედ რომ შევდგე და გავიარო.

მომდევს ციკლოპი, სამართებლის პირივით პარსავს აქაფვებულ ტალღებს.

უცებ, მთელ სანაპიროზე, სინათლე გამოირთო. ჩაიმსხვრა მოდარაჯე პროჟექტორის ერთადერთი შუშის თვალი, ჩაიფუმნენ განათებული კორპუსები და მათ ადგილზე შავი სიცარიელე დარჩა.

გამეფდა წყვილი და „მინა იყო უსახო და უდაბური.“

მხარი მექცა, დავკარგე ნაპირი, ველარ გავიაზრე, რომელი მხრიდან ნამოვედი ან საით უნდა წავიდე — სინათლის ნამცეცა ჭიატიც კი არ მიმანიშნებს, სად არის ხმელეთი.

მაგრად შეფვიქრიანდი. მითუმეტეს, რომ აქაც მომაგნეს ფსკერიდან დაძრულმა ჭიანჭველებმა, წვრილი საცეცებით ჩაეჭიდნენ დაბუყებულ ფეხისგულებს...

მეტი რა გზა მაქვს, უნდა ინტუიციას ვენ-

დო, დავადო თავი და ალალებდზე რომელიმე მხარეს ვიცურო.

ასეც ვიქცევი, ოღონდ ვერ ვიგებ, ნაპირისაკენ მივდივარ თუ უფრო ღრმად ვეფლობი ჩაკუნაპეტებულ ზღვაში...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცურე. თანდათან გაბლანტებულ წყალში დამძიმებული მკლავები ისე მოძრაობენ, როგორც შესქელებულ ცემენტის დულაბში. ცოტაც და დამიძახებენ:

— შვილო, ზურაბ, სადამდე?..

ბედზე ქარმა დაუბერა, მომძლავრდა და, ჩემგან ხელმარცხნივ, რაღაც აბჟუტდა, სუსტად, ძლივს გამოანათა ბეჭდის თვალივით.

ჩაეჭიდა, ჩააფრინდა განწირული მზერა ამ მიმქრალ ციმციმს. შეეცვალე კურსი, ახალი ძალით აღვსილმა მკლავი მოვუსვი.

როგორც იქნა გამოვალნიე, გაქრნენ სხეულზე დახვეული, ჩემი სისხლით გატიკნული ჭიანჭველები და დანრეტილი, მომწვარული ნაპირზე მივეგდე.

ჩემი მშველელი ხამანკების შესანვავად თუ მოსახარმად დანთებული, აფუტებული კუნძი გამოდგა, ქარმა რომ დაუბერა, ნავლი გადააცალა და გააღვივა.

იქნებ ქარმა კი არა, უფალმა შეუბერა სული. ალბათ, ასე იქნებოდა.

ხვალ მეც წავალ.

გავებუტე.

ალარ მიყვარს ზღვა!

და საერთოდ...“

29

ხიდიდან გადავიხედე. ხელისგულისოდენა საბოსტნეების, ნაპირთან დატრიალებულ მორევეზე გადაყუდებული, ტოტებდაშვებული ტირიფების ჩაყოლებზე ვიღაც თევზაობს.

რაღა ვიღაც, ქუდით კალიებზე მონადირე ნაფოტას ჰგავს.

„რა მოდის კალიაზეო, ქაშაყი თუ ქაფშიაო? იქნებ ჭანარი, ზუთხი, ან ორაგული, მურნა, კეფალი, კალმახი...“

ხიდის ყურთან, ქვიშის ტომრებზე მიყუდებული, საზამთროთი გაბერილი ჯარისკაცი დაჰყურებს ავტომატზე დაწყობილ ხელებს...

„ჰო, სქელშუბლა არ დამავინოდეს, კიდე, გველთევა, ხამსა, ალაზნის ლოქო, ხრამული... და, რა თქმა უნდა, ციმორი...“ (ციმორებზე თევზაობის“ მერე დაისვა ჩვენი ავადმყოფობის ყველაზე ნალდი და უტყუარი დიაგნოზი, გახსოვთ, არა, ვიქტორ პეტროვიჩ?“

ჯარისკაცმა გაზანტებული მზერა გამომაყოლა.

ბევრმა საზამთრომ ხშირი შარდვა იცის. ესენი სად დადიან, საპირფარეშო არსად უჩანთ. ალბათ, მტკვარზე ჩადიან, ან ხიდიდანვე რომ გადაუშვან, ვინ აუკრძალავთ... ყოფილ ავტომანქანების სამრეცხაოში ბლომად ირევიან, რკინის გორგოლაჭებიან მაგადაზეც იმდენი მწვანე ქერქი ყრია, ეტყობა მაგრად დაიბურთნენ... ამდენი საიდან? ბაზარი არ მუშაობს, ქართლის ბალებში საზამთრო არ მოდის, შეიძლება როკის გვირაბიდან დააგორეს და, აგერ, მტკვრის ნაპირთან დაიჭირეს...

სისხლი მლაშეა — მოწყურება იცის. საზამთრო, ასეთ დროს, მისწრება.

მაგრამ ამ ნაყოფის სამშობლო ასტრახანი და, განსაკუთრებით — ვოლგისპირეთი, თათარ-მონღოლთა დაღეძილი ნარჩენებით, თავადაც გადამსკდარ, შემოსულ საზამთროს ჰგავს და ვაითუ, თავისუფლებისათვის აღერდილმა თავის დროზე, რუს ჯარისკაცს კბილი მოსჭრას, რადგან ჩამნიფებული ყოველთვის ტკბილს არ ნიშნავს...

ოკუპანტებს გავცდი.

როდის დაივლიან ქალაქს სანაგვე მანქანები, რომ შუშის ნამსხვრევების ჭახაჭუხიდან დავისვს, ყოველ გახრჭილებზე ერთმანეთს დაჭერილი, დაკრაჭუნებული კბილები ლამის დამემტვრეს.

ყოფილ უნივერსიტეტში, კუთხეში, გაურისკავთ — მალაზია „ოაზისი“ გაულიათ.

ყარს კარლია მაცივრები და თავახდილი საყინულეები, მართლაც ნამდვილი, „სურნელების“ ოაზისია.

დიდი ზარალი ვნახეთო, ოხრავს ყურებჩამოყრილი მალაზიის პატრონი, ჭანჭურა კონო.

ჭანჭურა პირველ კლიენტებსაც გაუბედნიერებიათ — ჭროლას და ჩარექას ლუდის ბოთლები უკვე შუავე დაუყვანიათ.

— გამარჯობათ, ძმებო! გუშინდელის მერე, ასე მალე შერიგდით?

— აბა, რა ვქნათ, ბოროტს ხომ უნდა სძლიოს კეთილმა... ასე არ არის, ბატონო ოფიცერო? — მიუბრუნდა ჭროლა დახლთან მდგომ სამხედროს, გამყიდველს სიგარეტის ბლოკი რომ გამოართვა.

— მე პოლკოვნიკი ვარ!..

— ამ ამბების მერე, ალბათ, გენერალიც გახდებით.

— ვნახოთ, ვნახოთ! — საფულედან რუსული რუბლის ასიგნაციები ამოიღო და რამდენი უნდა მოგართვაო, ჰკითხა გამყიდველს.

გამყიდველმა მზერა ჭერში ააცოცა, ვითომ იქ ენერა, რუბლი ლარებში როგორ გადაეყვანა.

— ომამდე, მანეთი, ნოლ ექვსი თეთრი იყო.

— არა, ნოლი მთელი ექვსი მეასედი, — შეუსწორა გამყიდველს ჩარექამ, — მოკლედ, ბევრი რომ არ ვიმარჩიელოთ, ასი რუბლი, ექვსი ლარია!

— არ ვიცი, მე პროფანი ვარ მათემატიკაში, — ხელები ასწია ჭროლამ.

ჭანჭურამ შესთავაზა ოფიცერს, ისე წაიღეთო.

პოლკოვნიკმა არ ქნა, ორი ასრუბლიანი დააგდო დახლზე.

— შე ჩათლახო ჭანჭურ, ჩვენ ერთ ბოთლ ლუდზე უკან მოგვეყვები ხოლმე და ამას სიგარეტის ბლოკს ისე ატანდი?

— რა ვქნა, ძმაო, შიშს დიდი თვალები აქვს.

— შიშს მოგცემ, ჯერ ევ ნავიდეს! — „დაემუქრა“ ჭროლა და გასასვლელისაკენ მიმავალი ოფიცერი და იმის თანმხლები ჯარისკაცი, ორლიტრიან „კოკა-კოლას“ რომ მიაკონწიალებდა, შეაჩერა, — შეიძლება, ერთი შეკითხვა?

— შეიძლება!

— სარკინიგზო-საინჟინრო ინსტიტუტი

როსტოვში დავამთავრე, ერთხანს იქვე ვმუშაობდი კიდევ... რუსეთში ბევრი ნაცნობი მყავს... ჩემნაირი ბევრია საქართველოში და მაინტერესებს, მაინც რატომ გავგიმეტეთ?

ოფიცერს გაეცინა და ჭროლას თვალი თვალში გაუსწორა.

— გავგიმეტეთ? მე ასე სულაც არ ვფიქრობ!.. მითხარით, როგორ იქცევა მასწავლებელი, როცა მოსწავლე გააბრაზებს?

ჭროლამ სულ გამოიშტერა თავი, არ ვიციო. ოფიცერმა ახლა დანარჩენებს გადმოგვხედა.

ჩვენც მხრები ავიჩიჩეთ, მხოლოდ ჯარისკაცი იღიმება, ეტყობა იცის პასუხი.

— რას და... - უფრო გასაგებად რომ დაესურათებინა თავისი სათქმელი, კვლავ რუსულ ფულს ჩაჩერებულ გამყიდველს ნასწვდა ყურის ბიბილოში, — ასეთ მოსწავლეს, მასწავლებელი, ყურს აუნევს!.. ასე რომ, — ბიბილოს გამწვებული თითი მკაცრად მოგვატარა, — ეს ჯერ მხოლოდ ყურის აწევა იყო... დაიხსომეთ! — დაგემოდვრა, თან გავაგაფრთხილა, თავისი ლოგიკით კმაყოფილმა ილიას ოფიცერის შთამომავალმა და ნასვლა დააპირა.

— მოიცადეთ, ბატონო პოლკოვნიკო!.. - ჭროლამ ბოთლი დახლზე დადგა და თითებზე ჩამოთვლას შეუდგა — თქვენზე ხნიერი ერი ვართ, თქვენზე ადრე გავხდით მართლმადიდებელი ქრისტიანები, თქვენზე ადრე გვექონდა ანბანი, დამწერლობა, ადრე ვთარგმნეთ სახარება... მითხარით, ვინ გამოდის მასწავლებელი, თქვენ თუ ჩვენ?.. აა, ბევრი რომ ხართ და გვერევით, მასწავლებლობა იმიტომ მოინდომეთ, არა?.. ეს აფხაზები და ოსები რომ გაიგრაჟდნენ, აბა, მიდით, გაბედეთ, დაბეჭდეთ ნახევარი მილიარდი პასპორტი ჩინელებისათვის...

— როგორ, განა თქვენც ქრისტიანები ხართ? — გაუკვირდა ოფიცერის თანმხლებ ჯარისკაცს.

— თანაც, მართლმადიდებლები! — ჭროლამ კი არ ჩაიხსნა, ჩაიგლიჯა პერანგის საკინძე. — ხედავ, ვის წინააღმდეგ გაბრძოლებენ, ჯარისკაცო!

დაწყვეტილი ლილები ძირს გაგორდნენ. ჭროლას მკერდზე ქრისტეს ჯვარცმის ვერცხლის ჯვარი ბრწყინავდა.

ოფიცერმა ველარაფერი თქვა, როგორც „ბელომორ კანალს“, ნეკზე ნამოზრდილი ფრჩხილი ეგრე აჰკრა, „ქემელის“ ბლოკს შემოვლებული ცელოფანის წითელი ზონარი ააძრო და თანმხლებთან ერთად გაბრაჯუნდა მალაზიიდან.

— გამოჩნდება თქვენი ყურის ამწევიც, ბატონო პოლკოვნიკო! — დაექადა ჭროლა, მაგრამ გასულვებს უკან აღარ მოუხედავთ, მანქანაში ჩასხდნენ და ნავიდნენ.

— მაგარი ხარ, ძმაო, მაგარი! — ჭანჭურა კონომ ლამის ზღუქუნი ამოუშვა.

— ნახე, კაცო, როგორ გააჩერა ეს ნაბიჭვარი! — ხელზე დახვეული ცხვირსახოცით თვალები ამოიმშრალა ჩარექამ, — გაფუჭდა, აღარ არის ნერვები, მე ამათი დედა...

— ძან კი მოგიტმინა, — ისევ ამოიხავლა

მაღაზიის მეპატრონემ, — ერთი ხანობა პისტო-
ლეტზეც კი ნაივლო ხელი... შენ ვინ ყოფილხ-
არ... მეგონა, ნაღდად ესვრის-მეთქი! — რაც
შეეძლო ატრიზავებდა იქ მომხდარს და, ბო-
ლოს, გამყიდველს მიუბრუნდა, — ბიჭო, სოსო,
მოიბა ერთი არაყი!

— ჰო, ჰო, გააფრთხილე, ემანდ ორი არ
ჩამოილოს!

— ორიც თავს გენაცვალოს და სამიც... შენ
მითხარი, რომელი?

— აი, ეგა, — არჩევანი თავისთავზე აილო
ჩარექამ, — „народная“ რომ ანერია, შედარ-
ებით იაფად გამოხვალ.

არაყის მუქნარწერიანი ეტიკეტი შორი-
დანვე თვალს გვჭრიდა. შავი, მძიმე ასოები,
გარეგნულადაც და შინაარსითაც მიძინებული
თუ მივიწყებული მარშების, ჰიმნების, ტრიბუნ-
იდან დაქუხებული მგზნებარე სტრიქონების,
მონოდებების, ლოზუნგების, საზეიმო აღ-
ლუმების ნოსტალგიას აღვივებდნენ.

— აბა, ამის ჩამომსხმელს დედა ვუხსენოთ!
— ჭროლამ უჭიქოდ, ტუჩზე მიუკარებლად
ჩაარაკრაკა ბოთლის მესამედი თუ მეოთხედი
და, მერე ჩვენ მოგვანოდა.

30

ძველი რვეულიდან

„...სამი წლის წინ, ლიტერატორთა სახლის
მყუდრო ბუფეტის კუთხეში, სწორედ ამ მაგი-
დასთან ვისხედით და ვალოდიას მძაფრსიუჟე-
ტიან ამბავს ვუყვებოდით, მე და ჩემს მეგობარს,
მოსკოვში, ნაცნობი მთარგმნელის ოჯახში რომ
გადაგვხვდა.

მაგიდა კიდესთან ამოკანრული ინიცი-
ალებით, „ა. მ.“ — ვიცანი, რომელზეც, მაშინ,
როგორც ორკლავიანი საბავშვო გარმონზე,
ვალოდიას მსხვილი, მოუხეშავი თითები თა-
მამობდნენ.

აქ, ნახევარსარდაფში, ახლაც ყველაფერი
იგივეა — კიბის სიძველისაგან დაბზარული
მოაჯირი, თითქოს მაზუთიანი ნახერხით აპრი-
ალებული საფეხურები, იატაკი, ყავის სურ-
ნელი და გაზქურაზე მთვლემარე, სიმშვიდის
მომგვრელი, მომშინე ჩაიდანია... ზემოთ კი,
ჟამთასვლისათვის ამ მოკლე სამწლიან მონ-
აკვეთში იმდენი რამ შეიცვალა, საბჭოთა მო-
ქალაქეები ყველაზე გაბედულ სიზმარშიც რომ
ვერ ვნახავდით...

ბუფეტში დაღმართივით ციცაბო, ორ კე-
დელს შუა მოქცეული, დახვეული კიბით ჩამო-
დისარ და გგონია ბუნკერში იძირები. სინამდ-
ვილეში სულის მოსათქმელ, დასანაყრებელ და
თავმესაქცევ დანესებულებაში აღმოჩნდები.

კედლებზე ორნათურიანი, განათებული
ბრები ჰკიდა. სკამები ხისაა, ტლანქი, მძიმე.
სამაგიეროდ საიმედოდ დგანან — ყველაზე
მძიმეონიან მწერლებსა და ლიტერატორებსაც
კი უძლებენ.

მაგიდებიც ხისაა, მასიური. ზემოდან გადა-
კრულ მონაცრისფერო პლასტიკატის ჭუჭყის
ამტან ზედაპირზე დაყინული, ტკაცუნა სოსი-
სის თუ გაბერილი სარდელის ცხიმოანი შხეფი,

დამლაგებლის განურულ ტილოს ადვილად ნებ-
დება.

შესვენების დროს, ბუფეტში, განსაკუთრებ-
ული ხალხმრავლობაა — ზუსტად პირველ საა-
თზე, კიბის მაღლა, ერთდროულად ახმაურდება
ხოლმე შენობის ადმინისტრაციული ნაწილი.
კაბინეტებში, მისაღებებში გამოკეტილი მდი-
ვნები, თანაშემწეები, რიგითი თანამშრომლები,
მუშებთან და ერთმანეთთან ჭიდილში მოღ-
ლილი, დამშეული „სულის ინჟინრები“, ენერგი-
ული ნაბიჯებით მოაწყდებიან ჩამოსასვლელს,
ჩამოიღვრებიან კიბეზე და შუშიან დახლს მიღ-
მა წარბებგადაკალმულ, ორი მეზუფეტე ქალბა-
ტონის წინ გრძელ, მოუსვენარ რიგად შედედ-
დებიან.

ჰოდა, ოთხმოცდარვის გვიან შემოდგო-
მაზე ვზივართ ჩვენთვის, ბუფეტის კუთხეში.
პიკის საათი გასულია და ირგვლივ შედარ-
ებით სინყნარეა. შევექცევით ნაირნაირ, გემ-
რიელ ბუტერბროდებს, ვაყოლებთ მოსკოვურ,
სადაფისფერ, ქაფიან ლუდს და დიდი ხნის
უნახავ, მონატრებულ მეგობარს ამბავს ვუყვებ-
თი.

ვალოდია — ჭაბუკობაში, ვოლგაზე, სამ-
დინარო გემის მეზღვაური, მოგზაური, მონა-
დირე, მოთევზავე, საკმაოდ წარმატებული
დრამატურგი, სკამის საზურგეზე სანახევროდ
მინოლილი მისმენს და ბარაქიან, გაბურდულ
ჟღალ წვერს ლონიერი თითებით ზემოდან ქვე-
მოთ ივარცხნის, ეფერება, თითქოს საკბენად
აღრენილ ბომბორა ძაღლს ქეჩოზე უყვავებს.

ამბავი კი ასეთია:

ერთხელ, ამ ბუფეტში, ცოტა რომ
შევზარხომდინო, მე და ჩემი მეგობარი თბილისე-
ლი პოეტი, მისი ლექსების მთარგმნელმა, ვინმე
ევგენიმ, თავისთან, ოჯახში მიგვიპატიჟა.

უარი არ გვითქვამს, ბუფეტშივე შეძე-
ნილი არაყის და კონიაკის ბოთლები მთარგმ-
ნელის მოზრდილ ხელჩანთაში ჩავალაგეთ და
წავედით.

მანამდე, ვესტიბიულიდან, მორიგეს
ტელეფონით ევგენიმ შინ დარეკა, სტუმრები
გვეყოლებო.

არ ვიცო, ამ შეტყობინებით, უხილავმა
მეორე მხარემ რამდენად გაიხარა, ყოველ შემ-
თხვევაში, ჩვენი მოპატიჟეს სახეზე ეს არანაი-
რად არ ასახულა. მიუხედავად ამისა, მაინც
ენერგიულად დასწვდა ხელჩანთას და, ლიტ-
ერატორთა სახლიდან, უკვე ბინდდაცემულ და-
თოვლილ ქუჩაში გამოვედით.

ჯერ მეტროთი, მერე ტროლეიბუსით ვიმგ-
ზავრეთ, კარგა მანძილი ფეხითაც გავიარეთ
და, ვიდრე ევგენის სადარბაზომდე მივალწ-
ევდით, ყინვამ სასმელით დაგროვილი სითბო
გამომაცალა.

მეხუთე თუ მეექვსე სართულზე,
მასპინძელმა, გამამაცებელი სახით მოგვხე-
და, მონდომებით დამიზნებული თითი ლილაკს
დააჭირა და გაბმულ ზარს ხმაც შეაშველა:

— ლარისა, საყვარელო, ჩვენ უკვე
მოვედით!

ლილაკიდან თითი არ აელო, რომ მკვრივად
შეკრულ კარს რაღაც გამეტებით მოაწყდა.

დაჯახებას ძალის მოგუდული ბუხუნიც მოჰყვა.

მაღე ამ ხმის პატრონიც დავინახეთ.

ეს იყო საზიზღრად ნაპატიები, გოროზი, შაგებნვა ძალლი — გოლიათი.

ძალლი ტყავის ყელსაბმელით ეჭირა ლარისას (ალბათ ლარისას!) და ცხენივით აყალყული მყეფარი ჩვენი შეჭმით იშუქებოდა.

ევგენიმ ხელჩანთა შემომაჩენა, თვითონ კი ქალს მიეხმარა, რომ ძალლი როგორმე გვერდზე „მიედგათ“ და ჩვენთვის შესასვლელი გაენთავისუფლებინათ.

— ნუ გეშინიათ, სახლში აღარ იკბინება, — დაგვამშვიდა ლარისამ, როცა სასტუმრო ოთახში კედელ-კედელ აკრულები შევიპარეთ.

ჩვენ სავარძლებში ჩავსხედით, ხოლო ძალლი, ერთხანს შემოსასვლელში დარჩა, დაემორჩილა სამზარეულოში მოფუსფუსე პატრონების ბრძანებას, აქედან ფეხი არ მოიცივალო, მაგრამ მერე, ეტყობა, მოინყინა და კარი სულ იოლად შემოგვიღო.

შემოვიდა, შემოუარა დივანთან მიდგმულ, თევშებითა და ჭიქებით განყობილ დაბალ მაგიდას. ჩვენს წინ განერებულმა ხან ერთი შეგვათვალღერა, ხან — მეორე, ღონივრად გაიზმორა, რატომღაც მე გვერდი ამიქცია, ჩემს მეგობარს ზურგიდან მიუდგა, კეფასთან დაყნოსა და გოდორივით თავი მხარზე ჩამოადო.

— მომშორდი! — გააპროტესტა პოეტმა, მაგრამ ძალღმა დაიღრინა, თანაც ისეთი საღეჭი კბილები გამოფინა, რომ იქვე დაუტკბა, — ჰო, კარგი, თუ მოგწონს იყავი...

ვინ დაუშლიდა, ისიც — „იყო.“ ვიდრე მასპინძლები გამოვიდოდნენ და გასუსულ სტუმარს ოთხფეხის მეურვეობიდან დაიხსნიდნენ, ძალლის ორფად ჩამოგრძელებულმა დორბღმა, მოსკოვში ახალშეძენილი პიჯაკის ლაცკანის, მეფის რუსეთის დროინდელი, ჟანდარმერიის როტმისტრის სააღლუმო მუნდირივით, „ჯინჯილებით“ დაუშვევნა.

მაღე ოჯახის ახლობელი ქალი და ორი მამაკაცი შემოგვემატა.

სუფრას შემოვესხედით.

ძალლი, კართან, ქეჩაზე წამოწოლილი თვალს გვაღვევნებს.

ჩვენმა მშვენიერმა დიასახლისმა, რაც შეეძლო არაფერი დაგვაკლო, მაგრამ ყველაფერს ისე დაკოპილი აკეთებს, არ ვიცი, საერთოდ ასეთია თუ ჩვენი სტუმრობით არის უკმაყოფილო.

ბოლოს თვითონაც შემოგვიერთდა და კონიაკი დაგემოვნებით მოწრუბა.

კარგიაო, გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ ქალბატონს, რაც იმის ნებართვად აღვიქვი, რომ დანაკლულებული ჭიქა უნდა შემეგვსო. მესამედ რომ დავუსხი, გავღიმა.

„ეგრე, დალოცვილო, ასე ღიმილი მიხდებოდეს და შუბლს შევიკრავ?“ — გავიფიქრე და, რომელიღაც ახალგამოცემული წიგნის გამო ატეხილ დავაში ჩაბმული მამაკაცების გვერდის ავლით, ქალბატონებს ერთი ქართული, ტრადიციული სადღეგრძელო შევთავაზე.

სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, მანდილოსნების როლსა და მნიშვნელობას ასხამდა ხოტ-

ბას.

— შესანიშნავია! — ხელი ხელს შემოჰკრა დიასახლისმა. თითქოს პირველად დამინახა, ალერსიანად მომაპყრო დაბინდული, ნისლიამდგარი თვალები, — თქვენც სიტყვასთან ჭიდაობთ?... ჰოო?... საკვირველია!.. მაშინ რატომ არ ხართ სხვებივით უინტერესო? — საჩვენებელი თითის კეკლუცი მოძრაობით, ქმარზე და კამათის აღმურში გახვეულ სტუმარ კაცებზე მანიშნა, — დღე და ღამე რომ გადაებას, ქალები არც გავახსენდებით... მთელი სიცოცხლე ლიტერატურულ პრობლემებზე დავგობენ... ხანდახან ღამის ხელჩართულ ჩხუბამდეც მიდიან.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგული ესტრადა ჩართო.

— ხომ არ ვიცეკვით? — შემომთავაზა.

— მაინცდამაინც დიდი მოცეკვავე არ გახლავართ.

— ამ ცეკვას ცოდნა არ უნდა, სურვილიც საკმარისია, — ღამაზი ხელები მხრებზე ჩამომაფინა და თამამად მომეხუტა.

უხერხულად ანურულმა სუფრას გადავხედე.

კაცებს ჩვენთვის არ ეცალათ.

სამაგიეროდ სულ სხვა მხრიდან დარეკა გამაფრთხილებელმა ზარმა — აქამდე ჩუმად მყოფმა, ენაგადმოგდებულმა ძალღმა, ქეჩადან აღრენიღმა წამოინია.

დავსხედით და ქოფაკიც დანყნარდა.

ევგენის, ზაფხულში, ურალს იქით, შემოქმედებითი მივლინებით ემოგზაურა, ადგილობრივი, აბორიგენი პოეტების მთელი „დიპლომატი“ შემოქმედება ჩამოეტანა, ეთარგმნა, გადაეხეჭდა კიდევ და, ვიდრე რედაქციებს დაურიგებდა, სუფრის წვერებს გვიკითხავდა.

დიდხანს ვუსმინეთ, შევაქეთ კიდევ, მოგუნონეთ თარგმანები, მაგრამ ძალიან რომ გაუგრძელდა, მოსწყინდა ჩემს მეგობარსაც ნე-ნცურ-კორიაკულ-იაკუტურ-ბურიატიული, თანამედროვე პოეზიის კოქტილი, მეორე ქალბატონი საცეკვაოდ გაიხმო და მე და ლარისაც ხომ არ ჩამოვრჩებოდით.

ვტორტმანებთ პარკეტზე, ვგრძნობ ხერხემალზე როგორ ადი-ჩადის დიასახლისის ცხელი ხელისგული, ვხვდები, რალაც ხლართში ვებმები, მაგრამ ჩემი სასმელით დაბუჟებული ცნობიერება უძღურია ამძუვნებულ ქალს წინ აღუდგეს.

ჩვენთვის არავის სცხელა, არავის ვაინტერესებთ, თვითონ ევგენისაც კი, მთლიანად რომ თავჩარგულა ლექსების ჩრდილო-აღმოსავლურ თაიგულში.

ოთახში მყოფთავან მხოლოდ ძალღი შფოთავს, ქეჩაზე ადგილს ვერ პოულობს. დრო და დრო წამოიმართება, ღონიერ კიდურებზე დაყრდნობილი აიტანს მძიმე, მაგრამ მოქნილ სხეულს.

ლარისა გამოერკვევა, დაუტევს, დაემუქრება, ოთახიდან გაგისტუმრებო და ისიც დაჩუტული ბურთივით დაეშვება, შავად შეგუბდება წითელ ქეჩაზე.

თურმე არც ძალღის მოთმინება ყოფილა უსაზღვრო — როგორც კი ქალი ისევ დაუფარ-

ავად მომეხუტა, მხარზე თავი ჩამომადო და ყელთან მისი ტუჩების თრთოლვაც ვიგრძენი, უცებ, რაღაც, ვეება ზამბარასავით ავარდა, გაიშალა, პირდაღებული ჩემს ჩასაყლაპად აღიმართა.

ჩემდა სამარცხვინოდ, არ მეყო მატროსოვის გამბედაობა — ქალი წინ ავიფარე. ლარისაც ერთბაშად გამოფხიზლდა, ძაღლს საყელურში ნასწვდა, მოხვია მკლავები და ძლივს შეაკავა...

— ძაღლმა იეჭვიანა? — ახარხარდა ვალო-დია.

მკერდი და მხრები უყანყალებდა, კეთილი, ცისფერი თვალებიდან სიცილით მოგვრილი ცრემლი მოსდიოდა და გარეშემო მსხდომებს უბოდიშებდა.

— აბა, უყურე, რა არ ხდება ჩვენს დიდ რუსეთში!.. ვინ იცის რამდენ ოჯახს სჭირდება ეგეთი, ფხიზელი ოთხფეხი! — თავისივე ნათქვამზე, კიდევ ერთხელ, გულიანად ჩაიხიოთხითა და ბუფეტიდან გამოსულები მანქანაში ჩავსხედით.

— ეტყობა, ეგვინიმ, იცოდა, ძაღლი მდგომარეობიდან როდის გამოდიოდა, საქალაღდე დროებით გვერდზე გადადო და ცოლი დატუქსა... ლარისამ არ დაუთმო... ამასობაში, ჩვენი ეჭვიანი კავალერი, შეძვრა სუფრის ქვეშ, გაიმართა წელში, მაგიდა გაახანხალა და ჭურჭელს ჭახა-ჭუხი აუტეხა...

— ეგ აღარ არის საინტერესო, — შემანყვეტინა ვალოდიამ, — არც — ის, მეორე დღეს მენ და ლარისა შეხვდით თუ არა ერთმანეთს. მთავარი სხვა რამეა... რას არ გაიგებ, რა არ ხდება ამ ჩვენს დიდ რუსეთში! — მერამდენედ იმეორებდა საჭეს ჩაფრენილი და სიცივეში აბოლებულ მანქანებს კვალში მიჰყვებოდა, — საინტერესო დრამატურგიაა... თეატრში, სცენაზე ძაღლს ვერ ათამაშებ, თორემ... კინოს ამ მხრივ მეტი შესაძლებლობები აქვს... ძაღლი — ოჯახური სინმინდის დამცველი... ჩვენი ცენზურა შეგჭამს, მაგრამ ფაქტია, რომ სინამდვილეში მოხდა...

ვერ გადავასწართ, შუქნიშანმა წითელი აგვინთო.

ერთმანეთი ირკუტსკის აეროპორტში გავიცანით.

მაშინ, ციმბირი, მორიგ, დიად მშენებლობათა ციებცხელებით იყო შეპყრობილი. რკინგზა, თავის ახალ-ახალი სადგურებით, დასახლებებით ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ. კომკავშირული საგზურებით მობილიზებული მოხალისეთა ურდოები, ფეხდაუდგმელ უღრანებს მიჰკაფავდნენ. შუაგულ ციმბირისაკენ, როგორც ხელისუფლება, პრესა და რადიო-ტელევიზია ღაღადებდა, რომანტიკულ თავგადასავალთა, სინამდვილეში კი შედარებით ნორმალური ანაზღაურების მაძიებელთა უმულონები მოიჩქაროდნენ.

„საუკუნის მშენებლობის“ გმირებს თავისი მეხოტბენი სჭირდებოდათ და ისინიც, ენთუზიასტი ჟურნალისტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, უხვად მოაწყდნენ აქაურობას. მშენებლობის ტვირთს მხოლოდ კომკავ-

შირულ-ახალგაზრდული მონდომება ვერ ზიდავდა, როგორც ამბობდნენ, ჯერ გაუჭრელი ტაიგის ყველაზე რთულ უბნებს, პატიმართა შრომითი ბატალიონების უჩინარი, მინისქვეშა ბლანტი მდინარეებაც მიჰკვალავდა, მაგრამ მათ თავდადებაზე, რა თქმა უნდა, კრინტს არავინ სძრავდა.

ასე იყო თუ ისე, რედაქციის დავალებით და ჩემი ცნობისმოყვარეობით, მეც ავეყვი საერთო ფეხის ხმას — მოსკოვის გავლით, ჩამოვედი ჯერ ირკუტსკში, მერე, ორი საათის საფრენზე, დაბა უსტ-კუტში.

დაბა პოლიგონის როლს ასრულებდა და, ერთადერთი, ასე თუ ისე ხეირიანი სასტუმრო მთლიანად მშენებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა უწყებათა, სამინისტროების, ტრესტების, სამმართველოების თანამშრომლებით იყო შევსებული. ადმინისტრატორმა, როგორც იქნა, მომინახა ადგილი, კრასნოიარსკელ გეოდეზისტთან, მყუდრო, პატარა ნომერში შემასახლა. გეოდეზისტი სამ დღეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა სასტუმროში, ხოლო ჩემმა ახალმა ნაცნობმა, დასავლეთ ციმბირის მოტორიზებული სამმართველოს უფროსმა, ქართული ჭაჭის მოყვარულმა და დამფასებელმა, ვინმე ევტუშენკომ, რომელსაც შტაბი მეორე სართულზე, „ლუქსში“ ჰქონდა მოწყობილი, მისასვლელ-მოსასვლელად ჩათბუნებულ კაბინიანი „კრაზი“ გამომიყო.

დეკემბრის აღვირახსნილ სიცივეში, როცა ყინვა ოცდათხუთმეტიდან ორმოცდახუთ გრადუსამდე მერყეობდა, რამდენჯერმე გადავედი გაყინულ ლენაზე. გზაში, ხანდახან, მძლოლს ვაჩერებინებდი მანქანას, გასაოცარი სურათებით მონუსხული შევდიოდი ტყეების სიღრმეში.

გასუდრული ბუნება, ციმბირული, ვერცხლისფრად მოლაპლაპე თოვლმეყინული ნაძვები და ტყეების ოკეანის ერთფეროვნება, როცა მიდიხარ, მიდიხარ და არაფერი არ იცვლება. ტაიგის ზამთრის ალბომის ფურცლები თვალს გიჭრელებს, ფხვიერ თოვლში მყარად ჯდება ფეხსაცმელი და სულს გიგუბებს იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი არც იწყება და არც მთავრდება. გალურჯებულ სივრცეში ხმელი ფოთოლივით ჰკიდია მზე, უსიცოცხლო, მიმქრალი, როგორც მომაკვდავის პულსი. მიდიხარ და სულ გგონია ახალგაჭრელი ტაიგაც, წუთი-წუთზე პირს შეიკრავს, ისევ გამთლიანდება, ჩაიკარგები უსაზღვროებაში ჩამოვარდნილი გირჩივით.

ერთხელაც, სასტუმროში დაბრუნებულმა, ჩემი „ტულუპის“ ჯიბეში, სიცივით ჩახარშული, ფაფად ქცეული ნივრის თავები აღმოვაჩინე.

ასე იყო თუ ისე, გრიპისაგან და გაციები-სგან თავდასაცავ ნიორზე გამძლე გამოვდექი — ათიოდე დღეში, შევსებული უბის წიგნაკით, ფოტოებით და შთაბეჭდილებებით, ახალი წლის წინა დღეებში, ისევ ირკუტსკში ჩამოვფრინდი.

აეროპორტში იმ წლების შესაფერისი კაკაფონია სუფევდა. ბარგი-ბარხანით, ოჯახებიანად აყრილი, ბედის მაძიებელი მოქალაქეები, ახალ-ახალი სამშენებლო ბრიგადები, საეჭვო შეხედულების ტიპები, სასმელით ტვინდაბუ-

უბეული ალკოჰოლიკები, ნაირ-ნაირი, აეროპორტების და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ტიპები... ვის არ ნახავდით, რა-ნაირი ფიზიონომია არ გაივლიდა შენს თვალ-წინ. ეს იყო ცოცხალი სურათების გალერეა, რომელიც ცხვირწინ მოძრაობდა, კამათობდა, ქოთქოთებდა, ჩხუბობდა და დიაფილმის კადრებივით აღარ თავდებოდა.

ვიდრე მოსკოვისაკენ გამოსამგზავრებელი ბილეთების რეგისტრაცია დაიწყებოდა, აყაყანებულ მოსაცდელ დარბაზში, სკამზე თავისუფალი ადგილი „მოვიპოვე.“ ჩემოდანი გვერდით მოვიდგი და ღამენათევს, მიუხედავად იმისა, რომ ვეცადე არ ჩამძინებოდა, რული მაინც მომერია — გნიასი, რეპროდუქტორში ქალის მონოტონური ხმა, თანდათან ერთმანეთში აიზილა, ელვის სისწრაფით დამშორდა, გაინელა, როგორც მინდორში მალალი ძაბვის მავთულების ზუზუნი და, ბოლოს სულ მიწყდა. მიწყდა და მოთოვილ ველზე, დილის მზის სხივებს რომ ირეკლავდა, ძაღლებშებმული ნარტა დავინახე. ნარტაზე მდგარი ჩემი ახალი ნაცნობი, მუფთაში ხელებშეყოფილი, ლოყებანი-თლებული განა ავდონინა ენაგადმოგდებულ ძაღლებს აქეზებდა. გოგო მარხილს ჩემსკენ მოაცურებდა, მაგრამ მოსვლა ვინ აცალა, უცებ ალიაქოთის ხმამ ამომავდო ძილის მორევიდან — ჩემგან ცოტა მოშორებით, მოსაცდელი დარბაზის გასასვლელთან, შექუჩებული მგზავრების გორგალი გაიშალა და ვიდრე ხეირიანად გავერკვეოდი თუ რა ხდებოდა, მოკლეჯუბიანმა, მყარად ჩადგმულმა, ნვერიანმა კაცმა ჩემი ჩემოდანი გვერდით მომიდგა.

— ნუ გეძინიათ, ყველაფერი რიგზეა! — მხარზე ხელი მომითათუნა.

ასე გავიცანი ვალოდია.

როგორც შემდეგ გავიგე, მან და მისმა ორმა მეგობარმა, ჩემს სკამთან საეჭვოდ ატორღი-ალებული, ვიღაც მანანნალა შეამჩნიეს. ქურდი, როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ჩამეძინა, ჩემოდანი ამაცალა.

გასასვლელისაკენ გაძურწული მძარცველი ხალხში მიმალვას ცდილობდა, მაგრამ ვალოდია წასწვდა კისერში. ქურდმა გაიბრძოლა, თუმცა მუშტიც რომ მიიღო, ანაპნული ჩემოდანი დაავდო და თავს უშველა.

ამ ფაქტს განსაკუთრებული აღშფოთება ან გაკვირვება არ გამოუწვევია, მოსაცდელის ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა.

ჩემოდნიდან, ჩემს ათდღიან ეპოპეას სასწაულით გადარჩენილი, „ენისელის“ უკანასკნელი ბოთლი ამოვიღე და, აეროპორტის სასაუზმეში ჩვენი გაცნობა აღვნიშნეთ.

როგორც გაირკვა, ვალოდია, ციმბირელ მეტყველებზე პიესის დასაწერად მივლინებით ბაიკალზე იმყოფებოდა, მისი ორი მეგობარი კი, მგონი ნიჟინ-ანგარსკის რაიონში მომუშავე გეოლოგიური ექსპედიციიდან, ზამთრის არდადაგებზე შინ, მოსკოვში ბრუნდებოდნენ. როცა გაიგეს ერთი გზა ვეჭონდა, ვალოდიამ მეც გამომართვა პასპორტი, იყოჩაღა და გამგზავრების მსურველთა აბობოქრებული მორევ-იდან ოთხი დაჯავშნული ადგილი და ლილებან-

ყვეტილი ჯუბა გამოიტანა.

მალე „ჩასხდომაც“ გამოაცხადეს. თვრამეტ გრადუსიან ყინვაში, ტრაპთან ყურყუტის შემდეგ, როგორც იქნა უკვე ასაფრენად აგუ-გუნებული თვიმფრინავის თბილ სალონში აღმოვჩნდით.

ადგილები რომ დავიკავეთ, ვალოდია, მე-გობრებმა მერელა შეაქეს, იმ დომხალიდან ცოცხალი როგორ გამოხვედით.

— ამაზე უარესიც მინახავს — ორმოც-დაცამეტის მარტში, ნიჟინ-ნოვგოროდიდან მოსკოვამდე, ჯერ კიდევ მოსწავლემ, სტალინის სამგლოვიარო დღეებზე დასასწრებად, ხან გადაჭედული ტამბურით, ხანაც მატარებლის კიბეებზე ჩამოკიდებულმა ვიმგზავრე... ისეთი ამბავი იყო, წითელ მოედანზე, ზღვა ხალხი შეენაცა ერთმანეთს, მე შუაში მოვყე და ლამის გავიგუდე. სუსტი, ნონოლა ყმანვილი, შენებებული მასიდან, ვიღაც ღვთისნიერს რომ არ გამოვეყვანე, ახლა ძველ ახალწლამდე მოგინევდათ ირკუტსკის აეროპორტში ყურყუტი... მერე ჰყვებოდნენ, იმ ჯგლერთაში ბევრი დასახიწრდაო... ჩემზე კი ყველაზე მეტად იცით რამ იმოქმედა? ხალხის დაშლის შემდეგ, გვერდზე მიხვეტილი, ცალ-ცალი ფეხსაცმელი, ჩამოხეული სახელოები, ხელჩანთები, ქუდეები, თავსაფრები, ხელჯოხები რომ ეყარა... პატარა ვიყავი, მაგრამ ამ უჩვეულო სასაფლაომ მაინც ძალიან შემზარა.

ვალოდია, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ხმამალლა, მკვეთრი შესტიკულაციით ჰყვებოდა.

გაზეთს ჩაჩერებულმა ჩვენმა თანამგზავრმა, პავლიკ ანტონოვმა, ჩეხოვის „სათრით“, ანტონ პავლოვიჩს რომ ეძახდნენ, სათვალე ტკაცუნით დაკეცა და ვალოდიას დამრიგებლური ტონით უთხრა:

— ჩემო მეგობარო, აი, სწორედ ეგ არის მონობა.

— რა შუაშია მონობა? — გაუკვირდა ვალოდია.

— ნეტარხსენებულმა სტალინმა, შენი ოჯახიდან თუ საგვარეულოდან, ლამის ყველა მამაკაცი ააორთქლა, დედაშენს მუცელში რომ არ ჰყოლოდი, ალბათ, შენც იმათ გზას გაგიყენებდა... და, მაინც ამდენი პატივი დასდე, ვაგონის სახელურზე დაკონიალებულმა იმგზავრე... თანაც, საიდან სად — გორკიდან მოსკოვამდე!

— ელაპარაკე ახლა ამას, — მიუბრუნდა გაჯავრებული ვალოდია ილუმინატორთან მიყუჟულ მეორე თანამგზავრს, ყურნალის ბოლო ფურცელზე დაბეჭდილ თავსატეხს ჩაკირკიტებული, ნამოჭრილი თემით დაინტერესებას მაინცდამაინც რომ არ ამჟღავნებდა, — გამაგებინე, შეიძლება სერიოზული კაცი ასე მარტივად მსჯელობდეს?... ეს ჩვენი ანტონ პავლოვიჩი გეოლოგი კი არა, არქეოლოგი რომ იყოს, უახლოესი ისტორიის შეკვრებს მეტი გონიერებით გამოიკვლევდა... ასე არ არის?

— ვალოდია, ნუ გავიწყდება, რომ თქვენი მონა-მორჩილიც გეოლოგია და შეიძლება „ისტორიული შრეები“ მეც ზერელედ გადავქეყო,

— დაუქნია მეორემ მოკაუჭებული თითი.

— მანდ, მგონი, მალე სტალინის სადღე-გრძელოსაც დალევთ! — დაიძახა ვილაძამ უკანიდან და სიცილმა გაამხიარულა სალონი.

— რატომაც არა, — გამოეპასუხა ვალოდია, — ორმოცდახუთში, ოდერზე, ფეხებს რომ გაბანიებდათ, ის ხომ მოგნონდათ? ზესადღე-გრძელოებსაც არ იშურებდით, მამას და მარჩენალს ეძახდით, როგორც ღმერთზე, ისე ლოცულობდით... მაშინ სად იყავით, რატომ არ გახსენდებოდით უსამართლოდ რეპრესირებული ჩემი ოჯახი?

უხილავი ამბრაზურიდან, აღარავინ გამოეპასუხა.

მხოლოდ ანტონ პავლოვიჩმა ჩაილაპარაკა:

— ჩვენი დუმილი ნუ გაგათამამებს!.. თუნდაც ყველაზე არაორდინარულად მოაზროვნე ინდივიდები, ბოლოს მაინც მარცხდებიან საერთო აზრთან ბრძოლაში.

— მაგ ლოგიკით ქრისტე და ჯორდანო ბრუნოც დამარცხებულებად უნდა ჩავთვალოთ — ერთი ჯვარს აცვეს, მეორე დანვებს!

ანტონ პავლოვიჩმა ხელი ჩაიქნია, ვითომ შენთან კამათი არ ღირსო და ისევ სათვალე დაიკოსა.

ოთხმოცდარვაში, ბუფეტიდან წამოსულებს, უკვე კაიხნის მეგობრები გვეთქმოდა — თბილისში მე ვმასპინძლობდი ხოლმე, მოსკოვში — ვალოდია.

მაშინ ისე დაემთხვა, რომ ნიჟინი-ნოვგოროდიდან (ამ ძველ, მეცამეტე საუკუნეში დაარსებულ ქალაქს, ოცდაათიან წლებში შერქმეული გორკის სახელით არასოდეს არ მოიხსენიებდა) დედა ჰყავდა ჩამოყვანილი, ოთხმოცდახუთ წელს მიტანებული, ნელში გამართული, ყოჩაღი ქალბატონი, რომელიც ყველაზე წვრილი შრიფტით ანაწყობსაც უსათვალოდ კითხულობდა და შორეული ბავშვობიდან მოყოლებული, წვრილმანი ამბებიც კი უკლებლივ ახსოვდა.

ლიტერატორთა სახლიდან ერთმოლოვას თეატრში შევიარეთ, ვალოდიამ თავისი პიესის რეჟისორი მოინახულა. პიესიდან რომელიღაც სცენის ამოღებაზე შეთანხმდნენ, იქიდან დამგზავრებული მსახიობი ქალი სახლამდე მივაცივლეთ და მინ გვიან დავბრუნდით.

ვალოდიას დედამ საფენგადაფარებულ მაგიდაზე ლამაზად განწყობილი ვახშამი დაგვახვედრა.

ერთი ჭიქა წითელი, ქართული ღვინო თვითონაც მიირთვა, მაგრამ საჭმელს ხელი არ დააკარა, ექვსის შემდეგ აღარ გვახლებითო. მერე ძველი, ნიჟინი-ნოვგოროდში და ვოლგაზე მომხდარი, ბურლაკური ამბების მოყოლა დაიწყო. ყვებოდა გულშიჩამწვდომი, მელოდიური ხმით, რომ უცებ, ვალოდიამ, რატომღაც დედის გაბრაზება გადაწყვიტა.

— დედა, შენი ბიოგრაფიიდან ზოგჯერ ისეთ რალაცას მოხევე, რომ მეჩვენება — იმ დროს დაბადებული არ უნდა ყოფილიყავი... ბურლაკები, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ფაქტიურად აღარ იყვნენ, ხოლო ნიჟინი-ნოვგოროდის დრამატული თეატრი, სადაც მქონდა ბედ-

ნიერება მეც მემოღვანა, კიდევ უფრო ადრე, მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გაიხსნა. თქვენ კი, თუ დაბადების მონობას დავეჯერებთ, თქვენი მოვლინებით, სულ ცოტა, ათი წლის შემდეგ მაინც გააბედნიერეთ ციხევეშეთი...

— შეხედე! — შეწყვეტინა წარბის აწევით დედამ, — გამოდის, რომ მე ტყუილის თქმას ვკადრულობ.

— არა, მთლად ეგრე არ მითქვამს...

— დიახ, სწორედ ეგრე თქვი... დიდი მადლობა!.. ცოლმა ამიტომ ვერ გაგიძლო და გაგცილდა... მშვენივრად გეხერხება ადამიანის გულისტკენა!

— კარგი, ახლა, ნუ გამიბრაზდები, — მოეხვია ზურგიდან სიცილით, — ადამიანები ზოგჯერ ზედმეტად ვენდობით ჩვენს მესხიერებას-მეთქი... უბრალოდ, როგორ ვთქვა, მეტი ზომიერებაა საჭირო...

— უფრო უარესი... დიდი მადლობა!.. მე შენ ველარ გცნობ, ვერა!.. თუმცა როდის არ იყავი ასეთი... ვიტყვი, აღარ უნდა ჩამოვიდე-მეთქი და მაინც...

— დედა, მაპატიე...

— ჩემს შენიშვნებს სჯობია შენი პიესების გმირებს მიხედო!.. ნაგიკითხავთ? — მომიბრუნდა მე, — ადრე ბევრად უკეთესად წერდა... სრული ანაქრონიზმია, ასე ვილა ლაპარაკობს? სად იბოვა ჩვენს მდაბიურ, მუშურ-გლეხურ ყოფაში ტოლსტოის საკადრისი მაღალფარდოვნება... ნავიდა ის რუსეთი, მოკვდა, შენი უხერხემლო პიესებით ველარ გააცოცხლებ!.. იქნებ, ასე, შენი ძვირფასი მეგობრები მეტყველებენ, თვეობით ოჯახს მონყვეტილები ციმბირში რომ დაწანწალევენ?

— ჩემზე ნაწყენი იმათ რალას ერჩი, ხომ კარგად იცი, რომ ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან და არც ინტელიგენტობა და ზომიერი მაღალფარდოვნება აკლიათ.

— რომ არ აკლდეთ, შენთან არ იმეგობრებენ! — არ დაუთმო, მაგრამ მხარზე ჩამოდეხულ, ყელთან მიხუტებულ შვილის გაბურძენულ თავს აბუზღუნებული მაინც გაუყუჩდა.

ნავახშმევს, როცა დავენეი, სამზარეულოში, ტკბილ ბაასში ერთად ალაგებდნენ მაგიდას, რეცხავდნენ ჭურჭელს და დრო და დრო გულიანად ჩაკუჭკუჭდებოდნენ ხოლმე.

ყური მივუგდე — ვალოდია ჩემს მონაყოლს უამბობდა, თანაც, რა თქმა უნდა, როგორც სჩვეოდა, უფრო მსუყედ, ხატოვანად და რაც მთავარია — „მაღალფარდოვნად“.

ისე ჩამეძინა, ვერ გავიგე მასპინძლები როდის დანვნენ.

დილით მაინც ჩემზე ადრე ადგნენ — დედა სამზარეულოში აჩხაკუნებდა ჩაის ჭურჭელს, თან რალაც გემრიელს ტაფაზე ამიშინებდა, ვალოდია კი აივანზე საქმიანობდა.

მეც გავვიდი.

აივნის მოაჯირი დაფიფქულიყო — ირგვლივ ნელა, უხალისოდ თოვდა.

აივნის თავში გვერდიგვერდ მიდგმულ, დასკორილ ტაბურეტებზე ორი გალია იდგა. ერთი ცარიელი იყო, მეორეში გულწითელა

ჩიტები, შუაში გადებულ ხარისხს ჩაბლაუჭებულები ჩამოჰყურებდნენ მხატვრის მსხვილთავა ფუნჯით სადგომს როგორ უხვეტავდათ ვალოდია და ნაგავს თუნუქის კოლოფში ყრიდა.

დასუფთავებას რომ მორჩა, გალიაში ხის ჯამით საკენკი შედგა. ხარისხიდან ჩამოფრენილი ჩიტები ჯამს ნისკარტების კაკუნით მიესივნენ.

— საკენკი აღარ გექონია... დღეს ჩიტების ბაზარზეც უნდა შევიაროთ, მეორე გალიისათვის „მდგმურები“ შევიძინოთ... როგორ გეძინა?

— მკვდარივით.

— საქართველოში მეც კარგად მძინავს. აქ არ ვიცი რა მემართება, — მუხლისთავები ჩაიფრთხა და მოხრილმა ქვემოდან ამომხედა, — განა შენ გამორიცხავ, რომ იმ ძალს შეიძლება მართლა უყვარს ქალი, რომლის საქციელმაც წონასწორობიდან გამოიყვანა?

გამეცინა — კიდევ ჩემს მონაყოლზე ფიქრობდა.

— ვერ გეტყვი, ძალს ამაზე არაფერი უთქვამს.

— და იქნებ, ეს სიყვარული, სულაც არ იყოს ცალმხრივი! — მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი.

— მეტისმეტად მძიმე თემა ხომ არ შევანუხეთ?

— თუკი ცხოვრებაში მოიპოვება მსგავსი ანომალიური, თუნდაც ერთი შემთხვევა, მაშინ რატომ არ უნდა შევანუხოთ, წარმოუდგენელიც წარმოვიდგინოთ? ძალს ერთგულება რომ შეუძლია, არაერთხელ დაამტკიცა ადამიანთან თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. გვქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მისთვის უცხო არც სიყვარულის გრძობაა. ჰოდა, ლალატის მცდელობამ, მაშინვე დაბადა განბილებული მიჯნურის ბუნებრივი რეაქცია...

— ოტელოს ცხვირსახოცი...

— არა, ეს უფრო მეტია — უგონო შეყვარებულმა ნატურალურად დაინახა, რომ ლალატობენ!

— ამიტომაც ისკუპა ეჭვით გაგიჟებულმა მავრმა...

— საეჭვო რაღა იყო... ქალს რომ არ ეყოჩაღა...

— წირვას გამომიყვანდა და წუხელის, ამ ამბავზე, ველარ იცინებდით.

— მაპატიე, შენი ნებართვის გარეშე რომ მოვუყევი დედაჩემს... ცოტა რაღაცებიც ნავამატე, ხომ იცი, მწერალი ზოგ რამეს ისე ყვება, როგორც სინამდვილეში მოხდა, ზოგსაც ისე, როგორც უნდა რომ ყოფილიყო, — თავი დამნაშავე ბავშვივით დამიხარა, — შემინდობ?

— რომ არ შეგინდო, რას იზამ?

— რასაც მეტყვი... თუნდაც აქედან გადავხტები... ოღონდ ჯერ ვისაუზმოთ!

ვნახავ, დედაჩემი რატომ არ გვეძახისო, ვალოდია სამზარეულოში შევიდა და აივანზე მარტო დავრჩი.

სასიამოვნო სუსხმა ნაჭუჭივით შემომაფცქვნა სანოლიდან აყოლილი მოთენთილობა. სუფთა, გრილი ჰაერი ორპირივით ანიავებდა ფილტვებს, მაბრუნებდა და მეგონა, გამსუბუქებულს, ფერადი ბურთები თანდათან მაღლა-მაღლა მიმანიალებდნენ.

ჭერზე თოკებით დაკიდულ, სპილოს ძვლისფერ სავარჯიშო რგოლებს ხელები ჩავეჭიდე და თვალები დავხუჭე.

ახლა მართლა ვიგრძენი, რომ რაღაც ძალამ აივნიდან ატაცებული ზემოთ წამიღო.

სიმაღლის შიში არა მაქვს, მაგრამ ისეთი მკვეთრი იყო შემოდგომის ჯანლით დაბურული ქალაქის თავზე ეულად პრონიალის განცდა, რომ უნებურად რგოლებს მაგრად ჩავეჭიდე.

ასეთ რამეს თვითმფრინავში ვერ იგრძნობ. ილუმინატორი გბორკავს, ამცირებს ხედვის კუთხეს, აქ კი, ღრუბლების თეთრ, დაპენტილ მატყლში გახვეული დაფურები მრავალმილიონიან ქალაქს, ადამიანების უკიდევანო საბუღარს.

გათენდა, შუშდებოდნენ ღამით დაღლილი ვნებები, იფერთებოდნენ უჩვეულო სიზმრებით განამებული ზენრები და ბალიშები, ლალატის საიდუმლოს ნიღბავდნენ აზლუდით აკრეფილი ჭუჭუები, იღვიძებდნენ ალალი თუ ბოროტი ზრახვებით გათანგული გულები. ღამით დაცლილ ბოთლებში ამოდ ეძებდნენ ჩარჩენილ, მაცოცხლებელ წვეთებს არაყით პირმოკალული ღოთები. იღვიძებდა რუსული ხალხური სიმღერასავით აუჩქარებელი მდინარე მოსკოვი, ნისლში კიდევ უფრო შემდოვრებული, თევზის დასაჭერად დაფრენილი თოლია რომ დაჰკრავდა ხოლმე ფრთას და შეყოვნებულ წყლის ზედაპირს წამიერად გაჩხაპნიდა.

უკვე ბოლავდნენ გარეუბნებში ქარხნები, იმშუშებოდნენ ყვავების ჩხავილში გასუსული სკვერები და არყის ხის კორომები.

იღვიძებდნენ მუზეუმები, ნოხდაგებულ ტალანებში მტვრის ტილოთი ფეხაკრეფით დადიოდა სახედანაოჭებული, ცოცხალი და ლამაზი თვალების დამლაგებელი ქალი... იღვიძებდა ფუნჩულა, პირიდან სანოვარა გადმოვარდნილი, ახლად კბილამოჭრილი ბავშვი, რომელიც ხვალ ისე ველარ იცხოვრებდა, როგორც მისი დღევანდელი, ასაკიანი თანამოქალაქე და, რაც მთავარია, ზუსტად დანიშნულ დროზე, ნითელი მოედნით, კრემლის ტრიუმფალური შესასვლელისაკენ მიიჩქაროდა შავი მანქანების სახელისუფლო ქარავანი — კვილით, სირენებით, მოტოციკლების ესკორტით, თავბრუდამხვევი სისწრაფით, თითქოს შიშობდნენ, კრემლის ალაყაფის კარი რომ არ ჩაეკეტათ და გარეთ არ დარჩენილიყვნენ.

ეს არ იყო „ჩემი“ მოსკოვი. ის ბავშვურ ხილვებში ჩარჩა, წმინდა ფიქრებში გაეხვია და მისი ჯადოქრული, გულის შემაჩოქოლებელი სახება, დრო და დრო, ვერცხლისფერი ნაძვებით, წკრიალა ზარებით, თოვლით, ბენგალური შუშხუნების ტკაცუნით, საახალწლო ფეიერვერკებით გაბრდღვიალდებოდა და გამარინდებდა ხოლმე...

პატარა ვიყავი, მშობლებმა, პირველად მოსკოვში სტუმრად რომ ჩამომიყვანეს.

ადვილი წარმოსადგენია შორეული, მიყრუებული სოფლიდან ჩამოსულ ბავშვზე, როგორ გამაოგნებელ მთაბეჭდილებას მოახდენდა ხალხმრავალი ქალაქი.

დეკემბერი ილეოდა, სოფლიდან როცა წამოვედით. მანამდე, მომამზადეს — შემიკერეს ირისისფერი, ხავერდის შარავლ-ხალათი,

მიშოვეს ვილაციის დაპატარავებული პალტო, ჭვინტაქერცილილი ბათინკები და, ჰაიდა...

მეფის ელჩობა ვიყავით თუ სამშობლოდან მოკვეთილი ხიზნები — რა გვინდოდა, რა დაგვრჩენოდა ჩრდილოეთის ცივ ქალაქში, რომელიც, ჩვენი სოფლიდან, თითო-ოროლა, ისიც ჯარმოვლილ კაცს თუ ექნებოდა ნანახი?

ბებიაჩემის ძმა, სამხედრო აკადემიადამთავრებული ოფიცერი, ჩერკასკში მსახურობდა. ომი როცა დაიწყო, მეუღლე და ახალშექმნილი ვაჟი მოსკოვში, სიდედრთან გააგზავნა და თვითონ კი ფრონტზე გაამხესეს.

უიღბლო მეზობლი, მაიორის ჩინით, გერმანიის კაპიტულაციამდე ერთი დღით ადრე, ვარშავასთან დაიღუპა.

წლების შემდეგ, მოსკოვში დარჩენილმა ოჯახმა მოძებნა თავისი ქართული სანათესაო — ერთ ზაფხულს ჯერ პაპაჩემის შვილი და სიდედრი გვესტუმრნენ, მერე ჩვენც მოსკოვში მიგვინვიეს...

ჩავესხედით მატარებელში. ბუფერების გაბმულ დავადუგში, ჩემს თვალწინ, ლამის მთელმა ქვეყნიერებამ გაირბინა — მთები, ზღვა, მდინარეები, ხიდები, განათებული ლამის სადგურები, ალამანვდილი მისრეები, ქალაქები, სოფლები... სტეპებზე დატრიალებული ნამქერები მატარებლის მოძრავ კედელს ანუდებოდნენ — ხვრიში თოვლის „კენჭები“ კანრავდნენ, ხაზავდნენ ფანჯრებს.

მოსკოვში შებინდებულზე ჩავედით. გაჩირალდებული კურსკის ვაგზლის პირველ ლიანდაგზე ნამგზავრმა, ათას განსაცდელგამოვლილმა მატარებელმა დაქანცულივით ამოიქმინა, ნაბორძიკდა, ხმაურით მიახეთქა კუპის კარი და შედგა.

ამოძრავდნენ ბაქანზე გამოშლილი მატარებლის მომლოდინეები, ვაგონში ყოჩაღად ამოცვივდნენ მკერდზე პრიალა ჟეტონი-მაგრებული მებარგულები, კუპებიდან გამოტანილ მძიმე ჩემოდნებს, ჩანთებს თუ ყუთებს შუაში ჩაუდგნენ და ხუსხუსით ადევნებულ ტვირთის პატრონებს წინ გაუძღვნენ.

ჩასასვლელად როგორც კი გავემზადეთ, კუპეში მალაღი, სასიამოვნო შესახედაობის ქალი შემოვიდა. ყველანი გადაგვკოცნა, ხელში ამიყვანა, მიმიხუტა და სუნამოს უცხო, დასამსხოვრებელი სურნელი შემომაფრქვია.

ქალს ნაცრისფერი, ფაფუკებნივანი პალტო ეცვა, გვერდულად გადანული „კარაკული“ ეხურა და იდაყვთან ჩამოკიდულ, პრიალა ტყავის ხელჩანთაზე ოქროსფერი აბზინდა უბრწყინავდა.

— როგორ, შენა, ბიჩო? — მომიკითხა „ქართულად“.

ჩანთიდან თბილი, ყურებიანი ქუდი ამოიღო, დამახურა, ზონრები ნიკაპთან გამიბანტა, ჩამკიდა ხელი და შინ წაგვიყვანა.

ეს იყო ვარშავასთან დაღუპული პაპაჩემის მეუღლე, ქალბატონი პოლინა, უფრო სწორად, როგორც ახლობლები მიმართავდნენ, პოლინა როდიონოვნა, ქართული სანათესაოს მოყვარული და გულითადი მასპინძელი.

სოფელში სამოსკოვედ რომ მამზადებდნენ, ერთმა ნასალდათარმა, (კაცნი ვართ, შეიძლება გამოგადგესო), ჩვენებური „ჩასტუმკაც“ მას-

წავლა:

„ჩიკა-ჩიკა-რამაია, რუსის გოგო რა კაია, დილით ადრე ადგება, ნავთის რიგში ჩადგება...“

სადგურიდან საერთო, კომუნალურ ბინაში მიგვიყვანეს და ახალ ციგაზე დამაყენეს, ლექსს თუ იტყვი, ეს ციგა შენი ფეშქაში იქნებაო.

მეც თამამად დაეჭექე სოფელში ნასწავლი ლექსი.

იცოცხლე, იმ ციგით გული ვიჯერე.

კომუნალურის დერეფანის ბოლოში, სამხედრო მფრინავის ოჯახში, ორი და ცხოვრობდა. ამათგან უმცროსი, ჩემზე ცოტა ასაკით დიდი ანია, ციგაზე უკან შემომიჯდებოდა, წელზე შემომხვევდა ხელებს და დალიპულ გორაკზე თავბრუდამხვევი სისწრაფით მივქროდით ხოლმე.

ემმაკი ანია ძალიან პოპულარული იყო ბავშვებში. ის მიგვიძღვებოდა სახურავის, სხვენის, სარდაფის დასათვალიერებლად, შემცივნულები „საკაჩიგროში“ ჩაყავდით გასათბობად, სადაც, შავი ქვების (ქვანახშირის) გორა იდგა და წარბებშეტრუსულ, ცეცხლფარემ ბორიას, მხოლოდ კბილები ჰქონდა თეთრი.

გარეთ რომ მოვიწყენდით, დერეფანში დამალობანას ვთამაშობდით. ვიმალებოდით ოთახებში, საერთო სამზარეულოში, მაგიდის ქვეშ, დერეფანის შედარებით ბნელ კუთხეებში, საკუჭნაოებში...

ერთხელაც, მე და ანია გარეთ გამოდგმულ, რომელიღაც ოჯახის ძველ, დაფუტურობულ ტანსაცმლის კარადაში შევიკუჭეთ.

ვდგავართ გულაძგერებულები, გასუსულები ველოდებით გვიპოვნიან თუ არა, რომ მოულოდნელად ანია მომეხვია, მომეკრო და... მაკოცა.

მაკოცა და მაშინვე კარადიდან გავარდა, დამტოვა გაოგნებული.

პირველად, ალბათ, მაშინ ვიგუმანე, „რუსის გოგო“ მხოლოდ ადრე წამოსახტუნებლად და ნავთის რიგში ჩასადგომად რომ არ იყო საჭირო...

ჩიტები აჭყიპინდნენ. მეც რგოლებს ხელი გავუშვი და აივანზე „დავეშვი“.

ცარიელი, კარლია გალია მდგმურებს ელოდება.

მალე ფრინველების ბაზარზე წავალთ, საკენკის გარდა, რამდენიმე ლაბუა, წინკანა ჩიტსაც შევიძინთ, — ვალოდიას წესად აქვს, ფრინველებს გამოკვებავს, გამოაზამთრებს და გაზაფხულზე გაუშვებს...

თბილისში, ვალოდიას ბოლო სტუმრობისას, მეგობრებმა ქსანზე წაგვიყვანეს. ექსკურსიის შემდეგ, ნაშუადღევს, ჭალაში ხებქვეშ გამოიღო ურ-მარლიზე მიგვიპატიჟეს.

სუფრასთან მხიარულობდა, თუმცა, დაღვევით, თუ ცოტა ნითელ ღვინოს არ ჩავთვლით, თითქმის არ სვამდა.

შუა ქეიფის დროს ადგა, მდინარეზე ჩავიდა, თვალს მოეფარა და აღარ გამოჩენილა.

მოსაძებნად წავედი. მოვიარე იქაურობა, ჭალა, სიცხით გახურებული რიყე, დაყვევი გვალვებით დაცოტავებულ ქსანს და მალე მივადექი — პატარა ტოტში არდიგარდმო ჩანოლილიყო, წყალი დაეგუბებინა და თბილი,

დუბელა ნაკადი სხეულზე ზემოდან უვლიდა.

— ვოლგაში ლიფსიტასავით იკარგები, უმწეო და იარალაყრილი ხარ... აქ ადამიანი მენს თავს ყველაფრის ბატონ-პატრონად შეიგრძნობ, — ნამოჯდა წყალში, — გისმენდით სუფრასთან და აღმოვაჩინე, რომ სამშობლოზე თქვენსავით მძაფრად, მტკივნეულად არასოდეს არ მიფიქრია. იქნებ იმიტომ, რომ დიდია, მის უსაფრთხოებას, ენას არაფერი ემუქრება... მაგრამ ნუ გგონიათ, თითქოს რუსეთი უპრობლემო იყოს. პრობლემები აქვს და თანაც როგორი... ჩამოდი, მოგატარებ დაცარიელებულ სოფლებს... აგტირება... ასეთი უამრავია... — ამოიხზრა, — ხანდახან, რუსეთი, გულგამოჭმული მუხა მგონია...

მერე დადგა ავბედითი ოთხმოცდაცხრა.

საავადმყოფოდან ახალგამოსულს, მოსკოვიდან დამირეკა:

— ძლივს დაგიკავშირდი... ვგრძნობ, რომ აქ სიმართლეს ვერ გავიგებ... მითხარი, რა მოხდა?

— ივაჟკაცს თქვენებმა...

პაუზა. ხვენუა. წარმოვიდგინე როგორ ამოეზნია მკერდი და აკანკალებულ ნიკაპთან მიებჯინა.

— ისინი არავისები არ არიან, გესმის? არავისები! — ამოთქვა, როგორც იქნა, — ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ, ყველას გადაეცი ჩემი სამძიმარი... ყველას... — ვეღარ დაამთავრა სათქმელი, ალღედა, დაიქმინა საბერველივით, ყურმილს ხელი დააფარა, მაგრამ მაინც მესმოდა ყრუ, მოგუდული ქვითინი.

მძიმე დღეებში დაგროვილმა ბოლმამ ჩემშიც ამოხეთქა — თითქმის ორიათასკილომეტრიანი მანძილის თავსა და ბოლოში, ტელეფონის ყურმილს ორი სასონარკვეთილი ადამიანი ჩაექვითინებდით.

ვიტირეთ, ვიტირეთ და, გული რომ მოვიოხეთ, ტელეფონი სიტყვის უთქმელად გავთიშეთ.

მაღე დედა გარდაეცვალა, მერე, ნოემბერში შემეხმინა, საეჭვო ანალიზები მაქვს, გაზაფხულამდე რომ ვერ გავატანო, ჩემი გალიებიდან ჩიტებს ვინ გამოუშვებსო.

ისე, სხვათაშორის მითხრა და მეგონა მეხუმრებოდა.

თურმე თვითონაც გულგამოჭმული მუხასავით იყო — ყველაფერი უცებ მოხდა, ჩამოდნა, ჩამოილია ამხელა ვაჟკაცი და მარტში, როცა მოსკოვში ჯერ მხოლოდ კალენდარზეა გაზაფხული, ვალოდია გარდაეცვალა.

სიკვდილსაც კეთილი, მიმტვევებელი დიმილით შეხვდა — შეუნდო უდროოდ სტუმრობა.

მოსკოვში ჩავედი.

იმ დღეებში სულ ქსანში ჩანოლილი მახსენდებოდა და მჯეროდა, რომ ვალოდიაც ცხრა აპრილის მსხვერპლი იყო.

ანდერძის თანახმად, მიცვალებულს კრემაცია გაუკეთეს.

დაკრძალვის შემდეგ, შინაურებმა, ვალოდიას ბინაში მოვიყარეთ თავი.

სუფრასთან დიდხანს ვერ გავძელი, აივანზე გავედი, რგოლებს ჩავეჭიდე, მაგრამ ფერადმა ბურთებმა ქალაქის თავზე სამოგზაუროდ ვეღარ წამიყვანეს — ისინი გულქვა რეალობას დაეჩხვლიტა და სადღაც, შორს, დაჩუტულები დაფრიალებდნენ.

ჩაკეტილი ჩიტები აბუზულები ისხდნენ ხარხიბზე.

გალიების კარი გავაღე. წინკანები მომჩინებდნენ, თითქოს არ სჯეროდათ, თავისუფლება რომ მიანიჭეს. ბოლოს ერთმა გაბედა, წინ წამოვიდა, გალიის კარს ნისკარტი დაჰკრა, შეფრთხილდა, დაიქნია ფრთები და ჭყიპინით აივნიდან გადაფრინდა.

მაღე სხვებიც მიჰყვინენ.

მათზე დარდისაგან მოისვენებდა ჩემი მეგობრის სული.

დარჩა აივანზე ცარიელი გალიები და დასკორილი ხარხიები.

„ნეტავ, სიკეთეს თუ იხსომებენ ჩიტები?“ — სუფრასთან დაბრუნება არ შემეძლო, სამზარეულოდან მისაღებში გავედი და შემოსასვლელი კარი ჩუმად გავიხურე.

დავრეკე ნელისთან, მინდოდა ლიტერატორთა სახლის ბუფეტში, ჩვენ ორს ვალოდიას შესანდობარი გვეთქვა.

ახალგაზრდა კაცის ხმამ მიპასუხა, ნელი შინ არ გახლავთ, მე მეუღლე ვარ და მითხარით რა გადავცეო.

მოგვიანებით კიდეც დავრეკავ-მეთქი.

ალარ დავურეკე, ლიტერატორთა სახლში მარტო მივედი.

ნაცნობი, ინიციალებიანი მაგიდა თავისუფალი დამხვდა.

მოვიტანე ორი ჭიქა, ორი თეფში, ერთი ბოთლი წითელი, მოლდავური ღვინო (ქართული არ ჰქონდათ).

ორივე ჭიქა შევავსე.

ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ ავდგებოდი, ცოტა ხნით მივიპყრობდი პატარა, მყუდრო დარბაზში მსხდომთა ყურადღებას და ვიტყუოდი, ვინ დაიფერფლა დღეს „დიდ რუსეთში“, რომ ასეთი ადამიანების წასვლით მხოლოდ შვილები კი არა, ქვეყანა ობლდებოდა...

ვაპირებდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ვალოდია, ჩემს ნაბიჯს, აპლოდისმენტებით არ შეხვდებოდა — იქ თავმოყრილი, შეზარხობებული საზოგადოება, მათი საუბრის თემებით თუ ვიმსჯელებდით, სულაც არ იყო თანაგრძნობისათვის განწყობილი.

ისიც გამახსენდა, ვაგანკოვოზე, ახალმიტანილი, ცოცხალი ყვავილებით დაფარული ვლადიმერ ვისოცკის საფლავი რომ მაჩვენა და ერთგვარი სიამოვნებით ჩაილაპარაკა, თაყვანისმცემლები მომღერალის სამარეზე ყვავილს დაჭკნობას არ აცლიანო.

მართლაც გასაოცრად ხასხასებდნენ მიხაკები, ვარდები, ზამბახები, გეორგინები, ტიტები...

ვალოდიას მოკრძალებულ საფლავზე, ალბათ, მხოლოდ ჩიტები მიიტანენ, ყოველ გაზაფხულზე, თითო ღერ ყოჩივარდას-მეთქი, — ცრემლი მომერია.

ჩემი ჭიქა დავცალე, ამოკანრულ ინიციალებზე, წასული მეგობრის უხილავ ნათითურებს ხელისგული გადავუსვი, თითქოს საბოლოოდ გამოვეთხოვე და ავდექი, ამოვიარე დახვეული კიბე.

გარდერობში, ყლანვერა, ცქვიტმა ბერიკაცმა პალტო მომიბრუნინა, მუჭში ჩადებული

ქალღმადის ფულით გახალისებულმა ჩაცმაც დამიპირა, მაგრამ არ დავანებე და ისლა მოახერხა, რომ კმაყოფილმა მხრებზე მსუბუქად გადამკრა ხელი.

— თქვენ თუ აზამთრებთ ხოლმე ჩიტებს ვალიაში? — ვკითხე ბერიკაცს.

— ვაზამთრებ? არა, არც მიფიქრია.. — გაცოცხლებულმა კართან მისულს ახლა თვითონ დამანია, — კი მაგრამ, რატომ მკითხეთ?

— მეგონა გეცოდინებოდათ, სიკეთეს თუ იხსომებენ ჩიტები.

დაბნეულმა მხრები აიჩჩია, ვერ გეტყვით, არ ვიცოი.

„როგორ შეიძლება, არ დაიხსომონ, ადამიანებზე თუ უმადურები ხომ არ არიან!..“ — ეზოში ჯერ კიდევ სალი სიცივე შემეგება.

„დრუჟბა ნაროდოვის“ შესასვლელთან სამთავრობო, ჩართული მანქანა დამწვარი ბენზინის სუნს ფანტავდა.

რედაქციიდან ორნი გამოვიდნენ, მოკლე ქურთუკებით, ბენვის ქუდებით, ხელჩანთებით.

— Знаешь, как грузин говорит — „Ну, погоди!“ — ჩემთვის მოულოდნელად ჰკითხა ერთმა მეორეს და პასუხს აღარ დაელოდა, ხმადაბობებულმა, ვითომ კავკასიური აქცენტით ხმამაღლა წარმოთქვა: — „Погоди, ну!..“ — და პირველმა თვითონ გაიცინა.

ნაბიჯი შევანელე.

ვერ გავიგე, უბოროტოდ იხუმრეს თუ ღვარძლიანად დაგვცინეს. თუმცა, ჩემთვის, ერთსაც და მეორესაც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ვიცოდი — ერთადერთი, საიმედო ხიდი უკვე ჩატეხილი იყო იმ ქალაქთან, ახლა გაჭიანურებული ზამთრით გაბეზრებული ყვავები რომ დაჰყვებოდნენ თავზე..“

31

ქალბატონი ამალია შეუძლოდ დამხვდა. მისუსტებული, მიბნეილი თვალს ძლივს ახელდა.

— ნუხელის დიდი სიცხე მისცა, ამ დილით კი სულ დაუვარდა, — მოიხსნა ფონენდოსკოპი ნიკამ.

— ალბათ, სარდაფში გაცივდა, მაინც ნესტია...

— რა ვიცი, სულ თბილად მყავდა... დედა, ჩაი მაინც, ერთი ყლუპი...

ავადმყოფმა ტუჩები მოკუმა, კოვზს პირი მოარიდა.

— აბა, მე ვცდი, — ფინჯანი ჩამოვართვი დიასახლისს, — ქალბატონო ამალია!

თვალი გაახილა. უარი ვერ მითხრა, ორიოდ კოვზი ნვალე-ბით ჩაუშვა.

შემეცოდა, არ ჩასდის და რა ქნას. ფინჯანი ტუმბოზე დავდგი.

ხელი საბნისპირზე ძლივძლივობით ამოაცურა.

უფრო მივხვდი, ვიდრე გავიგონე, მისი ნათქვამი.

— რვეული? — ვკითხე.

გახეარდა რომ გავიგე, რაც უნდოდა, თვალები დაახამხამა და საჩვენებელი თითით ბალნისაკენ მიმანიშნა.

რვეული გამოვიღე.

ხელი ხელზე სუსტად მომიჭირა, დამმვიდა, რაკი ლექსები ჩამაბარა.

მალე მოკუმული პირი გაელო, ჩაჭიდებული თითები მოეშვა და მიეძინა...

ვერც იგრძნო, ნიკამ ნემსი ისე გაუკეთა.

ფერისცვალება დღეს, ეკლესიაში ქალაქის კომენდანტი მობრძანდა. ჩადგმულმა, ლაჟღაჟა გენერალმა, წირვაზე მოსულებს გამოგვიცხადა, ქართველი და რუსი ტყვეები იგოეთთან ერთმანეთში დავცვალებთ, მათ შორის ორი ჩამოგდებული მფრინავი, რომლებიც თბილისის საავადმყოფოში მკურნალობდნენო. თუ ვინმეს პრობლემები გაქვთ, ახლობლებთან დაკავშირებით, მოგვმართეთ და მოძებნაში დაგეხმარებითო.

დაამთავრა გამოსვლა, მივიდა საკურთხეველთან დასვენებულ ფერისცვალების ხატთან, გადაისახა პირფარა, ანთო ადიუტანტის მიწოდებული სანთელი და თავდახრილი გაჩერდა.

მრეველი გენერალის ზურგს დაძაბული უყურებდა.

როდესაც შემობრუნდა, ნახევარწრედ შემორიგებულ, ომით გატანჯული ადამიანების თვალებში გაკვირვება და ერთი და იგივე კითხვა ამოიკითხა:

— რასა სთხოვთ, უფალს, გენერალო!..

ეკლესიის ეზოში, სათვალისანი ოფიცერი, სურათებს იღებდა.

შემაჩერა, ვალავანს გადაღმა, ქალაქის შუაგულში, გორაზე აღმართულ ციხეზე ხელით მანიშნა, რომელი საუკუნისააო.

ძალიან ძველია, როდესაც მაგ გორაზე ქართველებმა პირველი სიმაგრე აუაგეთ, მაშინ არც რუსეთი და არც ამერიკა, როგორც სახელმწიფოები არ არსებობდნენ-მეთქი.

ოფიცრის სქელლინზიან სათვალის მიღმა რალაც სინანულის მაგვარი გაკრთა — მე ზურგის სამსახურში ვარ და ამ ხოცვა-ჟლეტასთან საერთო არაფერი მაქვსო.

ხედავთ, ვიქტორ პეტროვიჩ, როგორი ვითარებაა, მეშაირება ყმანვილი, ვითომ არ იცის, ზურგის გარეშე, წინა ხაზი, სიზმარსაც რომ ვერ ნახავს და ყველა ხოცვა-ჟლეტა თუ სამხედრო, მზაკვრული ოპერაცია კომფორტულ, „მშვიდობიან“ აპარტამენტებში რომ იგეგმება.

„უცოდველი“ მოსკოველი დეპუტატებიც ღრმა ზურგში არიან, მაგრამ კამფეტას კალამბური მაინც არ ასცდათ:

კამფეტამ როცა უსმინა „ჟირინოვსკების“ პეტელს, თქვა: — „დუმასა“ სჯობს ცხვრის დუმა, ქალისა — მით უმეტეს... ოი... თუმცა აღარ მინდა შევანუხო კლავდია აკიმოვნას სული... ავადმყოფმა თითქოს მოიხედა, მაგრამ მესამე დღეს ისევ მოწყდა, მოეშვა, თმა და სახე ერთნაირად გაეცრიცა, მხოლოდ დაპატარავებული, მოპრუჭული ტუჩები დაუნითლდა, იმ თოჯინასავით, ნანგრევებში რომ ვნახე, ისიც ისე, გეგონება ნაჩქარევად წასცხეს ვარდისფერი პომადა.

ნიკა მორიგეობდა, ამიტომ ჩემთან აღარ ავსულვარ, ქალბატონი ლოლა ავადმყოფთან მარტო ვერ დავტოვე.

ლოჯიაში უკვე ვინეტი, ფანჯრის ჩარჩოზე რომ მოაკაკუნეს.

ალე იყო, გნოლიძე, ნონიაშვილების რძალს, ნუნუს მუცელი ასტიკვდაო.

მერე, რომელი „აკუშერკა“ მე მნახე-მეთქი. სამშობიარო არ მუშაობს, ნიკა მინდოდა, მაინც ექიმია და, რას გვირჩევს, რა ვქნათო.

ვიდრე ჩავიცვი და საავადმყოფოში დავრეკე, ჭროლამ და კამფეტამ პურკომბინატის დასახლებიდან ამოიყვანეს პენსიონერი ბებია-ქალი. ილღიებში ხელჩავლებული ქომინით ამოარბენინეს და ნუნუსთან შეუშვეს.

უბანში თუ ვინმეა, ქალი, ისინიც შიგნით შელაგდნენ.

— ამდენი ჩემს შვილებზე არ მინერვიულია, — ნინ და უკან მიდი-მოდის ჩარექა.

ნიკამ მოირბინა, შევიდა მშობიარესთან და... კიდევ დაიძახეს, ბიჭია, ბიჭიო.

დადუმებულ უბანში ცეცხლივით ავარდა კაცების ყიჟინა. ალემ, საიდანღაც, უცებ გამოარბენინა მამა-პაპური ორლულიანი და ზედიზედ დააქუხა.

— სარდაფში მქონდა დამალული, მეშინოდა ტყვიები ნესტიანი არ იყოს და არ მიღალატოს-მეთქი! — თოფს ლულაზე აკოცა.

— პატრული თუ მოგადგა, იცოდე, მაგ თოფს დაგანერვი!.. — თითი დაუქნია ყანჩამ.

— შენ დარდი გაუშვი!.. დამანერონ და დამანერონ!.. ცოტა აზრზე მოდი, გახურებულ ომში ბიჭი დაიბადა!

32 უბის წიგნაკიდან

7.09.1992

„ხედავ, როგორ იქუფრება ჩვენი საავდრო ცა? —

აი, შენ კი მეუბნები, სინათლეზე გავდივართო.

არა, ჯერ მხოლოდ ახლა შევრგეთ თავი, უშველებელი, ბნელი გვირაბი გვაქვს გასასვლელი და ღმერთმა ქნას მშვიდობიანად გავალწიოთ, მაგრამ არა მგონია...“

15.12.1994

„ნინა ხელისუფლებამ არ იცოდა ან ვერ მოასწრო ქვეყნის დანგრევა-იავარქმნა.

ამათ იციან და ასწრებენ კიდევ.

ვითომ აქამდე ცოტა დაკარგეთ —

ახლა „ოსეთი“ და აფხაზეთი...

ნეტავ, საქართველოს რომელი კუთხეა რიგში?“

33

ახალმოვლენილი ბიჭი დავლოცეთ და დავიშალეთ.

რადგან ნიკა საავადმყოფოში აღარ დაბრუნდა, ბელელაშვილებთან დარჩენას მალლა ასვლა ვამჯობინე.

ვერ ვიძინებ. ეტყობა გადავეჩვიე ჩემს საწოლს. მოპირდაპირე კედელზე დაკიდულმა საათმა ხომ გული გაანვრილა. აქამდე როდის შევუნუხებდით, ვერც ვიგებდი, იყო თუ არა.

ვინეტი და რატომღაც, სოფელში, ჩემი ახლობლების დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახი

გამახსენდა. უცნაური იყო, სახლში ყველა მომდურავივით დადიოდა, იშვიათად რომ ერთად ესადილათ ან ევახშმათ. კერძს ყველა თავისთვის იცხელებდა, მაგიდასთან მარტო მიმჯდარი შეექცეოდა, თავის საფიქრალში ჩაძირული მიდიოდა საქმეზე, გეგონებოდა იძულებით მიაჯაჭვეს ერთმანეთს, მიუსაჯევს ერთად ცხოვრება.

გამონაკლისი პატარა ცუცვა გახლდათ, ყველასთან ერთნაირად მხიარული, მოსიყვარულე... კიდევ — ყელიან წინდებში შარვლის ტოტენჩატანებული მოხუცებული, მუხლზე რომ დამისვამდა და როგორც თანატოლს, მეტყოდა ხოლმე, როგორი მთავრობა და წყობაც არ უნდა მოვიდეს, კაცს სინდის-ნამუსი მაინც დასჭირდებაო.

ცუცვა შემოგვეყურებდა და თავის კანტურით მოხუცებულს ეთანხმებოდა.

დღესდღეობით, სინდის-ნამუსზე წარმოდგენა, მეხსიერების სიღრმეებში ანაქრონიზმად ჩაილექა — ის, თითქმის აღარავის სჭირდება, არც ხელისუფალს და, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, აღარც — ხალხს.

დაიცალა დარბაზი. პულჩინელას სპექტაკლის მაყურებლები სცენაზე ავლავდით, ერთი საერთო წარმოდგენის მონაწილე ჯამბაზებად ვიქცით.

აქ ფარდა არასოდეს არ იხურება და არც ოვაციებს უმართავენ.

მხოლოდ პულჩინელას ხელისგულების ტყაპუნს კი, აბა, ვინ გაიგონებს:

— „ქვეყანას, უკანონობაზე მეტად, ცუდი კანონები ან კარგი კანონების ცუდი შემსრულებლები რყვნიან.

— ერთი მაგალითი მაინც გვითხარით, ვინ დაზარალდა ცუდი კანონით ან კარგი კანონის ცუდი შემსრულებლის წყალობით?

— რკინის ქურდობისათვის ციხემისჯილი დედა!

ტრიბუნას ჩაფრენილ იუსტიციის მინისტრს ნიკაპამდე ჩამოეძაძა თვალები:

— მაშ, როგორ გინდათ, ბოლოს და ბოლოს, კანონის უზენაესობამ აღარ უნდა იზეიმოს?

— კანონის უზენაესობა იმ ქვეყანაში ვერასოდეს იზეიმებს, სადაც ოთხი შვილის დედას, ლუქმა პურის შესაძენად, ოცი კილოგრამი რკინის ქურდობა სჭირდება.

— ოცი კი არა, ერთ კილოგრამზეც დავიჭერთ... დავიჭერთ... დავიჭერთ... - მინისტრის ხმა თანდათან შორიდან ჩამესმის.

პატარა ჯამბაზი საათის ფოსფორის ციფრებით განათებულ ციფერბლატზე დახტის.

— ვის უკრავ ტაშს, პულჩინელა, მე თუ მინისტრს?... აბა, ერთი მაგასაც მიუცუცქედი და ჯიბე მოუსინჯე? მაინცდამაინც მჭლე საფულე არ უნდა ჰქონდეს!.. ვერ ბედავ? რატომ, ჩერჩეტ მაკარონეს არ ჰვავს და იმიტომ?... გაჩერდი-მეთქი, ტაშით სისულელე, მითუმეტეს ბოროტება არ უნდა ნააქეზო, რომ მერე შენთვის და ჩემთვის ნაცნობი პოეტივით მოსანანიებლად არ გაგვიხდეს საქმე და ყველა თითზე ერთდროულად არ ვიკბინოთ... გისმენთ, პულჩინელა, ოღონდ გამოთქმით ნაიკითხე, ლექსს რომ გამოთქმა უყვარს, ეს ბატონმა მინისტრმაც კი იცის.

ჯამბაზმა აბეზარი წამზომის ისარს ხელი ჩაავლო, დროის მსვლელობა შეაჩერა და ჩახველებით ყელი ჩაინმინდა:

„თქვენ მეკითხებით, თუ ვიცოდი ამ საქმის ბოლო, როს დასაქცევად ტორტმანებდა ბჭენი სენატის?“

ვნანობ თუ არა ამ ფარსში რომ არ მერგო როლი, როლი ტრიბუნის, მასხარისა ან მეცენატის?

ისიც იქ იყო, განზე მდგომი და უჩინარი, ვინც ანოვებდა შხამიან ხსენს რევოლუციას, ვინც საბოლოოდ უკეთესი ყოფა კი არა, იგივე შემოგვძღვნა, რაც აქამდე შემოუძღვნია.

რა აღარ ვნახე, მაგრამ დღემდე ჩვენებად დამდევს, შენელებული კადრი იგი, „მადლით“ ცხებულები — ცნობილ რეჟისორს ფეხაკრეფით შემოაქვს ვარდი, მაღალი ვარდი, სირცხვილისგან განითლებული...“ პულჩინელა გაჩუმდა, მერე დამორცხვებულმა ჩაილაპარაკა, მეტი აღარ მახსოვს...

სამაგიეროდ, მე მახსოვს, გაბრიყვებული ლატაკებით დახუნძლულ ქანდარაზე, ვილაცამ მწარედ რომ ჩაიქირქილა:

“ფიტული მეფე-ჯალათისა, ჩქარა, დაფატრეთ, მოარგეთ ყულფი ჩვენი სისხლით გატიკნულ ბებერს! —

მაგრამ რად გინდათ, ქალდეველნო, ახალი მეფე, ორიოდ თვეში ძველ მბრძანებელს თუ მოგანატრებთ?“

ყველა ზღაპარი, მითუმეტეს, რევოლუცია, კეთილად არ მთავრდება, ჩემო პულჩინელა — ის საცოდავი მოლექსე, თავისნაირმა გუდამშივრებმა, ქანდარიდან კისრით გადმოუშვეს... დამთავრდა გენერალური რეპეტიცია.

ჯამბაზმა საათის ისარს ხელი უბიძგა და დრო თავის გზას გაუდგა...

სხვათა შორის, ცუცა, დიდი ოჯახის ერთადერთი, მხიარული და, ასე ვთქვათ, „კომუნიკაბელური“ წევრი, უცნაური ფორმის, დაბალ ფეხებზე შემდგარი, ყურაცქვეტილი ფინია იყო... თუ ვინმე შინ დაბრუნებას აგვიანებდა, სულ ჭიშკართან იჯდა, გამვლელ-გამომვლელის ფეხის ხმას მიყურადებული. როგორც კი ყველას ოჯახში დაიგულლებდა, დამშვიდდებოდა, გაიხარებდა, ღუმელქვეშ მოკრუტუნე ზურგგადატრუსულ კატასაც კი გაეთამაშებოდა.

ნეტავი, ცუცას ერთგულებით, ვინმე ელოდება ქვეყნის ოთხივე მხარეს მოფრიალებული „კარებებიდან“ გაქცეულ ნახევარ საქართველოს?

საშინელია უპასუხო კითხვების ხვედრი, დალილები, განამებულები, დგანან და ელიან... ელიან...

არ ვიცი როდის ჩამეძინა.

მოახლოებულმა გრუხუნმა გამომალვიდა. ასეა ყოველდღე, დილა-სისხამზე, როდესაც ხიდთან „საზღვრის“ დაცვა იცვლება. ჯერ ზემოდან ჩამოივლის ჯარისკაცებიანი მძიმე ტექნიკა, ჩაიბარებენ პოსტს და ორიოდ წუთში ისინი ამოივლიან, რომლებმაც მორიგეობა მოათავეს...

ახლა რა ხდება? შეეშალათ? ხიდის მხრიდან კი ამოიარეს, მაგრამ ზემოდან, სანაცვლოს რომ არ ჩაუვლია?

ვითომ მეძინა და ვერ გავიგე?

არა, ნამდვილად რალაც ხდება.

სანთელი ავანთე:

„აცხონე უფალო ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვართა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მიანიჭე...“

— ჩავიბუტბუტე უჩვეულოდ აფორიაქებულმა, ჩავიცვი და ქუჩაში გავედი.

კიდევ ორმა „ბეემპემ“ ამოიარა.

არც მოედანზე, არც გზაჯვარედინზე არავინ ჭაჭანებდა.

ხიდს მივუახლოვდი და, სადღაა ტანკები — კაციშვილი არ დგას, არც სილის ტომრების აყუდებულ ყორესთან, აღარც მანქანების სამრეცხაოშია ვინმე.

უკან ჩამოვედი.

წუთუ გადიან?

სადარბაზოში ბელელაშვილების კარი ღია დამხვდა — ნიკა, შემოსასვლელში, ზედმეტი ტანსაცმელისაგან საკიდს ათავისუფლებდა.

— ხიდთან ტანკები აღარ დგანან, ჯარისკაცებიც ვერსად დავინახე... მგონი წავიდნენ.

— ჰოო? — მომხვდა უძინარი თვალებით და თავი ავადმყოფის ოთახისაკენ გააქნია, — დიდი ქალბატონიც წავიდა!

— რას ამბობ!

— ჩემი საწყალი დედიკო... თუ ასე უნდა მომხდარიყო, ომი მაინც არ ენახა... აფეთქების ხმაზე ბავშვივით გადაფითრდებოდა ხოლმე და თვალები ლამის გუგებიდან ამოხტომოდა, — მიცვალებულს თმაზე ხელი გადაუსვა ქალბატონმა ლოლამ.

ინათა. უშუშო ფანჯრებში რძისფერი ჩაგუბდა.

გაცრეცილ განთიადს, ქალბატონი ამალიაც მშვიდი და გაფითრებული შეხვდა...

ჭროლას აფთიაქის კუთხეში, დამსხვრეულ საგაზეთო კიოსკთან გადავეყარე.

— გაიგე? — ამინია ხელი.

— გავიგე!

სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

ერთი ღერი მეც მომეცი-მეთქი.

გაუკვირდა, როდის მენ თავი დაანებეო.

„ბოლის ჩაყლაპვა მავნებელიაო, ხომ გამაფრთხილა ზღვისპირელმა „ოტელომ.““

მაინც ჩაყლაპე.

ძველ ხიდქვეშ ჩემი პირველი ნაფაზი გამახსენდა — წყალზე კენჭის დაცემით გაჩენილი წრეებზე თვალებში რგოლები დამიტრიალდა და გაბრუებული შევბარბაცდი.

ახლაც ვერაფერი დავინახე, მუხლუხებით

დაკბენილი ქუჩა დაიბურა, მაგრამ თვალები მალევე გადამენმინდა, გამოჩნდა სახლების გასწვრივ ობივით მოკიდებული შუშების ნაფ-მხვევები.

მე და ჭროლა, მზეს მიფიცებული უბნის პატარა ბიჭებივით, მხრებით ვეხუხებით ერთ-მანეთს.

ჟალუზებდაშვებულ მარკეტს მრავლისმეტყველი სახით ათვალიერებს ჩვენსკენ მომავალი ჩარეკა.

— გილოცავთ!.. ზევიდან მოვდივარ, აღარც შემოსასვლელთან დგანან! — ხელი ჩამოგვართვა და ისიც ჯიხურს აეყუდა.

— რა მოხდა, ასე მალე რატომ მოინწყინეს, ყოფილიყვნენ კიდეც ერთი ორი საუკუნე, — თქვა ჭროლამ.

— სამოცდაათი წელი მაინც! — დავამატე მე.

— მაგათ რად მოინწყინეს, ვერ გეტყვით, მაგრამ... არაკაცი ვიყო თუ ჩვენებიც მაგრად არ დაირეხვნენ, — ჩარეკა მუნიციპალიტეტის შუშის გუმბათზე ხუთჯვრიან დროშას შეჰყურებს.

— ახალი ამბავი!.. რა მოხდა, აღარ იტყვი? — იდაყვი ნაჰკრა ჭროლამ.

— ნუხელის, სადგურზე, ნათესავთან ვიყავი... ტელევიზორში აჩვენეს, ვილაც შოუმენ გოგოს, საქართველოს დროშისაგან ბუზჰალტერი შეუკერია.

— ყოჩაღ, ჩარეკ, არ მეგონა ეგ სიტყვა თუ იცოდი! — შეაქო ჭროლამ.

— კარგი რა, ნუ აჩმახებ!.. შეიკერა, შეიკერა, ტელევიზია რალას გადამოსცემს, ხალხს კიდეც განერვიულება უნდა?

— როგორ, ეროვნულ დროშაში უნდა ჩაანყოს თავისი ნაბოზარი ძუძუები? ტყუილი იქნება! — გვიან აფეთქდა ჭროლა.

— რას ჰქვია ტყუილი, მაგდენი ფანტაზია სადა მაქვს, ეგ მოვიგონო... ნამყვანმა ისიც თქვა, არა მარტო ბუზჰალტერისათვის, ხუთჯვრიან სიმბოლოს სხვა აქსესუარებშიც იყენებსო.

— რაიო!.. სხვა რაღაა?

— აქსესუარი არ უნდა იცოდე, გოიმო ჭროლა? — „აბაროტი“ აულო ჩარეკამ, — ამ შემთხვევაში — ნიფხავი...

— რაც მორჩება, იმისაგან რას იზამენ?

— რა ვიცი, დაღეჭავენ, ალბათ... მისწერე „რუსთავი-2“-ს მორბენალი სტრიქონი და ეგებ გიპასუხონ.

— ჰოო... ისე, თუ სიმართლე გინდათ, ამ დროშაზე, „ატყეჩაი“ არა ვარ... აი, ძველი, სამფეროვანი რომ ყოფილიყო, ძაან გამიტყდებოდა...

მათი საუბარი თანდათან აღარ მესმის. დამთავრდა ის, რაც არ უნდა დანყებულიყო.

ბოლო მსხვერპლი (ჯერჯერობით) ქალბატონი ამალიაა.

ჭროლამ და ჩარეკამ არ იციან, რომ ნამდვილი მეოცე საუკუნელი ნავიდა. არ იციან, არც ამათ და არც არავინ, მთელ ქალაქში.

„დამსახურებული პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი...“ — ალბათ, ასე დაინყებდნენ ძველ დროში ანუ მეოცე საუკუნეში, გაზეთებში გამოქვეყნებულ ნეკროლოგს. ახლა

აღარაფერს ამბობენ, არც ავს, არც კარგს, თუ გინდა ცხრაჯერ გაცოცხლდი და მოკვდი.

სახანძროს მხრიდან ნაგვის მანქანა მოდის. ბორდიურის გასწვრივ დაფენილ ნაფხვევებს აქაფებული წყალივით მომხვეპავს და ისრუტავს.

ნუთუ, რაც მოხდა, ჩვენი მეხსიერებიდანაც ასევე სწრაფად „აიკრიფება?“

მივიხედ-მოვიხედე, თითებში შერჩენილი ნამწვისათვის სანაგვეს ვეძებ.

— მეტისმეტი წესიერებაც არ ვარგა, ვერ ხედავ, აქაურობა ნამსხვრევსა და ნაგავს მი-აქვს? — გაღიზიანებულმა ჭროლამ ნამწვი ძირს დამაგდებინა და ქუსლით ასფალტს დაასრისა.

მერე, სამივე, ბელელაშვილებთან ნავედით. მე საძინებელში, თაროზე შემოდებული ხელნაწერი ჩავიბარე.

აქამდე არ დავკვირვებოვარ, რვეულის გარეკანის შიგნით, პირველ ფურცელს მხოლოდ სახელი ამალია და, ცოტა ქვემოთ, „ლექსები“ ეწერა.

გვარი... გვარი შეიძლება უნებურად გამოჩნა ანდა შეგნებულად გამოტოვა, აბა, რას გაუგებ პოეტებს!

ბელელაშვილების სადარბაზოსთან შეკრებილები მხოლოდ ომზე ლაპარაკობენ.

აღარ შემიძლია ერთხელ გადატანილის ხელმეორედ მოსმენა და განცდა.

აბა, პულჩინელა, თუ ბიჭი ხარ ახლა გაგვაცინე. გააცინე შვილდაკარგული მშობლები, და-ძმა დალუპული ჭირისუფლები, სახლ-კარ გადამწვარი ლტოლვილები, ოჯახები — მთლიანად რომ ამოლოკა სიკვდილმა. გააცინე თავისი მამა-პაპეულიდან აყრილები, ოცობოდოს მოდებულები... მიდი და გაიგე, საიდან მოდის დიდი ლალატის სუნი:

“... და აქ თუ არა, საიქიოს მაინც გკითხავენ, მოყვარე მტერის რად ლოკავდი

სისხლიან ჩექმას —

ნეტავ დამპყრობელს უარესი რა უნდა ექნა, მუხლისთავები ძირს ხოხვით რომ

გადაიტყავე...”

რას იტყვი, პულჩინელა, ხომ მოძებნიან ეს სტრიქონები თავის ადრესატს?

დღეს ტირილით ვილას გააკვირვებ, გაგვაცინე-მეთქი ნამცეცა ჯამბაზო, ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის სიცილი უფრო შემადრწუნებელი და ეფექტურია, რათა მსოფლიომ, ცნობილი ჟესტით — საფეთქელთან მიტანილი თითი დაიტრიალოს და სერიოზული მკურნალობა „დაგვინიშნოს.“

ომების უმრავლესობა, მთავრობათა ომია და არა ხალხის... ჩვენ მხოლოდ გიჟების როლი გვაქვს და, მართლაც, სიცილის მეტი რა დაგვრჩენია:

ჰოპლავა! ჩვენი მზე დასავლეთში ჩადის!

— ადმინისტრატორრ!

მთავრდება „შუშების ომი“, ვიქტორ პეტროვიჩ!

რა გაძლებს ახლა, ამ მოსაწყენ სამყაროში! თუმცა, მთავრდება კი?

ცოცხალი რომ იყო, ხომ გკითხავდით, გაამართლა თუ არა თვითმფრინავებითა და ტანკებით ჩატარებულმა შოკურმა თერაპიამ.

ვინ დაინყო ომი? — ეს შეკითხვა უკვე მრავალ ნაღრძობ ტვინსა ღრღნის!

მინდა მოვიბოდიშო და პირველი ჩვენება შევცვალო:

ვიქტორ პეტროვიჩი, ომი, რა თქმა უნდა, ჩვენ დავინწყეთ, ოღონდ არა ახლა, აგვისტოში, არამედ 205 წლის წინ, 1803 წლის 19 აპრილს, როდესაც საქართველოს უკანასკნელი მეფის თანამეცხედრემ, მარიამ დედოფალმა, მის საძინებელში შეჭრილი ოკუპანტი გენერალი ლაზარევი ხანჯლით განგმირა...

თებერვალი, მარტი, აპრილი — ნელინადის პირველი თვეები ცუდად დაგვეკვება-მეთქი...

ახლა აგვისტოა...

აგვისტო და, მორიგ, „ისტორიულ“ მეჩეჩზე შემომგზადარი ჩემი სამშობლო...

მე არსაით და არავისკენ არ “ვისწრაფვი”, მინდა აი, ასე ვიჯდე, ჩემთვის, გარინდული, ცისკენ კენწეროგაქცეული ნაძვის ძირში და მშრალი ზაფხულის მზით გახურებულ, ტკაცუნა წინზე დაწყობილი ხელისგულებიდან შევიგრძნო, როგორ შრომობენ ჭიანჭველები, უფროდ ღრმად კი, ფეთქავენ, თრთიან ჭიანჭველები, რომლებსაც მეთევზეები ემუქრებიან და ბავშვის სათამაშო, მიწის საჩიჩქნი ნიჩბებითა და კონსერვის ქილებით დაეძებენ... ვიჯდე და ვუყურო, საშემოდგომოდ თავწამხმარ ბალახს თესლი როგორ სცვივა. ჩიტების ნისკარტს გადარჩენილ მარცვლებს გვალვების მერე გაბმული, ხანგრძლივი ნვიმები საიმედოდ ღრმად ჩათესავენ, ჩათქვარავენ ნაპრალებსა და მიწის ნაჩვრეტებში, რომ გაზაფხულზე, ჩამხმარი ბალახის ნაცვლად წამოიშალნონ, ამომწვანდნენ, ყვავილებთან ერთად ამოლალანდნენ.

მეც უფლის ხელიდან გადმოგდებული მარცვალი ვარ და, ვიდრე თავისთან დამიბრუნებს...

ხელის ზურგზე თბილი ენის ხაო ვიგრძენი.

ვაჰ, ასე რას უნდა გავეხარებინე — სიგამხდრისაგან ფერდებგაკრული, შიმშილით თვალეზაცვინილი შავი ძალლი მიყურებს და თითქოს ილიმება.

თითქოს კი არა, ნამდვილად ილიმება.

— გამარჯობა, საიდან გამომეცხადე, ცუგა! როგორა ხარ, სად იყავი, დეზერტირო, თავი რა-ნაირად გაიტანე!

მოვეხვიე, ძალლიც მორჩილად მომყვა, ნასიამოვნები ანკმუტუნდა.

მოდით და ახლა მაინც გაამტყუნე ნინა ბორისოვნა — რომ მქონდეს, საკუთარი თეფშიდან, საკუთარი კოვზით ვაჭმევდი ფაფას.

თითქოს ფიქრს მიმიხვდა, მუხლზე თავჩამოდებულმა ბაგირამ ცრემლიანი თვალებით ამომხვდა.

რა მოხდა, ვიქტორ პეტროვიჩი, თქვენთან, ციმბირში თუ ნაძვები ტირიან, არ შეიძლება ჩვენთან ძაღლებმა იტირონ?

ოი, „Боже царя храни!..“

თქვენი თანამედროვე პასტორალიდან მინდა გავიხსენო:

„ქალმა თავსაფარი შეიხსნა, სახით საფლავს მიეკრა და კანით შეიგრძნო მიწის ჯერ კიდევ თბილი სხეული, თუმცა სტეპს სულ უფრო მძიმედ სუდრაავდა ქელიდან წამოქროლილი სიცივე.“

— რად ნევხარ აქ, შუაგულ რუსეთში?

და მეტი არაფერი უკითხავს.“

ჩვენსკენაც, ორიოდ თვეში, კავკასიონის ქედებიდან წამოუქროლებს სიცივე, ჭირხლი გააჭალარავენს გამოფშუტულ ბალახს და, ნუთუ ამხელა რუსეთში ისეთი არავინ აღმოჩნდება, ლიახვის ხეობაში დამწვარი, დაღულებული ტანკის შორიასლო, შემალღებულ სერზე, გვიანი შემოდგომის აბზინდებით შევერცხილ რუსი ბიჭის ობოლ საფლავთან ვინც დაიჩოქებს და ჰკითხავს:

— რად ნევხარ აქ, შუაგულ საქართველოში?

და მეტი არაფერი...

34

უბის წიგნაკიდან

29.10.2003

„ამსტერდამის აეროპორტში, ორ გოლიათ თვითმფრინავს შორის, ერთი პატარაც იდგა — „აირზენა.“

პატარა, შეიძლება, კობტა, ლამაზი, გულმისავალი იყოს.


ეს — არა, საცოდავი, ჯაბახანა, უმწეო.

ამის იმედი გვაქვს თბილისამდე-მეთქი, ვითომ გავეხუმრე თანამგზავრს, მაგრამ შიგნით რაღაც ძალიან მეტკინა, თუმცა არ გამკვირვებია:

ეს, ჩემი სამშობლოს — ორ აქლემს შორის გამოჭყლეტილი კოზაკის, თვითმფრინავი იყო.“

აგვისტო — სექტემბერი
2008

დასასრული



შოთა ციკლაური

სიყვარულს, რასაც არა აქვს ბოლო

გეეჭვებოდა რატომღაც ჩემში,
რომ ერთადერთი იქნები მხოლოდ...
არა, ძვირფასო, სულ მარტო შევრჩი
სიყვარულს, რასაც არა აქვს ბოლო...

მწარეა ახლა ეს სინამდვილე,
წარსული წლები ძნელად მეთმობა;
გზები ვერაფრით გავიადვილე
და შევრჩი ამ ჩემს ერთადერთობას.

ვიგონებ მრავალ და მრავალ ამბავს,
ჩემს ირგვლივ შენი აჩრდილი დადის
და კარადაში შენს ნაქონ კაბას,
შენი სხეულის სურნელი ასდის...

შენმა ტრფიალმა სანუთრო

მანანა ჩიტაშელს

*"ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ,
ვეფხი შევიპყარ ხელითა"*
შოთა

შენმა ტრფიალმა სანუთრო,
მიქცია ბრძოლის რაუნდად;
ქსნის და არაგვის ჭალებში,
ლომებსა და ვეფხვებს რა უნდათ.
თორემ მეც გავიჭრებოდი,
ამ ჩემს მშობლიურ მხარეში;
რომ ჩამეხედა მაგ ლამაზ,

ფართოდ გახელილ თვალბში.
როგორი ეშხით ამშვენებ,
ქართლის გზებსა და ტრამალებს;
გეძებდი, სადმე შეგყროდი,
სურვილი ველარ დავმალე...
ახლა გაგიმხელ, რაცა ვთქვი,
შენი ლექსების ბრალია;
არ შევხვედრივართ ერთმანეთს,
მაგრამ მიყვარხარ ძალიან!

ღამე სოფელში

ვზივარ უშენოდ, საათს ვხედავ,
ღამის ათია.
ლუმელში ცეცხლი და ოთახში
ჭალი ანთია.
ვიგონებ დღეებს, როცა ერთად
ვხვდებოდით დილებს;
ახლა უშენოდ სახლი მოჰგავს
ნესტიან დილეგს.
განვიმდა კიდეც, ჩემი ცრემლიც
ერევა წვიმას
და გული მწყდება, რომ ვერ ვნახავ,
რაც იყო წინათ...

რთული ხარ მეტად სანუთროში
კაცის სავალო,
კითხულობ: რატომ ეომება
კეთილს ბოროტი;
თუმცა ღრმა არის აზროვნების
დიდი სალარო,
მაინც ვერავინ ვერ ამოხსნა
იგი ბოლომდის...
მოდხარ ასე, ორი აზრი
ტრიალებს მუდამ
თავში და ერთი იმ მეორეს
სულ ედავება;
თუ რამ შეჰქმენი ღირსეული,
თუ უფალს უნდა,
ან წარმავლობას შეგატოვებს,
ან უკვდავებას...

არ მინდა ძლიერ გატკინო გული

გალიზიანებს ჩათვლემა მგონი,
ამისთვის არვინ არავის აქებს;
გადავიღალე სულ ფეხზე დგომით,
ბევრი ვთქვი და შენც გიტოვებ სათქმელს.
მახარებს ერთი, რომ პოეზიით,
თავყვანისმცემლებს უფრო მეტს ვიძენ;
არ მინდა ძლიერ გატკინო გული,
როცა ჩამთვლემს და...
ვერ გამაღვიძებ...

გზები

სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ ახლა, დგას ხეების და ხეხილის ტევრში. ყველა გზას თავის მიზანი ახლავს, ხან მინდვრად მიდის, ხან კიდეც ტყეში. გზები, რომლებიც ეზოდან გადის, აღწევს სოფლის და ქალაქის ქუჩებს; ბევრ გზაზე ტვირთად მიგყვება დარდი, გზაზე ბევრს ხვდები უცნობს და უჩვევს. ზოგ გზაზე გხვდება აღმართ-დაღმართი, ზოგ გზაზე წყალი და წყალზე ხიდი და ყველა გზაზე უფრო წაღმართი გზაა, რომელიც ტაძრისკენ მიდის. ხოლო გულის გზა, შენთან რომ მოდის, უფლის წყალობა უდევს თავდებად; გაგითავისე, არც მახსოვს როდის და გზა ჩვენს შორის არა თავდება.

მამა

სიბერეში შევეძინე მამას, სამოცდაშვიდას რომ გადასცდა თითქმის; ასე იყო, მართლაც ვამბობ ამას, სიმართლე ხომ გულახდილად ითქმის. დედის წასვლამ დამალონა დიდად, დრო მოექცა ჩემს ბავშვობას მკაცრად; მამა ობოლს სიბრძნის ნიჭით მზრდიდა, ცხოვრებაში ვქცეულიყავ კაცად. ჯარში ვიყავ, მწერდა ვარო კარგად, სიძაბუნეს არ იტყობდა ხმაში; ჩამოვედი, გაიხარა, მაგრამ მზის სინათლე დაჰკარგოდა თვალში. ის სიტყვები ახლაც ყურში მესმის, მხრებს მისინჯავს მამა და გულჩვილობს: "ნეტავ ერთი შემახედა შენთვის, როგორ დავაჟკაცებულხარ, შვილო!"

მზე იყო თვითონ

სხვას მზეს ადრიდა, მზე იყო თვითონ და აზრის სიღრმე შოთათი სუნთქავს; გადავშლი წიგნს და დამზრალ სულს ვიტობ, ნეტავ რაღაა, რაც მას არ უთქვამს. უფალო, თუკი მიმაგნებინებ, რასაც კი დღემდე ბინდი ებურა; თუ კალამს ხელში ამაღებინებ და მათქმევიანებ შოთასებურად, ვიტყვი, წარსულსაც სიცოცხლე ჰქვია და მომავალსაც არა აქვს ბოლო; და მიმიხვდები ადრე თუ გვიან, რომ ხე ფესვიდან იწყება მხოლოდ.

ჩქაროვ მოასწრო

შეჩვეული ვარ ცდასა და ლოდინს, ეს მგონი, ნაკლიც კი იყოს კაცის; მაგრამ სულსწრაფიც ხომ არის ზოგი და ხშირად მონმეც ვყოფილვართ მარცხის. ვემშვიდობები ცდასა და ლოდინს და მათქმევიანეთ დრო დამრჩა სანამ, ჩემს შესახვედრად ვიცი ვინც მოდის, გამინადგურებს მოუშველ ყანას. ისედაც ბევრი წაილო მინდად სანუთრომ, ჩემი მძიმე წლებიდან, დამიმორჩილოს სულაც არ მინდა, მაგრამ სამზეო მაინც შებინდა. ყველას ნისქვილი თავისას დაფქვავს და დრო, როგორც სხვას, აღარც მე მყოფნის, ვჩქარობ მოვასწრო, რაც მინდა რომ თქვან: ღირსი იყო ამ ქვეყნად ყოფნის.

რატომ ნახვედით, ბიჭებო!

ვდგავარ და ვითვლი ტკივილებს, ჩემსას, შენსას და მისას; უდროოდ წასულ სიცოცხლეს და მიუღწეველ მიზანს... გამიღარიბდა სოფელი შენით, მისით და მათით; სულის სამოსი გამიცვდა, ნაკერი ცრემლის ძაფით. სიკეთემ უნდა იხაროს, ბოროტს თავისი ეზლოს; რა ღილებივით ააწყდით, მშობლიურ სახლს და ეზოს. გიგონებთ, გული ნალველს სვამს, თვალებს ცრემლები მიწვავს; რატომ ნახვედით, ბიჭებო! არ ამძიმებდით მინას!

ვცდილობ ის ვთქვა, რაც არ უთქვამთ, ვუფრთხილდები გვარს და სახელს; თუ მეყოფა ხმა და სუნთქვა, მოკრძალებით ამას ვამხელ:

ლექსის ბოლოს როცა ვანერ, სახელს დიდი სეხნიისას, ვგრძნობ, რამხელა ტვირთი მანევს, მრავალ საუკუნის ხნისა.

ღმერთო, შეგთხოვ გამიყვანო, მძიმე ტვირთით გზად უფლისა, რომ ნაღვანი გამიყვანო, საზრდოდ ჩემი მამულისა!



ეიჟერ
თეფისძე

„ბაიბ ჰაიცი!!!“

მოსიარულე ვერნერი, ჯერ ისევ რომ სძინავს და სალამსაც ძლივს წარმოსთქვამს, გაზეთების შემოსატანად კარისაკენ ბარბაცით მიემართება. პირველი საუბრე ხომ დილის ფოსტის გარეშე მისთვის არ არსებობს.

დღესაც, გაზეთებთან, სარეკლამო ჟურნალებთან და წერილებთან ერთად დიდი, ამანათივით კონვერტი შემოიტანა და გზადაგზა გახსნა. სახეზე მაშინვე გამოფხიზლება დაეტყო.

თამარის ცნობისმოყვარე კითხვებზე პასუხის გაცემას ვერნერმა წერილის გადაცემა ამჯობინა. თან გააფრთხილა, რომ ეს კონვერტი სხვა გაზეთებს არ შერეოდა და ცალკე, გამოსაჩენად გილზე დაედო.

აი, რა ეწერა წერილში:
სამთო გაერთიანება — ფენესალპეს ტური 19—22 ივნისი

სასტუმრო: რიფუჯიო ლავარელა 2042 მ.
ჰანსპეტერ ფრენნერი
ფასები: ოთახი საუზმით 28—ევრო
ბანაკი “-----” 23,50.
ოთახი კვებით 41, 50.
ბანაკი “-----” 37.00
გამგზავრება რაუნტალის გავლით რიფუ-

ჯიომდე 1545 მ.
აქვეა მანქანების სადგომი.
ერთობლივი ასვლა ლავარელას ქობამდე. დაახლოებით 2 სთ.

შემოთავაზებული ტურები:
19 ივნისი მსუბუქი ტური ლიმოზეზე მწვერვალი 2563 მ.

სიმაღლის სხვაობა 500 მ. დრო 2,5სთ. ან პარიშპიცე 2794 მ.

სიმაღლის სხვაობა 740 მ. დრო 3სთ.
20 ივნისი ჰაილიგკროიცკოფელი 2907 მ.
სხვაობა 850 მ. 4,5 სთ.

ამასთან ცენერშპიცე 3026 მ. სხვ. 960/ 1სთ.
მაგთულის დამცავი ჯგებირები მოკლე და ციცაბო 40 მ.

21 ივნისი მონტე დელ ვალონ ბიანკო 2687 მ. 630 მ. 4,5სთ.

ვია დელე პაცე ნანილობრივ ციცაბო.
მთამსვლელთა შემადგენლობა

- 1) ბრუნო ეიხი
- 2) საბინე ეიხი
- 3) მარია ჰაიმანი
- 4) გერდ ჰოფმანი
- 5) ირენე “-----“
- 6) ერვინ იეგერი
- 7) ვერნერ კუნცელი
- 8) თამარ ნაცარგორელი--კუნცელი
- 9) ეთერ ნაცარგორელი
- 10) ალბერტ ლანდესი
- 11) იოზეფ ლერცერი
- 12) მაგდა როტემელი
- 13) მანფრედ “-----“
- 14) ბრუნო ზიტნერი
- 15) მანფრედ რუტცელი
- 16) ანდრეას შპრანგერი
- 17) უტა “-----“
- 18) ტერეზია ვალცი

წარმოდგენილი ტურები სხვადასხვა სიძნელისაა. მწვერვალის მონაკვეთში შეგვხვდება კლდის ციცაბო ადგილები, სადაც საგანგებო აღჭურვილობა დაგვჭირდება. მოგანვდით ჩამონათვალს:

გამძლე ტანსაცმელი (ანორაკი, სანვიმარი), მთის ფეხსაცმელი, გამაშები, (თოვლისა და ხრეშის შემთხვევაში). ქუდი, ხელთათმანები, მზის სათვალე, დამცავი კრემი, თბილი საცვლები და პულოვერი, საძილე ტომარა, ჯიბის ლამპა, აფთიაქი, მინი ზურგჩანთა, მათარა.

შემოთავაზებული ტურები შეგიძლიათ ნებაყოფლობით შეარჩიოთ თქვენი შესაძლებლობის, რისკისა და სურვილის მიხედვით.

შეხვედრის ადგილი როგორც ყოველთვის გრედინგი “ჰოტელ ლაიხტი”.

სტარტი—ხუთშაბათს, 19 ივნისს დილის 7 სთ-ზე.

მგზავრობის ხანგრძლივობა 7სთ.
ყურადღება: მიუხედავად ევროპის ღია საზღვრებისა, პირადობის მონმობა არ დაგრჩეთ.

გაითვალისწინეთ ავსტრიის ავტობანის სამგზავრო ბარათი, აგრეთვე იტალიის ავტობანი.

სამგზავრო მონაკვეთები 3 ვიურცბურგი—ნიურნბერგი 104კმ.

9 ნიურნბერგი—მიუნხენი 164კმ.

8 მიუნხენი—კუფშტაინი 80კმ.
ინტალ—ავტობანი
კუფშტაინი—ინსბრუკი 95კმ.
ინსბრუკ—ბრენერი—35კმ.
ბრენერ—ბრიქსენი 73კმ.
ბრიქსენი—ცვიშენვასერი 17კმ.
ცვიშენვასერი—რაუტალ—პადერუ 12კმ.
ულ 626კმ.
პაუზებს პირველი შეხვედრის შემდეგ შე-
ვთანხმდები.

გისურვებთ კეთილ მგზავრობას და კარგ
დასვენებას.
გერდ ჰოფმანი.

ოთხი თაბახის ფურცელზე გაჭიმულ წერილს,
დასალაშქრი ადგილების აღმნიშვნელი პატარა
რუკაც მოჰყვა თან, სადაც ზემოთ მოყვანილი
მწვერვალები წითელი პასტელით იყო შემოხა-
ზული.

—კიდევ ოთხი დღე და დასვენებაც გველირსე-
ბა—თქვა თამარმა და საყვარელ მეუღლეს ნუგ-
ემად მკლავზე ხელი ჩამოუსვა.
— ვუუუუ, ფეხის გულები უკვე მექავება—
თქვა ვერნერმა და ყავა კმაყოფილებით მონ-
რუპა.

ასე იცის ხოლმე, მთების ხსენებაზე ან მათ
დანახვაზე ამ ფრაზას ყოველთვის
მხატვრულად წარმოსთქვამს.

— შეხედე, რამხელა მწვერვალები გვაქვს
დასაპყრობი, ამას დასვენებას როგორ არ-
ქმევ?— დამცინავი ღიმილით ვთქვი და რუკა
გავეუნოდე.

— ჩვენ არავინ გვავალდებულებს რთულ
ტურებში მონაწილეობას. თუმცა, როდის შეგ-
ვირცხვენია თავი ჰა ვერნერ?—თქვა თამრომ
და გამომცდელად შეხედა ვერნერს.

— ოო, თქვენ მაგარი ქართველი გოგოები
ხართ, მაგარი! ნამდვილი მთის არჩევები —
დატკეპნილი ქართულით ძლივს წარმოსთქვა
ვერნერმა და თავისი მშვენიერი ბარიტონი ყა-
ვით ჩაიკრიალა.

— ამ კომპუტერებს რომ მოვშორდებით და
ყოველდღიურ სტრესებს თავს გავარიდებთ, ეს
დასვენება არ იქნება?—მისაყვადურა თამრომ.

— ეს ისე ვთქვი, თორემ თქვენზე მეტად მე
მიხარია. ერთი სული მაქვს როდის წავალთ.
მთავარია, ამინდმა გაგვიმართლოს. გახსოვთ
შარმან რა წვიმაში მოყვებით?

— შენს სახეს რა დამაფინყებს პირჯვარს რომ
ინერდი, არ მეგონა ასე თუ შეგეშინდებოდა. —
მორიდებული ღიმილით შემომხედა ვერნერმა.

— რა გიკვირს, არ გახსოვს სად ვიყავით? იმ
უკაცრიელ მწვერვალზე, თავსხმა წვიმაში მხ-
ოლოდ ჩემი ფეხსაცმლის წვერს ვხედავდი და
სადმე რომ ფეხი დამსხლტოდა, ხრამში თუ არ
გადავიჩხებოდა, უკეთეს შემთხვევაში ქოხ-
ამდე შენი და თამროს სათრევი ნამდვილად
გავხდებოდი. აი, რისა მეშინოდა.

— ისე კი ძალიან მიკვირს, მაშინ როგორ გა-
დავრჩით და ავად არ გავხდით. ამ ჩვენმა ნაქებმა

სპეციალტურვილობამაც რომ არ გვიშველა, მთ-
ლად გალუმპულეები ვიყავით. ფეხსაცმელები-
დანაც კი წყალი ასხამდა — გაიხსენა თამრომ.

— მთელი დღის სიარულისაგან გასავათებ-
ულებმა, ფეხებს რომ ძლივს მივათრევდით,იმ
თავსხმა წვიმაში უცბად რა ტემპი განვავითა-
რეთ გახსოვთ? ვერნერი ძლივს გვეწეოდა. ბო-
ლოს ის ჩვენი ქოხი რომ დავინახეთ, თვითმფრი-
ნავივით ხან გამოჩნდებოდა და ხან არა, გვეგო-
ნა სიახლოვეში ვიყავით, მაგრამ ეს წყეული გზა
არა და არ ილეოდა. — სიცილში ბრაზი გამერია
და ყველიანი პურის მოზრდილი ლუკმა ძლივს
გადავყლაპე.

— დალლა ვის ახსოვდა, სერიოზულ პანიკა-
ში ვიყავი. ასეთი თავსხმა არასოდეს მინახავს.
მე პირადად მეხის დაცემისა უფრო მეშინოდა,
ფეხებს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ხომ გაგიგ-
ია — გაჭირება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.
— ეხლა კი ბევრს ვიცინით, მაგრამ მაშინ სა-
საცილოდ მართლა არ გვექონდა საქმე. — თქვა
თამრომ და ჩაფიქრდა.

— იმ ბაბუანვერამ (ასე შევარქვით ქოხის
მეპატრონეს თავისი ვარცხნილობის გამო) გახ-
ურებული ბუხარი რომ დაგვახვედრა და ჭან-
ჭურის არაყი მოგვაგება, რა ბედნიერები ვიყა-
ვით მაშინ. სწორედ იმ არაყმა გვიხსნა გაციები-
საგან.

— არა და რა მხიარული დღე გვექონდა, რალაც
ავისმომასწავებლად ბევრს კი ვიცინოდით —
გამახსენდა მე.

— რაზე ვიცინოდით, ეგ კი არ მახსოვს.—
კითხვით მომმართა ვერნერმა.

— რაზე და მაჩვენებთ თუ თხუნილები რომ და-
ვინახეთ, შენ თქვი მურმელიო და მერე გვკითხე
ქართულად როგორ არისო, ჩვენ კი რადგან არ
ვიცოდით ზუსტად რომელი იყო —მაჩვი, თხუნე-
ლა თუ ზაზუნა, საერთო სახელი მღრღნელი ვუ-
წოდეთ, რამაც შენ ძალიან გაგამხიარულა და
დიდხანს წვალბოდი ამ სიტყვის წარმოსათქმე-
ლად.

მერე უფრო რთულ სიტყვებს გასწავლიდით
და სიცილით ვიხოცებოდით.

— მღ, მღრღ, მღრღრღრ, უჰ გამანებეთ თავი,
რა საშინელებაა, ამდენ თანხმოვანს როგორ უყ-
რით ერთად თავს. მერე გიკვირთ ქართულს რომ
ვერ ვსწავლობ. ნორმალური ადამიანი ამას რო-
გორ ისწავლის?

— სამაგიეროდ ნერა-კითხვაა ადვილი. აქ ვერ
შეხვედები დიდსა და პატარა ასოებს, ასოთშენ-
აერთებს. ჩვენი ენა და დამწერლობა უძველესია
და მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შო-
რის საპატიო ადგილი უჭირავს

— ვიცი, ვიცი, თქვენ ყველაფერში მაგრები
ხართ.—გამანყვეტინა ვერნერმა. საუზმისათ-
ვის განყოფილ მაგიდაზე გაფანტულ გაზეთებს
თავი მოუყარა და ამით გვანიშნა, სამსახურში
წასვლის დროაო.

— ისე, ამინდის ამბავი რომ გავგვეგო არ იქნე-
ბოდა ურიგო.— თქვა თამრომ და წამოდგა.

— სიცხეებია გამოცხადებული, მაგრამ ხომ
იცი მთაში ეციება. თბილი პულოვერი არ დაგ-
რჩეთ. ისე ამინდმა არ უნდა შეგვაშინოს, იცო-
დეთ გერმანული გამოთქმა: “არ არსებობს

ცუდი ამინდი, არსებობს ცუდი ტანსაცმელი".
ჰო მართლა, არ დამავინყდეს ოთხშაბათს
საფლავის მორწყვა, თორემ აქ ისეთი გვაღვა
გამოცხადებული, რომ ჩემს ახლადდარგულ
ყვავილებს სულ მთლად გაახშობს.

— დარდი ნუ გაქვს, მე და ეთო მოვრწყავთ.
შენ ეს მცენარეებიც გეყოფა მოსარწყავად.

— თქვა თამარმა და ორანჟერეაში უშველებ-
ელ ქოთნებში ჩასმულ გიგანტურ მცენარეებზე
მიანიშნა.

სერამისში გამოზრდილი (სერამისი თიხის
მსხვილი ქვიშაა, რომელიც სითხეს თანაბრად
ანაწილებს და ტენიანობას დიდხანს ინარჩუნ-
ებს.) იშვიათი ჯიშის ტროპიკული მცენარეები
ლამაზ ქოთნებში სხედან და რომ არა ეს ქოთ-
ნები, თავი ნამდვილ ჯუნგლებში გეგონებოდა.
ამ მცენარეების მოვლა-პატრონობა მთლიანად
ვერწერმა აიღო თავის თავზე, რადგან თითოეუ-
ლი მცენარის მორწყვა 10 ლ. წყალი სჭირდება.
მართალია კვირაში მხოლოდ ერთხელ, მაგრამ
ეს საქმე ქალისათვის მაინც რთულია.

ფოლკსვაგენის მარკის ავტომობილმა გზა-
ჯვარედინი გადაჭრა და გრძელ ხეივანს დაად-
გა. ამ ხეივანს ერთი მხრიდან ქვის გალავანი
ჩაუყვება, ხოლო მეორე მხრიდან პატარა ქა-
ლაქის ინდუსტრიული ნაწილი.

მანქანა გალავანთან გაჩერდა. იქიდან ახალ-
გაზრდა ქალი გადმოვიდა და თამამად შეალო
გალავნის კარი. აი, სამოთხეც. სრულ სიმშ-
ვიდეში ჩიტების ჭიკჭიკი, საოცარი სიმეტრია,
ყვავილების ფერთა გამა. გამა კი არა, სიმფონია.

იქვე, კართან ჭაა. ამ ჭასთან რკინის ძე-
ლია. ზედ აკიდოსავით ჩამოცმულია სარწყავი
ვარცლები, რომელთაც სამოთხეში შემოსული
უბრალო მოკვდავნი წყლით ავსებენ და სა-
კუთარ წარსულს, უფრო სწორად—მომავალს
რწყავენ.

შეგადაშიგ ამ ვრცელ სიმფონიას, გადიდე-
ბულ სეკუნდასავით ყურს ჭრის ჭაში ვარცლის
ჩაჭყაპუნების ხმა, ჩუმი გადაძახილები და
ზოგჯერ სიცილიც კი.

თამარმა გაავსო ორი ვარცლი და მძიმედ
გაუყვა ბილიკს. თავიდან დამახსოვრება უჭირ-
და. უნდა გაეველო გრაუ, კრუგერი, ბენკე, ჰოფ-
მანი, ახმანი, კიშკელი. ახლა კი თავდაღუნული
პირდაპირ მიადგა თავის მიცვალებულებს. თავისია,
აბა რა, როცა ქმარი გიყვარს, მისი ნი-
ნაპარიც უნდა გიყვარდეს. უყვარს კიდევ. მარ-
თალია არ იცნობდა და არც არასოდეს ენახა, მა-
გრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვერწერი ხომ ყველა
თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნით მშო-
ბლების განსახიერებაა.

აქ რომ მოდის, საოცარი განცდა ეუფლე-
ბა. ასე ჰგონია, საკუთარი მიცვალებულების
საფლავზე დარგულ ყვავილებს უსხამდეს წყ-
ალს და მიწას რომ ხელით ეხება და ეფერება,
თითქოს მათაც ეფერება.

ასეც არის, მიწა საერთოა. ადამიანიც ხომ
მიწად იქცევა და ეს მიწაც დედამიწის ნაწილია.
დედამიწა კი ერთია და ყველასია.

ყველაფერი გემის მიხედვით განვითარდა.
დილის 8 სთ-ზე გასულები მეორე საუზმისათ-

ვის უკვე გრედინგში ვიყავით. არ დაგიმაღავთ
და გერმანიაში ცხოვრების გარკვეული სტაჟის
მქონე ქართველს ჯერ კიდევ მარცხებს მათი
პუნქტუალურობა. იტყვი, რომ ყოველი ნუთი და
მანძილის მცირედი მონაკვეთიც კი გათვლილი
აქვთ.

არც ერთ მანქანას სტარტი ერთი ქალაქიდან
არ აუღია, და საერთოდ, ვიურცბურგის სამთო
გაერთიანების ნევრები, სხვადასხვა ქალაქის
მცხოვრები, განსხვავებული ასაკისა და პროფე-
სიის ადამიანები არიან, რომელთაც ამ ჯგუფში
მხოლოდ ერთი რამ — მთის სიყვარული და ჯან-
სალი ცხოვრების სტილი აერთიანებს.

ჩვენ — ორ ქართველ დას, როგორც უცხო
ქვეყნის წარმომადგენლებს ყოველთვის გან-
საკუთრებული ინტერესითა და სითბოთი გვხ-
ვდებიან ხოლმე და ახლაც გულთბილი ჩახ-
უტებისა და მოკითხვის შემდეგ სათითაოდ
გამოხატეს თანაგრძნობა აგვისტოს თვეში რუ-
სეთის მიერ საქართველოზე განხორციელებუ-
ლი ბარბაროსული

თავდასხმის გამო.

გრედინგში „ჰოტელ ლაიხტის“ რესტორნის
პერსონალს სულაც არ გაკვირვებია სპეც-ალ-
ტურვილობაში გამოწყობილი მთამსვლელების
„შემოსევა“. ასეთ ჯგუფებს ისინი ხშირად
მასპინძლობენ.

საუზმე — „ბუფეტი“ დიდ არჩევანს
გვთავაზობდა. ყველისა და ძხვების ნაირსახეობა,
მოხარშული კვერცხი, ომლეტი, ფუნთუშები და
კრუსანები, სხვადასხვა ხილის ჯემები, წვენი
და რა ვიცი კიდევ რა.

ვისთვის მეორე საუზმე იყო და ვისთვის
პირველი. რომ მომკლათ, 9 სთ—მდე ლუკმა არ
გადამივა ყელში. აი, მაგალითად ანდრეასი—
ჩვენს მაგიდას რომ უზის თავის ცოლ უტასთან
ერთად, დილის 5 სთ-ზე რომ ადგეს, აუცილე-
ბლად ისაუზმებს. სულ ცოტა 3 ჭიქა ყავას და-
ლევს და ზედ ჯემიან ტკბილ ფუნთუშებსაც
დააყოლებს. ახლა კი მეორე საუზმეს მიერთ-
მეც. სულ დამავინყდა მეთქვა, რომ ცოლ-
ქმარი შპრანგერები ჩვენი განუყრელი მეგო-
ბრები არიან და ვინაიდან ვერწერს 7 ადგილიანი
ფოლკსვაგენ-შარანი აქვს, გადავწყვიტეთ ერ-
თად გვემგზავრა. მშვენივრად დავეტიოდით,
სანვავსაც დავზოგავდით და კარგადაც გა-
ვერთობოდით. ჰოდა, დილას პირველი საუზმე
ჩვენთან მიერთვეს.

ხალისიანი კაცია ანდრეასი, ისეთი გემრიელი
და გადამდები სიცილი აქვს, იფიქრებ დარდი
რა არის არ იცისო. არადა თუ ჩაფიქრებულს
შეუხსნარი, გული შეგეკუმშება, ისეთ დარდ-
სა და ნალველს ამოიკითხავ მის თვალებში.
სადარდებელი კი მართლაც ბევრი აქვს. მთელი
ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ქონება წყ-
ალს გაატანა. ჰმ, წყალს კი არა, ბანკს გაატანა.
გაატანა კი არა, ბანკმა თავად წაიღო. სულ
კაპიკებში გაუყიდა მილიონად შეფასებული
ქონება და ცარიელ-ტარიელი უსახლკაროდ და-
ტოვა.

რომ არა ვერწერი, შესაძლოა სასონარკვეთი-
ლი ანდრეასი ცალმხრივ ავტობანზე სანინააღმ-
დეგო მიმართულებით დამდგარიყო და საათში

280კმ სიჩქარით გეზი ვიურცბურგის ნაცვლად სიკვდილბურგისაკენ აეღო. ასე ამთავრებენ ხოლმე ხშირად გაკოტრებული, სუსტი ნებისყოფის ადამიანები ტანჯულ სიცოცხლეს.

ცარიელ ადგილს მიმტერებულ და კრიჭაშეკრულ ანდრეასს ხშირად უფიქრია იმ პერიოდზე, როცა წარმოებაში მოგებული თანხა, ნაცვლად იმისა რომ კვლავ წარმოებაში ჩაებრუნებინა და კაპიტალი გაეზარდა, ბავშვური ოცნებების ახდენას მოახმარა.

ბერლინის კედელი ჯერ მთლად ბოლომდე დანგრეული არც კი იყო, რომ მაშინვე ისკუპა და... ერთბაშად მოინდომა მსოფლიოს დაპყრობა. ჯერ გემებით იმოგზაურა, მაგრამ დაუდგრომელ, ტემპერამენტით აღსავსე, ექსტრემალური სპორტით გატაცებული ანდრეასისთვის, გემის შეზღუდული სივრცითი დიპაზონი მცირე აღმოჩნდა. გემს ნავსაყუდელში შესვლა არ აცალა, ისევე ისკუპა უტასთან ერთად და პირდაპირ მოტოციკლეტს მოახტა. იმდენ ხანს იქროლეს ერთად, ვიდრე არ ამოყირავდნენ. ბედად იოლად გადაარჩნენ. მართალია ამის შემდეგ მოტოციკლეტზე აღარ დამჯდარან, მაგრამ არც ექსტრემალური მოგზაურობის ჟინი დასცხრომიათ.

ეგვიპტიდან ახალდაბრუნებულებს, თავში ჯერ კიდევ პირამიდები რომ უტრიალებდათ, ბანკის წარმომადგენელი ჰერ ნიდენცუ დაადგა თავს და ცხვირწინ გაკოტრებული წარმოების დამადასტურებელი საბუთები დაუღაგა. აი, მაშინ უნდა გენახათ პირამიდების პრონიალი. მთელი ღამე სანყალი ანდრეასი ეგვიპტის უდაბნოში დაბორილობდა და გზას ვერ იგნებდა. ბოლოს, სადღაც შორს დიდი კაქტუსი დაინახა. რომ მიუახლოვდა, დიდი ხნის უნახავი მეგობარი ვერნერ კუნცელი შეიცნო. გადაეხვია და... ხომ გათხარით, რომ არა ვერნერი... ვერნერსა და ანდრეასს დიდი ხნის განმავლობაში ბერლინის კედელი ამორებდა.

არ ვიცი, ანდრეასისადმი სოლიდარობის ნიშნად, თუ მარქსიზმ-ლენინიზმის კომუნისტური ზეიდეალების ჭეშმარიტების მიგნებისაგან გამონწვეული ალტყინებით, ერთი ხანობა ეს ჩვენი ვერნერი, ძირმომპალი, ვერაგი კაპიტალიზმის სანაგვე ყუთიდან, აღმასის თვლებით მოჭედილ სოციალისტურ ზარდახში კატაპულტირებას აპირებდა. კიდევ კარგი დროზე დაიწყეს კედლის ნგრევა და უცნობი რუხი პანორამა მთელი სიცხადით გადაიშალა მის თვალწინ, თორემ ანდრეასზე არანაკლებ ექსტრემალურ ვერნერს, უკან დასაბრუნებლად, შესაძლოა აკრძალული ილეთები ეხმარა და საბოლოო ნავსაყუდელი მავთულხლართებში ან ისტორიული კედლის საძირკველშივე ეპოვა.

ჰოდა, „რაც გაქვს იმას ტკბილი სული დაბერე, თორემ ხელიდან გამოგეცლებაო“-ნათქვამია და ვერნერმაც გადაიბარა მამის მიერ დაარსებული შუშის საწარმო და ტკბილი სულიც დაბერა. მართალია, თავიდან შიშით მოეკიდა ამ საქმეს, რადგან მამისაგან იცოდა, რომ გამდიდრებას, თავდაუზოგავი შრომა და მრავალი წელი სჭირდებოდა, ხოლო გაკოტრება ერთ დღემაც შეიძლებოდა. ერთი ხანობა შვეიცარიაში გაე-

მგზავრა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, იქიდან კანადაში ამოყო თავი და რამდენიმე თვის შემდეგ კარგად დახელოვნებული დაუბრუნდა თავის წარმოებას. ბანკიდან კრედიტი აიღო, შეიძინა ახალი მანქანა-დანადგარები და მთელი მონდომებით შეუდგა საქმეს. ყველაზე ძალიან მაშინ გაუმართლა, როცა კოკისპირული წვიმა მოვიდა მთელს ბავარიაში. ამას წვიმა კი არა, სტიქიური უბედურება შეიძლება ეწოდოს. კაკ-ლისოდენა სეტყვა ცერად ცვიოდა ციდან და სადაც შუშა დახვდა, სულ ნამსხვრევებად აქცია. აქ კი ერთი ვერნერი ასად კი არა, ათასად იქცა. გერმანელიც იქნება და დისკომფორტს აიტანს. დილით თუ შუშა ჩაემტვრა, საღამოთი მთელი უნდა ჰქონდეს. ჰოდა ამ ჩვენ ვერნერსაც იმდენი საქმე გამოუჩნდა რომ, დღე და ღამე არეული ჰქონდა. ეს სტიქიური უბედურება სტიქიურ ბედნიერებად ექცა. ბანკის კრედიტიც გაისტუმრა და ხურდაც დარჩა.

მერე გაკოტრებული ანდრეასი დიდი რისკის ფასად საკუთარ წარმოებაში მიიღო, კომპიუტერთან და პლოტერ-ავტომატთან მიუჩინა ადგილი, პარალელურად დიდი ობიექტებისათვის მასალის გაზომვა-შეფასებაც მიაწოდო. უაღრესად მაღლიერ ანდრეასს თავი არ დაუზოგავს ძვირფასი მეგობრის გულის მოსაგებად, მაგრამ შეცდომა ხშირად გაპარვია, ზოგჯერ სავალალოც კი. განრისხებული ვერნერი კი, მეგობრისთვის გული რომ არ ეტკინა, ჯავრს ყოველთვის სხვაზე იყრიდა ხოლმე.

შორიდან კაქტუსსა ჰგავს, ხოლო რომ მიუახლოვდები, ნალდი ვერნერია, რალაცნაირი, უჩვეულოდ თბილი.

საუბმე დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან წინ კიდევ შორი გზა გვეკონდა გასავლელი.

კუფშტაინ-ინსბრუკის მონაკვეთზე მერსედესის მარკის ავტომობილმა საკმაოდ სახიფათო მანევრი გააკეთა და ახლოს ჩავვიქროლა. რალაცნაირად ქართულად გამოუვიდა, გავოცდი, იმიტომ რომ გერმანელები ასეთ რამეს არ აკეთებენ. მიუხედავად დიდი სისწრაფისა, საჭესთან მჯდომი კბილებდაკრეჭილი მანფრედის სახე მაინც დავინახეთ.

მანფრედი რომ დიდი ჭინკაა ეს სახეზეც ეტყობა. საოცარი მსახიობური ნიჭი და გარდასახვის უნარი აქვს. არაფერი რომ არ მოიმოქმედოს, თქვენი მოყამული ხასიათის გამოსასწორებლად მისი გამომეტყველებაც იკმარება. მე და თამრომ პიტკინი შევარქვით, ცნობილ „მისტერ პიტკინთან“ საოცარი მსგავსების გამო. თვითონ მასზე წარმოდგენაც არა აქვს. ეს ინგლისელი თუ ამერიკელი მსახიობი ხომ ომის დროინდელ ნაცისტებს აშარყებს, ამ ფილმებს კი ეტყობა გერმანიაში არ უჩვენებდნენ.

ცენტრალურ სარკეში საჭესთან მჯდომი თამროს თვალებს ჩავამტერდი (დიდ გზაზე მგზავრობისას ის და ვერნერი ერთმანეთს ენაცვლებიან ხოლმე), მივხვდი რომ რალაც ჩაიფიქრა. ეს თქვენ ნაკლები ჭინკა ხომ არ გგონიათ? გადავინიე და ყურში ჩავჩურჩულე, რომ ტაკუნები ერთ ადგილზე დაეყენებინა. მართალია, რაც მას აქვს, იმას ტაკუნები არ ჰქვია, მაგრამ ასეთ დროს ხომ უნდა ასიამოვნო. არ გაჭრა, თან-

დათან უმატა სიჩქარეს და ისე მოხერხებულად გაუსწო, რომ ეს მანევრი შუმახერსაც კი შეშურდებოდა. პიტკინის გაოცებული სახე არ დაგვიანხავს, მხოლოდ წარმოვიდგინეთ.

საავტომობილო მოგზაურობის ბოლო პუნქტიდან, ანუ ავტომობილების გასაჩერებელი ადგილიდან ლავარელას ქობამდე სამანქანო გზა კი არის, მაგრამ ეს მხოლოდ ქობის მომსახურე პერსონალისთვის. ჩვენთვის, მთელი დღე მანქანაში მჯდომთათვის უკეთესიცაა ფეხის გამართვა, მაგრამ ზურგზე 7-დან 10კილომდე სიმძიმის ზურგჩანთა როცა გკიდია, ეს არც ისე ადვილია, თანაც ამ აღმართის დაძლევის საათნახევარი მაინც სჭირდება.

თავიდან ყველა სიცილისა და ლაპარაკის ხასიათზე იყო, დიდი ყრიამულით შევუდექით აღმართს. ცოტა ხანში კი მხოლოდ ხელჯოხების, მძიმე ნაბიჯებისა და შიგადაშიგ დაულალავი პიტკინის გადამდები სიცილის ხმა ისმოდა. ეს ის პიტკინია, სინამდვილეში მანფრედი რომ ჰქვია. ჯგუფში ორი მანფრედი და ორი ბრუნო გყავს. მანფრედ-პიტკინს თქვენ უკვე იცნობთ. მის მთავარ მშვენიებაზე კი ჯერ არაფერი მითქვამს, ეს გახლავთ მისი მეუღლე, მარად მოციხარი და უმშვენიერესი მაგდა. მეორე მანფრედი კი გვარად რუტცელი, ყოფილი ფეხბურთელი და უბადლო სპორტსმენი, ჯგუფის ყველაზე მსცოვანი წევრია. ამას პასპორტი თუ დაგიმონმებთ, თორემ ვერაფრით ვერ დაიჯერებთ, რომ ეს მორჩილი ტანის, მაგრამ საოცრად ჯანსაღი აგებულების კლდე-კაცი 77 წლისაა. ისე თავისუფლად შეუძლია 7-8საათის განმავლობაში, დამხმარე ჯოხების გარეშე აღმა-დაღმა სიარული, თითქოს დიდი ტურის წინ პატარა მოთელვას აკეთებდეს. ახლაც ზურგზე ჩანთამოკიდებული ისე არხეინად მიდის ციცაბო აღმართზე, თითქოს 15-20წლის ბიჭი ყოფილიყოს. ყველაზე წინ მამა-შვილი ბრუნო და საბინე არიან. საბინე 13 წლის იყო პირველად რომ გავიცანი. ახლა კი 18 წლის აშოლტილი ტანის, კვიცივით მკვირცხლი გოგოა. მამას ყოველთვის თან ახლავს. მათთვის სიძნელეები არ არსებობს, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში არიან. მამისა მესმის, პროფესიონალი ალპინისტია, ეს სიფრიფანა გოგო კი, რომელსაც მანეკენობა უფრო შეეფერება, არ მეგონა ასე მტკიცე ნაბიჯებით ტყე-ლრეში თუ ივლიდა, მაგრამ ხომ გაგიგიათ “კვიცი გვარზე ხტისო”. ეს ერთი შვილი ჰყავს ბრუნოს, 3 წლის ასაკიდან მარტომ გაზარდა. ცოლთან გაშორების შემდეგ, სასამართლომ ბავშვზე მეურვეობა მამას მიანდო. (აქ უკვე ცხადია, თუ რასთან გვაქვს საქმე) ბრუნოს ცოლი არ მოუყვანია და ალბათ არც არასოდეს მოიყვანს. სიტყვაძუნსა და პირგამეხებულ ბრუნოს, მომლიმარს მხოლოდ საბინესთან ურთიერთობისას დაინახავთ. ეს 40-45 წლის კაცი, თავისი დაკუნთული ფეხებით მძლავრად აბიჯებს დედამიწას და თითქოს ამით სხვებს კი არა, საკუთარ თავს უმტკიცებდეს თავის ძლიერებას.

მეორე ბრუნო გვარად ზიტგერი, ისიც მამა-ბრუნოსავით 40-45 წლის, სიმპათიური, საოცრად კეთილშობილი ბუნებისა და გარეგნობის უცოლო კაცია. პროფესიონალი ალპინისტია,

მაგრამ მძლეოსნობაში მსოფლიო მარათონის მუდმივი მონაწილეა, რომელიც საკუთარი კონდიციის შესამონმებლად და სხეულის გასაკაჟებლად, რეგულარულად დადის მთებში და იპყრობს სხვადასხვა სიმაღლის მწვერვალებს. მასსავით სტაჟიანი მარათონელია ერვინ იეგერი, ეს შავგვრემანი ხმელი კაცი, რომელიც იტალიელს უფრო ჰგავს, ვიდრე გერმანელს, ჩემპიონიც კი გამხდარა ერთ-ერთ მარათონში. ეტყობა, ეს მარათონი აერთიანებს ბრუნოს და ერვინს, რადგან სულ ერთად დადიან და სალაპარაკოც არ ელევათ.

ქობი ჰქვია, თორემ ისე პატარა ხის სასტუმროა, რომელსაც დასაძინებელი ნომრებიცა აქვს და რესტორანიც. მე და თამრომ ქანცვანყვეტილებმა სვენებ-სვენებით ძლივს მივალნით ქობამდე. თითქმის ყველამ მიგვასწრო. თუმცა, მარია და იოზეფი ჩვენს შემდეგ მოვიდნენ. რას ვერჩი მარიას, 70 წლის ქალია და დღემდე არც ერთი ექსპედიცია არ გაუცდენია, საოცარი შემართება და სიცოცხლის ფინი აქვს. აი იოზეფი კი იმიტომ კი არ ჩამორჩა, რომ სიარული გაუჭირდა... ისიც 70 წლისაა, მაგრამ ასაკი აქ არაფერ შუაშია, სუსტები და ავადმყოფები ასეთ ექსპედიციაში მონაწილეობას არ ღებულობენ, უბრალოდ რამდენჯერმე სპეციალურად ჩამოგვრჩა და ბუჩქებში განმარტოვდა, ეტყობა კუჭში რალაც გაუმიზეზდა. აი, ალბერტის დაგვიანება კი ნამდვილად არ გამკვირვებია. ეს მეცნიერი კაცი ბუნებაში ყველაფერს აკვირდება. პროფესიით ავიაკონსტრუქტორია, მაგრამ მისი ცოდნა იმდენ სფეროს მოიცავს და კიდევ იმდენი რამით ინტერესდება, რომ ნამდვილად გაგაოცებთ. შეუძლია გზიდან გადაუხვიოს და რალაცას მიაშტერდეს. ნამდვილი აინშტაინია. ყველანი ქობის ტერასაზე ისხდნენ, ხელჯოხები და ზურგჩანთები იქვე მიეწყობოთ და ლუდს მიირთმევდნენ. ზოგს ორი კათხა ლუდის დაღვევაც კი მოესწრო.

ერთ პატარა გასეირნებას კი მოვასწრებთ, ჯერ 6 საათია — თქვა ჯგუფის ხელმძღვანელმა გერტ ჰოფმანმა და თავისი სავიზიტო ბარათი, ანუ გაშავებული წინა კბილი გამოაჩინა.

ლამაზი კაცია გერტი, შეიძლება ითქვას უნაკლოც კი, მაგრამ ჩანიკნიკებული და გაკრიალებული ჯანსაღი კბილების ფონზე ამ ერთი შავი კბილის გამოჩენა ისევე მენახაშუშება, როგორც მოლივლივე ტბაში, თეთრი გედების შუაგულში შავტუხა იხვის ჭყუმპალაობა. დაუოკებელი სურვილი მიჩნდება, რომ ეს აბეზარა იხვი ან თეთრად გადავლებო, ან ვტაცო ხელი და იქიდან გავაძევო. გერტს კი ეს შავი იხვი სულაც არ ანალვლებს. ის კი არა, მგონი ნამცეცხებსაც კი უყრის და მისი შემყურე კარგადაც ერთობა.

ვასშამი 8 საათზეა. გამოდის რომ გასეირნება მართლაც ხანმოკლე იქნება. ლუდი რომ დავლიო, მოვითენთები და ისედაც დალიოლს, ვიცი სიარული დამეზარება. ამიტომ რადღერო შევუკვეთე (რადღერო ლუდისა და ვაშლის წვენის ნახავია), ზურგჩანთისაგან დამძიმებული მკლავები საზურგეზე გადავკიდე და ხმელ მერხზე შეძლებისდაგვარად მორგებულად დავჯექი. თამრომაც მომბაძა იმ განსხვავებით,

რომ დაღლილი ფეხები მოპირდაპირე მერხზე შემოაწყო და რადღერთან ერთად ყავაც შეუკვეთა.

ბენდიერების განცდა რადღერთან ერთად დაეფლა ჩემს დაღლილ სხეულს. თავი უკან გადავავდე, თვალეები ოდნავ დავხუჭე და თავი წრიულად დავატრიალე. ლურჯი ცის ფონზე, უზარმაზარი მთის მასივები ჩემთან ერთად დატრიალდა და თავი ფრინველად წარმოვიდგინე. ბავშვობაში დიდი მეოცნებე ვიყავი (თუმცა არც ეხლა ვაკლებ) და ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ფრენაზე ვოცნებობდი, ოღონდ მხოლოდ საკუთარი ფრთებით. თითქოს ახლა ამიხდა ეს ოცნება. ასე გარინდული დავფრინავდი ჩემთვის მაგრამ ვინ მაცალა.

— აუფგეეტს! — გაისმა გერტის ომახიანი ხმა და ჯარისკაცული სისწრაფით ყველა ადგილიდან წამოხტა.

ამ პატარა გასეირნებით ქოხიდან ჰკმ-ის რადიუსში პატარ-პატარა ბორცვები დავლაშქრეთ, თან დასალაშქრი ტურების სასტარტო მილდები დავათვალიერეთ და მოვიწინეთ. საათნახევარში ჩავეტიეთ და ვახშამად 15 წუთიც მოვიტოვეთ დასაბანად და ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

გასეირნებისას მე და თამარს ირენე გვერდიდან არ მოგვემორებია. ირენე გერტის ცოლია. მალალი, ქერა ლამაზი ქალი ჩვენი ოჯახის ახლო და ერთგული მეგობარია. გერტი და ირენე ვერნერისა და თამარის მეგობარები არიან. ბუნებრივია, სალაპარაკოც ბევრი დაგვიგროვებოდა. ამასობაში ისე მოგვევივდა, ერთი სული გვექონდა, ვახშამდ როდის დავსხდებოდით.

არცთუ ისე პატარა სატრაპეზო დარბაზი, ძველებურ სტილში იყო მოწყობილი თავისი ბუხრითა და ლამფებით. ნადირის ტყავის საფენებითა და კედლებზე მიმაგრებული სხვადასხვა ნადირის ფიტულეებით. ძველებური ფარდებითა და მუსიკალური საკრავებით. უშველებელი მორებით შეკრული დაბალი ჭერი კი საოცარ სიმყუდროვეს ქმნიდა. ჩვენს გარდა ამ ქოხს კიდევ რამდენიმე ალპინისტი სტუმრობდა, რომლებიც ჩვენგან მოშორებით პატარა მაგიდასთან ისხდნენ.

ჩვენთვის გრძელი ხის მაგიდა იყო გამოყოფილი, სადაც 20-25კაცი თავისუფლად დაეტეოდა. დაბანილ-გაპრანჭული ყველა უკვე მაგიდასთან იჯდა და მოუთმენლად ელოდა სასმელის ჩამოტარებას. ზოგიერთმა ლუდი შეუკვეთა. ისე კი გერმანელები ვახშამზე ძირითადად ღვინოს მიირთმევენ ხოლმე. ჩვენ რა თქმა უნდა წითელი მშრალი ღვინო მოგვართვეს, ვერნერის საყვარელი იტალიური "ფერნაჩი". ვიდრე საჭმელს მოგვიტანდნენ, ენა არავის გაუჩერებია, ერთი ყავანი და ჭიქების ჭახაჭუხი იყო ატეხილი. ყველაზე მეტს ტერეზია ვალცი ლაპარაკობდა და ხმამაღლა იცინოდა. ეს ქალბატონი, მემოკლებით რეზის რომ ეძახიან, ჩვენს საზოგადოებაში დიდი პატივითა და სიმპათიით სულაც არ სარგებლობს. თუმცა ამ გაერთიანების სტაჟიან წევრად ითვლება და ყოველი ექსპედიციის წინახალ-ახალ პარტნიორებს წარუდგენს ხოლმე ჯგუფის წევრებს. ეს ზედმეტად გადაპრან-

ჭული ქალბატონი ამჯერად მარტო გახლავთ. მარმან მაგან დრო გვატარებინა... (გახსენებაც არ მინდა), ეგ ცალკე მოსაყოლი თემაა.

— უკვე ხუთი წელია, რაც შვეებულეებს ესპანეთში, ერთსადაიმავე სასტუმროში ვატარებ და ძალიან კმაყოფილი ვარ. — თქვა ამაყად რეზიმ და ღვინო მოწრუპა.

— ერთსადაიმავე ქვეყანაში და მით უმეტეს სასტუმროში რა დამასვენებს — დამცინავი ტონით უპასუხა ირენემ და თავი ჩვენსკენ შემოაბრუნა.

— ოხ, რას ამბობ, იქ ისე მოგმინაურდი, რომ თავს ნამდვილი დედოფალივით ვგრძნობ.

— ჰო, მთავარი შენთვის დედოფლობაა. — ეს უკვე ჩვენსკენ შემოტრიალებულმა ირენემ სარკასტულად წარმოსთქვა, რომელიც ადრესატს არც გაუგია, ისე არხეინად წრუპავდა ღვინოს და თავის ესპანურ შთაბეჭდილებებს მარიას უზიარებდა.

— ამ ბოლო დროს გერმანიაში ისე საგრძნობლად შეიცვალა კლიმატი და ისე დათბა, რომ დასასვენებლად უცხოეთში წასვლა აღარც კი დაგვეჭირდება — თქვა იოზეფმა.

— ჩვენ ცოტა დასასვენებელი ადგილები გვაქვს თუ რა, მთები გინდა, ტბები, მდინარის ნაპირები თუ ტყეები. მარტო ელბის სანაპიროები რად ღირს. წელს ზად-მანდაუში ვისვენებდი და იქიდან აღფრთოვანებული დავბრუნდი, ეს რა საგანძური გვექონია და არც კი ვიცოდით. — თქვა თვალეებანთებულმა მაგდამ და თან პიტკინი მოწმედ მოიყვანა.

— უფ, ეგ ხომ აღმოსავლეთ გერმანიაშია, მანდ როგორ დადიხართ. — ცხვირაბზეებით, და ტურების ბრეცვით ბრძანა ქალბატონმა რეზიმ.

— რას ჰქვია აღმოსავლეთი, — წამოხტა გაფიცებული თამარა — სანამ კედელი გყოფდათ, ერთ ამბავში იყავით, ახლა საკუთარ ხალხზე ისე ლაპარაკობთ, თითქოს სხვები ყოფილიყვნენ. ეს ხომ თქვენი სამშობლოა.

— იმათ მაინც სხვა მენტალიტეტი აქვთ — ჩაიბურტყუნა ერვინმა.

— რა მათი ბრალია, რომ რუსების ხელში მოხვდნენ, ხომ შეიძლებოდა პირიქით მომხდარიყო და თქვენ აღმოჩენილიყავით მათ ადგილზე, მამ ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, მე და ეთომ, რამდენი წელი ვიყავით კომუნისტების ხელში და ხომ ხედავთ, ახლაც არ გვეშვებიან. ამიტომ ჩვენც იზოლაციაში უნდა მოვექცეთ? — მრისხანებას ვერ მალავდა თამრო.

ყოფილმა საბჭოელმა ანდრეასმა და უტამ მადლიერებით გაუღიმეს თამარს, ხოლო დანარჩენებმა დაირცხვინეს.

— თქვენ ხომ თქვენი ნებით შეუერთდით რუსებს, მე თქვენ ისედაც რუსები მეგონეთ, სალაპარაკო ენა ხომ ერთი გაქვთ — ბრძნული აზრები გადმოაფრქვია რეზიკომ.

ოოოო, აქ უკვე ვერნერი გასაკავებელი გახდა — რას ქვია ერთი ენა, სად იყვნენ რუსები, ქართველებს რომ ენა და დამწერლობა ჰქონდათ (კიდევ კარგი თვალსაჩინოებისთვის მღრღნელი არ მოიტანა, თორემ ენა კბილებში გაეჭყდებოდა და ველარაფერს იტყოდა), მათი ისტორია

უძველესია მსოფლიოში. ქრისტიანობა კი მეოთხე საუკუნეში აქვთ მიღებული და მთელი არსებობის მანძილზე, მუსულმანებთან ბრძოლაში უამრავი სისხლი აქვთ დაღვრილი. ამ სისხლის ფასად, დღემდე მოიტანეს თავი და სარწმუნოება. — ისე ხმამაღლა გამოუვიდა, რომ უცნობი სტუმრებიც კი ჩვენსკენ შემოტრიალდნენ.

— მამ როგორ მოხვდით რუსებთან? — დააფახულა გაცხელებული თვალები რეზიკომ.

თამარამ ღრმად შეისუნთქა და ის იყო უნდა დაენყო, რომ ვახშამიძე შემოიტანეს. ვის ახსოვდა საქართველო და რუსეთი, იმისთანა დანაჩანგლის ხელჩართული ბრძოლა ატყდა მაგიდაზე.

ლორის შემწვარი ბეჭისა და გემრიელ სოუსში ჩადებული კლოზებით დანაყრების შემდეგ, დაწყებული თემის მიმართ ინტერესი არავის განულებია. ის კი არა და, ალბერტი ჯერ კიდევ ლორს ეჭიდებოდა, თამარს რომ ჰკითხა — როსებმა 1921 წელს გაგანითლეს, არა?

— ეჰ, — ამოიოხრა თამარმა — განითლებამდე ჯერ დაგვალურჯეს, ჩვენი თავი ოსმალებს მიუგდეს და მერე, განახევრებული და არაქათგამოცლილები ადვილად ჩაგვიგდეს ხელში. XVI საუკუნეში ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლა, პატარა საქართველოს კი არა, ევროპასა და რუსეთსაც კი უჭირდა. სწორედ ამ პერიოდში იწყებს რუსეთი გაძლიერებას და მისი იმპერიული ამბიციების სფეროში კავკასიაც ექცევა. რა თქმა უნდა რუსეთს სულაც არ ანაღვლებდა ქართველების ბედი. მისთვის მთავარი იმპერიის გაფართოება გახლდათ. რუსეთ-საქართველოს შორის პირველი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი XVIII საუკუნეში ვახტანგ VI დროს დამყარდა. პეტრე I-მა ვახტანგ VI-ს მუსლიმანების წინააღმდეგ სამხედრო მოკავშირეობა სთხოვა, თუმცა შემდეგ თურქეთსა და ირანს მარტოდმარტო შეგვატოვა, რაც ქართველების სრული კრახით დასრულდა. რუსეთს სწორედ მაშინ სურდა დასავლეთისაკენ (შავი ზღვის გავლით) გასასვლელის გაჭრა, რაც მაშინ არ გამოუვიდა, ამიტომ პეტრე I იძულებული გახდა „ფანჯარა ევროპაში“ ბალტიის ზღვიდან გაეჭრა. XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთმა მეტიც კიდევ გადაწყვიტა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის თავისი გავლენის სფეროში მოქცევა. მოტყუებით გაგვიფორმა გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველოში ჯარი შემოიყვანა, სამეფო ტახტი გააუქმა და ზედ საქართველოს ავტოკეფალიაც მიაყოლა. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ტყუილი და ლალატი გამოავლინა რუსეთმა. 1921 წელს კი წითელი არმია სამი მხრიდან შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლის მდინარეები დააყენა და საქართველო გაანითლა.

— თქვენ თავის დროზე ნეიტრალიტეტი რომ გამოგეცხადებინათ ყველაფერს აჯობებდა. — თქვა გერტმა და თანაგრძნობით მოგვაჩერდა.

აქ უკვე მე ჩავერთე — საქართველო ნეიტრალური ვერასოდეს ვერ იქნება, რადგან გეოგრაფიული მდებარეობა არ გვინცობს ხელს. ან თურქეთი შეგვჭამს, ან რუსეთი.

— მე მაინტერესებს, როდესაც ქვეყანა

ნეიტრალიტეტს აცხადებს, სამხედრო თვალსაზრისით დაცული არის? — იკითხა ბრუნომ.

— ასეთ შემთხვევაში მეზობელი სახელმწიფოები თანხმდებიან. შვეიცარიის შემთხვევაში გერმანია, საფრანგეთი და ავსტრია შეთანხმდნენ. ამის მიზეზი ფინანსების დაცვა იყო. — თქვა ალბერტმა.

— ჩვენს შემთხვევაში თურქეთმა, რუსეთმა, აზერბაიჯანმა, სომხეთმა და სხვა ქვეყნებმა უნდა მოილაპარაკონ და თავდაუსხმელობის გარანტიებიც მოგვცენ., მაგრამ ეს არასოდეს მოხდება. — დაბეჯითებით თქვა თამარმა.

ალბერტი წინ გადმოიხარა და თითქოს რაღაც საიდუმლოს ამბობსო, დაიწურჩულა — ეს ქვეყნები ვალდებულებას კი იღებენ, რომ სხვის საქმეში არ ჩაერევიან, მაგრამ იცით თქვენ, რომ გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტი ორივე ომის დროს დაარღვია? როგორ გგონიათ ამ შემთხვევაში რუსეთისაგან დაცული იქნებით?

ალბერტის ამ გამოსვლამ ცოტა არ იყოს, ზოგიერთებს განწყობილება გაუფუჭა.

— ბოლოს და ბოლოს ქვის ხანა ხომ აღარ არის, XXI-ე საუკუნეში ვცხოვრობთ — რიხინად წარმოთქვა დიდმა მანფრედმა.

— ეს საუკუნე არაფრით განსხვავდება წინა საუკუნეებისაგან. დღეს რა ნაკლები ომებია? როცა პირსისხლიან დიქტატორს იმპერიული ზრახვები ამოძრავებს, ის კალენდარს არ უყურებს — ბრაზი გამერია ხმაში.

— მამ ამ პლანეტაზე სამართალი არ ყოფილა და ეგაა — თქვა კეთილშობილმა ბრუნომ და დიდი ცისფერი თვალები კითხვით მომანათა.

— სამწუხაროდ ასეა, — ვთქვი მე — როცა ბრალდებული მოსამართლის სკამზე ზის და განაჩენი გამოაქვს, რომელ სამართალზეა ლაპარაკი.

კიდევ კარგი ტკბილი ჩაროზი დროზე ჩამოატარეს და სუფრაც გამხიარულდა, თორემ ყველას კი არ აინტერესებდა ეს საჭირობოროტო საკითხები, თან ცოტა მოშორებითაც ისხდნენ და კარგადაც არ ესმოდათ.

გერმანელები რომ დიდი ღვინის მსმელები არიან, ეს შეიძლება ყველამ არც იცოდეს.

განსაკუთრებით კარგი, ნოყიერი ვახშმის მერე უყვართ დალევა. ქართველებზე მეტი ღვინის დალევაც შეუძლიათ და კარგად დათრობაც, მაგრამ ჩვენსავით ერთბაშად კი არა, ნელა, ყლუპ-ყლუპად სვამენ. თანაბრად და ზომიერად ეკიდებათ ღვინო და არც გონებას კარგავენ. ახლაც, ჩაფი ჩაფს ენაცვლება, თვალებიც აუყუყუნდათ. სასმელის ფულს ყველა თვითონ იხდის. წესია ასეთი. (მე და თამრო ამ მხრივ ვერწერისაგან განებივრებულები ვართ) თუმცა, ასეთ დროს გულუხვებიც ხდებიან. შეუძლიათ თავის ხარჯზე თითო ჭიქა ღვინო ჩამოატარონ. მე უფრო ხშირად მნაფსის ჩამოატარებას შევსწრებივარ. ეს რა თქმა უნდა უფრო იაფი ჯდება. ამჯერად ერთი ჩამოატარება ღვინო ვერწერმა იკისრა. ეტყობა ლაპარაკის იმტაზე მოვიდა და თანაც, არ უნდოდა ადრე დავშლილიყავით. ხვალ სერიოზული ლაშქრობა გველოდა და რადგანაც ყოჩაღად უნდა ვყოფილიყავით, შესაძლოა დასაძინებლად სათითაოდ გაკრეფილი-

ყვინ.

გვეგონა უსიამოვნო თემებზე ლაპარაკს მოვრჩით, მაგრამ ხომ ვითხარით, აინტერესებს ყველაფერი აინტერესებს მეთქი და შემდეგი კითხვაც ალბერტმა დასვა: — ამისხენით ერთი, ეს აფხაზები და ოსები ვინ არიან და რა პრეტენზიები გაქვთ მათთან?

— ჩვენ პრეტენზიები არავისთან არა გვაქვს. — შევიცხადე მე. — ჩვენს მიწაზე ცხოვრების უფლება ყველას აქვს, მით უმეტეს აფხაზებს. მაგრამ მათი ხელით ჩვენი ტერიტორიების გაჩუქების უფლებას კი არავის მივცემთ. აფხაზები ძირძველი ქართველები არიან. ჩვენ ერთი ისტორია გვაქვს და ისტორიული ძეგლებიც ამაზე მეტყველებენ. აი ოსები კი ჩვენს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულები არიან. ქართველებს მეზობელ ოსებთან საუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს. ასწლეულების მანძილზე ისინი ჩვენ ხან მტრებად, ხან მოკავშირეებად გვევლინებოდნენ. ოსები კარგი მეომრები იყვნენ და ქართულ ჯარში დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურობდნენ, მაგრამ ყოველთვის ცდილობდნენ საქართველოში დამკვიდრებას. ისინი კავკასიონის ჩრდილოეთიდან თანდათანობით სამხრეთ ფერდობზე გადმოსახლდნენ. მათ გადმოსახლებას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, რადგან ქართველ მეფეებსა და თავადებს ყმა-გლეხები სჭირდებოდათ, რომლებიც მტრის შემოსევებისაგან გაჩანაგებულ ტერიტორიებზე დასახლდებოდნენ და მიწას დაამუშავებდნენ. ასე უნოდეს თავად ქართველებმა, თანდათან კომპაქტურად ოსებით დასახლებულ ტერიტორიას ოსეთი., ხოლო როდესაც 1921 წელს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ხელახალი ანექსია, ამ ჩვენ ძირძველ ქართულ მიწას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უწოდა. ანალოგიურად მოიქცა აფხაზეთის შემთხვევაშიც. “დაყავი და იბატონე” — ს პრინციპით. ამ ოლქებში თანდათანობით გააღვივა სეპარატიზმი და როგორც კი საქართველოში დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ზრუნვა დაიწყო, საჭიროებისამებრ აამოქმედა ეს ჩადებული “ნაღები”.

— ჰმ, ნაცნობი სცენარია. — ჩაელიმა ალბერტს. — რას იზამთ, უნდა შეეგუოთ, ჩვენ რა, ნაკლები ტერიტორიები დაგვარგეთ? სიღეზია, ელზას-ლოტარინგია, სუდეტის მხარე, აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსია... არც ჩვენთვის იყო ადვილი, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ყოველგვარ ტკივილს დრო აყურჩებსო.

— ეს ის ტკივილი არ არის, თქვენ რომ გგონიათ, ეს სხვა ტკივილია — ყელში ბურთობოჯენილმა თქვა თამრომ და ბოლო სიტყვას ცრემლებიც მოაყოლა.

ღვინო საკმარისზე მეტი გვექონდა დალეული და ხომ მოგეხსენებათ გრძობამორეულზე ცრემლი ბაცილასავით გადამდებია. ამიტომ სასწრაფოდ განმუხტვა იყო საჭირო. ვერნერმა კედლიდან ძველებური გიტარა ჩამოხსნა და ხელებში მომაჩეჩა. რა მემღერებოდა, მაგრამ, ერთი ხანობა მარტო ვმღეროდი, რადგან თამარას ყელში რაღაც ეჩხირებოდა და მერე კი, როდესაც ორ ხმაში “სულიკო” ვიმღერეთ, თითო

ცრემლის მარგალიტი თვალზე ყველას ეკიდა.

იმ საღამოს ბევრი ვიმღერეთ. ქართული, გერმანული და რუსული სიმღერებიც. ბოლოს კი ეს ყველაფერი გერმანელ მთამსვლელთა სიმღერით დავაგვირგვინეთ და დასაძინებლად წავედით.

დილის ნოყიერი საუზმე გერმანელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ზუსტად რვა საათზე ჩვენს ტრადიციულ მაგიდას ერთი კაციც არ აკლდა. ყოველ ოთხ კაცზე თითო მოზრდილი ჩაისა და ყავის თერმოსი იყო გათვალისწინებული. ჩემს მონაკვეთში ჩემს გარდა ჩაი არავის დაუღვია. ყავას მხოლოდ შუადღეზე ვსვამ. დილაობით მადასაც ვუჩივი, მაგრამ ახლა სხვა გზა არა მაქვს, კარგად უნდა დავნაყრდე, რადგან სერიოზულ ტურში მივდივართ და ვიცი, დიდი ენერგია დამეხარჯება. მართალია სადილზე თან წაღებული “ბუტერბროტ”-ით წავიხემსებთ, მაგრამ ვახმამდე გაძლება ხომ გვინდა.

მდიდრული საუზმით კარგად დანაყრებული და დიდად ნასიამოვნები ჯგუფის წევრები, გერტის ერთ დაძახილზე წამოვიშალეთ და ჩვენი ისტორიული ქრონიკისათვის ტრადიციული ჯგუფური ფოტოც იქვე, ქოხის ეზოში გადავიღეთ.

როგორც კი ჭიშკარს გავცდით, მანფრედ პიტკინმა საკმაოდ ომახიანი სიმღერა წამოიწყო, რასაც სხვებიც ხალისიანად აყვინენ. ახლა უფრო ლოგიკურად ჟღერდა ნუხანდელი გერმანული მგზავრული.

საოცარი ბუნება გადაიშალა ჩვენს თვალწინ, უშველებელი მთის მასივები ულამაზესი ფერებით. უფრო მოშორებით კი, მენამული კლდის კალთებზე, ალაგ—ალაგ ფარდასავით ჩამოშვებული ქათქათა ღრუბლები ისე გვწუსხავდნენ, თითქოს უჩვეულო სანახაობაზე გვეპატიჟებოდნენ ცნობისმოყვარე მგზავრებს.

ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ დღეს რთულ ტურში წავიდოდით. ჩვენს მიზანს ერქვა „ჰაილიგკროიციოფელი“ + “ცენერშიცი“ სიმაღლე 3026 მ. დაახლოებით 3კმ- ის გავლის შემდეგ თავი ამოვყავით წინწნარში. ტყე თანდათან უღრანი ხდებოდა. გზა ზოგან ძალიან ვიწროვდებოდა, მაგრამ სიმაღლეში მაინც ყოჩაღად მივინევდით და მარკირებულ წითელ ზოლს მივყვებოდით. აღმართს მკვეთრი დაღმართი ცვლიდა. დაღმართი თამროსთვის ყველაზე ადვილად დასაძლევია და წარმატებული მონაკვეთია ხოლმე, სადაც პირველობას არავის უთმობს, რაზედაც ვერნერი გულიანად იცინის და ხალისიან კომენტარებს არ იშურებს. საერთოდ, წინწნარში დაღმასვლა უფრო ძნელია, ვიდრე აღმა, რადგან წინწნებიან ნიადაგზე ფეხი ძალიან ცურავს, მითუმეტეს ნანვიმარზე. ამ დროს ადვილად შეიძლება დაცურდე და კისერიც მოიტეხო. ჰოდა ამ ჩვენს ჩემპიონობამონყურებულ თამარას ფეხი დაუცურდა და თავქვე დაეშვა. ბედად იქვე ამოზრდილ ბებერ ნაძვს ისე მიასკდა და შემოეხვია, როგორც დიდი ხნის უნახავ ვერნერს. ჭკუა ისწავლა, ახლა უკვე ნიადაგს სინჯავდა და ფრთხილად აბიჯებდა. მართალია თავქვე სიარული მოგვწონს, მაგრამ სულაც არ უნდა გვიხაროდეს, რადგან ასეთ დაღმართს ორჯერ მეტი აღმართი მოს-

დევს და ასეთი მონაკვეთები არა და არ იღევა. კარგა გვარიანად დავიქანცეთ. გზაში მთავარი წყალია. ხშირად უნდა ვსვათ და თანაც პატარა-პატარა ყლუპებით. ამიტომაც გვიდევს ზურგჩანთებში ყველაზე მეტი წყალი. სწორედ წყლის გამო იყო, შარშან რეზიმ რაც დაგვმართა. საქმე იმაში იყო, რომ წინა დღის რთული ტურით გადაღლილმა ექვსმა კაცმა გადავწყვიტეთ, რომ ჯგუფს აღარ გავყვებოდით და იქვე ახლომახლოს პატარა ლაშქრობას მოვანყობდით და ვახშამდ დროს ბუნებაში მოვკლავდით. დილით, როდესაც მაგარი ბიჭები რთულ ტურში გავაცილეთ და გზიდან გადავუხვებით, ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ერთ პატარა ჩანჩქერთან დიდ ლოდზე ჩამომჯდარი ქალის ფიგურა დავხვდებით. იქით წასვლას სულაც არ ვაპირებდით, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წაგვძლია. ამ უკაცრიელ ადგილზე ლორელაის* მეტი ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ თმის სიგრძე არ ემთხვეოდა, თან გვერდზე დიდი ხურჯინი მოედო და კი არ მღეროდა, არამედ თავის თავს ელაპარაკებოდა. რომ მივუახლოვდით, ხურჯინი ზურგჩანთად გადაიქცა, ხოლო ლორელი—ტერეზია ვალცად.

— მეც თქვენთან ერთად გადავწყვიტე წამოსვლა. — თქვა და ლოდიდან კეკლუცად ისკუპა.

როგორც ძალს სჭირდება მეხუთე ფეხი, ჩვენც ისე გვჭირდებოდა რეზიკოს შემომატება, მაგრამ ბუნებაში ციფრი 7 ხომ საკრალურია. ფერთა გამას კი იმ შვიდიდან ერთიც რომ დააკლდეს, ცისარტყელა ვერ იქნებოდა. ოქტავასაც ერთი ბგერა რომ დააკლდეს, ჰარმონია დაირღვეოდა და კვარტსექსტაკორდი (სექს)-ის გარეშე დარჩებოდა. არ ვიცი რეზიკო ამ შვიდიდან რომელი ფერი იყო, ან იმ ბგერებიდან რომელი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჩვენი სექსტეტი “ბრწყინვალე შვიდეულად” გადაიქცა.

ჩვენს ჯგუფსაც არ აკლდა მაგარი ბიჭები. ანდრეასი და ვერნერი მხოლოდ იმიტომ დარჩნენ, რომ ქალები მარტო არ დავეტოვებინეთ, ხოლო პიტკინს, გუშინდელი ლაშქრობისას თავი ძველმა იარამ (მენისკმა) შეახსენა (პიტკინი მოქმედი ფეხბურთელია, რომელიც ადგილობრივ გუნდში წამყვან მოთამაშედ ითვლება) და იფიქრა, განტვირთვის დღეს მოვიწყობო. “ჰმ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო” ეს ქართული ანდაზა ვერნერს ძალიან მოსწონს.

ტყემ საკმაოდ ღრმად შეგვიტყუა. ბოლოს როგორც იქნა გამოვედით ტყიდან და კლდოვანი მთის მასივებში დიდხანს მივდიოდით ხრემიან აღმართზე. ცოტა სასუსნავი კი გვედო ყველას ჩანთაში, მაგრამ იმის გამო, რომ შორი მანძილი არ გვქონდა გვეგამაში, სათანადო რაოდენობის წყალი არ მოგვიმარაგებია. თან იმის იმედიც გვქონდა, რომ ასეთ ადგილებში ყოველ 10 კმ-ში მოქმედი ქოხი შეგვხვდებოდა და შუადღისათვის ცივ ლუდს ხომ უქვავლად დავლევდით და

ზედ ნალებიან “აპფელშტრუდელსაც” (ეს გახლავთ საყოველთაოდ ცნობილი გგერმანული ვაშლის ღვეხელი.) მივყალობდით.

მე და თამრო გაქანებულ კამათში ვიყავით, (ასე იცის ხოლმე, როცა დამიმარტოხელებს, შემდეგ და შემდეგ, გასაქანს არ მადლევს. იცის, აქ ძალიანაც რომ მოვიხდომო, ვერსად გავიქცევი, თუ ჩამოვრჩი, ისიც ჩამორჩება და სათქმელს მაინც მეტყვის. რას ვერჩი, დაა და გული შესტკივა. ვერაფრით ვერ მშატიობს, რომ ერთი კაცის სიყვარული ავიხირე, მის მოლოდინს შევალე ჩემი ახალგაზრდობა და სიცოცხლე გავიმწარე. განა სიმართლეს არ ამბობს, მაგრამ რა ვქნა, თუკი გრძნობები ჩემს ძალებს აღემატება და არაფრის შეცვლა არ შემიძლია. მარტო თამარა კი არა, მთელი ჯგუფი ცდილობს ეს ჩემი ჩურჩუტი თავი ან ერთი ბრუნოსკენ მიმიბრუნოს, ან მეორე ბრუნოსკენ, მაგრამ უშედეგოდ.) რომ უცბად მეკითხება: — ერთი შეხედვით რეზის, გზადაგზა შარდავს, თუ მეჩვენება. მეც დავაკვირდი ჩვენს წინ მიმავალ რეზის და ვხედავ, რომ ფეხებსშუა წყალი ჩამოსდის. უფრო ახლოს რომ მივედით, რას ვხედავთ, შინდისფერი ზურგჩანთა სულ მთლად დასველებულა და ნახვრეტიდან წყალი ჟონავს.

— უი, გაიოცა რეზიმ და სველ შარვალზე დაიხედა—ზურგზე სისველე კი ვიგრძენი, მაგრამ ოფლი მეგონა და ყურადღება არ მივაქციე. ზურგჩანთა მოიხსნა და აღმოჩნდა, რომ წყლის თერმოსისათვის თავი კარგად არ დაუხურავს, თან თავდაყირა ჩაუდგია და მთელი წყალი გადმოიღვარა. — აფსუს, დამელია მაინც, როგორ მწყურია, მაგრამ არა უშავს, ალბათ ქოხიც მალე გამოჩნდება და წყალს კი არა, ჩაციებულ ლუდს დავლევ. — ისტიბარი არ გაიტეხა რეზიმ.

თუ ასე გწყურია, აჰა, ჩემი წყალი დალიე. — ვთქვი მე და დიდსულოვნად გავუნოდე ჩემი მათარა.

რეზიმ მადლობა მითხრა და მათარა გამოცალა. მერე სველი შარვალი გაიხადა და აკიდებულ ზურგჩანთაზე გასაძრობად გადაკიდა. ასე საცვლების ამარა, მარვალჩამოკონწიალებული მოდიოდა მთელი გზა. კაცები წინ მიდიოდნენ და შიშველ რეზის ვერ ხედავდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა საეჭვოდ გაინელა გზა და ნანატრი ქოხიც არსად არ ჩანდა, შეფიქრიანებულები გაჩერდნენ და ბჭობა დაიწყეს, მერე რუკა გამალეს და ადგილმდებარეობის დაზუსტებას შეეცადნენ. სწორედ იმ მომენტში, როდესაც სამი რაინდის სამი წყვილი თვალი, წვრილად ჩახუჭუჭებულ ქედებსა და ბორცვებს შორის ჩაკარგულ ნითელ კლაკნილ ხაზს ჩავლებას უბრუნებდა, ერთი წყვილი თვალი საოცრად მკვეთრი მოძრაობით სულ სხვა ბორცვებს მიაშტერდა. ეს გახლდათ ანდრეასი, რომელმაც რეზის თეთრი გამჭვირვალე ტრუსების დანახვისას გაოცება ვერ დამალა და ხმამაღლა გადაიხარხარა. რეზის ნირიც არ შეცვლია, ისევ არხეინად განაგრძო გზა.

რალა ბევრი გავაგრძელო და ასე გზაბნეულები დავდიოდით მთელი დღე სასმელისა და საჭმლის გარეშე. “აპფელშტრუდელსა” და ცივ ლუდს ვინ ჩიოდა, ერთი ყლუპი წყალი გვენატრებოდა. მერე, თაკარა მზეში უთავბოლო

* ლორელია — გერმანული ეპოსის პერსონაჟი, რომელიც მდინარე რაინის ნაპირას მალაღი მთის წვერზე იჯდა და თავისი სირინოზის ხმითა და ოქროსფერი დალალებით ხიბლავდა ნაოსნებს, რომლებიც მისი ცქერით მონუსხულნი მდინარის მორევში იღუპებოდნენ.

სიარულისაგან, რეზის ლამის გული შეუღონდა და ჩვენი უკანასკნელი წყლის წვეთებიც მან შეინირა. ნაპირზე გარიყული თევზებივით პირდაფრენილები დიდხანს მივლასლასებდით. ბოლოს სადღაც წყლის ხმა მოგვესმა და ცოტა იმედი მოგვეცა. წყალს კი მივუახლოვდით, მაგრამ სიმაღლე გვაშორებდა. კალაპოტამდე კი ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. საკმაოდ სახიფათო მანევრი მოიფიქრეს ბიჭებმა. ერთმანეთს დაეკიდნენ და ბოლოში მოქცეულმა პიტკინმა ხელის სხარტი მოძრაობით წამებში აავსო მოზრდილი მათარა.

წყურვილი მოვიკალით და გონებაც გაგვიანათდა. — მგონი სწორ გზას ვადგავართ, — თქვა ვერნერმა და ნაბიჯს აუჩქარა. მართლაც, ცოტა ხანში მოშორებით ქოხი დავლანდეთ. უკვე კარგად შებინდებული იყო ენაგადმოგდებული ქოხს რომ მივადექით. ჩვენს მიერ გზას დაყენებული მაგარი ბიჭები კი, კარგა ხნის მოსულები იყვნენ და ვახშამზე გველოდებოდნენ. მახსოვს ცხელი წვნიანი როგორ მეამა, ღვინოც კარგად დავლიეთ და მერე გათიშულებს გვეძინა.

ახლაც, რეზი ჩემს წინ მიაბიჯებს. ისევ ის ზურგჩანთა ჰკიდია და ისევ ის შარვალი აცვია. აი, ნიფხავიც იგივე აცვია თუ არა, ეს მე მგონი ანდრეასს უფრო აინტერესებს, რადგან ცოცხალი თავით არ უსწრებს რეზის და მის მოქანავე გავას თვალს არ აშორებს.

— თქვენთან როგორი კლიმატია? — მომიბრუნდა რეზი — ალბათ ისეთივე როგორიც რუსეთში არა?

ეს ქალი კიდევ არ ეშვება ამ რუსეთს, მოგზავნილი ხომ არ არის? — გავიფიქრე ჩემთვის.

— არა, რას ამბობ, გაცილებით თბილა. ჩვენთან სუბტროპიკული ზონაა, სადაც ჩაი და ციტრუსებიც ხარობს. ზღვაცა გვაქვს და მთაც. — ამაყად ვუპასუხე.

— უი, არ ვიცოდი — გაიოცა რეზიმ.

— ამათ რომ მთები აქვთ, ჩვენთან სად არის ასეთი მთები, მათი სიმაღლე 5000 მეტრს აღწევს. — ჩაერია ლაპარაკში ჩვენს უკან მომავალი მრავლისმცოდნე ალბერტი.

— ძალიან მაინტერესებს. როცა ყველაფერი დაწყნარდება და ომი აღარ იქნება, აუცილებლად ჩამოვალ. — დამაიმედა რეზიმ.

— შენ მაგას რომ ელოდო, იქ სიტუაცია როდის დალაგდება, ლოდინი დიდხანს მოგიწევს. — თავის ჭკუაში მასიამოვნა ალბერტმა და თვალი ჩამიკრა.

— ვიდრე რუსეთში ხელისუფლება არ შეიცვლება და დემოკრატია არ დამყარდება, თქვენ არაფერი არ გეშველებათ — სინანულით თქვა ანდრეასმა, წამით შეჩერდა და ზურგჩანთიდან მათარა დაადრო.

— მე მაინც ვერ გავიგე, სინამდვილეში რომელი მართავს ამ ქვეყანას, პუტინი თუ მედვედევი. — რიტორიკული კითხვა დასვა ალბერტმა და ნუთუმესვენება მანაც აიღო.

— ორივე. ეს ორთავიანი ხელისუფლება სინქრონულად აზროვნებს. მათი უთანხმოება, თუ ასეთი რამ ოდესმე მოხდა, მოჩვენებითი და აუცილებლად რალაცაზე გათვლილი იქნება.

— ვთქვი მე და თამარას გავხედე, რომელიც ამასობაში დანიინაურებულიყო და პიტკინის ოხუნჯობებზე კარგად ხალისობდა.

— ჰმ, ორთავიანი ხელისუფალი. სიმბოლიკაც რომ ორთავიანი არნივისა აქვთ, ეს უკვე რალაცაზე მეტყველებს, — თქვა ანდრეასმა და ჩაფიქრებულმა, ლამაზად გაკრეჭილ წვერზე ხელი ჩამოისვა.

ბიბლია

მესამე ეზრა

თავი მეთერთმეტე

23. აღარაფერი შერჩა არნივის ტანს, ორი უძრავი თავისა და ექვსი მომცრო ფრთის გარდა.

28. ვიხილე: აჰა, ორნი, რომლებიც აღზევდნენ, ერთმანეთს შორის იზრახავდნენ რომ ერთად ემეფათ.

29. ამას რომ განიზრახავდნენ, აჰა, გამოფხიზლდა ერთ-ერთი უძრავ თავთავანი, შუათანა; დანარჩენ ორზე დიდი იყო ეს თავი.

30. ვიხილე, რომ შეიერთა მან ეს ორი თავი.

32. ამ თავმა დიდად დააშინა მთელი დედამინა, ძალით დაიმორჩილა დედამინის მკვიდრნი და უფრო ძლიერად ეპყრა სამყაროს ძალაუფლება, ვიდრე ყველა ადრინდელ ფრთას.

— ჭკუა, დიპლომატია და ჭკუა უნდა იყოს თქვენი იარაღი, სხვანაირად თქვენ მათ ვერ მოუგებთ. — დაასკვნა ალბერტმა და იქვე დააყოლა — გამიგია, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ხართ, მაგრამ რომელ დარგში ხართ ძლიერები, ეს კი არ ვიცი. ტექნიკურ მეცნიერებაში თუ გაქვთ რაიმე მიღწევები? — დაინტერესდა თავისი პროფილით და კითხვით მომაჩერდა.

— მიღწევები მეცნიერების თითქმის ყველა დარგში გვაქვს. ალბათ არ მოიძებნება არც ერთი სფერო, სადაც თითო-ოროლა გამოჩენილი მოღვაწე არ გვყავდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ყველაზე დიდი მეცნიერ-კონსტრუქტორები მაშინდელი საბჭოთა კავშირის სახელით მოღვაწეობდნენ და დიდი წვლილიც შეჰქონდათ საბჭოთა კავშირის ტექნიკურ განვითარებაში. ბიძაჩემი რადიოელექტრონული ობსერვატორიის ბაზაზე მუშაობდა და მისგან ვიცი, რომ კოსმოსური ტექნიკის შექმნაში ბევრ ქართველს მიუძღვის დიდი წვლილი. გვარებიც კი მახსოვს: ალფაიძე, ნადირაძე, ჯორჯაძე, ვაჩნაძე, მანაგაძე და სხვები — ვთქვი და ალბერტს სახეძე გაოცება შევატყე. იქვე დავაყოლე — მაგრამ, დღეს ფართო სრეებში, ხელოვნების სფეროში უფრო გვიცნობენ, ვიდრე მეცნიერებისა.

— ჰოო, გამიგია თქვენი პოლიფონიური ფოლკლორის შესახებ, მაგრამ არასოდეს მომისმენია.

მე შევპირდი, რომ როდესაც საქართველოში ჩამოვიდოდა, ცოცხალი შესრულებით აუცილებლად მოვასმენინებდი ჩვენს ხელოვნებას.

უკვე სამი საათია, რაც შეუსვენებლად მივდივართ. ჩემს წინ მიმავალ თამარს შევატყე, რომ უკვე გაუჭირდა. მალ-მალე რომ ჩერდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ვეღარ ქაჩავს. ერთი თუ გაჩერდი, მერე უფრო ჭირს გზის გაგრძელება. აღმართზე ასეა. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, ჯობია მოკლე ნაბიჯებით ნელა იარო და

თანაბრად ისუნთქო, ვიდრე შეეცადო სწრაფად აათავო აღმართი. თავისი ბრალია, წონაში მოიმატა და ამ ბოლო დროს ვარჯიშსაც მოუკლო. ვიცი, დეპრესიაშია. ამ ომმა ხომ სულ მთლად მოულო ბოლო. შევთავაზებ, რომ "ცენერ-შპიცზე" აღარ ავსულიყავით, ქვემოთ დავლოდე ბოლით. არაო—ძალიან მტკიცედ მომიჭრა. ბოლომდე ვერ გაქაჩავ—მეთქი. გავქაჩავო—შემომბღვირა. რას ჯიუტობ—მეთქი. ისეთი რამე ჩავიფიქრე, რომ მოვკვდე, უნდა გავქაჩოო. ასეთი რა ჩავიფიქრე—მეთქი. სამშობლოს დაბრუნებაო. ენა ჩამივარდა. მაშინ ვავიყოთ—ვუთხარი მე. რა ვავიყოთო. აფხაზეთი და ცხინვალის ვავიყოთ—მეთქი. კარგი, შენ რომელი გინდაო. სულ ერთია—ვუპასუხე. მაშინ ცხინვალის შენი იყოსო. როგორც შენ იტყვი, მაგრამ მაინც დაფიქრდი, შეძლებ—მეთქი? სიტყვების ნაცვლად მტკიცე ნაბიჯებით მიპასუხა.

ალპურ ზონაში ვართ და საკმაოდ ცივა, მაგრამ სიარულში ისე დაგვცხა, ლამის ყველაფერი გავიხადოთ. დიდი მანფრედი საოცარი შემართებით მიაბიჯებს ჩვენს წინ და მისი შემყურე ჩვენც დადებითად ვიმუხტებით.

საცალფეხო გზაზე ვერნერი გერტის ნაკვალევს მიყვება. ყოველი მოსახვევის ბოლოს, ნაბიჯს ანელებს, შეუმჩნევლად თავს ჩვენსკენ ატრიალებს და გვაბონებებს. მერე კმაყოფილი ღიმილით ჩვენს გასამხნეველად, ხმამაღლა, დატკეპნილი ქართულით ამბობს — მაგარი გოგოები, მაგარი ქართველები.

ქვემოდან თამრო ამბატებს — მთის ჯიხვები. ვერნერი იმეორებს — ჰო, მთის ჯიხვები.

— ჯიხვები კი არა, ჯიხვები — ბრაზობს თამრო და ქოშინით მიუყვება აღმართს.

ასე მგონია ვერნერის ჩიქორთული ქართულიც მოსწონს თამროს, რადგან ამ დროს მის ვითომ გაბრაზებულ, დაბღვერილ თვალებში, უზომო სიყვარულს ამოიკითხავ.

უკვე ისეთ სიმაღლეზე ვართ, ნაცრისფერი კლდის ფერდობებზე, თოვლის ნარჩენები, ალაგ-ალაგ თეთრი სუფრასავით რომ ეფინება. აი აქ კი თამარას დაცურების პანიკური მიში აუტყდა, მაგრამ მისი დიდი მონღოლებითა და ჩვენი პატარა დახმარებით, ამ „სუფრებზეც“ ყოჩაღად გადავიარეთ. „ცენერშპიცეს“ უკვე ზემოდან დავყურებთ. უტა, მარია, და იოზეფი ქვემოთ დარჩნენ. ველარ გარისკეს. სულ ნახევარი საათის სავალია დაგვრჩა მწვერვალამდე, მაგრამ ეს ნახევარი საათი ციცაბო კლდეებზე ძრომით, ჩვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. თამროს მდგომარეობა სერიოზულად მაფიქრებდა, რადგან აშკარად აღარ შეეძლო და მგონი წნევაშიც აუნია, რადგან ჭარხალივით ნითელი იყო და ძლივს სუნთქავდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ.

მწვერვალს რომ ვუახლოვდები, ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ღმერთთან ძალიან ახლოს ვარ და ცას მიჩერებული ჩემდაუნებურად ლოცვას ვინყებ ხოლმე. ახლაც, ყველა სხვა ვედრებასთან ერთად თამარის კარგად ყოფნას ვევედრებოდი ღმერთს.

— ცოტაცა თამრო, ცოტაცა და მალე დავიბრუნებთ ჩვენ კუთხეებსა — გზადაგზა

ასე, ჩვენებურად, ქართლურად ვუქცევდი და ვამხნევებდი.

პასუხის გაცემის თავი რომ არ ჰქონდა, გალურჯებული ტუჩებით საცოდავად მილიმოდა...

ჩვენი მაგარი ბიჭები უკვე მწვერვალზე, ჯვართან იდგნენ და ჩვენ გველოდებოდნენ, რათა მთამსვლელთა ტრადიციული რიტუალი ყველას ერთად შეგვესრულებინა, ანუ ერთმანეთისათვის მიგველოცა მწვერვალის დაპყრობა და ერთ ხმაში გვეყვირა: „ბერგ ჰაილ!“ — რაც მთამსვლელთა ენაზე გამარჯვებას ნიშნავს.

თამრომ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და... უკაცრიელ სიჩუმეში მეხივით გავარდა — „ბერგ ჰაილ!!!“

მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით, რატომ ვყვიროდით ყველაზე ხმამაღლა და რატომ ჩამოგვიდიოდა ღაპა-ღუპით ცრემლები.

ბიბლია
მესამე ეზრა

თავი მეთერთმეტე

37. ვიხილე: რალაც ლომის მსგავსი ბრდღვინვით გამოქანდა ტყიდან; ვიხილე, რომ ადამიანის ხმით მიმართა არწივს, უთხრა:

38. ისმინე რასაც გეტყვი, რასაც გეუბნება უზენაესი:

39. შენ არა ხარ ერთ-ერთი იმ ოთხ ცხოველთაგან, რომლებიც შევექმენი, რომ ემეფათ ჩემს ნუთისოფელში და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოსულიყო ჟამის აღსასრული?

40. მეოთხე, რომელიც მოვიდა, გაიმარჯვა ყველა იმ ცხოველზე, რომლებმაც უკვე ჩაიარეს და დიდ შიმშილს ჰყავდა ნუთისოფელი. მძლავრობდა მთელ ქვეყნიერებაზე; სიცრუით მკვიდრობდა ამდენი ხანი დედამიწის ზურგზე.

41. შენ მსჯავრი დასდე დედამიწას, მაგრამ არა ჭეშმარიტებით.

42. შეაჯინროვე უწყინარნი და შეურაცხყავი მშვიდნი, შეიყვარე მზაკვარნი. გაანადგურე იმათი სამკვიდრებელი, რომელთაც ნაყოფი მოჰქონდათ, დააქციე იმათი კედლები, რომელთაც შენთვის არაფერი დაუშავებიათ.

43. უზენაესამდე აღზევდა შენი კადნიერება და ყოვლადძლიერამდე—შენი ამპარტავნება.

44. გადმოხედა უზენაესმა ამპარტავანდროებას, და აჰა, დასრულდა იგი და მისი ბოროტებანიც დასრულებულია.

45. ამიტომ გაუჩინარდები, შენ, არწივო, შემზარავ ფრთებთან ერთად, შენს უკეთურ ნაკრტენებთან ერთად, შენს უკეთურ ბრჭყალებთან ერთად, მთელ შენს ფუტურო ტანთან ერთად,

46. რათა გაცინცხალდეს მთელი დედამიწა და შენი მძლავრობისაგან გათავისუფლებული სასოებდეს თავისი შემოქმედის სამართალსა და მონყალებას.



რა უსაშველოდ კვნესოდა ქარი
და უშვილობა არწევდა აკვანს.
ბალახმიმჭკნარი და გადამქრალი
უსუსურობის მკლავები მაკრავს.
ჩემი ბავშვობა საშოში კვდება
და რომ გადავრჩე, უნდა ვიკვილო.
ჩამომეღვენთა სხეულში კდემა,
არ მომეკარო, ნადი, სიკვდილო!..

ისევ გავეფიცე სხეულს,
ისევ მივეჯაჭვე მინას,
ბოლავს შუბლზე ცხელი ლულა,
ტყვიას არ ვაცილებ მინას.
ცამაც უჩემობა იგრძნო,
ცრემლი მოუნწურა ღრუბელს,
ღამემ თეთრი დილა იძმო...
სისხლის დავიყენებ გუბებს.

შროშანები შარა გზიდან მოშორებით
შრილობენ
შეშლილ გულებს შლეგი თრთოლვით ახელებენ,
განთიადი მზის სხივებით მოქარგული
აირეკლა ჭრელა-ჭრულა მნახველებით.
ცისარტყელამ წვიმის წვეთი,
გამოლმიდან გაღმა კიდეს გადააბა,
ხელგაშლილი და გულაღმა მდელოს ვერთვი
და შროშანი სიმორცხვისგან თვალებს ნაბავს.

ჩავაცვი თოჯინას ბავშვობის კაბები,
ბუტიას შევაბი წითელი ბაფთა,
წლები გავიდა და ქალობით ვკავდები,
ცხოვრება მიკითხავს სქელყდიან დავთარს.
ისევ დაუჯდება აკვანს ცეროდენა,
ისევ იკაპინებს მაჯებს,
თითქოს წარსულიდან დედა მელოდება...
წლები მიორმაგებს ხარჯებს.
დილა ალესილი ხმალივით დამადგება,
ტკბილ მოგონებებად ვიხსენებ წარსულს,
სახეს ნაოჭები რა ღრმად შეაბერდა,
არ ვიცი ამ სიბერეს რა სურს.

იქნებ სათქმელი გამომელია,
იქნებ გავცვითე ჩემი შარავზა,
ტყუილ-მართალი არ ამრევია
გზად არ მფენია დაფენა, არცა ბზა.
სხივს დავეკიდე საბედისწეროს,
უკურნებელი შემირნდა სენი,
ჩემი მინა-წყლის ტკივილზე ვწერო,
მომადლებული ქართული ენით.
ჩემი მზე მათბობს, მიმუშებს ტკივილს,
მთვარე დარაჯად ადგას მთანმინდას,
ჩემი კალამიც მტრის გულზე ივლის
თუ ჩემი მინა სისხლით განვიმდა.

მანანა კურდიაძე

მელოდე, მოვალ და ავუშვებთ იალქნებს,
იფეთქებს ღრუბელი, წამოვა ქარტყვია,
წეროს გავატანე ოცნების ხურჯინი
იქ, მწვანე კუნძულზე, მზე რომ გარს არტყია.
ჩერო მოუნახე ცხელ ნაპირს ქვიშიანს,
ვარ ძაფის თოჯინა და თვალებს შიშიანს
ვაყოლებ ჰორიზონტს...
მელოდე, ავუშვებთ იალქნებს,
და როცა ვიმეხებთ
ორთქლი ავადინოთ ტალღიან ნაპირებს,
ვერ გადამაჩვიეს მე ქვიშის საათებს
და ბოლო წამები ათვლის წერტილიდან
ჩემს მოგონებებში ბნელ ღამეს გაათევს.

დავზარდით ერთმანეთს
და ბოლო სიტყვები
სეტყვებად დავიხორკლე გულზე.
არაფერს მპირდები
და მხოლოდ სიჩუმით
გავაბი შენამდე ძაფი...
ცას ჩამოვაჭერი ცისფერი ზენარი,
ცხელი მზე სასთუმალს მითბობს,
მინას ჩავეზარდე და უნდა ვენამო,
ცოლად მე სიკვდილი მითხოვს.
შიშია თვალებში?
ლოდინი?
იქნებ სიზმრებია ჩვენი,
მოდი, გაზაფხული შემასვი პეშვებით,
რომ გამიხანგრძლივო დღენი.

იქითა ნაპირს მიუყვები, ცხოვრებას მდორეს,
შენს მაჯისცემას ვუთვალთვალე
ახლაც ჭოგრიტით,
დღეებს დაღეჭილს ავამღვრევ და
დიდ ქვაბში მოვრევ.
რადგან, „ძვირფასო“,
შენს ფიქრებთან ველარ მოვრიგდი.
მერე ვუხუჭავ ღამეს თვალებს და
ვრჩები მარტო,
მერე, უბრალოდ პოეტი ვარ და
შენს თავს ვნატრობ,
ვნატრობ რომ ვიყო უეკლო და
უბრალოდ ვარდი,
უბრალოდ მინას დავეშვა და შენზე დარდით
არ შევეგებო ღრუბლებიდან
ჩამომწყდარ ვარსკვლავს,
მაგრამ მივხვდი, რომ უკვე არ ღირს
ამად ყოველი,
რადგან ცხოვრება ემსგავსება
ნითელ ბუშტს გამსკდარს.

მოდის ვითამაშოთ ერთად
ერთად დავიჭიროთ ბურთი,
მე რომ ამ ბავშვობას ვერ ვთმობ,
გულს რომ მონატრება უთრთის.
ერთად შევეგებოთ დილას,
ერთად გავალვიძოთ მინა,
ჩვენი სიბერეა როცა
მეტყვი, მაგ თვალებით გიცან,
როცა მკლავს გამომდებ მკლავში,
როცა აათრთოლებ სიტყვებს,
მერე ფრთებსაც ერთად გავშლით,
ნლები კარებს ფეხით მიმტვრევს.
ერთად გავალვიძოთ დილა,
ვლენოთ ყველა შუშის თვალი,
ვიცი, ცა მიმიღებს შვილად,
ვიცი, ესეც გამოვთვალე.
მოდის ვითამაშოთ ერთად,
ერთად დავიჭიროთ ბურთი,
მე რომ ამ ბავშვობას ვერ ვთმობ
გულსაც მონატრება უთრთის.

ისევ აგიზგიზდა ცეცხლი,
გული — დაეკლილი მტკივა,
ცოდვის ოცდაათი ვერცხლი,
მერე გახეთქილი ტვინი.
გული მოვიგესლე შხამით
ტანზე თეთრი კვართი მოსავს,
მერე მუხლმოყრა და ამინ!
ცოდვა მომიტევე, ოსან!
აღარც წინაპართა სისხლი,
აღარც ტაძარი და ჯვარი,
ახლა ცოდვა ვენებს მიხსნის,
სხეულს შემახორცდა ჯავრი.
მოდის, სულმფენო და მნათო,
მოდის, მუხლის ძვლები მტკივა,
სულში ცივი თოვლი მათოვს,
ხორხი გახლეჩვამდე კივის.

ღმერთო, მომხედე და მოდი...
ცისკენ აწვდენილი ხელით,
ღმერთო, დავეჩვიე ლოდინს...
მხოლოდ შენ ერთადერთს გელი.
ღმერთო, შემინყალე!
ამინ!

ჩვეულებრივზე მეტი,
ჩვეულებრივზე უფრო
ახალს ვერაფერს მეტყვი
უჩვეულო ვარ უფროდ.
გადასხვაფერდა მთები,
გადასხვაფერდა გული,
ახლა მზის სხივით ვთბები,
თავს ჩვეულებრივ ვუვლი.
მეგონა იყო ძნელი,
ჩვეულებრივი ყოფა,
როცა რალაცას ელი
ცა ცისარტყელას მოფენს
და მე აღარ ვარ,
ვინც ვარ,
როცა ცას ვწვდები მტევნით,
ჩვეულებრივზე მეტი
მინას აუვა მტვერი
და შენც ვერაფერს მეტყვი,
მერე ჩამკიდებ ხელს და
რომ დამაბრუნებ სახლში,
ჩვეულებრივზე უფრო
არაფერი ვარ სახლში...

რვა აბვიტო...

გული დაიმეჩხრა...
თვალის ჰორიზომტზე მხოლოდ მირაჟია,
მზეა დაცხრილული
შენი სილუეტი ათას ტირაჟიან
გვერდზე მოქცეული
უკვე ნაქცეული დარჩა ირონიად
ახალ საუკუნის
ახალ ათწლეულებს,
სიტყვის ტალღის მორევს
ახალ სასწაულებს
მოაქვს ემოცია
მოდა და გრაცია
აქ კი აპრილია
ფერთა თაიგული
სუნი გაზაფხულის...
თვალის ჰორიზონტზე ისევ მირაჟია
ითვლის საუკუნეს გასულ ტირაჟიანს.

მოედო ქუჩებს გიჟმაჟი ქარი
და ქარი ქალაქს ანამცეცებდა,
თვალეცეცებით დაღლილი ქალი
ვიღაცას ქარის მიღმა ეძებდა...



მაცა ლევაშვილი

ბოხიანს ჰვანძი

ღამე უკაცრიელ ქუჩაზე ბოძი მიფლაცუნებდა, დიდ, გატენილ პარკებს მიათრევდა. მუქი ქურთუკი ეცვა, კაპიშონი მთელ სახეს უფარავდა. ვინრო ჩიხში შევიდა. ხუთსართულიანი სახლებიდან ბჟუტავი მუქი გამოდოდა, ხანდახან გარეთ ტელევიზორის ხმაც აღწევდა ხოლმე. შეჩერდა, იქაურობა მოათვალიერა, კუთხეში გადავსებული ნაგვის ყუთები იდგა. ადგილი თვალში მოუვიდა და თავის ბარგი-ბარხანა იქვე დააგდო. პარკიდან ადიელა ამოიღო და ტროტუარზე გაშალა, ზედ ნამონვა; თავქვემ პარკი ამოიღო. ზეცას ახედა, ვარსკვლავები ქალაქის შუქში იკარგებოდნენ. მარტოობის და უიმედობის გრძნობამ მოიცვა და რალაცნაირად ტირილი მოუწდა. ნამოჯდა, ქუჩის მეორე კუთხეში უცნაურ რამეს მოკრა თვალი. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, მოეჩვენა, რომ ადამიანი იყო, მხოლოდ ფეხე-

ბი უჩანდა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა.

პასუხი ვერ მიიღო. უცნობს ზემოდან ყუთები ეყარა, ფეხებში ხელი მოკიდა და გამოათრია. როცა უცნობი გადატრიალდა, დაინახა, პატარა ბიჭი იყო, მაგრამ მკვდარი; კისერზე ლურჯი ზოლი ემჩნეოდა, ეტყობა დაეხრჩოთ. ბოძემა უკან დაიხია, შეშინებულმა ერთი შეჰკვივლა, მაგრამ მერე პირზე ხელი აიფარა, რომ მისი ხმა არავის გაეგო. რაც ქუჩაში ცხოვრობდა მის თვალებს რა არ ენახა, მაგრამ ასეთი სასტიკი არაფერი. უცებ თავისი „ავლა-დიდება“ წამოკრიფა და უკანმოუხედავად მოკურცხლა. შეეშინდა, ეს მკვლელობა მისთვის არ დაებრალეზინათ, ასეთი მიუსაფარი და უპატრონო ადამიანი კარგი განტევების ვაცი შეიძლება გამხდარიყო.

პოლიციელებს პატარა ჩიხი ჩაეკეტათ, შიგნით არავის უშვებდნენ. გამომძიებელმა სოფიკო ნინიძემ კუთხეში მდგომ პოლიციელს თავი დაუკრა და გაბმული ყვითელი ლენტის ქვეშ შეძვრა.

გარდაცვლილი ბიჭის გვამის გარშემო კრიმინალისტები მუშაობდნენ, ფოტოგრაფი ყველაფერს იღებდა.

— გვამი ვინ იპოვა? — სოფიკო ერთ ახალგაზრდას მიუახლოვდა, კაცი მის ხმაზე შემოტრიალდა და ქალს მისალმებისას ხელი ჩამოართვა.

— დილით ერთმა ქალმა დარეკა, ძაღლს ასეირნებდა, — აუხსნა ქალს.

ტროტუარზე სამოცნლამდე ქალი იდგა და გაფაციცებით აქეთ-იქით იყურებოდა, აშკარად ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, ვინმესთან ელაპარაკა. ნინიძე მიუახლოვდა და გაეცნო.

— გვამი თქვენ იპოვეთ? — ჰკითხა გამოძიებელმა და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— დიას, აქვე ვცხოვრობ, აი, ის ფანჯარა ჩემია, — ნინა სახლზე მიუთითა. ქალს პატარა გოგოსავით ნვრილი ხმა ჰქონდა, თმა საგულდაგულოდ გვერდით გადაევიარცხნა და მრგვალი ცისფერი თვალები უციმციმებდა, — დილაობით ძაღლი გამომყავს ხოლმე სასეირნოდ; განსაკუთრებული ძაღლია, ტუალეტი როგორც არ უნდა მოუნდეს, სახლში მაინც არ იზამს, — ქალის ლაქლაქს სოფო წარბმეუხრელად და აუღელვებლად უსმენდა.

— დილით მე და ჩემი სპარკი, ძაღლს ასე ჰქვია, — გააგრძელა ქალმა, — ქუჩაში მოვდიოდით, ძაღლი ამვებული მყავდა, რომ აქეთ გამოიქცა. ნაგვის ყუთთან მიიბრინა და ქექვა დაიწყო, მეც მივედი და ის საცოდავი ბიჭი დავინახე, — უცებ ხმა შეეცვალა, სინანულით თავი გადაიქნია, — საწყალი, 13-15 წლის

გორდია — ფრიგის სამეფოს ლეგენდარული დამაარსებელი, გუთნისდედა. ფრიგიელებმა ის მეფედ დასვეს მისნის რჩევით, როგორც ზევსის ტაძრისკენ ურმით მიმავალი პირველი შემხვედრი. მან დაარსა ქ. გორდიონი, თავისი ურემი ზევსს მიუძღვნა, ტაძართან დააყენა და ხელნა ისე ჩახლართულად მიაკვანდა უღელს, რომ მისი გახსნა შეუძლებელი იყო. ლეგენდის თანახმად ის, ვინც „გორდიას კვანძს“ გახსნიდა, ქვეყნიერების მბრძანებელი გახდებოდა. ძვ. წ. 334 ალექსანდრე მაკედონელი ეწვია გორდიონს და როცა მას კვანძის გახსნა შესთავაზეს, მან ის ხმლით გადაჭრა. აქედან გამომდინარეობს გამოთქმა, გორდიას კვანძის გახსნა, ე. ი. წინაფი გადაწყვეტილების მიღება გამოუვალ სიტუაციაში.

იქნება, საცოდავი მისი მშობლები.

— ქალბატონო, ბიჭი ხომ არ გეცნობათ?

— არა, ჩემი მეზობლების ბავშვებს ყველას სახეზე ვცნობ, ეს კი ვინ არის, არ ვიცი.

— გასაგებია, — სოფომ თავი დაუკრა, — თქვით, რომ აქვე ცხოვრობთ, გუშინ ღამე რამე უცნაური ხომ არ გინახავთ ან გსმენიათ?

— გუშინ? — ქალი ჩაფიქრდა, ტროტუარს დახედა, ბუტბუტებდა, ყველაფრის დეტალურად გახსენებას ცდილობდა, — რა ვიცი, მე მგონი არაფერი, — მხრები აიწურა.

— მაგალითად, ყვირილის ან ჩხუბის ხმა? — სოფიკო არ მოეშვა.

— ამ ქუჩაზე ბევრი უსახლკარო დადის, ხან ერთმანეთში ჩხუბობენ ხოლმე, მათ ყურადღებას არასოდეს ვაქცევ, ამიტომ ზუსტად ვერაფერს გეტყვით!

ოფიციალტმა კაფეში სინით ხელში ფრთხილად ჩაიარა, კუთხეში მივიდა და ყველაფერი მაგიდაზე დააწყო. იქ სოფიკო ნინიძე და მისი თანაშემწე თემო ისხდნენ.

— რამდენჯერ ვუთხარი, მაგრამ ყინული მაინც ჩაყარეს, გემოს საერთოდ უკარგავს, — თემომ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და ატმის წვენი მოსვა.

— მართალი ხარ, არც მე მიყვარს განყალბებული წვენი, — სოფო ღიმილით დაეთანხმა, — კარგი, ახლა საქმე, — სოფოს უცებ შუბლი შეეჭმუხნა და დასერიოზულდა, — როგორც ჩანს, ბიჭი დაახრჩვეს, კისერზე იმხელა ნაკვალევი აქვს, ექსპერტმა დაადასტურა, ნაჭერი შემოახვიეს და ისე მოგუდეს. ბიჭის ვინაობა დაადგინე?

— არა, — თემომ უარყოფის ნიშნად თავი გადაიქნია, — კართოტეკა გადავაქოთე, დაკარგულ ბავშვებზე განცხადებებს ვეძებდი, ვერაფერი ვიპოვე. ჩემი ვარაუდით, ეს ბავშვი ან ქუჩის მანანალა იყო ან...

— ნეტა, რომელიმე ბავშვთა სახლიდან ხომ არ გაიქცა? — მისი აზრი დააბოლოვა სოფომ და ნიკაპზე ხელისგული მოისვა.

— მეც მასე ვფიქრობ! — თემო დაეთანხმა.

— იმ ქუჩაზე არ მოუკლავთ, ჩვენმა ბიჭებმა მთელი ქუჩა სანტიმეტრ-სანტიმეტრით შეამონმეს, იქ უკვე მკვდარი მიიტანეს და დააგდეს, არც მანქანის კვალი ჩანს, ალბათ, ფეხით იყვნენ. და ყველაზე საშინელი რაც გამოვლინდა, — ქალს თვალები უცნაურად აუპრიალდა, — ბიჭი სიკვდილამდე გაუპატიურებულია, ძალადობის კვალი მთელს სხეულზე ეტყობა. ჩანს, იმ გარენრებს შემოაკვდათ ან მოკლეს, რომ თავიანთი არაკაცობის კვალი დაეფარათ. წარმოიდგინე ბიჭმა რა საშინელება გადაიტანა?!

— ღმერთო, ასეთი ადამიანები როგორ იბადებიან?

— შეიძლება ვინც ეს ჩაიღინა, — გამომძიებელმა იქედნურად ჩაიღინა, — საზოგადოებაში პატივცემული პიროვნებაა, ოჯახიც ჰყავს, შვილებიც, მაგრამ ყველაფერს გააკეთებ და ვინც არ უნდა იყოს, ვიპოვი! — სოფოს ცოტა

ხმამალლა მოუვიდა და გვერდით მაგიდაზე მსხდომებმა გაოცებულებმა შეხედეს.

უდემამო ბავშვთა სახლის ეზოს ჭიშკარი ერთმა თხუთმეტიოდე წლის ბიჭმა გაულოთ. ჩაპუტკუნებული იყო და ქერა თმა ჰქონდა, სახე ჭორფლს დაეფარა. სოფიკოს და თემოს ღირექტორის კაბინეტისკენ წარუძღვა, ზრდასრული კაცივით იქცეოდა, მასპინძლის როლი ძალიან მოსწონდა.

ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, უცებ ყველანი გაჩერდნენ და ახალმოსულებს მიაჩერდნენ. სოფომ ერთი შეხედა და იგრძნო, კისერში რაღაც მოანვა, არასოდეს ენახა ასეთი მშვიერი, მრავლისმეტყველი გამოხედვა, ისეთი როცა ვილაცას ეძებ და ფიქრობ, ნეტა, ის ხომ არ არის, ვისაც ასე დიდი ხანია ელი? გამომძიებელმა თავი ჩალუნა და ბიჭს ფეხდაფეხ მიჰყვა.

ღირექტორი სასიამოვნო გარეგნობის მალალი ქალი აღმოჩნდა; როცა გამომძიებელმა მას გარდაცვლილის სურათი აჩვენა, წამოიტირა, არ თამაშობდა, მართლა გულწრფელი იყო.

— ესე იგი, იცით, ვინ არის? — თემომ ჯერ მას, მერე სოფოს შეხედა.

— დიახ, — ღირექტორმა ჯიბიდან ცხვირ-სახოცი ამოიღო და ცრემლები მოიწმინდა, — ბიჭს დიტო ვახტანგიშვილი ერქვა, სამ თვეში თოთხმეტი შეუსრულდებოდა. დაბადებისას დედამისმა სამშობიაროში დატოვა.

— ისე, როგორი ბავშვი იყო?

— საშინლად მოუსვენარი, არც სწავლა უყვარდა. აქედან ორჯერ გაიქცა და დააბრუნეს, მაგრამ მესამედ კი... უკვე ეს მოხდა, — ქალს ისევე ცრემლები წამოუვიდა, — შვილები მეც მყავს, ამიტომ ვიცი, რა რთულია ბავშვი გაზარდო და ნამდვილ ადამიანად აქციო. ამ ბავშვებთან კი განსაკუთრებით ჭირს, მათ არავისი სჯერათ, მათი ნდობის მოპოვება ძნელია. დიტო კი — ვერ იტანდა წესებს, მასწავლებლებთან მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა.

— როგორ ფიქრობთ, როცა აქედან გაიქცა, სად წავიდა?

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, მას ნათესავები არ ჰყავდა, ამიტომ, სავარაუდოდ, ქუჩაში. ძალიან ჯიუტი და თავისნათქვამა ბავშვი იყო, უნდოდა ცხოვრება თვითონ, დამოუკიდებლად ემართა, ამიტომ მისი არჩევანი სწორედ ქუჩა იქნებოდა.

— მაგრამ ქუჩაში სადღაც ხომ ცხოვრობდა? — თემომ სოფოს მანქანაში ჰკითხა და მხრები აიჩჩია.

— იჭერენ დიტოსნაირ ბავშვებს, სახლებში აბრუნებენ, მაგრამ თვალი მაინც ქუჩისკენ უჭირავთ. თემო, ასეთი ბავშვებით უამრავი გარენარი ითბობს ხელს და მდიდრდება. ისინი უპატრონო ბავშვებს იფარებენ და მათი ბატონ-პატრონები ხდებიან. მათ მუშაობას

აძალებენ, ზოგი ნარკოტიკს ყიდის, ზოგი ქურდობს, ან მათხოვრობს: ეს მთელი მაფიოზური ქსელია, აბლაბუდასავით გაფარჩხული, რომელსაც ერთი ობობა მართავს. ქუჩაში თითოეული კუთხე-კუნჭული ათვისებული აქვთ, — გაეცინა ნინიძეს, — ახლა შენ რომ მოგინდეს და ქუჩაში სამათხოვროდ დაჯდე, მაშინვე ვილაც მფარველი გამოგიჩნდება და ნილს მოგთხოვს.

თემო ოთახში ორმოცნამდე მამაკაცს შემოუძღვა, უცნობს დაჭმუჭნილი და კარგა ხნის გაურეცხავი ტანსაცმელი ეცვა, თმაც აწეწილი და დაუვარცხნელი ჰქონდა. კაცი ბავშვივით კუთხეში აიტუზა. სოფომ მის მოპირდაპირე სკამზე მიუთითა:

— თენგო, დაჯექი. ხომ იცი ამაგს არ დაგიკარგავ, ამჯერად შენი დახმარება მჭირდება, ამიტომ ვთხოვე თემოს შენი მოყვანა.

— გასაგებია, ქალბატონო სოფიკო, — კაცმა თავი დაუკრა, — მე რა შემიძლია?

— გაიგებდი, ის ბიჭი რომ მოკლეს, რაო ქუჩაში რას ამბობენ?

— რა ვიცი, აბა, — შიშისგან მთლად დაპატარავდა.

— ის ბიჭი ქუჩაში ცხოვრობდა, ბავშვთა სახლიდან გაიქცა.

თენგოს სახეზე სინთლემ გადაუარა, ტუჩები აუკანკალდა. ეს ცვლილება სოფომ მაშინვე შეამჩნია და მისკენ გადაიხარა.

— თენგო, ბავშვები ვის ჰყავს? მათ ვინ პატრონობს? სახელი უნდა მითხრა.

— კარგით რა, აბა, ამხელა ქალაქში ვინ რას აკეთებს, მე რა ვიცი.

კაცი ყველანაირად ცდილობდა, პასუხისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ გამომძიებელი კატეგორიული იყო, ის ქალის ხასიათს კარგად იცნობდა, ამიტომ ბოლოს მაინც დაუთმო.

— ის ბიჭი რამდენჯერმე საშკა ტერორისტის კომპანიაში ვნახე. ეგ და კიდევ სხვა ბავშვები სანაპიროზე რესტორნებთან ახლოს დაბორიალობენ, მეც იქვე ვცხოვრობ, ერთ ძველ, მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ შენობაში.

— ბავშვები რას აკეთებენ?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა, — ზოგი მათხოვრობს, ზოგი ქურდობს, როგორც ვიცი, „კრუპნი“ საქმეებზე არ მიდიან, ისე, წვრილმანი ქურდები არიან.

— პროსტიტუციაზე რას იტყვი? — სოფოს ნარბები შეეჭმუხნა.

— მაგაზე წარმოდგენა არ მაქვს, მე არავისთან არ ვჩალიჩობ, ჩემთვის ვარ, ბაზრობაზე რალაცეების გადატანაში ვეხმარები, ორ კაპიკს ვმოულობ, ასეთ სიბინძურეში არასოდეს ჩავერევი.

— საშკა ტერორისტი ვინ არის? ასე რატომ ეძახიან?

— მისი ნამდვილი სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ ვინც კი ქუჩაში ცხოვრობს, ყველა იცნობს. ისე ყველაფერზე წამსვლელი ტიპია, ქუჩას ის აკონტროლებს. ერთი-ორჯერ

ის უბედური ბიჭი მასთან დავინახე.

— კარგი, თენგო, დიდი მადლობა, აი, ეს გამომართვი, — სოფომ ჯიბეში ხელი ჩაიყო და პირველი რაც მოხვდა, ასლარიანი იყო და მამაკაცს წინ დაუდო.

თენგომ დაირცხვინა, ალება არ უნდოდა, მაგრამ სოფომ დაიჟინა და მეტი აღარ უყოყმანია, ფული ჯიბისკენ გაიქანა.

— საშკა ტერორისტი მართლა თავზეხელაღებული ვინმე ჩანს, აი ნახეთ, — თემომ გამომძიებელს ციხეში გადაღებული ფოტო გაუწოდდა, — მისი ნამდვილი სახელია — ალექსანდრე იოსების ძე გოზალიშვილი, დაბადებულია 1958 წელს. ორჯერ ნასამართლევი, პირველად ნარკოტიკების რეალიზაციისთვის, მეორედ კი — ვილაც დაჭრა, მაგრამ ამინისტია შეეხო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ასპარეზზე აღარ გამოჩენილა. ხო მართლა, მეტსახელი ტერორისტი რატომ ქვია იცით? — თემოს ხმამაღლა გაეცინა, — როცა პირველად დაიჭირეს, რუსეთში იჯდა, იქ რალაც აუფეთქებია და ამიტომ „კლიჩკად“ ტერორისტი შეარქვეს. ახლა სერიოზულ ამბებში აღარ ერევაო, მაგრამ არა მგონია, ასეთი წარსულის ადამიანი ანგელოზად გადაქცეულიყო. როგორც ჩანს, ქუჩაში „დიდ“ ბიზნესს ატრიალებს.

— სად ცხოვრობს ის თუ დაადგინე? — სოფომ საშკას სურათს ყურადღებით დააკვირდა. უსიამოვნო გარეგნობის ტიპი იყო, მორგვივით მრგვალი თავით და თითქმის უნიკაპო, აზიელივით წვრილი თვალებით და გათეთრებული, ჯაგარივით უხეში, მოკლედ შეკრეჭილი თმით. თან საშკას სახეზე ისეთი იქედნური ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ვინც კი მის სურათს დააკვირდებოდა, ყველას დასცინოდა.

— მდაა, ძალიან საინტერესო სუბიექტია, — სოფომ თავი დაიქნია, — ცხადია, თუ ის ქუჩას აკონტროლებს, მას ბევრი რამ ეცოდინება. ჩვენ მისი ყოველი ნაბიჯი უნდა ვიცოდეთ, გავიგოთ სად, ან ვისთან დადის, რითი სუნთქავს.

— როგორც გავიგე, მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონია.

— არა უშავს, ვიპოვით, თუკი გველის კუდს მიაგნებ და მას გაყვები, მალე თავიც გამოჩნდება! — გამომძიებელმა გაულიმა და თვალი ჩაუკრა.

დილის მზე მოძლიერდა და ისე აცხუნებდა, თვალს ჭრიდა. ბაზრობაზე ხალხი ერთმანეთში არეულიყო. ტროტუარზე ბომა ქალებს მინაზე გაძლილ ნაჭრებზე ათასი ხარახურა ეყარათ და ხმამაღალი შეძახილებით ხალხის ყურადღებას იპყრობდნენ. მეზარგულები დიდ რკინის ურიკებს მიათრევდნენ და ცდილობდნენ, სხვებისთვის დაესწროთ და ერთმანეთისთვის კლიენტები წაერთმიათ, ამიტომ იყო ერთი მეხლა-შემოხლა და გნიახი.

ნინიძემ ტროტუარზე დაამუხრუჭა და



მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, მაშინვე სამსახურის მაძიებლები დაესივნენ.

— პარკეტი გაქვთ დასაგები? შესალები? კედლები გასალესი? — კითხვები დააყარეს.

სოფომ ღიმილით უარის ნიშნად თავი გადაიქნია და ყველანი უკმაყოფილო სახით მოშორდნენ.

გამომძიებელი ბაზრის შიდა ტერიტორიაზე შევიდა. პატარა მალაზიები მატარებლის ვაგონებს მოგაგონებდათ, გამყიდველებს დახლები გარეთაც გადმოედგათ. სოფო ერთ მალაზიაში შევიდა. მის დანახვაზე გამყიდველი სკამიდან ადგა და ქალს შეეგება, მინიანი კარი მიიხურა.

— ნიკო, როგორ ხარ? ახალი არის რამე?

ნიკო მათი თანამშრომელი იყო, ოპერატიულ მასალას აგროვებდა. ჭკვიანი და ფრთხილი კაცი იყო, ხალხთან კონტაქტში იოლად შედიოდა.

— ქალბატონო სოფიკო, როგორც ჩანს, საშუა ტერორისტის ყველას ეშინია, მას მალაზიის მეპატრონეები უხდინან, რომ მათ თავი დაანებოს. შარშან ერთმა აქ პატარა მალაზია გახსნა და როცა მას საშუამ ფულზე მოაკითხა, კაცმა უარი უთხრა და მეორე დღეს მალაზიას ცეცხლი გაუჩნდა, ყველაფერი დაიწვა.

— სულ აქ ტრიალებს? — სოფომ სადღაც რკინის სკამი დაღანდა და დაჯდა.

— კი, ჩვენი ბიჭები კუდში დაყვებიან, ორი-სამი არაოფიციალური ცოლი ჰყავს, ღამეს ხან ერთთან ატარებს, ხან — მეორესთან. ეს მისამართებია, — ფურცელი გაუწოდა.

— ის თუ გაიგე, ბავშვების პროსტიტუციასთან აქვს რამე კავშირი?

— კი, გავიკითხე, მაგრამ ბავშვებზე არაფერი, მხოლოდ ქალებს უწევს მფარველობას, ხომ იცით ეს ქუჩაა....

— კარგი, ნიკო, დიდი მადლობა, — სოფომ ხელი ჩამოართვა, — როგორც კი რამე ახალი გამოჩნდება, მაშინვე დამირეკე.

შუალამე გადაცდენილი იყო, თბილოდა. ნინიძე და თემო შავ მანქანაში ისხდნენ და ქუჩას თვალს არ აშორებდნენ. გარეთ საჭმელადაც არ გადმოსულან, მანქანაში იჯახმეს. ასე თითქმის სამი საათი გავიდა.

— ბიჭებმა მითხრეს, საშუას დამქაშები ამ ბაღში იკრიბებიანო, მაგრამ ამდენ ხანს სად არიან? — თემომ უკმაყოფილო სახით ღრმად ამოისუნთქა. ქუჩის ლამპიონები ძუნწად ანათება იქაურობას. მათ წინ ბაღში დაბალი ბუჩქები და მწვანედ შეღებილი სკამები იდგა. ბაღი ხრეშით დაეფარათ, თითოეული ნაბიჯის ხმა გარკვევით ისმოდა. ზოგან ერთმანეთში გადახლართული წვეილები ისხდნენ, აქ ქალაქში მეძავეების შეკრების ერთ-ერთი ცხელი ნერტილი იყო.

— აი, მე მგონი, ისინი არიან, — თემო უცებ აწრიალდა და სოფოს მალაღი ნაძვის ხეებისკენ გაახედა. ხის ძირში ერთი კაცის გარშემო ბიჭები იდგნენ, ჩუმად ლაპარაკობდნენ, ბიჭები გაფაციცებით უსმენდნენ. კაცმა მათ რკი-

ნის მილები ჩამოურიგა. ეს კაცი საშუა ტერორისტი იყო. ბოლოს საშუა მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ბიჭები წყვილ-წყვილად დაიშალნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

— ახლა რა ვქნათ? — თემომ გამომძიებელს ჰკითხა.

— უნდა გავყვეთ, — სოფომ ძრავა ჩართო და მანქანა წელა დაიძრა.

ისინი ორ ბიჭს კვალდაკვალ მიჰყვნენ. ბავშვებმა ბნელი ქუჩა გადაჭრეს და პატარა შუკაში შეუხვიეს. გამომძიებელმა იქვე კუთხეში გააჩერა და გადმოვიდა, იარაღი შარვლის ქამარში გაიჩქო, ის და თემო ბიჭებს უჩუმრად ადევნებდნენ თვალს. ისე ბნელოდა, გარკვევით არაფერი ჩანდა. სადღაც ძაღლების ყეფაც ისმოდა. ბავშვები მალალ ლობეზე გადაძვრნენ და ცოტა ხანში გაუჩინარდნენ.

— გავყვე? — თემომ ჩურჩულით ჰკითხა.

— არა, ჯერ არა, ცოტა ხანს დაველოდოთ.

ორივე ლობეს მიეყრდნო. არაფერი ჩანდა, ყველაფერი სიბნელეში იყო ჩანთქმული. რამდენიმე წუთი გავიდა. მოუთმენლობა დაეუფლათ. უცებ ლაპარაკის ხმა მოესმათ.

— აქეთ, მოდი, ეს ფიცრები მოძრაობს, — ბავშვები იყვნენ.

ლობის ქვედა ფიცრები გამოძრავდა, ერთმა მანქანის საბურავები გამოაგორა, მეორე ბიჭიც მას გამოჰყვა. სოფო და თემო ადგილზე გაისუსნენ.

— ახლავე უნდა მივიტანოთ? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა მეორეს.

— ხო რა, თორემ ცარიელები რომ მივიდეთ, საშუა გაბრაზდება.

უეცრად ვიღაცამ მათ ხელი სტაცა. შეშინებულებმა ყვირილი მორთეს.

— ვაიმე, რა გინდათ? ვინ ხართ?

მეორემ გაქცევა სცადა, თემომ მაგრად ჩასჭიდა ხელები, ორივე ფართხალებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

— იმ ლობის გადაღმა მანქანების გასაჩერებელი დიდი ადგილია. იმ ობიექტის პატრონმა მითხრა, უკვე დიდი ხანია რაღაცებს მპარავენ, მათგან მოსვენება არ მაქვსო.

— თემო, ბავშვების დაჭერის შესახებ არავინ, არაფერი არ უნდა იცოდეს, განსაკუთრებით კი საშუამ. ჯობია ეგონოს, ბიჭები თითქოს გაუჩინარდნენ, — სოფომ მაგიდის უჯრიდან საქალაღე ამოიღო და წამოდგა.

— რატომ, ქალბატონო სოფიკო, თუ ბიჭები აღიარებენ, რომ მათ საქურდავად საშუა აგზავნიდა, მაშინ ჩვენც გავსკვანჩავთ.

— მე საბურავები არ მაინტერესებს, ჩემთვის მთავარი დიტო ვახტანგიშვილის მკვლელის პოვნაა. კარგი, დავუშვათ ახლა საშუა დავიჭირეთ, მერე რა, არ მინდა რაღაცა წვრილმანი ქურდობით და ბავშვების დანაშაულზე ნაქეზებით დაიძვინოს თავი. იტყვის, მე არაფერი ვიცოდიო, რასაკვირველია, ყველაფერს უარყოფს და ჩვენც ვერაფერს დავუშტკიცებთ. მინდა, მასზე უფრო მეტი ვიცოდე, მან მოკლა დიტო თუ არა. ჩვენ მისი

პროვოცირება უნდა მოვანყოთ, რომ გაეხას. ორივე დაკითხვის ოთახში შევიდა. რკინის მაგიდასთან ცამეტიოდ წლის მავტუხა ბიჭი იჯდა, ტირილისაგან ცხვირი გასწითლებოდა, ქუთუთოებიც დასიებული ჰქონდა, შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სოფოს დანახვაზე ისე დაფრთხა, კინაღამ მაგიდის ქვეშ შეძვრა.

— აბა, ჩემო სერგო, — გამომძიებელმა საქალღდეში ჩაიხედა და ბიჭის მონაცემები ამოიკითხა, — ესე იგი, ხარ ცამეტის, ქუჩაში ცხოვრობ.

ბიჭმა ვერაფერი თქვა, ვერც ჰო, ვერც არა.

— მოპარული საბურავები სად მიგქონდა? პაუზა. სერგოს თვალები აუწყლიანდა, ბავშვი იყო, გამომძიებლის ზენოლას ვერ გაუძღებდა.

— მომისმინე, სერგო, — სოფომ დაუყვავა, — თუ ყველაფერს მომიყვები, პირობას გაძღე, დაგეხმარები და ციხეში არ მოხვდები. საშუა ტერორისტს იცნობ?

— დიახ, — ბიჭს ლოყები ცრემლებმა დაუსველა, ცხვირი ხმაურით, მაჯებით მოინმინდა, — რაც ბავშვთა სახლიდან გამოვიპარე, უკვე ორი წელია.

გამომძიებელმა წყალი დაუსხა და წინ დაუდგა. ბიჭმა პლასტმასის ჭიქას ხელი სტაცა და სლოკინ-სლოკინით ამოაძრო.

— დიდი ხანია რაც ქურდობ? ბიჭმა ტირილისგან გული იჯერა, მძიმედ სუნთქავდა.

— თუ საქმეზე არ გავედით და რამე არ მივიტანეთ, მაშინ მართლა ქუჩაში გავგავდებ და იქ კი ძალიან ძნელია.

— საშუა გაიძულეთ, რომ იქურდოთ?

— ის გვეუბნება სად და როდის უნდა წავიდეთ, — სერგომ ლოყებზე ხელისგულები გაისვა.

— დიტო ვახტანგიშვილს იცნობდი? თქვენთან ერთად ქურდობდა?

სახელის გაგონებაზე ბიჭს ფერი ეცვალა, გაფითრდა.

— კი, და მერე დაიკარგა, — სახეზე შეძრწუნებული გამომეტყველება გამოესახა, ამდენი ცუდი რამ პატარა, ცამეტი წლის ბიჭისთვის ძნელი გადასატანი იყო.

— ქუჩაში რას ამბობენ, დიტო ვინ მოკლაო? — სოფო მისკენ გადაიხარა, ბიჭის გულისცემასაც კი გრძნობდა.

— არ ვიცი... დიტო კარგი ბიჭი იყო, — მწუხარე სახით უპასუხა.

მისმა მეგობარმაც თითქმის იგივე ილაპარაკა, მას არ უტყრია, მაგრამ თავიდან გაუძალიანდათ, ქურდობის აღიარება არ უნდოდა. სოფო ძალიან მიანვა და მოტეხა. დიტოსთან მეგობრობა მანაც დაადასტურა. როცა გამომძიებელმა მას პროსტიტუციაზე ჰკითხა, ბიჭმა ცივი უარი სტკიცა, ჩვენ მსგავსი არაფერი გაგვიკეთებიაო.

სოფოს დიტოს მკვლელობის რამდენიმე ვერსია ჰქონდა, ერთი, შესაძლოა ბიჭი ვიღაცამ ქურდობისას დაიჭირა, მასზე ძალა ის-

მარა და მერე მოკლა, ან შემოაკვდა. მეორე, ის ალბათ პროსტიტუციასაც ეწეოდა და კვალის დასაფარად მოკლეს. გამორიცხული არ იყო, საშუა ტერორისტს მის სიკვდილთან რაღაც კავშირი ჰქონდა, რადგან მის გარეშე ქუჩაში არაფერი ხდებოდა. ამიტომ სოფო ამ ბოლო ვერსიას ჩაეჭიდა. ახლა მის მთავარ ამოცანას საშუას გაბმა წარმოადგენდა. ის, რომ ბავშვებს ქურდობას აიძულებდა და მერე ნაქურდალს ასაღებდა, რასაკვირველია, მის დასაჭერად გამოადგებოდა, მაგრამ არა დიტოს მკვლელობის გასახსნელად.

ორ კვირაში ნინიძემ უკვე ზეპირად იცოდა, საშუა ყველაზე ხშირად რომელ რესტორანში დადიოდა და რომელ საყვარელთან ატარებდა დროს. გამომძიებელი უკმაყოფილო იყო, მას განსაკუთრებული მიზეზი სჭირდებოდა, რომ საშუა კედელთან მიეყენებინა. დიტოს სიკვდილმა მასზე დიდი გავლენა იქონია, მოძალადეები ჭირის დღესავით სძულდა, ხშირად უთქვამს: „ჩემი ნება რომ იყოს, ყველა მოძალადე შუბლში ტყვიას იმსახურებსო.“ სასტიკი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მისი აზრით, ბავშვებზე მოძალადე ცოფიანი ძალივით უნდა ჩაეკლათ, ისინი პატიებას არ იმსახურებდნენ.

თვენახევარი გავიდა და არაფერი შეცვლილა.

— რა, საშუა ახლა გახდა ანგელოზი და კანონმორჩილი, დავიჯერო პატიოსანი მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს? — თემომ უკმაყოფილოდ თავი გადაიქნია.

გამომძიებელმა მას სახეში შეხედა, მაგრამ სრულიად სხვა რამეზე ფიქრობდა.

— ყველაზე მეტად რა მაინტერესებს, — თქვა სოფიკომ ორიოდ წუთის შემდეგ, — დიტოს გვამი იმ ქუჩაზე რატომ დატოვეს, მაგალითად, რატომ არ გადააგდეს მდინარეში, ან სულაც არ დამარხეს და დაწვეს? ასე მოიქცეოდა ყველა, ვინც კი ბავშვის მკვლელობის კვალის ნაშლას შეეცდებოდა, მაგრამ მათ გვამი ქუჩაში დააგდეს, სადაც იცოდნენ, რომ ჩვენ აუცილებლად ვიპოვიდით.

— იქნებ, უბრალოდ ვერ მოასწრეს?

— არა, თემო, გამორიცხულია. ექსპერტმა თქვა, რომ ბავშვი სხვაგან არის მოკლული და იმ ადგილას მერე მიიტანეს. არადა, იქვე მოშორებით მდინარეა, გვამს რამეს მიაბავდნენ და გადააგდებდნენ. ეს მე ძალიან მაფიქრებს.

— შეიძლება, იმ ადგილას სხვამ მიიტანა, — თემომ თავი ასწია და ქალს სახეში შეხედა, — ალბათ, სულ მცირე ორია გარეული.

— კი, მართალი ხარ, — ნინიძე დაეთანხმა და მერე გაბრაზებულმა მაგიდას მუშტი დასცხო, — ამიტომაც საჭირო საშუა აქ მოვათროთ და ყველაფერი ვათქმევინოთ.

ნინიძე ტელეფონის ზარმა გააღვიძა, ვიღაც დაჟინებით რეკავდა. შუქი აანთო და საათს შეხედა, ღამის სამი საათი სრულდებოდა. მერე ტელეფონი მოძებნა და უპასუხა.

— მე ვარ, ქალბატონო სოფიკო, — თემო რეკავდა, ისეთი მხიარული ხმა ჰქონდა,

თითქოს დილის თერთმეტი იყო.

— მოხდა რამე? — ნინიძემ თავქვეშ ბალიში ამოიღო.

— ნახევარი საათის წინ აქ საშუა ტერორისტი მოიყვანეს, კაზინოში ორი კაცი დაჭრა, — თემო ლატარიაში მოგებულავით აგზნებული ყვებოდა.

— მოვდივარ, — ნინიძე სანოლიდან წამოდგა, ორი თვე გავიდა, რაც ასეთი ზარის მოლოდინში იყო.

ნაცემი საშუა დასიებული სახით იჯდა და ალკოჰოლისგან გაბრუნებული დამსკდარ ტურებს ილოკავდა.

ნინიძე დაკითხვის ოთახში შევიდა, ხელში პლასტმასის ჭიქა ეჭირა, ყავას ოხშივარი ასდიოდა.

— ბატონო ალესანდრე იოსების ძე გოზალიშვილო, — სოფოს ძალიან ოფიციალურად გამოუვიდა, — ის ხალხი კაზინოში რატომ დაჭერთ?

საშუამ არაფერი უპასუხა, დასიებული და ჩალურჯებული თვალები ქალს შეანათა.

— იმათი დედა რომ... ვილაც ნაბიჭვარი კრუპიეს გულისთვის, ამხელა ფული დაეკარგე, — უცებ გოზალიშვილი ალაპარაკდა.

— შენ, ჯობია, გინებას თავი დაანებო და საკუთარ თავზე იფიქრო, — სოფოს ხმა გაუმკაცრდა, — ილოცე, რომ კრუპიე არ მოკვდეს, ექიმებმა თქვეს მძიმედ არისო, დაცვის ბიჭს კი არა უშავს, უკეთესადაა. გოზალიშვილო, მე შენზე უფრო საინტერესო რამეც ვიცი, ამიტომ პირობას გაძლევ ძალიან ცუდად დაამთავრებ.

საშუამ ცხვირი ხმაურით მოიხოცა და გამომძიებელს მიაჩერდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ადამიანი უკვე რომ მდგომარეობას ეგუება და იცის, წინ რა ელოდება.

ნინიძემ მას წინ დიტო ვახტანგიშვილის ფოტო დაუდო. აი, ამაზე კი საშუა ადგილზე აწრიალდა. მერე გამომძიებელმა სხვა სურათებიც მიაყოლა, ნაცემი და ნანამები ბავშვის.

— ახლა არ მითხრა, არ ვიცნობდიო, თორემ ისეთ საქმეს შეგიკერავ, რომ კატორღაში ამოყოფ თავს, — ნინიძემ წარბები აიზიდა და შუბლი დაუნაოჭდა, — მითხარი, დიტო შენ მოკალი?

— არა, მე არა, — გოზალიშვილმა თავი მხრებში ჩარგო.

— აბა, მაშინ ვინ? მითხარი და პირობას გაძლევ, კაზინოს ამბავში დაგეხმარები.

საშუამ თავი ასწია და გამომძიებელს სახეში მიაშტერდა, ფიქრობდა, აზრებს ალაგებდა და ბოლოს გონებაში დაასკვნა, დასაკარგი მაინც აღარაფერი ჰქონდა.

— მე არ მომიკლავს, მისთვის ხელიც არ დამიკარებია.

— მაშინ ვინ?

— არ ვიცი, მართლა არ ვიცი, — გაჩუმებულმა თავი ჩაქინდრა.

სოფომ ტურებთან მუშტი მიიჭირა, კაცს

თვალს არ აშორებდა. საშუას ჩვენებით იმედგაცრუებულ გამომძიებელს არ უნდოდა, ასე იოლად შეგუებოდა, არადა, დარწმუნებული იყო, გოზალიშვილმა მართლა ბევრი რამ იცოდა, ნუთუ შეცდა?

— საშუა, აბა გაიხსენე, იქნებ, ვინმე ამ ბოლო დროს ბიჭებით დაინტერესებულ იყოს?

— შეცარმა აზრმა ნინიძეს გონება გაუნათა, კაცის პასუხის მოლოდინში დაიძაბა.

საშუა თავჩაქინდრული ფიქრობდა, მერე თავი ასწია, ქალს სახეში ჩალურჯებული თვალები შეანათა და ორიოდე ნუთის შემდეგ უპასუხა.

— რა ვიცი, ამას თუ საქმესთან კავშირი აქვს, — მხრები აიჩეჩა, — ერთხელ კაზინოში ვიყავი, მაშინაც წავაგე, უჰ, მაგათი, — საშუამ ერთი მაგრად შეიკურთხა და მუშტები მომუნა, — ბართან ვიჯექი და ვსვამდი. ერთი ტიპი მომიჯდა და გამომელაპარაკა, ჩანდა კარგად მიცნობდა, ბოლოს კი მითხრა, ერთ კაცს უნდა შენთან ლაპარაკიო. მეც გავყვი.

— შენ, მე მაკვირვებ, ადექი და ასე უბრალოდ გაყვი? — ირონიულად ჩაიციხა ქალმა.

— კი, მაგარი დებილივით მოვიქეცი, — დაეთანხმა გოზალიშვილი, — კაზინოს უკან, პატარა ქუჩაში მანქანასთან მიმიყვანა. როცა მიუახლოვდით, შიგნიდან ვილაც უცნობმა ფანჯრის მინა ჩამოსწია, იმის ხმა რომ გამეგო, მხოლოდ ამიტომ. იმ ტიპმა მკითხა ჩემს საქმეზე, ბიჭებს სად ვამუშავებ. მე ვუთხარი, ხომ არ გაგიჟდით, რა ბიჭები, არაფერი ვიცი-მეთქი. ამაზე გაბრაზდა. მითხრა, რომ მინდოდეს, შენ თავს ახლავე დავაჭერინებო. მე მაინც მივანეჭი და იქით დავემუქრე, გაბრაზდა. მერე თავის მძლოს დაუძახა, ისიც ჩაჯდა და წავიდნენ.

— მერე რატომ ფიქრობ, რომ იმ ტიპს დიტოს ამბავთან რამე კავშირი აქვს? — ნინიძემ ეჭვის თვალთ შეხედა.

— რატომ და მანქანის გამო!

— რა, ნომერი გახსოვს?

— არა, ნომერი არა, — იუარა საშუამ, — ვერც დავიმახსოვრებდი, ნომერს რაღაც ეფარა თუ შემოხვეული ჰქონდა, არ მახსოვს. მართალია ბნელოდა, მაგრამ ვიცი რა მანქანა იყო, მაგ საქმეში „სპეცი“ ვარ, — გაიღრიჯა საშუა, — ეს შავი ფერის „გრანდ ჩეროკის ჯიპი“ იყო!

— მერე? — სოფო მისკენ გადაიხარა.

— იმ ღამეს, როცა დიტო მოკლეს, ტელეფონზე დამირეკეს, თორმეტის ნუთები იყო, უცნობმა ხმამ მითხრა, რომ ერთ ადგილას მივსულიყავი. იქ მე მკვდარი დიტო დამხვდა. მოსახვევში მანქანის ხმა მომესმა....

— დაინახე რა მანქანა იყო? — გამომძიებელმა შეანყვეტინა.

— ახლა ზუსტად არ ვიცი, არ დამინახავს, მაგრამ მაინც მგონია, რომ... უფროსო, მანქანებს თვალდახუჭული, ხმაზეც კი ვცნობ, „ჯიპი“ იყო. მკვდარი დიტო ხელში ავიყვანე, იმ ქუჩაზე მივიტანე და ნავის ყუთთან... — გაჩუმდა.

— დაგირეკეს და ასე უბრალოდ წახვედი?
— სოფოს გაელიმა, — კარგი რა, გოზალიშვილი, შენ სულელი ხომ არ გგონივარ, ამოღერღე ახლა რამდენი აილე, არ გამაბრაზო იცოდე!

საშუკამ ქვევიდან ქურდულად ამოხედა და გაიდრიჯა, მიხვდა, გაჯიუტება აწყენდა.

— ოცი ათასი დოლარი! — უპასუხა, — ფული ზედ ბიჭზე იდო, კონვერტში!

სიჩუმე. სოფო უყურებდა, თან სჯეროდა მისი და თან არა, დაღლილი სკამს მიეყრდო და ხმადაბლა ჰკითხა.

— იმ ტიპზე რას იტყვი, მანქანაში რომ იჯდა?

— რა ვიცი აბა, არ მახსოვს, ახალგაზრდა არ უნდა იყო, მისი სახე არ დამინახავს, მანქანას დაბურული მინები ჰქონდა, ერთი კი ნამდვილად ვიცი, სიგარეტს ეწეოდა. მეტი არაფერი.

— მძლოლი? ის გახსოვს?

— მალალი, შავ კოსტუმში, — საშუკამ მალა აიხედა და შუბლი ნერვიულად მოისრისა, — ასე 30 წლამდე.

— მომისმინე, იმ მძლოლის სურათი რომ განახო, იცნობ? — სოფომ თვალი თვალში გაუყარა.

— ალბათ კი, — საშუკამ თავი დაუკრა და ღრმად ამოისუნთქა.

— ქალბატონო სოფიკო, კი ბატონო მოვძებნით იმ შავ „გრანდ ჩეროკს“, ეს უბრალოდ დროის ამბავია, მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ ეს რამეში დაგვეხმარება? — იკითხა თემომ. ის და სოფო კაბინეტში ქაფქაფა ყავას სვამდნენ. გარეთ მზე უკვე ამოიწვერა და ჩამუქებული ზეცა გაანათა, თენდებოდა, სადღაც ჩიტებიც აჟღერტულდნენ.

— შეიძლება არც არაფერში გამოგვადგეს, ან ჩვენს საქმესთან იოტისოდენა კავშირი ჰქონდეს, მაგრამ ამ აბურდული კვანძიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნვერი გამოჩნდა და რა იცი, იქნებ სწორედ ის ნვერია, რომელიც ამ დახლართულ საქმეს სინათლეს მოჰფენს.

— კარგით, დრო მომეცით და ყველაფერს გავარკვევ.

შუადღე გადასული იყო, ორივე გამომძიებლის კაბინეტში იჯდა. თემომ საქალაღდიდან ფურცლების დასტა ამოაძრო და ქალს წინ დაუდო.

— თქვენ გაინტერესებდათ შავი ფერის „გრანდ ჩეროკის“ ჯიპი. მოკლედ, ჩვენს ქვეყანაში სულ ასეთი ათასი მოდელი დადის, რა ცოტაა, არა? — გაიკვირვა უცებ ახალგაზრდამ, მერე თავისთვის დაასკვნა და გააგრძელა, — ეტყობა ძვირია და ამიტომ. აქედან 500 ცალია შავი, დანარჩენია წითელი, მუქი ლურჯი და მეტალიკის, ანუ ნაცრისფერი. ხუთასიდან 342-ის მფლობელია მამაკაცი, — ერთ სიაზე მიუთითა, — მათ შორის 40 წლის ზევით, სულ 76 პიროვნებაა, წრე უფრო ვინროვდება, — თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა, — მხოლოდ 5 ჰყავს მძლოლი.

სოფომ კმაყოფილმა გაულიმა.

— მათ მძლოლებზე რას იტყვი?

— ყველას სურათი მოვიტანე. რომ იცოდეთ ერთ-ერთი ვინ არის? მისი სახელია — მერაბ შუკვანი და ის კი ფრიდონ სიდამონიძის მძლოლია.

— რას ამბობ, თემო, ის სიდამონიძე, ის?

— ქალმა თვალები დაჭყიტა, მის გულწრფელ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

— რას ვიზამთ, ფაქტია, — თემომ დამნაშავესავით მხრები აიჩჩია.

ნინიძე კაბინეტში ფანჯარასთან იდგა და წინ გაშლილ ხედს უაზროდ მიშტერებოდა. გაზაფხულის მზე მომძლავრებულიყო, მაგრამ მაინც არ ცხელოდა, პირიქით სასიამოვნო სითბო იღვრებოდა ზეციდან, ადამიანს დადებით განწყობაზე აყენებდა. მხოლოდ არა ნინიძეს, გამომძიებელი უსიამოვნო ფიქრებს თავიდან ვერ იშორებდა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა და უფრთხოდა, სწორედ იმას მიაგნო. თავს ლაბირინთში დაკარგულივით გრძნობდა, არადა, იცოდა გასასვლელი სად იყო და ვერ გადიოდა, თითქოს წინ, ერთმანეთში აბურდული ძაფების კვანძი ედო, მისი ნვერები ხელში ეჭირა და მაინც არაფერი გამოსდიოდა.

თემომ კარი შემოაღო და მაგიდაზე გაზეთების დასტა დადო. ხმაურზე ნინიძე შემოტრიალდა და ტყავის სავარძელში ჩაჯდა, სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება არ მოშორებია.

— ქალბატონო სოფიკო, ისადილეთ უკვე? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— არა, — სოფომ თავი გადაიქნია, — ჭამის მადა დამეკარგა.

— ნახეთ საშუა ტერორისტი, რა თქვა? — გაახსენდა უცებ თემოს.

ამ კითხვაზე სოფო უფრო მოიღრუბლა.

— კი, ვნახე და რომ იცოდე, რა მითხრა? — კაცს პირდაპირ სახეში შეხედა, — იმ მძლოლების სურათები ვაჩვენე. დიდხანს არ უფიქრია, ეგრევე ამოიცნო, აი ის ტიპი, რომელიც კაზინოში დაელაპარაკა.

— მერე რომელიაო? — თემომ მოუთმენლად ჰკითხა.

სოფომ მაშინვე არ უპასუხა, ჩაფიქრებული მაგიდაზე გაშლილ სურათებს მიშტერებოდა, მერე ერთ-ერთი აიღო და თემოს წინ დაუდო: — აი, ეს იყო, საშუკამ ასე თქვა.

გაოცებულმა თემომ მამაკაცის ფოტო ხელში აიღო და გაფართოებული თვალებით ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა:

— ეს ხომ, იმის, ფრიდონ სიდამონიძის მძლოლია?

— გოზალიშვილს ვკითხე, იქნებ ცდები, ვინმეში ხომ არ გეშლება-მეთქი, მაგრამ დაიყინა, გინდა თუ არა ეს იყო. შენ გესმის, ამას რა ამბავი მოყვება?

— აბა რა, ეს ტიპი სიდამონიძის პირადი მძლოლია, მისი დაცვაც ევალება. რა, ვითომ ფიქრობთ, რომ დიტოს მკვლელობაში ესენი

არიან გარეულები?

— როცა უფროსთან მივედი და მისი თვალთვალის ნებართვა ვთხოვე, კოკა კინალამ გაგიჟდა, შენ ხომ არ გადაირიეო, მითხრა, ასეთი დიდი თანამდებობის პიროვნების თვალთვალს იცი, ვისი სანქცია უნდაო? აღარ ვიცი რა ვქნა, დიტოს მკვლელობაში სხვა გარემოებები რომ გამოჩენილიყო, სხვა გზას დავადგებოდი, მაგრამ ახლა გამოსავალი არ ჩანს. ან ამ აბურდული კვანძიდან ამ წვერს უნდა ჩავეჭიდო, ან დაველოდო სანამ ახალი სამხილები არ გამოჩნდება. თემო, რალაცნაირად გოზალიძვილის ჩვენების მჯერა, ის თვითონ ასეთ ზღაპარს ვერ შეთხზავდა. თან საშკას დიტოს გვამის მოსაშორებლად არცთუ პატარა თანხა გადაუხადეს. ფაქტია, დიტო ქუჩის ბომჟებს არ მოუკლავთ.

— მაშინ ჩვენ რა ვქნათ? — თემომ უმწეო ბავშვივით გაასავსავა ხელები.

— უფროსმა სანქციაზე უარი მითხრა. გეფიცები, ვლოცულობ, რომ სიდამონიძეს დიტოსთან არანაირი კავშირი არ ჰქონდეს. უბრალოდ სინდისი არ მომცემს უფლებას, რომ ახლა გავჩერდე და სიმართლე არ გავიგო!

სოფომ მანქანა ქუჩაში გააჩერა. დიდი ჭიმკარი თავისით გაიღო და ის და თემო ეზოში შევიდნენ. შუაში ორსართულიანი, კოხტა, აგურით ნაშენები სახლი იდგა, მუქი ნითელი სახურავი მზეზე ბრჭყვიანობდა. მწვანე, ხასხასა ბალახი აკურატულად გაეკრიჭათ. სახლის უკან ცისფერ აუზთან ბავშვების ყრიაშული ისმოდა.

სახლის კარი მოსამსახურე ქალმა გაუღო და კაბინეტამდე მიაცილათ. ქალს შავი კაბა და თეთრი წინსაფარი ეკეთა. მაკაგონის მძიმე კარის იქით, კაბინეტის თეთრი თაროები წიგნებით იყო სავსე. ოთახში მაგიდასთან ორმოცდაათწლამდე თეთრთმიანი კაცი იჯდა, გაზეთს კითხულობდა და სიგარეტს ეწეოდა, საფერფლე ნამწვავებით იყო სავსე. კაცმა ახალმოსულებს სათვალის ზემოდან შეხედა, არ ამდგარა, სოფო მას მიესალმა და შეთავაზების გარეშე დაჯდა, საბრძოლველად გამზადებულივით დაძაბული იყო.

— მე ცოტა დრო მაქვს, ამიტომ იმედია, თქვენ სათქმელს მალე იტყვიან, — მასპინძელმა მოკლედ მოუჭრა და აგრძობინა, რომ მათი ვიზიტით ნასიამოვნები არ დარჩა.

სოფომ და თემომ ერთმანეთს გადახედეს.

— ბატონო ფრიდონ, — ნინიძეს თავისი ხმა არ მოეწონა, საკუთარ თავზე გაბრაზდა: „რა გამოუცდელი ბავშვივით ვიქცევი“ — მერე გუნებაში საკუთარი თავი გაამხნევა და გააგრძელა:

— სიმართლე გითხრათ, აქ ჩემი ვიზიტის მიზეზი, არც მე მომწონს!

— როცა თქვენ დამირეკეთ და შეხვედრამ მთხოვეთ, მითხარით, რომ საქმე ჩემს პირად უსაფრთხოებას ეხებოდა და სწორედ ამიტომ გამოვნახე დრო და შეგხვდით, რა ხდება? — კაცი სავარძელზე გადაწვა, მათ ზემოდან უყურებდა.

ურებდა.

— ბატონო ფრიდონ, მერაბ შუკვანი თქვენი პირადი მძღოლია, არა?

— დიახ, — კაცი დაეთანხმა, თავის ასაკთან შედარებით მეტად ლოყებლავლავა იყო.

— აი, ეს ბავშვი თუ გეცნობათ? — გამოძიებელმა ჯიბიდან დიტო ვახტანგიშვილის ფოტო ამოიღო და წინ დაუდო, სურათზე ბიჭი ილიმებოდა.

მასპინძელი დააკვირდა, მაგრამ სახეზე ნერვიც კი არ შეუტოკდა, მერე კი გალიზინანებული ხმით ჰკითხა:

— აქ ამის საკითხავად მოხვედით?

— არა მარტო მაგის, ჩვენ გვანტიტერესებს სად იყავით ამა წლის 2 აპრილს, ღამის დაახლოებით 10-დან 12-საათამდე?

— თქვენ რა, ხომ არ გაგიჟდით? როგორ ბედავთ? რა არ იცით, ვინ ვარ? დაკითხვას რომ მიწყობთ. ახლავე დაცვას დავურეკავ და აქედან მიგაბრძანებენ! — გაცოფებული თვლებიდან ცეცხლს აკვესებდა. ის-ის იყო ტელეფონს დასწვდა და უნდა დაერეკა, რომ უეცრად ოთახში პატარა გოგონა შემოვარდა, 7-8 წლის იქნებოდა, სლუკუნებდა, მამაკაცს ჩაებლავუჭა.

— მამიკო, უთხარი რა თოკოს, მე არ მათამაშებს, — პატარამ ტუჩები გადმოატრიალა და სატირლად გაემზადა.

კაცი მაშინვე შეიცვალა, მოლბა, სახეზე ბოროტი და დაუნდობელი გამომეტყველება მყისვე გაუქრა, ბავშვს მოეფერა და დაუყვავა:

— ნადი ახლა და თოკოს უთხარი, თუ არ გათამაშებს, საღამოს პარკში აღარ წავიყვანთ, მარტო მე და შენ წავალთ!

გოგონამ სიხარულისგან ერთი შეიკუნტრუმა და გაიქცა. ფრიდონი მხრებში მოიკუნტა და ერთი წუთით მიყუჩდა, ცოტა ხნით ხმა არავის ამოუღია.

სოფო მიხვდა, რომ მისი ამ მდგომარეობით უნდა ესარგებლა.

— თქვენ გგონიათ, აქ ისე, უბრალოდ მოვედი? მე არაფერი მომლანდებია. თქვენ დიტო ვახტანგიშვილის გაუპატიურებასა და მკვლელობაში ხართ გარეული! — ქალს დაძაბულობა სრულიად მოეხსნა, პირიქით ისეთი ძალის მოზღვავება იგრძნო, რომ მთელს სამყაროს შეეჭიდებოდა.

— ახლავე დაცვას დავურეკავ! — კაცი ტელეფონს დასწვდა და უნდა დაერეკა, რომ უცებ ნინიძე წამოხტა და ტელეფონი გაუთიშა. ბატონი ფრიდონი ასეთ თავხედობას აღარ ელოდა და გაოგნებულმა პირი დაალო, ყურთან მიდებულნი ყურმილი ზედ მიეყინა.

— თავგადასავალს ეძებდით, სიხალეს და საშკას ბიჭებიდან დიტო ამოარჩიეთ, ალბათ, რამეთი შეიტყუეთ და მერე თქვენი ბინძური საქმე გააკეთეთ, — ზიზღმა ქალს სახე მოუღერიცა, — შესაძლოა, მისი მოკვლა არ გინდოდათ, მაგრამ... მერე საშკას დაურეკეთ, რომ მას გვამი გადაემალა, ამაში 20 ათასი დოლარი გადაუხადეთ.

კაცი უცებ მოირღვა, თითქოს დანებდა, თვითდაჯერება სადღაც გაუქრა, სკამზე და-



ვარდა, ამბით განადგურებული იყო, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია.

— მე დღესვე ყველაფერს გავაკეთებ და თქვენ, ქალბატონო, ამ სიტყვებს ძვირად დავისვამთ!

— რა, სამსახურიდან ჩემს თავს გააგდებინებთ? — სოფოს გაელიმა, — ამას კი არ იზამთ, უბრალოდ ვერ იზამთ!

— ვითომ რატომ? — კაცი სოფოს სიამოვნებით მიახრჩობდა. თემო ჩუმად იჯდა, მაგრამ ძალიან ღელავდა, ეს სახეზე ნათლად ენერა.

— თქვენ თუ დიდი თანამდებობა გიჭირავთ, ბატონო ფრიდონ, — ნინიძემ ზიზღნარევი ირონიით მიმართა, — მეც რაღაცას წარმოვადგენ. როგორც კი თქვენ ამას გააკეთებთ, მე სპერმის ექსპერტიზას მოვითხოვ და დავამტკიცებ, ბავშვი ვინ გააუპატიურა. თან თქვენი „გრანდ ჩეროკის ჯიპი“ გუშინ მძღოლს პროფილაქტიკაში ჰყავდა, ჩვენ მანქანა საგულდაგულოდ გაეჩხრიკეთ და შიგნით მკვდარი ბიჭის ნაკვალევი აღმოვაჩინეთ. არა მგონია, ასეთი სკანდალი გჭირდებოდეთ. დარწმუნებული ვარ, როცა ეს ამბავი გახმაურდება, თქვენი პოლიტიკური ოპონენტები მას თქვენს წინააღმდეგ სიამოვნებით გამოიყენებენ. ალბათ, რამდენი ელოდება ნახოს, როგორ ჩაიძირებით!

კაცმა სახე ხელებში ჩარგო, გაუნძრევლად იჯდა, მერე დაღლილმა თავი ასწია, მისი ხმა ყრუდ ჟღერდა, სოფოს უთხრა:

— თქვენ მე ვერაფერს დამიმტკიცებთ!

— ამას ახლა არც ვაპირებ, — ნინიძემ თავი გადაიქნია.

— აბა, რატომ მოხვედით, რა გინდათ? — დაცლილი და გამოფიტული მზერით მასპინძელი სკამიდან ველარ დგებოდა, თავისი მუქარაც კი გადაავიწყდა.

— ისე მოვედი, რომ უბრალოდ შეგახსენოთ, რა გაკეთეთ. თქვენ ოჯახი გყავთ, შვილები, კარიერა. მინდა ყოველ ცისმარე დღეს როცა საწოლიდან ადგებით, არ დაგავინწყდეთ პატარა დიტო ვახტანგიშვილი! — და ნინიძე ადგა. სათქმელი მეტი აღარც ჰქონდა, კაცს არ დაემშვიდობა, გარეთ ისე სწრაფად გამოვიდა, სუნთქვა უჭირდა, სუფთა ჰაერზე გასვლა სჭირდებოდა, მაგრამ არეული მიაბიჯებდა, არაქათგამოცლილს ფეხები აღარ ემორჩილებოდა.

— ქალბატონო სოფიკო ახლა რა მოხდება? — ჰკითხა თემომ, როცა ორივე უკვე მანქანაში ისხდნენ.

— არაფერი, არაფერი არ მოხდება! — სოფომ ორივე ხელი საჭეს დაადო, წინ იყურებოდა.

— აბა, რომ უთხარი, თქვენს წინააღმდეგ სამხილები მაქვსო? — ახალგაზრდამ გაიოცა.

— რა მაქვს, არაფერი, ისე შევამინე. არც ვიყავი დარწმუნებული, თუ მკვლეელი ეგ იყო. რომც მინდოდეს, სამხილებს ვინ მომამოვებინებს, ამ პიროვნების თვალთვალის სანქცი-

აზეც კი უარი მითხრეს. უბრალოდ ვიცი, რომ გუშინ მისმა მძღოლმა მანქანა პროფილაქტიკაში დატოვა, ეგ არის და ეგ, მე მის მანქანასთან ახლოსაც არ მივსულვარ.

დილით ნინიძეს კაბინეტის კართან გაზეთმომარჯვებელი თემო დაუხვდა. ორივე ოთახში შევიდა.

— რა იყო? — ქალმა მზერით ჰკითხა.

კაცმა გაზეთი გაუნოდა და ერთ სტატიაზე მიუთითა. იქ ენერა, რომ გუშინ საღამოს, საკუთარ სახლში ბატონი ფრიდონ სიღამონიძე გარდაიცვალა, იარაღს წმენდდა და შემთხვევით გაუვარდა. მერე გაზეთი გარდაცვლილის დამსახურებებზე ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს არ იშურებდა, ბოლოს მისი სიკვდილის გამო მწუხარება იყო გამოთქმული.

გამომძიებელმა გაზეთი დადო და ღრმად ამოისუნთქა, თითქოს თან ნაღველიც ამოაყოლა.

— გარეთ რომ გამოვედი, სახლთან ამაზე ლაპარაკობდნენ, მე ყურებს არ დავუჯერე, სიმართლე გითხრათ, არც ახლა მჯერა.

— მან საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი და გადაუწყვეტელი პრობლემა გადაჭრა, ჩვენ ვერაფერს შევცვლით, — თქვა სოფომ ჩუმად და თვალები დახუჭა.

როცა საშუა შემოიყვანეს, შეცვლილი ჩანდა, სახეზე თვინიერი გამომეტყველება ეფინა, ამაზე ნინიძეს გუნებაში ჩაეცინა.

— რა იყო, უფროსო, კიდევ რამეში გჭირდები? — საშუა სკამზე კომფორტულად მოკალათდა.

— იცი რა, გოზალიშვილი, სულ მინდა გკითხო, — სოფომ შუბლი ხელისგულით მოისრისა და კაცს შეხედა, — მაინტერესებს, რატომ დატოვე დიტოს გვამი იმ ქუჩაზე, რატომ არ დამარხე ან სულაც მდინარეში არ გადააგდე? რატომ?

საშუას სახე შეეცვალა, ფერი დაკარგა, ტუჩები გაუფითრდა, მძიმედ სუნთქავდა.

— ქალბატონო სოფიკო, — ქალს მოეჩვენა რომ მამაკაცს ხმა უკანკალებდა, აღელვებული ქვედა ტუჩს იკვნეტდა, — მეც ქუჩაში გავიზარდე, როგორც დიტო. ბავშვობაში მეც მანქანის ნაწილებს ვიპარავდი, ყველაფერი ვნახე. რატომ არ გადავაგდე მდინარეში? ასე რატომ მოვიქეცი, ახლაც არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ სადღაც გულის სიღრმეში მინდოდა, დიტოს მკვლელები გეპოვათ! — თქვა, ხელები თავზე შემოიდო და მიიჭირა. ნინიძეს მოჩვენა, რომ საშუა ცხოვრებაში პირველად ტიროდა, ამიტომ გამომძიებელმა მტირალ კაცს თანაგრძნობით შეხედა, უსიტყვოდ ადგა და გარეთ გავიდა.



მუნისერიო
სანიძე

სპიხინი

ეს ამბავი იმ დროს მოხდა, როცა თავქა-
რიანობას ადამიანები სათნოებად მიიჩნევდ-
ნენ, ცხოვრებას კი არ ამძიმებდა ახლანდელი
მკაცრი გაჭირვება. ეს იყო მცონარეთა საუ-
კუნე, როდესაც ენამოსწრებულ უსაქმურებს
არხეინად შეეძლოთ ცხოვრება, მათ ერთად-
ერთ საზრუნავს მხოლოდ მდიდარი და დიდგვა-
როვანი ახალგაზრდების მოლხენა შეადგენდა
და კიდევ ის, რომ ღიმილი არ მოშორებოდა სა-
სახლის კარის სეფექალებისა და გეიშების ბა-
გეებს. გრავიურებიან რომანებში, თეატრების
სცენებზე გამოჩნდნენ ქალაქუნა გმირები: სა-
დაკურო, ძირაია, ნარუკამი.

სილამაზე სიძლიერის მუდმივი თანამგ-
ზავრი გახდა, სიმანხიჯე კი სისუსტისა. ადა-
მიანები, ეგება უფრო ლამაზი გამოეჩნდეთო,
ყველაფერზე თანახმა იყვნენ, ზოგიერთი მოუ-
შორებელი სხნართაც კი იფარავდა სხეულს.
ხაზებისა და ფერების უცნაური შეხამება
აჭრელბედა ტანს.

ედოს „მხიარული უბნების“ სტუმრები
თავიანთი ტახტრევენების დამტარებლად მხ-
ოლოდ მათ ირჩევდნენ, ვისაც ლამაზი სვირინგი
ჰქონდა. ესივარელი და ტაცუმელი ქალები არ
ფარავდნენ თავიანთ კეთილგანწყობას სვირ-
ინგიანებისადმი. ამგვარი მორთულობა განა

მარტო მოთამაშეებს, მეხანძრეებს და მსგავს
წვრილფეხობას იტაცებდა, არამედ შეძლებულ
მოქალაქეებსა და ზოგიერთ სამურაისაც კი.
დროდადრო დათვალიერება ეწყობოდა, რომ-
ლის მონანილენი საჯაროდ ფენდნენ თავი-
ანთ გაშიშვლებულ სხეულებს, ამაყად იტყა-
პუნებდნენ ხელს სვირინგებზე, ახალი შენა-
ძენებით ტრაბახობდნენ და თან ნახატების
ღირსებებზე მსჯელობდნენ.

იმ დროს ერთი საოცრად დახელოვნებული
ახალგაზრდა მომსვირინგებელი ცხოვრობდა,
სახელად სეიკიტი ერქვა. სეიკიტის მხოლოდ
ისეთ უბადლო ოსტატებს თუ შეადარებდით,
როგორნიც ასაკუსელი ტიარიბუნი ანდა მაც-
უსიმა-მატელი იაცუხეი იყვნენ. ათეულობით
ადამიანის სხეული ფიანდაზად ეშლებოდა მის
ნემსებს. იმ სვირინგებს შორის, დათვალიერე-
ბაზე საყოველთაო აღფრთოვანებას რომ
ინვევდა, მრავლად იყო სეიკიტის ნაოსტატარ-
იც. თუ დარუმა კინმა რეტუმის მოხდენილო-
ბით გაითქვა სახელი, კარაკუსა გონტამ კი —
სინგურის სიმკვეთრით, სეიკიტის ნახატს სწო-
რუპოვარი სითამამე და ხაზების სილამაზე გა-
მომარჩევდა ყველასაგან.

ადრე სეიკიტი უკიო* — ეს მხატვარი იყო,
ტოოკუნისა და კუნისადას მიმდევარი. მას
შემდეგ, რაც ფერწერა მიატოვა და მოსვირ-
ინგებას მიჰყო ხელი, იგი ადრინდელ ჩვევებს
მანერის დახვეწილობასა და ჰარმონიის განსა-
კუთრებულ შეგრძნებაში ავლენდა. ადამიანის
კანი ან სხეულის აგებულება ჭკუაში თუ არ
დაუჯდებოდა, ვერაფრით აიძულებდით საქმი-
სათვის ხელი მოეკიდა. ხოლო ვისაც მოწყალებ
თვალთ შეხებდავდა, იგი მთლიანად უნდა მინდ-
ობოდა მას, მის გემოვნებას და ფასზე არ უნდა
ევაჭრა, რათა შემდეგ ერთი ანდა სულაც ორი
თვე გაეძლო აუტანელი ტანჯვა-წამებისთვის.

ახალგაზრდა მომსვირინგებელი რაღაც
ფარულ ვნებასა და ტკბობას ესათუებოდა.
რომ იცოდეთ, როგორ ახალისებდა მის წინ
განრთხმული ნემსით დაჩხვლეტილი საბრალო
არსებების კრუნჩხვა, მათი გასისხლიანებული
შეშუპებული სხეულების წამება. რაც უფრო
ხმამაღლა კვნესოდა სეიკიტის მსხვერპლი,
მით უფრო მეტ სიამოვნებას განიცდიდა იგი.
ყველაზე მტკივნეული პროცედურა — რეტუ-
შირება და ნანემსრების სინგურით დაფარვა
ხომ არნახულ სიამოვნებას ანიჭებდა.

მას შემდეგ, რაც ხუთას ან ექვსას ჩხვლეტას
უძლებდნენ ერთი ჩვეულებრივი სეანსის გან-
მავლობაში, ხოლო შემდეგ საღებავების უკეთ
გასამუღავნებლად აბაზანაში იორთქლავდნენ
სხეულს, ყველა ისინი, ქანცგანყვეტილები,
მკვდრებივით ეცემოდნენ სეიკიტის ფერხით.
მხატვარი გულგრილად უმზერდა ამ საცოდავ
სანახაობას. „აბა, ვიმედოვნებ, მართლაც იტან-
ჯებით“, — კმაყოფილი ღიმილით შენიშნავდა
ხოლმე სეიკიტი.

თუ ვინმე ლაჩარი გამოდგებოდა და წამები-

* შუასაუკუნეების ფერწერის პოპულარული
მიმართულება, რომელიც ქალაქის ზედაფენების ყო-
ფასა და ნეს-ჩვეულებებს აღივსებდა.



სას ყვირილს, კბილების ღრჭიალსა და სახის საშინელ მანჭვა-გრეხას მოჰყვებოდა, თითქოსდა სასიკვდილო აგონიაშიაო, სეიკიტი ასე მიმართავდა: „მისმინეთ, თქვენ ხომ ედოკო** ხართ, თანაც რიგიანად ჯერ არც კი გიგრძენიათ ჩემი ნემსების ჩხვლეტა“. და ისევ აუღელვებლად განაგრძობდა მუშაობას, იშვიათად თუ მიაპყრობდა ხანგრძლივ მზერას მსხვერპლის ცრემლიან სახეს.

ისეც ხდებოდა, რომ ზოგი მეტისმეტად თავმოყვარე კლიენტი უკიდურესად ძაბავდა ნებისყოფას და ამის ნყალობით მამაცურად უძლებდა ტკივილს, ისე, რომ თავს წარბის შეკერის უფლებასაც კი არ აძლევდა. ასეთ დროს სეიკიტი მხოლოდ იცინოდა და თეთრ კბილებს აჩენდა: „რაო, ჯიუტო! არ მნებდები... რა გაენყობა ვნახოთ. მალე დაიკრუნჩხები ტკივილისაგან. ვიცი — დიდხანს ვერ გაძლებ“.

წლების განმავლობაში სეიკიტის ერთი ოცნება ასულდგმულბდა — თავისი ხელოვნების შედეგური მშვენიერი ქალის სხეულზე ისე აღებეჭდა, რომ ვისაც ამ საოცრების ხილვის შესაძლებლობა მიეცემოდა, სრულად შეეგრძნო მისი სულის სიღიადე. უმთავრესი მისთვის ქალის ხასიათი იყო — მარტო ლამაზი სახე და მოხდენილი აღნაგობა არ აკმაყოფილებდა. სეიკიტიმ ედოს „მხიარული უბნების“ ყველა ცნობილი ლამაზმანი შეისწავლა, მაგრამ ამაოდ, ვერც ერთმა ვერ ივარგა. რამდენიმე წელმა განვლო უნაყოფო ძიებაში, თუმცა გულში აღბეჭდილი ხატება უნაკლო ქალისა კვლავინდებურად აღუვებდა სეიკიტის წარმოსახვას. იმედს მაინც არ კარგავდა.

ზაფხულის ერთ საღამოს, ძიების მეოთხე წლისთავზე, სეიკიტიმ ფუკაგავაში თავისი სახლის მახლობლად მდებარე ხირასეის პატარა რესტორანს ჩაუარა. მოულოდნელად წინ საოცარი სანახაობა გადაეშალა — რესტორნის კარებთან მდგარი ტახტრევის ფარდიდან ქალის რძისფერი გამიშვლებული ფეხი გამოკრთა. სეიკიტის მახვილი მზერისათვის ადამიანის ფეხს ისევე ბევრი რამ შეეძლო ეთქვა, როგორც სახეს. ის, რაც მან დაინახა, სრულქმნილების ჭეშმარიტი განსახიერება იყო. ტურფად ჩამოქნილი თითები, ფრჩხილები, — ენოსიმას სანაპიროს სადაფის ნიჟარებს რომ მოჰგავდა, მარგალიტის დარი ქუსლის სიმრგვალე, თითქოსდა მთის ჩანჩქერში განბანილი ბრწყინვალე კანი — ამ ფეხს დიახაც რომ შეეძლო მამაკაცთა სისხლში განბანილიყო და უმონყალოდ გაეთელა მათი დამონებული სხეულები. სეიკიტი მიხვდა, ასეთი ფეხი ერთადერთ ქალს შეიძლება ეკუთვნოდესო — ქალს, ვისაც ასე დიდხანს ეძებდა. აჩქარებული გულისცემა შეიკავა და, ეგება ქალის სახე დავინახო, ტახტრევანს უკან მიჰყვა, მაგრამ რამდენიმე ქუჩაბანდისა და მოსახვევის გავლის შემდეგ ტახტრევანი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ძველი ოცნება სეიკიტის მწველ ვნებად

ექცა. ერთხელ, ამ შემთხვევიდან ერთი წლის მერე, გვიან გაზაფხულზე, სეიკიტი დილაადრიან გამოსულიყო თავისი სახლის ბამბუკის აივანზე, ქოთანში ჩარგული ომოტოს შრომანებით ტკებოდა და თან კბილსაჩიქნით ერთობოდა. მოულოდნელად ბაღში კუტიკარმა გაიჭრიალა და მესერის კუთხიდან გოგონა გამოჩნდა. შეხედა თუ არა დრაკონებითა და გველებით მორთულ ხაორის, სეიკიტიმ მაშინვე დაასკვნა, ნაცნობი გვიმას შიკრიკი იქნებაო.

— დაიკომ მოხვავა, ეს კიმონო თქვენთვის გადმომეცა და მეკითხა, ხომ არ ინებდით მისი უკანა მხარის მოქარგვას, — თქვა გოგონამ და ზაფრანისფერი ფუთა გახსნა, საიდანაც ქალის მაუდის კიმონო და წერილი ამოიღო. კიმონო სქელ ქალაღდში გაეხვიათ, რომელზეც მსახიობი ავავი ტობიაკუ იყო გამოსახული.

წერილში თხოვნა დასტურდებოდა. ამას გარდა, ნაცნობი ატყობინებდა, რომ წერილის მომტანი მალე გეიშა უნდა გამხდარიყო და, როგორც „უმცროსი და“, მისი მფარველობის ქვეშ აღმოჩნდებოდა. გეიშა იმედოვნებდა, სეიკიტი მათი ძველი მეგობრობის ხათრით გოგონას დაეხმარებოდა.

— მგონი ადრე არ შემხვედრიხარ. ამ ბოლო დროს ჩემთან ხომ არ შემოგივლია? — შეეკითხა სეიკიტი და ყურადღებით დააცქერდა სახეზე. გოგონა თხუთმეტ-თექვსმეტ წელზე მეტისა არ იქნებოდა, მაგრამ მის სახეზე ისეთი არაჩვეულებრივად დასრულებული სილამაზე აღბეჭდილიყო, რომ იფიქრებდით, ამ ქალს მრავალი წელი აქვს გატარებული „მხიარულ უბნებში“ და ათეულობით ცოდვილი მამაკაცის სული დაუღლუპიაო. გოგონა ჯადოსნურ პირმშოს მოგაგონებდათ იმ ბრწყინვალე მამაკაცებისა და მაცდური ქალების მთელი თაობებისას, ამ უზარმაზარ დედაქალაქში რომ ეწერათ სიციცხლეცა და სიკვდილიც, სადაც ბინა დაედო ერის ყველა ბინიერებასა და ყველა სიმდიდრეს.

სეიკიტმ გოგონა აივანზე დასვა და მსუბუქ ჩალის სანდლებში გამოწყობილ მის მოხდენილ ფეხებს დაინყო თვალიერება.

— შარშან, ივლისის თვეში, ტახტრევანით ხომ არ გამგზავრებულხარ ხირასეიდან? — დაინტერესდა იგი.

— შეიძლება, — უპასუხა გოგონამ და უცნაურ შეკითხვაზე გაელიმა. — მაშინ მამაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხშირად დავყავდი ხირასეიში.

— უკვე ხუთი წელია, რაც გიცდი. ჰო, ჰო, სახეზე პირველად გხედავ, მაგრამ ფეხი დამამახსოვრდა შენი... მისმინე, რალაც მინდა გაჩვენო. ერთი წუთით ავიდეთ ჩემთან.

სეიკიტმ ხელი მოჰკიდა წასასვლელად უკვე გამზადებულ გოგონას, და თავის სახელოსნოსაკენ გაიყოლა მეორე სართულზე, საიდანაც წყალუხვი მდინარის ხედი იშლებოდა. იქ მან ორი დაგრაგნილი სურათი აიღო და ერთი მათგანი გოგონას წინ გაუშალა. სურათზე ჩინელი პრინცესა გამოესახათ, შანის დინასტიელ იმპერატორ ჩუს ფავორიტი. მარჯნებითა და ლილაქვით მოარშიებული ოქროს გვირგვინის

** ედოს (ახლანდელი ტოკიოს) მკვიდრი, განთქმული მახვილგონიერებითა და საზრიანობით. ედოკო ყოველთვის ინარჩუნებდა სულის მხნეობას.

სიმძიმეს თითქოს ღონე მიუხდიაო მისთვის. პრინციესა ნაზად დაყრდნობია მოაჯირს. მდიდრულად მოქარგული კაბის კალთა კიბეებს სავსე დიდი ფიალა მიაქვს და თან სამეფო ბაღში ნამების სამზადისს გადმოჰყურებს. მსხვერპლი სპილენძის ბოძზე მიუჯაჭვავთ, სადაც ცეცხლი უნდა გააჩაღონ. ბედს დამორჩილებული მამაკაცის სახის გამომეტყველება, პრინციესას წინაშე თავდახრილი და თვალდახუჭული რომ დგას, შემზარავი ოსტატობითაა გადმოცემული.

დახედა თუ არა გოგონამ ამ უცნაურ სურათს, თვალები უნებლიეთ გაუბრწყინდა, ტუჩები კი აუთრთოლდა, სახით საოცრად დაემსგავსა პრინციესას. სურათში მან თავისი ფარული „მე“ დაინახა.

— ამ ტილოზე მთელი შენი სული აისახა. — კმაყოფილი ღიმილით წარმოთქვა სეიკიტიმ და გოგონას თვალეში ჩააცქერდა.

— რატომ მაჩვენებთ ამ საშინელებას? — შეეკითხა გოგონა და გაფითრებულმა ახედა სეიკიტის.

— ამ ქალს რომ უყურებ, ეს შენა ხარ, შენს ძარღვებში მისი სისხლი სჩქეფს. — ეს თქვა და მეორე გრავნილი გაშალა. სურათს „ხრწნა“ ერქვა. ცენტრში საკუთარ ტანს მიყრდნობილი ქალია გამოსახული. იგი მის ფერხითი გართმულ მამაკაცთა უსიცოცხლო სხეულებს დაჰყურებს, რომლებსაც თავს ფრინველთა გუნდი დახვევია. ქალის გაბრწყინებულ თვალეში სიამაყე და სიხარული ჩაღვრილა. რა გამოუსახავთ აქ — ბრძოლის ველი თუ აყვავებული ბაღი გაზაფხულისა? გოგონამ სურათს შეხედა და იგრძნო, თუ რა საცნაური ხდებოდა მისთვის ის მალული ფიქრები, მისი სულის იდუმალ სხეულებში რომ განახულიყო. — აქ, ამ სურათზე, შენს მომავალს სჭვრეტ. ამიერიდან მამაკაცები ზუსტად ასე გასწირავენ თავს შენი გულისათვის, — თქვა სეიკიტიმ და ქალის პორტრეტზე მიუთითა, რომლის ნაკვთები წყლის ორი წვეთივით წაგავდა გოგონას ნაკვთებს.

— მე ჩემს თავს ფერისცვალებას ვამჩნევ. გემუდარებით, მომამორეთ ეს სურათი! — შეევედრა იგი.

გოგონამ ზურგი აქცია გრავნილს, თითქოს მის მომნუსხავ ძალას უნდა გაექცესო და ტატამზე განვა. ბოლოს კვლავ დაილაპარაკა:

— ჰო, გამოგიტყდებით. მართალი ხართ, სულით მეც ამ ქალს ვგვევარ. ამიტომაც გემუდარებით, მომამორეთ სურათი, მეტის ატანა აღარ შემიძლია!

— აბა-აბა, ნუ გეშინია. კარგად დააკვირდი სურათს. ახლა თავზარი გეცემა, მაგრამ მალე გაგივლის, — და სეიკიტის სახეზე მისთვის ჩვეული ღვარძლიანი ღიმილი გამოესახა.

გოგონა თავს მალა არ სწევდა. იატაკზე გართხმულს სახე კიმონოს სახელოში ჩაერგო და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— გამიშვით აქედან, გვედრებით. თქვენთან დარჩენა მეშინია.

— ცოტაც მოიცადე. მე შენ ნამდვილ მზე-თუნახავად გაქცევ, — ჩურჩულებდა სეიკიტი

და ფრთხილად უახლოვებოდა გოგონას. კიმონოს შიგნით მკერდთან ის ქლოროფორმიანი შუშა დაემალა, ჰოლანდიელ ექიმს რომ მიეცა მისთვის.

მზე კამკაშებდა, ირეკლებოდა მდინარის გლუვ ზედაპირზე და ამიტომაც სახელოსნო, რვა ტატამისგან რომ შედგებოდა, ცეცხლის ალში გახვეულს ჰგავდა. სხივები წყალზე სხლტებოდა და ოქროსფერ ჭავლებად ეფრქვეოდა ქალადის სიოდებსა* და ღრმა ძილს მიცემული ქალიშვილის სახეს. მოსასვირინგებელი იარაღებით აღჭურვილმა სეიკიტიმ კარი მიხურა, გოგონასკენ შეტრიალდა და ალტაცებისგან წამით გაირინდა. ახლალა იგრძნო მთელი არსებით ამ ქალის ჭეშმარიტი მშვენიება. ათი, ასი წელიც რომ გავატარო ასე გარინდებულმა, ბოლომდე მაინც ვერ დავტკბები ამ უშფოთველი, წყნარი სახის ცქერითო, გაიფიქრა მან. როგორც ძველი მემფისელნი რთავდნენ ხოლმე ეგვიპტის მადლიან მინას პირამიდებითა და სფინქსებით, სწორედ იმდაგვარად აპირებდა ოსტატი გოგონას სპეტაკ სხეულზე თავისი სიყვარულის აღბეჭდვას.

სეიკიტიმ მარცხენა ხელში ფუნჯი აიღო, თითებსშუა მოიქცია და ფუნჯის წვერით გოგონას ზურგს შეეხო, მარჯვენათი კი ნემსის ჩხვლეტა დაინყო. ახალგაზრდა მომსვირინგების სული სქელ საღებავებში ითქვიფებოდა და თითქოს გოგონას კანზე გადადიოდა. სპირტს შერეული სინგურის ყოველი წვეთი მისი გულის სისხლად იქცეოდა. მისი ვნება სვირინგის ფერს იძენდა.

შუადღემ მალე გაირბინა, გაზაფხულის წყნარი დღე შეუმჩნევლად მწუხრმა შეცვალა. სეიკიტის ხელი წუთითაც არ ჩერდებოდა. გოგონას ძილი არაფერს დაურღვევია. ვეიშას მიერ ამბის გასაგებად გამოგზავნილ შიკრიკს სეიკიტიმ უთხრა, გოგონა რა ხანია წავიდაო და უკან გაისტუმრა.

როდესაც მთვარე მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე რესტორან „ტიუსიოს“ სახურავს ასცდა და სანაპიროზე ნაგებობები ფანტასტიკური ნათებით მიმოქარგა, სეიკიტიმ სანთლების შუქზე განაგრძო დაძაბული მუშაობა.

ერთი შტრიხის ვავლებაც კი ეძნელებოდა. ნემსის თითოეული ჩხვლეტისას სეიკიტი ისე ამოიხრებდა ხოლმე. თითქოსდა ნემსმა გულში გაუარაო. თანდათან ნემსის ნაკვალევმა უზარმაზარი ობობა-ძოროს** გამოსახულებად გარდასახვა დაიწყო და როცა ღამეულმა ცამ გადაინათა, ამ უცნაურმა, ბოროტმა ქმნილებამ თავისი ყველა რვავე თათი გადაატოტა გოგონას ზურგს. როდესაც გაზაფხულის ღამე გარიჟრაჟმა შეცვალა, ნავებიდან, მდინარეს აღმა-დაღმა რომ ქსელავდნენ, ნიჩბის პალოების ღრჭიალი გაისმა, თეთრ იალქნებს დილის ნისლი მოსცილდა და ჰაერში გაიბნა, მზის სხივებმა ოქროსფრად ააელვარა ტიუ-

* იაპონური სახლის მოძრავი ტიხარი.

** ობობას სახეობა. სიტყვა ძორო იაპონურად ჰეტერას ნიშნავს.



სიუს, ჰაკოძაკისა და პანანინა კუნძულ რო-
განის სახლების სახურავები. სეიკიტის ფუნჯი
გვერდზე გადაედო და გოგონას ზურგზე გამო-
სახული ობობათი ტკბებოდა. მის სიცოცხლეს
ამიერიდან ამ სვირინგში დაედო ბინა. ახლა,
მუშაობის შემდეგ, საოცარ სულიერ სიცარი-
ელეს გრძნობდა.

ერთხანს არც ერთი არ განძრეულა. ბოლოს
სეიკიტის ხრინჩიანი, დაბალი ხმა გაისმა:

— სვირინგში მთელი ჩემი სული ჩავაქსოვე,
ასე მშვენიერი რომ ყოფილიყავი. იაპონიაში
ბადალი არ მოგეპოვება. შიში უკვე გაგიქრა.
ჰო, ყველა მამაკაცი არარაობად იქცევა შენს
ფერხთით...

გოგონას სუსტი კენესა აღმოხდა. იგი თან-
დათან მოდიოდა გონს. სუნთქვა უჭირდა. ყოვ-
ელ ჩასუნთქვაზე ობობას საცეცები ცოცხალი-
ვით ირხეოდა.

— ალბათ, გიმძიმს ობობას საცეცებში
ყოფნა.

ამ სიტყვებზე გოგონამ თვალი გაახილა და
მიმოიხედა. გუგები თანდათან დაენმინდა. ასე
აენტება ხოლმე ცის კიდურზე საღამოობით
მკრთალი მთვარე. მისი ელვარე თვალები მა-
მაკაცის სახეს მიაჩერდა.

— მალე მაჩვენეთ სვირინგი. რაკი მთელი
სიცოცხლე მე მომიძღვენი, ალბათ მართლაც
ძალიან ლამაზი გავხდი.

გოგონა თითქოს ძილბურანში ლაპარაკობ-
და, მაგრამ სეიკიტიმ შეამჩნია თუ როგორ გაე-
რია მის ხმას რალაც ბოროტისეული.

— გაჩვენებ, მაგრამ ჯერ აბაზანა უნდა
მიიღო, საღებავები უკეთ რომ გამულავნდეს.
მართალია, განვალდები, მაგრამ ცოტა კიდევ
გაუძელი. — თანაგრძნობით ჩასჩურჩულა
სეიკიტიმ.

— ყველაფერს გავუძლებ, ოღონდაც
ლამაზი გავხდე, — გოგონამ გაიღიმა, თუმცა
ტკივილი მთელ ტანში უვლიდა.

— ოჰ, რა საშინლად მიუთქავს სხეულს ეს
ცხელი წყალი! გვედრებით, მარტო დამტოვეთ,
სახელოსნოში ადით და იქ დამელოდეთ. არ მინ-
და მამაკაცმა ასე საცოდავი მიხილოს.

აბაზანიდან გამოსულმა ტანის შემშრალე-
ბაც კი ვერ შეძლო, ისე იყო მისავათებული. თავ-
იდან მოიცილა სეიკიტი, რომელმაც მიშველება
სცადა და ტკივილისგან ერთიანად დაგრეხილი
იატაკზე დაეცა, ისე კენესოდა, გეგონებოდათ
დემონები დაუფლებიანო მის სულს. განენილი
თმა უნესრიგოდ ჩამოშლოდა შუბლზე. ქალის
ზურგს უკან სარკე იდგა. მასში ორი, თოვლი-
ვით ქათქათა ქუსლი ირეკლებოდა.

სეიკიტი გაეოგნებინა ამ ცვლილებას,
გუშინდელს აქეთ რომ მომხდარიყო გოგონაში,
მაგრამ მაინც დაემორჩილა მის თხოვნას, სახ-
ელოსნოში ავიდა და იქ დაუნყო ლოდინი. სულ
რალაც ნახევარი საათის შემდეგ ისიც ამოვიდა.
გულდაგულ გამოწყობილიყო. დავარცხნილი
თმა ზურგზე სცემდა. თვალები დასწმენდოდა.
მათში ტკივილის ნასახიც კი გამქრალიყო. ვე-
რანდას მოაჯირს დაეყრდნო და ცას შეხედა,
რომელსაც ნისლი გადაჰკვროდა.

— სურათებს სვირინგთან ერთად გჩუქნი.
აიღე და ნადი სახლში. — სეიკიტიმ ქალს ორივე
გრაგნილი გაუნოდა.

— მე აღარაფრის აღარ მეშინია. თქვენ
პირველი იქეცით ჩემს ფეხთა მტვრად. — ქა-
ლის თვალებში ელვა ისე გამოკრთა, თითქოს
კვესს გაჰკრესო. მის ყურებში გამარჯვების
ჰიმნმა გადაიქუხა.

— ნასვლამდე ერთხელ კიდევ მაჩვენე
სვირინგი, — სთხოვა სეიკიტიმ. გოგონამ უხ-
მოდ დაუქნია თავი და კომონო მხრებიდან გა-
დაიდრო. დილის მზის სხივები სვირინგს დაეცა
და ქალის ზურგი ალში გაეხვია.

თარგმანა ზაალ ზოტკოველმა



ეფუარდ
უზუნაძე

მუხრან მაჭავარიანის ჩითვის ეპოემა

მუხრან მაჭავარიანის რითმა ყურადღებას იქცევს არა მარტო სართომო წყვილთა შემადგენლობით, არამედ ჟღერადობითაც. ბუნებრივია, არის მის შემოქმედებაში, როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი რითმებიც. „რითმას, ლექსის მუსიკობის გაძლიერების გარდა, კიდევ სხვა ღირებულებაც გააჩნია — იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში და ლექსის კომპოზიციურ საყრდენადაც გვევლინება“ (დ. ფორჩხიძე, „გიორგი ლეონიძის რითმა“, „გიორგი ლეონიძე“, შემდგენელ-რედაქტორი: თ. ბარბაქაძე, თბ., 2001, გვ. 364).

თუმცა მუხრან მაჭავარიანის ლექსებში რითმის სიღარიბე არ იქცევს ყურადღებას, რადგან პოეტისათვის სათქმელი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე რითმა, ან სულაც მყარი სალექსო ფორმები.

რითმის ძებნამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სათქმელის ზუსტ გადმოცემას და სხვა რამ ათქმევისის შემოქმედს. ნერს კიდევ ამის შესახებ პოეტი:

**„დღეს ქართველებს ჭეშმარიტად
საყვედური არ გვეთქმის.
ეს რა მიქნა ერთმა რითმამ:
გამახსენა არგვეთი“.**

ადვილი მისახვედრია, რომ სტროფის პირველი ორი სტრიქონი სულ სხვა განწყობილებას იძლევა, ვიდრე ბოლო ორი და, პოეტის თქმით,

ერთმა რითმამ მთლიანად შეაცვლევინა სათქმელი.
„კიდევ უფრო ხშირი და საგრძნობია რითმული სიმეტრიის რღვევა. ზოგიერთი (***) მაგონდება სიყმანვილედ“ თავიდან ბოლომდე ერთ რითმაზეა განწყობილი. რითმები გრძელია და მუსიკალური: გოლეული-ღვინომორეული-შორეული.

ერთი ექვსმარცვლიანი რითმაც ვნახეთ: შემოიარა რა-„ჩემო იარალად“. მაგრამ ზოგჯერ ასეთ რითმასაც წააწყდები: დავითი-თავისი. ხან მთელი ლექსი ღარიბ რითმაზეა აგებული („სულაც არ მიკვირს“), ხან ურითმო პასაჟით თავდება, ხან კი, საერთოდ, ურითმოა (***) „ღმერთმა ქნას“. მაგრამ აზრს ისე მიჰყავხარ, რომ რითმის საჭიროებას ანდა თავისთავად კარგი რითმის საჭიროებას ვერ გრძნობ (აკ. ხინთიბიძე, „მუხრანული“, გაზ. „კალმასობა“, 2004, 1).

რასაკვირველია არის მუხრანის შემოქმედებაში, როგორც იდენტური, ასევე არაიდენტური რითმები, ძირითადად, ასონანსები ჭარბობს, როგორც იდენტურ, ასევე სხვა არაიდენტურ (კონსონანსებს, დისონანსებს) რითმებს.

უჩვეულოა და სმენისთვის უცხოა პოეტის იდენტური რითმები: დილა-გააავთანდილა („მიდის...მიდის“), პირველიო-ფრინველიო („ვახტანგ მეფის ნანადირევი“), ძია-ტანძია („საბა“), მსრბოლი-ბოლი („ჭოლა“) და სხვ. რა თქმა უნდა, რითმები ლექსში იძენენ დამოუკიდებლობას:

**„კიდობანი რომ იყო ნოესი,
ამ ხისა იყო
უსათნოესი!“**

(„ძელი ულპოლველი“)

არც ომონიმური რითმაა უცხო პოეტის შემოქმედებისათვის:

**„მოგეხსენებათ, რა ძნელია პოემის წერა;
არა ერთი და ორი გახდა ამ საქმის წერა.“**

(„ვახტანგი“)

არის შემთხვევები, როდესაც პოეტებს, ომონიმური რითმების ნაცვლად, ტავტოლოგიური რითმები გამოსვლიათ, თუმცა მუხრან მაჭავარიანი იმ პოეტთა რიცხვს არ მიეკუთვნება, ასეთი მარცხი მოუვიდეს. პირიქით, იგი შეგნებულად იყენებს ტავტოლოგიურ რითმებს:

**„მიხარია...
დატრიალდა მიწის ორთქლი ჰაერში.
მეც ცვარივით აღმიტაცე,
უფრო დაბლა დაეშვი.
დე, ცვარივით გავითქვიფო,
მზეო, მეც ამ ჰაერში.
მზეო,
მზეო,
მძლეთა მძლეთ
უფრო დაბლა დაეშვი!“**

(„მიხარია“)

სტრიქონში ტავტოლოგიური რითმები: ჰაერში-ჰაერში და დაეშვი-დაეშვი ჯვარედინად ერთმანეთს, თუმცა ასევე ერთმანეთს ერთმანეთს ჰაერში-დაეშვი და ასონანსურ რითმას ქმნის. ხოლო სტრიქონი ჯვარედინად გართმულ ტავტოლოგიურ რითმაზეა აგებული.

რითმა ლექსის მეტად საყურადღებო ნაწილია, მაგრამ პოეტისთვის სათქმელი უფრო მნიშვნელოვანია და ცდილობს, დაგვანახოს, რომ



ტავტოლოგიური რითმით შესრულებულ ლექს-საც აქვს ძალა, თუ სათქმელი, რომლისგანაც გარკვეული განწყობილება მიიღება, სწორად არის გადმოცემული.

ასევე საინტერესოა ტავტოლოგია რითმაში:

**„ვინც კი, საერთოდ,
რაიმეს უცდის, —
ტაქსის უცდის თუ
ტრამვაის უცდის! —
უკეთუ უცდის,
რაკილა უცდის, —
ეს იმას ნიშნავს,
რომ სიკვდილს უცდის.**

(*** „ვინც კი, საერთოდ“)

ლექსში სიტყვა „უცდის“ ექვსჯერ არის გამოყენებული და ექვსჯერვე რითმის ფუნქცია აკისრია. მაგრამ რითმის ასეთი სისუსტეც კი ვერაფერს აკლებს ლექსის შინაარსსა და მისგან მიღებულ განწყობილებას. ეს არის გააზრებული ტავტოლოგია რითმაში და სწორედ ამ იდენტურ რითმათა მონაცვლეობით მიიღწევა ის ეფექტი, რაც პოეტს სურდა გადმოეცა და მოახერხა კიდეც, მდიდარი რითმების გამოყენებლად.

პოეტი ძირითადად ასონანსებს მიმართავს, რათა უფრო კარგად გამოთქვას სათქმელი „სიტყვის სიტყვასთან შეწყობა კიდეც უფრო ზრდის არაიდენტური რითმების რიცხვს. თუ ძველ რითმაში არაიდენტურობა ასონანსით ახალ რითმაში მას კონსონანსი და დისონანსი ემატება. ხოლო ასონანსებს გააზრებული ხასიათი აქვს (ა.კ. ხინთიბიძე, „ტერმინებისთვის: ზუსტი და არაზუსტი, ვაჟური და ქალური რითმა, ჟურ. „სჯანი“ III, თბ., 2002, გვ., 104).

ასონანსი რითმაში ხმოვანთა იგივეობას და ცალკეულ თანხმოვანთა განსხვავებულობას ნიშნავს. ამასთანავე იგი რამდენიმე სახესხვაობის შემცველია:

**„გამოვა რამე, თუ არ გამოვა?!
რისგან გამოვა და რა გამოვა?!
მზე არ ამოვა, თუ მზე ამოვა?
განთიადია თუ სალამოა?!
განთიადია თუ სალამოა —
ვაი, ვაგლახი ამის გამოა.“**

(*** „გამოვა რამე თუ არ გამოვა“)

ლექსი ექვსსტრიქონიანია, აქედან — პირველ და მეორე სტრიქონთა რითმა ტავტოლოგიურია (გამოვა-გამოვა), ასევე ტავტოლოგიურია მეოთხე და მეხუთე სტრიქონთა რითმაც (სალამოა-სალამოა), მეორე და მესამე სტრიქონთა რითმა იდენტურია (გამოვა-ამოვა), იდენტურია მეხუთე და მეექვსე სტრიქონთა რითმაც (სალამოა-გამოა), რაც შეეხება მესამე და მეოთხე სტრიქონებს ისინი არასტანდარტულ ასონანსურ რითმას ქმნიან (ამოვა-სალამოა), სადაც ადგილი აქვს „ვ“ თანხმოვნის დაკლებას რითმის შიგნით, რაც ასონანსური რითმის ერთ-ერთი სახეობაა. მოვიყვანოთ კიდეც ერთი მაგალითი:

„ხობობს ქორი მიუსიეს, მიუსიეს, მიუსიეს,

**ამ უღრან ტყეს გადასცილდნენ, შეეფარნენ
იმ უსიერს“**

(„ვახტანგ მეფის ნანადირევი“)

წარმოვადგინოთ კიდეც ერთი სტროფი, სადაც ასონანსურ რითმაში ბოლო თანხმოვნის დაკლება ხდება:

„ირგვლივ ციმბირია, ირგვლივ ღრმა თოვ-

ლია.

მთვარე საფლავიდან ადგა.

**აქ არც ტფილისია, აქ არც წყნეთელია, —
ჭოლა**

ალარ არის რადგან.“

(„ჭოლა“)

მსგავსი მაგალითები მრავლადაა მუხ. მაჭავარიანის ლექსებში. მაგალითად: ატირდიან — რა დიდია („მიდის...მიდის...“), ღონიერი-ორი ერის (***) „ცივი ქუჩები პეტერბურლის შემოიარა რა“, ვისაც-ზღვისა („ადგას“), ძალადა-მაღლა („შოთა“), მოფხანას-თოფხანა (***) „რაც კაია“, თამაღობს-თავადო („პუშკინი ტფილისში“) და სხვ.

ვისარგებლებთ შემთხვევით და ასონანსური რითმის მსგავსი სახეობის კიდეც ერთ მაგალითს მოვიყვანოთ, სადაც სარიტმო ერთეულად დიალექტია გამოყენებული:

„იქ დაბრუნდები ციდანა —

ცაში ასულხარ სიდანაც.“

(*** „იქ დაბრუნდები ციდანა“)

ესეც ერთ-ერთი თავისებურებაა მუხ. მაჭავარიანის შემოქმედებისა — დიალექტის გამოყენება არა მარტო სტრიქონის შიგნით, არამედ სარიტმო ერთეულადაც. „რითმაშიც ჩაურთავს დიალექტს: არაგვი-თვარა კი. პოეტი გვიც ძნელაძე გურული დიალექტით გართობა: ძნელაძე-ელანძე.

დიალექტის გამოყენება სამწერლო ენაში საჩოთიროდაა მიჩნეული. ვაჟას, როგორც იქნა, აპატიეს. თან დიალექტსაც აქცევენ ყურადღებას: ფშავური შეიძლება, იმერული — არა. ნურავის ჰგონია, ვაჟას დიალექტური მეტყველების მომხიბვლელობა მარტო ფშავური დიალექტის მაღალი ღირსებით იყოს გამოწვეული. აქ მთავარი თავად ვაჟაა. იმერული და გურული დიალექტები ბევრად უფრო დაშორებულია სალიტერატურო ქართულს, მაგრამ განა დავით კლდიაშვილის იმერიზმები და ნოდარ დუმბაძის გურიზმები უარყოფითად აღიქმება? ყველაფერი მწერლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული.

მუხრან მაჭავარიანის დიალექტური გამონათქვამები ამშვენებენ მის მეტყველებას, რადგან ისინი მიზანდასახულებრივია: იმერული იმერულად უქცევს. გვიც ძნელაძე კი გურულია და მის დასახასიათებლად მიზანშეწონილია სიტყვა „ელანძე“. (ა.კ. ხინთიბიძე, „მუხრანული“, გაზ. „კალმასობა“, 2004, 1).

არც მონათესავე თანხმოვანთა მონაცვლეობაა უცხო პოეტის ასონანსურ რითმებში:

„არაგვი!

ხედავ...

ხედავ და გინდა,

ხედავ და გინდა,

სულ რომ უყურო...

აღფრთოვანდება,

ვინც უნდა იყოს

და...

რაც არ უნდა იყოს უგულო.“

(„არაგვთან ნათქვამი“)

მრავლად შეიძლება წარმოვადგინოთ მსგავსი მაგალითები პოეტის შემოქმედებიდან: სურდო—დურთო („ვინც კაცია“), სიძვის-ინვის („შულამისას“), ავბედითია-დიდია („ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთაველის ლანდი“), მოსე-ლოლნამოზე (***) „გაქანებულ მატარებელს“, ივლიდა-ივლიტა (***) „რომ არ ამელო

ხელში წიგნი“), მოძმე-მოძმე („საქართველო და ...უსვეტიცხოველო?!“) და სხვ.

რა თქმა უნდა, ასონანსური რითმების სახესხვაობები ამით არ ამოიწურება პოეტის შემოქმედებაში:

**„მელაბუცება
სამუშ-სამუშ ჩემივ მერცხალი,
რომ ჩამიშალოს
მინისა და ზეცის შერწყმანი.“**

(*** „ზეცა ფერწითლობს“)

აქ კი საქმე გვაქვს რითმაში ურთიერთგანსხვავებულ თანხმობანთა მონაცვლეობასთან. არც მსგავსი მაგალითების ხილვაა შეუძლებელი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში: ნვიმანშირად (***) „დრო და დრო“, მარადის-არავინ („ქება კაცისა“), ნახავს-კარგად (***) „საუკუნის თავზე უფრო საოცარს“, მხედარი-ნეტავი (***) „ნეტა, მანახვა“, შენთვის-ნეტავი („ძახილი-წუხილი“), კათხას-რადგან („დროს ვინც ემდურის“), ელმავლის-ქე მაინც („ყეფდა ნაგაზი“), გვეჭიროს-შეგვინდოს („სიტყვა თქმული ფილადელფოს კიენადის მიერ ძმათა თვისთა თანა შუამთაში“), ქალაქს-დგანან („გაზაფხული“), ქალებო-გარემო („კარგი დღე“), ხითქვი-ვიტყვი, ტავანი-თავზარი, აქლემი-არანაკლები, ინდონიმშიდობით („ვახტანგი“) და სხვ.

ბგერათა კომპლექსების შენაცვლებას ზოგჯერ თან ახლავს მეტათეზისი — ბგერათა გადასმა, რაც ასონანსებს მეტ მომხიბვლელობას ანიჭებს:

„იცის კი ყველამ, ვინც მარტოა, რომ არის მარტო?“

ფიქრობს კი ყველა, მარტო როა, მარტოა რატომ?“

(*** „აზროვნებს თუკი“)

ასევე ბგერათა გადასმა არის რითმებში: უნიძუნნი („ამერ-იმერი“), რამდენი-სამარაბდენი („თქვა ოპიზარმა“), მინდვრები-იმდენი („პასუხი“), არა მგონია-გამარონია („მე არა ერთხელ გამიგონია“), მიუსიეს-იმ უსიერს („ვახტანგ მეფის ნანადირევი“). თუმცა რითმები: არა მგონია-გამარონია, იმ უსიერს-მიუსიეს იმითაც არის საინტერესო, რომ ისინი შედგენილი რითმებია.

შედგენილი რითმები სალექსო სტრიქონის მუსიკალობას დიდად აძლიერებენ. ამგვარი რითმებია: შემოიარა რა-„ჩემო იარაღად“, რაც არი-ლაჩარი, ანდამატს-ანდა მას, მინდორ-ველი — ინდოელი, ვინც არი-ვიცანი, არავგი-თვარა კი და სხვა მრავალი.

მუხ. მაჭავარიანის შემოქმედებაში ასევე მრავლადაა შეთავსებული რითმები, როცა რითმის ერთი თანანევი მთლიანად შედის მეორეში და ამ ხერხით მიიღება რითმის კეთილხმოვანება: მაგ. ძია-ტანძია („საბა“), მსრბოლი-ბოლი („ჭოლა“), ნოესი-უსათნოესი („ძელი ულპოლველი“), ცა-იტკიცა („სოფლის სურათები“), ლამარა-ამარა (***) „მინაზე სითბო დაეშვა მალლიდან“, დილა-გაავთანდილა (მიდის...მიდის...) და ა.შ.

მუხ. მაჭავარიანი ხშირად იყენებს კონსო-

ნანსურ რითმებს. როგორც წესი, ასეთ რითმებში ხმოვანია განსხვავებული, ირღვევა ბგერათა ჰარმონია რითმის შუაში, რითმის ბოლოს და რითმის თავშიც კი, თუმცა პოეტი ყოველთვის აღწევს კეთილხმოვანებას:

**„უსაზღვრო სივრცე,
ცა ვრცელი, წმინდა;
გინდა აფრენა —
აბელურება.
მეუბნებიან:
— წუხელი წვიმა! —
წყლით სავსე
ძროხის ნაფეხურები“**

(„სოფლის სურათები“)

ვნახოთ პოეტის შემოქმედებიდან კონსონანსური რითმის რამდენიმე მაგალითი: მეზესტაფონი-მიზეზთა პოვნა („ზესტაფონი“), ვენახი-მენახა („რომ არ ამელი ხელში წიგნი“), ფარდი-გარდა („შურისძიება“), ფარტაზის-პანტაზე („თქვა ოპიზარმა“), შურმა-თურმე („ქვეყანა დალუპა შურმა“), ბარდი-ფარდა („უნდა გასცვით“), იჭრება-ბიჭები („კარგი დღე“), ჯიგრიანი-იღრილა („ცივი ქუჩები პეტერბურლის შემოიარა რა“), ჭოლა-გამჭოლი („ჭოლა“), სიანკარეში-გარეში („კვლავ აასუნთქე“) და ა.შ.

თუ ზემოთ მოხმობილ მაგალითებს დავაკვირდებით, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ მარცვლიანია რითმა: ორი, სამი, ოთხი თუ ხუთი, იგი ყოველთვის ორიგინალურია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთნაირი სიძლიერის.

მუხ. მაჭავარიანის რითმათა მრავალფეროვნებას დისონანსებიც ამდიდრებენ. როგორც ცნობილია, დისონანსები არაიდენტური რითმის უკიდურესი სახეა და მასში ხმოვნებისა და თანხმოვნების დიდი ნაწილი განსხვავებულია, მაგრამ არ არის აბსოლუტური შეუთანხმებლობა:

**„ცა გაიმურა, ვით აბაშეთი,
და ახროტინდა, როგორც ალუბა...
წვიმას ჭიხვინით შეხვდა ფაშატი
და მერე ხარბად დაეხტნო გუბეს“**

(„ავდარი“)

ამ სტროფში დისონანსურ რითმებს სტრიქონებში მსგავსი თანხმოვნების განმეორებები ეხმარება და ერთ მთლიანობას ქმნიან. ამიტომაც არ ხვდება სმენას უხეშად დისონანსური რითმები, და კარგად ჩანს პოეტის მაღალი ოსტატობა. კიდევ ერთი მაგალითი:

**„შენ ვინ გინოდა ვაჟკაცი?!
ხარ როცა ყოვლად უძლური;
გარეთ იძახი: — ვაშასა!
შინ —
სამშობლოზე წუნუნებ.“**

(*** „შენ ვინ გინოდა ვაჟკაცი“)

მუხრან მაჭავარიანის რითმაც თავისებურია, გამორჩეულია, როგორც პოეტის სტრიქონი, ეს არც არის გასაკვირი, რითმა ხომ სტრიქონის შემადგენელი ნაწილია. და საერთოდ მრავალმხრივი სიახლის შემოტანა პოეზიაში დამახასიათებელია მუხრან მაჭავარიანისთვის.



თენგიზ ყაძიგაძე

საბასხოლო ჩანახახები

მოზრანდით, მხოლოდ სმოკინგებში!

1963 წელს უკვე მესამედ ვენციეთ საგასტროლოდ დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქვეყანას — ბელგიას. ეს ფაქტი კი იმის დასტურია, რომ აქაურმა მაყურებელმა აღიარა და შეიყვარა ქართული ცეკვები. ამგვარ დამოკიდებულებას ყველგან ვგრძნობთ — თეატრში, კონცერტზე თუ კონცერტის დამთავრების შემდეგ, სასტუმროში, ცალკეულ ადამიანებთან ურთიერთობისას, თუ ოფიციალური შეხვედრების დროს.

არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი: ბრიუსელის ქუჩებში, კაფეებსა თუ მაღაზიებში ადგილობრივი მცხოვრებლები უკვე სახეზე გვცნობენ, როგორც შინაურებს, ძველი ნაცნობებივით ღიმილიანი სახეებით გვესალმებიან...

ჩვენი კონცერტები კი ბრიუსელელი მაყურებლებით გადაჭედდნენ „ნატიფი ხელოვნების სასახლის“ დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე კვლავ ჩვეული ტრიუმფით გრძელდება.

ერთ-ერთი მორიგი წარმოდგენის დაწყების წინ ჩვენი ბელგიელი იმპრესარიოს წარმომადგენელმა ლამაზად გაფორმებული მოსაწვევი ბარათები მოგვართვა. ბრიუსელის მუნიციპალიტეტი და ადგილობრივი პრესის ხელმძ-

ღვანელობა ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად დიდ, ოფიციალურ მიღებას მართავდა, რომელზეც ჩვენი დასის მთელი შემადგენლობა იყო მინვეული.

ოფიციალურ მიპატიუებაში ხაზგასმით იყო მითითებული: „მხოლოდ შავი ბაფთებით“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სტუმრები, როგორც წესი, სმოკინგებში, ან ფრაკებში უნდა ყოფილიყვნენ გამონყოფილი.

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვართ მინვეულნი პრესტიჟულ ბანკეტებზე და მიღებებზე, მაგრამ ამჯერად პირველად აღმოვჩნდით სერიოზული პრობლემის წინაშე. საქმე იმაშია, რომ სმოკინგი (ფრაკზე რომ აღარაფერი ვთქვა), მხოლოდ ჩვენს დირექტორს და სამხატვრო ხელმძღვანელს ილიკო სუხიშვილს ჰქონდა, რომელშიც იგი ყოველი კონცერტის დასასრულს გამოენყობოდა ხოლმე და ასე ესალმებოდა ალტაცებულ მაყურებელს.

საგონებელში ჩავვარდით, რა უნდა გვექნა? ასეთი რანგის მიღებაზე წაუსვლელი იმთავითვე გამორიცხული იყო. ის ხომ საგანგებოდ ჩვენს პატივსაცემად იმართებოდა.

ისე, ბიჭები ვიყავით გამოუვალ მდგომარეობაში, თორემ ჩვენს გოგონებს კი ჰქონდათ ელევანტური, საღამოს გამოსასვლელი კაბები.

ისეთი ძვირადღირებული სიამოვნების ნაუცბათევად შეძენა, როგორც ფრაკი და სმოკინგია, შეუძლებელი იყო. ჩვენი მოკრძალებული ჰონორარი, აბა რას გასწვდებოდა?

ზოგიერთმა იხუმრა კიდევ: ბიჭებო, იქნებ ერთი დღით „ურაკატი“ გამოგვეტანა ეს სმოკინგები და ფრაკები!

ხუმრობის დრო კი ნამდვილად არ იყო, რაღაც უნდა გვეღონა უხერხული სიტუაციიდან თავის დასაღწევად.

ბევრი ფიქრის შემდეგ ერთი იდეალური აზრი დამებადა: რა იქნებოდა ბანკეტზე ჩვენი დალოცვილი, მამაპაპური ჩოხა-ახალუხით რომ მივსულიყავით?

ეს იდეა ჯერ ბიჭებს გავუზიარე, შემდეგ კი სასწრაფოდ წინო რამიშვილსა და ბატონ ილიკოს ვაცნობეთ. ძალიან მოეწონათ. უფრო მეტიც, ქალბატონმა წინომ გოგონები გააფრთხილა, წვეულებისთვის ყველაზე საუკეთესო ქართული საცეკვაო კაბა-კოსტიუმები შეერჩიათ.

... ბრიუსელის ცენტრში, ძველებური სასახლის დიდებულ, გაჩირალდნებულ, უზარმაზარ დარბაზში რჩეულნი ამა ქვეყნისანი — ქალაქის ელიტარული საზოგადოება შეიკრიბა. აქ არიან ბელგიის მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის წევრები, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ამ მიღებაზე მასპინძლებმა საგანგებოდ მიიწვიეს აგრეთვე ბრიუსელში მცხოვრები ჩვენი ქართველი თანამემამულე-

ბი.
ირგვლივ არაჩვეულებრივი საზეიმო და ამ-
ალღებული განწყობილება სუფევს. ყველაფერი
ასეთი დონის ღონისძიებისათვის დამახასიათე-
ბელი სარიტუალო ცერემონიის მიხედვით და
ეტიკეტის სრული დაცვით მიმდინარეობს...

პირდაპირ ვიტყვი: ამ გრანდიოზულ,
2000 კაციან მიღებაზე, სოლიკო ვირსალა-
ძის მიერ უზადო გამოვებით შექმნილ ქარ-
თულ ეროვნულ ტანსაცმელში მოხდენილად
გამოწყობილ ტანწერნეტა, მომხიბლავი ქალიშ-
ვილებისა და ახოვანი ვაჟების გამოჩენამ, შეი-
ძლება ითქვას, უჩვეულო ფურორი მოახდინა.
ჩვენმა კოლორიტულმა და განუმეორებელმა
ქართულმა ჩაცმულობამ მთლად დაჩრდილა
ხალხმრავალი არისტოკრატიის მდიდრული
ჩაცმულ-მოკაზმულობა და თვალ მარგალიტის
ბრწყინვალეობა.

მეორე დღეს ბელგიის ერთ-ერთი ცენ-
ტრალური გაზეთი „ლე - სუარი“ ასე იუნწყებო-
და:

„გუშინ საღამოს, ქალაქის მუნიციპალიტე-
ტის მიერ საქართველოს ცეკვის ანსამბლის პა-
ტივსაცემად გამართულ საგანგებო მიღებაზე
განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველი
მოცეკვავეები, რომლებიც თავიანთ, წარმტაც
ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილნი,
პრინციებისა და პრინციესების მსგავსად ამაყად
დააბიჯებდნენ მეჯლისზე მონვეულ რჩეულ
საზოგადოებას შორის...“

ქ. პრიუსელი, 1963 წ.

სტუმრად ფეხბურთის მეფესთან

ბრაზილიაში გასტროლებისას შეგვატყო-
ბინეს ჩვენთვის მოულოდნელი ამბავი: ფეხ-
ბურთის ლეგენდარულმა ვარსკვლავმა პელემ,
რომელსაც გაეგო მის ქვეყანაში ქართველ მო-
ცეკვავეთა სენსაციური გამოსვლების ამბავი,
დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და მთელი
ანსამბლი თავის მშობლიურ ქალაქ სანტოსში
მიგვინვია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედრო-
ვეობის ამ ყველაზე სახელოვან სპორტსმენთან
უშუალო შეხვედრის შესაძლებლობას თვით ად-
გილობრივი ფეხბურთის ფანატიკოსი მოყვარ-
ულნიც კი არიან მოკლებულნი, გასაგები იქნე-
ბა ჩვენი მღელვარება და სიხარული...

დილის თორმეტი საათი იყო, როცა მი-
ვედით ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც
ფეხბურთელთა ცნობილი კლუბის „სანტოსის“
სანვრთნელი ბაზაც არის. მოედანზე გუნდის
მთელი შემადგენლობა მწვრთნელ ანტონის

ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ზოგიერთი
ფეხბურთელი ვიცანით. აი, მეკარე ჟილმარი
— გუნდის ვეტერანი, ბრაზილიის ეროვნული
ნაკრების წევრები: ორლანდო, ზიტო, ედუ და
ლიმა, მაგრამ ჩვენი მასპინძელი, თვითონ პელე
სადღაა? იგი მინდორზე მოგვიანებით გამოვი-
და, ღიმილით მოგვიახლოვდა და მოგვესალმა.

„დღეს ცოტა შეუძლოდ ვარ და სრული
დატვირთვით არ ვვარჯიშობ“, — გვეუბნება
პელე. — თქვენს შესანიშნავ ანსამბლზე ბევრი
რამ მსმენია. აქ, ბრაზილიაშიც ბევრი ქება მოვ-
ისმინე თქვენზე და ძალიან მოხარული ვარ, რომ
ანსამბლი სანტოსსაც ეწვია. ძალიან ცოტა დრო
მაქვს თავისუფალი და თქვენს სპექტაკლს,
სამწუხაროდ, ვერ დავესწარი, მაგრამ კვირას
აუცილებლად მოვალ თეატრში.“ — გვპირდება
„შავი მარგალიტი“.

ილიკო სუხიშვილი მოვერცხლილ ყანს
ანვდის პელეს საჩუქრად და უხსნის, რომ ამ
სასმისით საქართველოში ღვინოს სვამენ. პელე
იღიმება და თავს აქნევს: „მე არასოდეს არ ვს-
ვამ მაგარ სასმელებს, მაგრამ ამ ყანსით კოკა-
კოლას მაინც შევსვამ“.

მოაქვთ ახალი ბურთი, რომელზეც „სანტო-
სის“ ყველა ფეხბურთელის ავტოგრაფია. პელე
გვაძლევს ბურთს სამახსოვროდ და გვპირდება,
რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში სტ-
უმრად. გვირიგებენ აგრეთვე „სანტოსის“ სა-
მახსოვრო ვიმპელებს და სამკერდე ნიშნებს.

ფეხბურთის მეფე ბოდიშს იხდის, ღიმილით
გვემშვიდობება და უერთდება თავის მშობ-
ლიურ გუნდს, რომელიც მოედანზე წრთვნას
განაგრძობს.

კიდევ დიდხანს ვადევნებთ სტადიონის
ტრიბუნიდან თვალს ბრაზილიის მრავალგზის
ჩემპიონის — „სანტოსის“ ვარჯიშსა და ფეხ-
ბურთის მსოფლიო კერძს — ყველასათვის საყ-
ვარელ პელეს.

სან-პაულო-სანტოსი, 1968 წ.

კუჭმაჭი ქართულად იაპონურ რესტორანში

ყოველ ახალ ქვეყანაში ჩასვლისას ჩვენი
ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი კვების
საკითხის მოგვარება იყო, მით უმეტეს, თუ
უცხო მხარეში გასტროლებისას ხანგრძლივი
დროით გვინევდა ყოფნა.

პერუს დედაქალაქ ლიმაში რომ ჩავედით
თეატრში პირველი რეპეტიციის დამთავრების
შემდეგ ბიჭები მთავარ ქუჩას ფეხით გამოვუყე-
ვით. ერთიმეორის მიყოლებით ჩამწყრივებულ
მაღაზიებს შორის ყურადღება პატარა კაფე-
რესტორნის ვიტრინამ მიიქცია. ლამაზად გა-
ფორმებულ თაროებზე ელაგა: საქონლის ახ-
ალი გულ-ღვიძლი და ქათმის კუჭმაჭი, სუკის



მოვარდისფრო ნაჭრები და შესანვავად გამზადებული ვარია; ვიტრინა მორთული იყო ხახვის, ნივრისა და წითელი წინაკის ასხმული კონებით, ბოლოკითა და სხვადასხვა მწვანე ილეულით...

ერთმანეთს ისე გადახედეთ, თითქოს ამერიკა ჩვენ აღმოგვეჩინოს...

— ე, ბიჭო! მგონი რასაც ვეძებდით, იმას მივაგენით, — იყვირა თამაზ კიკალიშვილმა.

ბევრი არც გვიფიქრია და კაფეში შევედით.

კარებთან ახალგაზრდა იაპონელი კაცი, ირიბად აჭრილი კეთილი თვალებითა და სანდომიანი ღიმილით შემოგვეგება, თავაზიანად, იაპონური წესისამებრ, დაგვიკრა თავი და მაგიდასთან მიგვიპატიჟა.

კაფე-რესტორანი პატარა და მყუდრო იყო. სულ ხუთი თუ ექვსი მაგიდა იდგა. კედელზე რამდენიმე სურათი ეკიდა იაპონიის პეიზაჟებით. იქვე დახლში ახალგაზრდა იაპონელი ქალი ფუსფუსებდა.

კაფეს მეპატრონე თავდაპირველად ჩვენი ეროვნებით დაინტერესდა. ავუხსენით ვინც ვიყავით და სადილი შევუკვეთეთ. ვთხოვეთ, დიდ ტაფაზე კუჭმაჭი შეენვა, ზედ კი ბლომად ხახვი მოეყარა. შოთა ხოფერიამ წინაკიანი ტომატის სანებელა და მწვანე ილეული მოითხოვა.

იაპონელი მიხვდა, რომ პირის გემოს არ ვუჩიოდით და პირველად წვნიანი შემოგვთავაზა. უარი არ გვითქვამს. არც გვინანია, ისეთი გემრიელი იყო, ჩვენებურ ჩიხირთმას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

სადილზე გამუდმებით პურს ვითხოვდით. გვეგონა, ჩვენს მასპინძელს ეს გააკვირვებდა, მაგრამ ამან რატომღაც უფრო გაახალისა და ბოლოს პურით სავსე მოზრდილი თაბახი დაგვიდო მაგიდაზე.

იმ დღეს კარგა მადიანად შევექეცით სადილს და შემდეგ, თითქმის ყოველდღე, ამ პატარა კაფე-რესტორნის სტუმრები ვიყავით.

ჩვენი იაპონელი, რომელსაც სიმონი ერქვა, ქართული ენით დაინტერესდა. საჭმელების ქართულ დასახელებებს დაუზარებლად ინიშნავდა უბის წიგნაკში. გასაოცარი მეხსიერება აღმოაჩნდა. იაპონელისათვის ჩვეული ისეთი დაინტერესება და მონდომება გამოიჩინა, რომ ამ ნიჭიერმა კაცმა, რამდენიმე დღის შემდეგ თითქმის მთელი მენიუ ჩამოგვითვალა ქართულად:

— რა გნებავტ? შემცვარი ქორცი, ქუჩმაჩი, ჯიგარი ხახვიტ, ბლომად პური, კარაქი და სხვა. სიმონს ჩვენებური ცხარე სანებლის გაკეთებაც ვასწავლეთ. ამ კეთილი ცოლ-ქმრის მიერ მომზადებულ, ისედაც გემრიელ კერძებს ქართული გემო და ელფერიც მიეცა.

ერთ მშვენიერ დღეს კი გაუთვალისწინებელი რამ შეგვემთხვა: კაფეში ჩვეულებრივად ვსადილობდით. კარგ ხასიათზე ვიყავით და ნახევარი ბოთლი სამხრეთამერიკული არაყი მოვითხოვეთ. სასიამოვნო დასალევი იყო, ჩვენებური, სოფლური არაყის გემო დაჰკრავ-

და. ის იყო სადილს ვამთავრებდით, რომ კაფეში მოულოდნელად წინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი შემოვიდნენ. ჩვენი ნაამბობიდან იცოდნენ იაპონელის შესახებ და მათაც გადაეწყვიტათ აქ ესადილათ.

ომარ მხეიძემ სასწრაფოდ სტაცა ხელი არყის ცარიელ ბოთლს და მაგიდის ქვეშ შეაგდო. ქალბატონი წინო, როგორც წესი სასტიკად გვიკრძალავდა გასტროლების დროს სპირტიან სასმელებს და არაფრით არ გვაპატიებდა „მშრალი კანონის“ დარღვევას.

სიმონს ჩვენი ხელმძღვანელები გავაცანით და შემდეგ ვთხოვეთ, დანახარჯი ეანგარიშა. მან თავის უბის წიგნაკს დახედა და, როგორც ყოველთვის, ქართულად ჩამოგვითვალა საჭმლის სახელები. ბოლოს კი რიხიანად დააყოლა: — არაყი ერთი!

ამ სიტყვების გაგონებაზე წინო რამიშვილმა მკვეთრი რეაგირება მოახდინა და მკაცრად გადმოგვხედა. ანზორ ნიკოლაიშვილმა იაპონელს თავლით, შეუმჩნეველად ქალბატონ წინოსკენ მიანიშნა და ფეხი ფეხზე ისე დააჭირა, რომ სიმონს ტკივილისგან სახე დაემანჭა, მაგრამ სწრაფად იაზრა, უცებ მიხვდა ყველაფერს და ჩვეულებრივი, კეთილი ღიმილით ხმამაღლა და თანაც ხაზგასმით წარმოსთქვა:

— ო, ნოო, პარდონ... კარაქი ერთი!

შვებით ამოვისუნთქეთ, დანახარჯი გადავიხადეთ და სასწრაფოდ გარეთ გამოვედით...


იაპონელი ძალზე დაგვიმეგობრდა. მოუთმენლად ელოდა ხოლმე ჩვენს გამოჩენას. იყო დღეები, როცა მის კაფე-რესტორანში მხოლოდ ქართული საუბარი და ხმამაღალი სიცილისკისი ისმოდა. როცა სიმონი ჩვენს კონცერტზე დავპატიჟეთ მეუღლესთან ერთად, ძალზე გაიხარა. აღფრთოვანებული იყო ქართული ცეკვებით. ღიმაში გამოსვლების შემდეგ კი ამ კეთილმა ადამიანებმა გამოსათხოვარი სადილი დაგვიმართეს და შემდეგ თვალცრემლიანი დაგვემშვიდობნენ.

ეს იყო 1964 წელს...

სამხრეთ ამერიკას ჩვენი ანსამბლი ხელმეორედ ოთხი წლის შემდეგ, 1968 წელს ეწვია. საგასტროლო მარშრუტი სხვა ქალაქების გარდა, ღიმაშიც გადიოდა. ამ ქალაქში რომ ჩავედით, ერთი სული გვქონდა, გვენახა ჩვენი ძველი ნაცნობი იაპონელი. მანამდე კი, როგორც შევითყვეთ, მის კაფე-რესტორანში ანსამბლის ახალბედა მოცეკვავეები შემოხვედრილან შემთხვევით. იაპონელმა როგორც კი გაიგო, რომ ისინი ქართველები იყვნენ, საიდანღაც დააძრო ძველი ბლოკნოტი და სიხარულისაგან ალტაცებულმა სხაპასხუპით, ქართულად ჩამოუთვალა თურმე მთელი მენიუ განცვიფრებულ და პირდაღებულ მოცეკვავეებს, რომლებიც შორეული პერუს დედაქალაქში, იაპონურ რესტორანში, მშობლიურ ენაზე ისმენდნენ დალოცვილი ქართული საჭმელების სახელებს.



ქეთევან შუკული



წილსა
თუჯღორაძე

**ზობიჯითი საჯიჯიჯო
მასანა მათჯაშვილი-
ეუჯჯაჯის ოჯახის შუსახეჯ**

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მემუარების, წერილების, ფერწერული ტილოების, ფოტოების, აფიშებისა და სხვა მასალათა შორის დაცულია მაქარაშვილი-შურულეების არქივი, რომელშიაც ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია მარიამ პრიტვიცის მიერ შურულეების ოჯახისადმი მინერლიმა წერილებმა და ღია ბარათებმა (7 წერილი და 2 ღია ბარათი).

მარიამ ვიქტორის ასული პრიტვიცი (ქალიშვილობის გვარი გუბერი) იყო „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი გერმანულ ენაზე. იგი ახლო მეგობარი იყო ნინა დურმიშხანის ასული შურულისა. მაქარაშვილი-შურულეების ოჯახი ცნობილი იყო სტუმართმოყვარეობით. ამ ოჯახში თავს იყრიდნენ თბილისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები: მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, მეცნიერები და სხვანი. მარიამ პრიტვიცი ხშირად სტუმრობდა მაქარაშვილი-შურულეების ოჯახს ხან თბილისში, ხან არბოში

— შურულეების საგვარეულო სოფელში (გორის რაიონი). სწორედ აქ, არბოში ყოფნისას ნინამ ურჩია მარიამს გაეგრძელებინა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, რომელიც დაწყებული ჰქონდა დიდი ხნის წინ. მარიამი მეტად განათლებული, ერუდირებული იყო, ფართო ტექნიკურ-ჰუმანიტარული განათლება ჰქონდა მიღებული, ფლობდა უცხო ენებს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ლათინური, იტალიური, რუსული, პოლონური), იგი გახლდათ შეუდარებელი მთარგმნელი, როგორც სამეცნიერო (გეოლოგიური, პალეოლოგიური, ქიმიური, ნიადაგმცოდნეობითი), ისე მხატვრული ლიტერატურისა. მარიამ პრიტვიცის მოღვაწეობა და მის მიერ განეული უმძიმესი შრომა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას ამომწურავად აქვს გაშუქებული ქალბატონ რუსუდან ჯანაშიას სტატიამი „არდავინყება მოყვრისა“. („შურნალი ბურჯი ეროვნებისა“ 5, 6. 2003წ. გვ 24.) სამწუხაროდ, ეს თარგმანი გამოქვეყნებული არ იყო.¹

მუზეუმის ფოტოსა და ფოტონეგატივების ფონდში დაცულია მაქარაშვილი-შურულეების უამრავი სურათი. ერთ-ერთ მათგანზე აღბეჭდილია მარიამ პრიტვიცი ნინა შურულთან ერთად.

მაქარაშვილი-შურულეების არქივს მოჰყვა დღიური, რომელიც ეკუთვნის ილია საყვარელას ძე მაქარაშვილს სათაურით: „Материалы для составления истории 39ой Артиллерийской бригады“ 1885 г. 23/XI. Тифлис.

ილიას მამა, საყვარელა მაქარაშვილი, 1812 წლის საფრანგეთ-რუსეთის ომში იბრძოდა. გა-

1 მაქარაშვილი-შურულეების არქივი გადმოსცა დასახელებულ მუზეუმს ბატონმა მერაბ მაქარაშვილმა.

მოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვებული იყო. გარდაიცვალა ღრმა მოხუცი — 112 წლისა.

ილია მაქარაშვილი დაიბადა 1854 წლის 1 დეკემბერს. სწავლობდა ქ. კიევის სამხედრო გიმნაზიაში და პავლოვის პირველ სამხედრო სასწავლებელში. 1974 წელს, სამხედრო სასწავლებლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა პრაპორშჩიკის ჩინით 39-ე საარტილერიო ბრიგადაში... და დაიწყო ილია მაქარაშვილის წარმატებული კარიერა სამხედრო ასპარეზზე — უმცროსი ოფიცრიდან გენერალამდე. სამხედრო მოღვაწეობის ბოლო წლებში ილია მსახურობდა თურქმენეთში — სათავეში ედგა 52-ე საარტილერიო ბრიგადას.

მოკლე ისტორიული ექსკურსი, რასაც აკეთებს ილია მაქარაშვილი თავისი დღიურის პირველ გვერდზე: 1875 წელს პატარა შერცოგოვინაში თურქების ბატონობის წინააღმდეგ იფეთქა აჯანყებამ, რომელმაც მიიღო ფართო მასშტაბი და 1876 წელს გავრცელდა სერბეთსა და ჩერნოგორიაში. სერბთა არმიის განადგურებამ აიძულა რუსეთის მეფე შეეჩერებინა თურქული მხედრობის სვლა დაუცველი სერბეთის ტერიტორიაზე. რუსეთის ჩარევით შეჩერდა თურქების შეჭრა სერბეთის მიწაზე, მაგრამ ამ ჩარევამ გამოიწვია დიდი დაძაბულობა ორი იმპერიის ურთიერთობაში, რაც მალე გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებაში, — 1877 წელს დაიწყო ომი რუსეთსა და თურქეთს შორის.

ილია მაქარაშვილი ომის დაწყების დღიდან მის დამთავრებამდე ბრძოლის ველზე იმყოფებოდა. მამაცობისათვის იგი არაერთხელ დააჯილდოვეს. მაგალითად, არდაგანის ციხესიმაგრის იერიშით აღებისათვის ილია დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით, ხმლებითა და ბაფთით; ალაჯინის სიმაღლეზე ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის — წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენითა და ბაფთით. იგი წარდგენილი იყო წმინდა გიორგის ჯვარზე, შემდეგ — წმინდა გიორგის ოქროს ხმალზე, მაგრამ თავის დროზე არც ერთი არ მიუღია. მისი შვილი, მიხეილი იგონებს: „ერთხელ მამას ოთხი ტყვიამფრქვევით გაუნადგურებია თურქების 50 ტყვიამფრქვევი, ხოლო შემდეგ გადარჩენილი თურქები იარაღიანად ტყვედ წაუსხამს. ამის შემდეგ, როგორც იქნა, დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ჯვრით. ეს ეპიზოდი შესულია რუსულ ენაზე გამოსულ წიგნში „საქართველოს მატთანე.“ (გაზეთი „სამშობლო“. 1992 წ. მაისი).

ზემოაღნიშნულ დღიურში აღწერილია 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორია, ამიტომ ჩანაწერები 1864 წლიდან იწყება. დღიურში დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ ყალიბდებოდა საარტილერიო ბრიგადა ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, როგორ ხდებოდა ოფიცერთა შემადგენლობის შერჩევა; წლების მიხედვით გაკეთებულია ხარჯთაღრიცხვა, მოცემულია

ბატარეების გადაადგილების გეგმა ომის გამოცხადებამდე (1876 წ. აგვისტო) და ომის პერიოდშიც (1878 წ. ოქტომბერი); აღწერილია საველე ბატარეის ტაქტიკა, აგრეთვე პროგრამა ბატარეების ოფიცერთა ცოდნის შესამოწმებლად; ბატარეების ოფიცერთა და მეთაურთა სიები; მონაცემები ცხენებზე ბრძოლამდე და ბრძოლის შემდეგ; პირადი ნივთების ნუსხა; დივიზიის წიგნების სია; შემნახველი სალაროების წიგნაკების ნომრები. აღნიშნულია პენსიის რაოდენობა ჩინის მიხედვით. ამავე დღიურში არის ჩანაწერი: „წინა დურმიშხანის ასულის ბალი არბოში, 1911 წ. მარტი“. და ჩამოთვლილია ხეხილი, რომელიც იყო გაშენებული ბაღში (კანადური რენეტი, შაფრანი, სინამ-რენეტი, ნაპოლეონი და აშ.).

მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში დაცულია აგრეთვე ბლოკნოტი, რომელიც მოჰყვება მაქარაშვილი-ურულულების არქივს. მასში მელნით ჩანერილია თხუთმეტი ლექსი, ჩადებულია ორი ფურცელი ორი ლექსით (ერთი ლექსი ეძღვნება ცუცას გარდაცვალებას, 1938 წ. 25/IV, მეორე — კლარას). თორმეტი ლექსი დასათაურებულია: „თუმცა კარგი არა ხარ“, „ტანჯულს“, „რას მიყურებ“, „ვის გადაეცე შენი გრძნობა: „სიზმარი“, „ნულარ სტანჯავ“, „არ მიბრალედი“, „ჩემ სუსტ ლექსში“, „გოდება ჯარისკაცის“, „გულის კვნესა“ (1925), „უნუგემო ცრემლი“, „ტანჯვა“. ყველა ლექსი სევდიანია — დაწერილია გაბზარული გულისა და უნუგემო სიყვარულის შესახებ. ერთი ლექსი ახალგაზრდა ჯარისკაცზეა, რომელიც ბრუნდება სამშობლოში და გულდანყვეტილი ხედავს, როგორ შეიცვალა ხალხი. მისი ტანჯული სული ვერ პოულობს სიმშვიდეს, იგი სიკვდილს ნატრობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით. 1878 წლის 19 თებერვლის სან-სტეფანოს ხელშეკრულებით ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი, აგრეთვე არტაანი, ბაიაზეთი და ყარსი რუსეთის სახელმწიფოს შუერთდა, სან-სტეფა-





ნოს ხელშეკრულება დაადასტურა ბერლინის კონგრესმა და 25 აგვისტოს რუსეთის არმია შევიდა ბათუმში. აჭარა, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა დამპყრობლის ხელში, დაუბრუნდა ქართველ ხალხს. იმავე წელს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ყოველგვარ საშუალებას მიმართეს, რათა გაეხსნათ ქართული სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელი მიიჩნევდნენ, რომ ხალხის განათლებასა და კულტურულ აღზრდაში დიდი როლი ეკისრება თეატრს. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, სცენა მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს და ამასთანაც იმისთანა შემოქმედვარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს...“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1927 წელი ტ 6, გვ. 47).

ბათუმის იმდროინდელ მოღვაწეებს მშვენივრად ესმოდათ თეატრის აღმზრდელი მნიშვნელობა ხალხისათვის და ამიტომ აჭარის შემოერთებისთანავე დაიწყეს ბათუმში წარმოდგენების დადგმა. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში იმატა კულტურულმა ძალებმა და სპექტაკლების დადგმა შესაძლებელი გახდა.

1879 წლის 22 ივლისს გაიმართა პირველი წარმოდგენა „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ (ზ. ანტონოვი) და „ცოლი თუ გინდათ ეს არის“ (ვ. აბაშიძის „ვოდველი.“) ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ბათუმის თეატრის დაარსების დღედ. წარმოდგენიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდა ქობულეთის გაჭირვებულ მოსახლეობას. ამ წარმოდგენის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ქეთევან ჟურული, ქალაქ ბათუმის პოლიცემისტერის დურმიშხან შალვას ძე ჟურულის მეუღლე. გაზეთი „დროება“ აუწყებდა საზოგადოებას: „გავლილ კვირას პატივცემულ ქეთევან ჟურულის თაოსნობით ქართული სცენის მოყვარებებმა ანტონოვის თხზულებიდან კომედია „განა ბიძიამ ცოლი

შეირთო?“ წარმოადგინეს... გარდა წარმოდგენისა, გაუმართავთ ცოცხალი სურათები და ნაუკითხავთ სცენები.“ (გაზეთი „დროება“ 1879 წ. 21 ივლისი 123)

ქეთევან ჟურული (ქალიშვილობის გვარია ნამორაძე) იყო ლამაზი მანდილოსანი, კეთილშობილი, განათლებული, დიდი პატრიოტი. მისი ქალიშვილი — ჟურული-მაქარაშვილისა იხსენებს თავის მატრიანეში („ჩემი პატარა მოგონებანი“ — (ხელნაწერი დაცულია მუზეუმში ფ I, საქ. 3035, ხ 20803/23902), როგორ მიუჩინა მან თავისი ადგილი ბოგდანოვს — ბათუმის ოლქის სახალხო სკოლების უფროსს, რომელიც იყო იანოვსკის თანამოაზრე: „იანოვსკის მეჯავრებოდა ქართველები და სიშურიტ უცქეროდა, რომ ყველანი ასეთ თანაგრძობას უწევდნენ ქართულ წარმოდგენას. ბოგდანოვმა ვერ მოითმინა და ცუდად მოიხსენია ქართველები.“ ქეთევანს მოუკრავს ყური ბოგდანოვის სიტყვებისათვის და საკადრისი პასუხი გაუცია მისთვის. ბოგდანოვმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ქეთევანმა გულმოსულმა უპასუხა: „С таким солдафоном, как Ви, не желаю разговаривать.“ გაბრაზებული ბოგდანოვი მაშინვე წასულა. თურმე ბევრმა უჩრია ქეთევანს ბოდიში მოეხადა ბოგდანოვისათვის, მაგრამ მას უპასუხია: „ბოგდანოვმა მთელი ქართველობა შეურაცხო, მან აქეთ უნდა მოიხადოს ბოდიში!“ ცოტა ხანში ასეც მოხდა. ბათუმში ყველა ქართულ კულტურულ წამოწყებას სათავეში ედგა ბატონი დურმიშხან ჟურულის ოჯახი, განსაკუთრებით ქეთევანი.

დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში წერს: „...ყმანვილი აფიცერი მიმიყვანეს ჟურულის ოჯახში და გააცვენეს ჩემი თავი. ქეთევანმა პირველ გაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ენა არ მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა მშობლიური ენა მესწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეში ჩამაბა: იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ, იდგმებოდა გიორგი ერისთავის „გაყრა“. მე დამაკისრეს გაბრიელის როლი. გულმოდგინედ შეუდექი როლის შესწავლას, მაგრამ ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭივრებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენის გასატეხად, ცალკე რეპეტიციები მქონდა ხოლმე, ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. ერთი ათჯერ-თხუთმეტჯერ უნდა გამემეორებინა ჩემი მონოლოგი, განვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არანაკლებ განვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინება დაკარგული: „არ შეიძლება, ყმანვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხართ...“ ამ მზადების დროს რეპეტიციაზე აგვიტყდა ოჯახის პატრონი და როგორც პოლიცემისტერმა, პიესის ცენზორობა მოინდომა, არ მოეწონა მოურავის ლექსი, ანდუყავარს რომ

ეუბნება მოსამართლეზე: „ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ, სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ. ჩვენ სუდიასა - აიმ კუქნასა, სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა.“ (გ. ერისთავი „თხზულებანი“. თბილისი. 1936წ. გვ. 168) დაიჯინა ეს ადგილი ამოშალეთო... დიდი შეტაკება მოუვიდა ცოლ-ქმარს ამის თაობაზე. ქეთევანმა ჩააჩუმა შეშინებული პოლიციმეისტერი. ლექსი არ ამოშალა“ (დ. კლდიაშვილის „მოგონება“ დაცულია მუზეუმში ფ. III, ხ. 5268).

იმავე 1879 წელს ბათუმში ჩავიდა თბილისის პროფესიული თეატრის დასი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ა. ყაზბეგი და სხვანი. ბათუმელები სიხარულით შეხვდნენ ჩამოსულებს. წარმოდგენის შემდეგ ბათუმელებმა ჩამოსულ მსახიობებს გაუმართეს საუცხოო ვახშამი. ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა პრინცი ოლდენბურგელი, რომელსაც გამონერილი ჰქონდა „მრავალი ევროპული სასმელები — შამპანური და სხვა.“ როდესაც პრინცმა გაიგო, რომ ჩამოსულ მსახიობებს უმართავენ ვახშამს, უთხრა ქეთევანს: „შემომინიშნავს ეს სასმელები, რადგანაც დიდი წვეულება გაიმართოს.“ სწორედ ამ პრინციმა ოლდენბურგელმა ააგო ლამაზი სასახლე, რომელშიც დღეს ბინა უდევს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის (ხელნაწერი დაცულია მუზეუმში. ფ. I, საქ. 3035, ხ. 20803/23902).

ორიოდე სიტყვა ტრადიციების მიმდევარი ოჯახის შთამომავლებზე — ნინა და გიორგი ყურულებზე — ქეთო ნამორაძისა და დურმიშხან ყურულის შვილებზე.

გიორგი დურმიშხანის ძე დაიბადა 1867 წელს არბოში. ნინა იხსენებს, რომ ჯერ სულ ახალგაზრდა გიორგი იყო თეატრის დიდი მოყვარული და ხშირად სახლში მართავდა საქველმოქმედო წარმოდგენებს. ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში დაცულია წერილი, რომელიც 1888 წელს გაუგზავნა გიორგიმ ბაბო ავალიშვილს. (ფ. I, საქ. 55, ხ. 17350) ამ წერილში იგი სთხოვს ბაბოს, მიიღოს მონაწილეობა სპექტაკლში: ქართული დასი დასადგმელად ამზადებდა

აქცენტი ცაგარელის „ბაიყუმს.“ გიორგი სთავაზობდა ბაბოს თალიკოს როლს. იგი წერს: „მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ საფაროვის როლებს საუცხოვოდ შეასრულებთ და გთხოვთ ერთი კიდეც დამარწმუნოთ თქვენი ხელოვნურის თამაშობით.“ (ხელნაწერი დაცულია მუზეუმში ფ. I საქ. 55, ხ. 17350)

გიორგი დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო: თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და მრეწველობის მინისტრი, თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“, იყო თბილისის საქალაქო გამგეობის წევრი. ილია ჭავჭავაძე მას თვლიდა თავის უმცროს მეგობრად და ძალიან აფასებდა. იგი ბანკის დირექტორად მოიაზრებდა გიორგის. როდესაც ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოში, მან თან წაიყვანა გიორგი ყურული. გიორგი ყურულს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში. გიორგი 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში (პარიზში). საზღვარგარეთ თანამშრომლობდა იქაურ ქართულ გამოცემებში: „ბედი ქართლისა, „ქართლოსი“, „კავკასიონი“. გარდაიცვალა პარიზში 1951 წელს.

ნინა დურმიშხანის ასული აგრძელებდა ოჯახის ტრადიციებს. მის ოჯახში თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი პოეტები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები, იმართებოდა სპექტაკლები. თურქმენეთში ცხოვრების პერიოდში იგი საქველმოქმედო სამსახურს ეწეოდა. იყო ომში დაზარალებული ჯარისკაცების და მათი ოჯახების დამხმარე ორგანიზაციის აშხაბადის განყოფილების თავჯდომარე. 1911 წლის 3 მაისს ნინა იღებს საბუთს სანკტ-პეტერბურგის სამმართველოდან, რომელშიც მას უხდინან მადლობას ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობისათვის და იმედს გამოთქვამენ, რომ იგი ახალ საცხოვრებელ ადგილზეც ასეთივე ენთუზიაზმით მოეკიდება საქმეს (საბუთი დაცულია მუზეუმში ფ. I, საქ. 3035).

ამ საინტერესო ოჯახის შთამომავლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობენ (საფრანგეთი, სამხრეთ ამერიკა).

მადლობას ვუხდით ქალბატონ რუსუდან ჯანაშიას და ბატონ მერაბ მაქარაშვილს მონოდებული მასალებისათვის.

2. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, მოისპო კათოლიკოს პატრიარქის თანამდებობა. ქართველი ხალხი ამას ვერ შეურიგდა. XIX საუკუნის ბოლოს ქართული საზოგადოების მონინავე ნაწილმა და სამღვდლოებამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დაიწყო ზრუნვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

1917 წლის 9 სექტემბერს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც თავჯდომარეობდნენ გიორგი ყურული, ტრიფონ ჯაფარიძე, სპირიდონ კედია (ყურნალი სვეტიცხოველი 1917 წ. 3) კრებაზე გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.



ნანი ბრეგვაძე,
ეკა მამალაძე და ნატალი

თამარ მუსხი საუბრად ნანისთან

კარგად მახსოვს — ქართული მუსიკის გამორჩენილ ოსტატთა ერთ-ერთ საღამოზე დიდმა მანქანით ჯანსუღ კახიძემ მთელი აუდიტორიის გულისთქმის გამომხატველი სიტყვებით წარმოდგინა ნანი ბრეგვაძე როგორც, სილამაზის, სიმღერისა და სცენის დედოფალი.

ქართული პროფესიული სიმღერის სარბიელზე დღეს ცოტა როდია მოსაზრებით, თუნდაც წარმატებული მომღერალი, მაგრამ ვინც არ უნდა ვაქოთ და ვადიდოთ, არჩევანი ბოლოს მაინც მთელი საქართველოსათვის სანუკვარ სახელზე ჩერდება. ეს ნანია. მომღერალი — ესთეტი. ნამდვილი მეგავარსკვლავე. ეს არის ვოკალური ხელოვნების რაფინირებული ოსტატობა, ფილიგრანული ტექნიკური გამომსახველობა, არაჩვეულებრივი შარმი და სასცენო ვიზუალი, გრაციოზული პლასტიკა და ელეგანტური ჟესტები. ერთი სიტყვით, მთელი თავისი პარამეტრებითა და დიდებულებით იგი ქართული ესტრადის ნამდვილი დედოფალია, მისი მშვენიერება.

მას აღმერთებენ მილიონები. იგი იყო, არის და იქნება ყველასათვის ერთ-ერთი უპირველესი, მრავალთათვის კი ხატადქცეული არსება.

მისი ღვთიური ნიჭი სასიმღერო ხელოვნებაში გამობრწყინდა. სიმღერა მისთვის ჰაერია ამქვეყნიურ არსებობის აუცილებელი პირობა და მასაზრდოებელი წყარო. „სიმღერით თრობა“ კი მისი სასიცოცხლო „განაჩენია“. იგი მორწმუნეობრივი რიდითა და მონივნებით მიეახლა

ქართული პროფესიული სიმღერის თვალმეუდგამ სივრცეებს. მისი ხელოვნება ზემოთა — განსაცვიფრებელი ტალანტით, ექსპრესიული აღმაფრენით, პიკანტური მომხიბვლელითა და მაღალი პროფესიონალიზმის მაღლით ცხებულს. ნანის ისე ისმენ, როგორც ტაძარში კრძალვითა და თრთოლვით. ემოციურ-ტემბრული ფერადოვნებით აღბეჭდილი ქართული სიმღერისა თუ რუსული საყოფაცხოვრებო რომანსის მისეული ინტერპრეტაციები ადამიანის სულის ურთულეს ლაბირინთებში სინათლეს ამკვიდრებს. სასწაულებრივი მალამოსავით საამო, გულშიჩამწვდომი მისი სიმღერის მაგია, როგორც იტყვიან, „მკვდარსაც კი გააცოცხლებს“.

საქართველოში ყველას თავისი ნანი ჰყავს. ყველა თავის წილ სულიერ საგზალს პოულობს მის სიმღერაში — ამ უძირო, უნაპირო, იდუმალ სამყაროში.

პოეზია და მუსიკა ღმერთების ენაა, რასაც ღირსეულთ არგუნებს ზენა. ეს არის უხილავის ხილვა, მიუწვდომლის წვდომა. იშვიათია მომღერალი, ვისაც ზენაართან მისებრი კავშირი ჰქონდეს. ეს ღმერთის ნებით ხდება. როგორც ანა კალანდაძე ბრძანებს, „ო, მან მომავო ესე საუნჯე, იგივე მიაგო მას სულმან ჩემმან“.

„სულიერი სიმშველითა“ და უგემოვნობით დაღდასმულ ჩვენს დღევანდლობაში მისი უმაღლესი ესთეტიზმი და საშემსრულებლო კლასი საოცარ შინაგან კომფორტს ქმნის, რადგან მისი ხელოვნება მარადიულ ღირებულებებსა და ჭეშმარიტ მხატვრულ ფასეულობებსა და ორიენტირებული. მისი უნიკალობის ფორმულა მისსავე თვითმყოფადობაში, გამორჩეულ ინდივიდუალურობაშია. ეს კი თავის მხრივ უნატიფეს გემოვნებასა და ვოკალურ-საშემსრულებლო კულტურის ფენომენალურ მასშტაბებს გულისხმობს.

გამიგონია — სტილი თვით ადამიანიო (ბუფონი). ნანის სტილიც ძალიან ჰგავს თავად მომღერალს — „დიადი“ სისადავით, სიღრმით, სიფაქიზით, რადგან ხელოვნება მისი სულის ანარეკლია.

ნანიმ ახალი რაკურსით წარმოაჩინა ქართველი ქალის მუსიკალურ-მხატვრული ფენომენი, იგი მთელი არსებითაა დაკავშირებული ეროვნულ ფესვებთან. ყოფით ყოველდღიურობაში თუ საშემსრულებლო ხელოვნებაში იგი ქართველი ქალის ისტორიული ტიპის საუკეთესო თვისებების მატარებელია — ამაღლებული, კდემამოსილი, ვისთვისაც ზნეობა მარტოოდენ აბსტრაქტულ ეთიკურ პრინციპებს არ ნიშნავს. ნანი „დიდა ვოი ნანა“-სა და „საბოდიშო“-ს ანონიმურ ავტორთა ათასეული თაობების მუდმივმოქმედი მუსიკალური გენის განსხეულებაა.

ქართული სიმღერის ჰორიზონტზე მისი გამორჩენა საოცრად იღბლიანი აღმოჩნდა. ყოველგვარი პიარისა და „პრომოუშენის“ გარეშე მან ძლიერად და კამკამით შემოაბიჯა ნაციონალური პროფესიული სიმღერის ასპარეზზე.

ადამიანის ბიოგრაფიის ყოველი დეტალი თუ ფაქტი — ჯიშში, სადაურობა, წრე, ოჯახი გარკვეულ მნიშვნელობას იძენს და თითქოს

ნანი ბრეგვაძე, ალა კუბარაძე და ბუბა კიკაბიძე
მეგობრებთან ერთად



მის ბედსაც განსაზღვრავს. ნანი ბედნიერ ვარსკვლავზე, თითქოს სიმღერასთან ერთად დაიბადა. ხეირიანად ვერც კი ლაპარაკობდა, სიმღერა რომ დაიწყო. ორი წლისა უკვე დედის ნამღერს იმეორებდა. მისი ნიჭის გაფურჩქვნას დიდად უწყობდა ხელს შინაური ატმოსფერო, რომელიც მუსიკის ჰანგებით იყო გაჟღერებული. მის დიდ ოჯახში ყველა მღეროდა: დედა, ექვსივე დეიდა და შემდეგ მთელი მათი მონაგარი. დედა — ცაბუნია (ოლა) მიქელაძე დიდი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის პირდაპირი შტოს წარმომადგენელი იყო. ერთადერთ შვილზე გადადებული და დაფეთებული, მისი ყოველი ნაბიჯის მკაცრი მეთვალყურე, მაგრამ კეთილგონიერი მრჩეველი და შეიძლება ითქვას, გზისმკვლევე იყო. თვითონ ნიჭიერი მომღერალი, ქალიშვილის მუსიკალურ კარიერაზე ოცნებობდა. მიქელაძის ასულნი ცალფა სიმღერებთან ერთად ტრადიციულ ქართულ მრავალხმიან, პოლიფონიურ სიმღერებსაც ასრულებდნენ. ერთ-ერთი დეიდა — ქეთო მიქელაძე ცნობილი ლოტბარ-შემსრულებლის სანდრო კავსაძის მომღერალთა გუნდის სოლისტი იყო, შემდეგ კი რევაზ გაბიჩვაძის სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრში მღეროდა. მომღერლის გადმოცემით, ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში ჩასულმა ქეთომ ბანკეტზე სტალინთან ერთად ქართული ხალხური „ნეტავი გოგოვ, მე და შენ“ იმღერა. ნანის მამას, შესანიშნავი გარეგნობის, დარბაისელ თბილისელ გიორგი ბრეგვაძეს თეატრალური განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ ცხოვრებისეული საჭიროების კარნახით სხვადასხვა პასუხსაგებ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე უწევდა მუშაობა.

ბრეგვაძე-მიქელაძეთა პანანინა ბინა გრიბოდვის ქუჩაზე მუსიკირების ნამდვილ

კერას წარმოადგენდა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ სიმღერა — მუსიკის ტრფიალნი. მათ შორის იყო ოჯახის უახლოესი მეგობარი, ცნობილი კინომსახიობი ჩიტოლია ჩხეიძეც, რომელიც საუცხოოდ მღეროდა. ამ ადამიანებთან ურთიერთობა ახალბედა მომღერლისათვის ნამდვილ „მუსიკალურ აკადემიას წარმოადგენდა“.

ნანის მუსიკალური მომავლის „ტრაექტორია“, ალბათ, იმთავითვე განისაზღვრა, როცა ცეროდენა გოგონა უკვე მაყურებელს აწონებდა თავს და ასაკისათვის შეუფერებელი „პათეტიზმით“, თუმც საშინლად დამტვრეული რუსულით მღეროდა რუსულ „Калитка“-ის, შემდეგ „Снова пою“-ს. მერე თანდათან ქართულ რეპერტუარსაც გაუმინაურდა და თავისივე აკომპანიმენტით — როიალსა თუ იმ დროს ძალზე მოდურ აკორდეონზე თანსლებით ასრულებდა მათ.

მაგრამ მშობლები ერთადერთ სათაყვანე-





ზურაბ შარტველი, ჯანსუღ კახიანი,
ნანი ბერიკვაში და გიგა კახიანი

ბელ და თანაც „არაჩვეულებრივ“ შვილს სულაც არ ანებებდნენ. პირიქით, სულ მესამოდა, რომ უშნო ვიყავი და ამის გამო საკმაოდ დავკომპლექსდიო — იგონებს ნანი.

შემდეგ იყო დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსუკო სასწავლებელი, სადაც იგი ქ-ნ ნინა ზაგრატიონ-მესხთან ეუფლებოდა ფორტეპიანოს სპეციალობას. უმაღლესი მუსიკალური განათლება მან ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო (პროფ. გაიანე მაჭუტაძის კლასი). საფორტეპიანო კათედრის პროფესორა ნიჭიერი სტუდენტის წარმატებულ პიანისტურ კარიერას ვარაუდობდა, მაგრამ იშვიათი მუსიკალობით დაჯილდოებული ნანი როიალთან საათობით ჯდომასა და ნებაყოფლობით „კატორღულ“ შრომას სიმღერას ამჯობინებდა.

თბილისელ მელიომანთა მაშინდელმა ელიტამ იგი სალონური მუსიკირების ამომავალ ვარსკვლავად სცნო. მსმენელთა ერთსულოვან, გაუნელებელ მოწონებას თან ახლდა აღტაცებული აპლოდისმენტები, ყვავილების თაიგულეები, თუ შემოქმედებითი სიხარულის განცდა, მაგრამ ათასგვარი „სცენარებიდან“ მან სცენა და ოჯახი, სცენა და ეკა არჩია.

მკაფიო ინდივიდუალობის მქონე ჭეშმარიტად უნუჭიერეს ახალგაზრდა მომღერალს ვოკალში პედაგოგი არ ჰყოლია. სრულ მორჩილებაში მყოფი მისი ყელის აპარატი ნანის აზრით ღმერთის საჩუქარი, ხოლო შემოქმედებითი პიკის მიღწევა ღვთით ბოძებულ ტალანტსა და განგების ნებასთან ერთად დიდი შრომის შედეგად საკუთარ თავზე გამარჯვების ტოლფასია. ამასთან, მომღერლად ფორმირება და პროფესიული სრულყოფილების მიღწევა წარმოუდგენელია მსმენელთან კონტაქტისა და სცენის „საიდუმლოებათა“ დაუფლების გარეშე.

ამბობენ, სულიერი თუ ფიზიკური ტკივილი ხელოვანის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებსო. ამასთან შეუძლებელია შთაგონებული თუ შთამაგონებელი სიმღერა, თუ შემსრულებელს არ გამოუცდია ყველა ის შეჭირვება, რაზედაც მღერის. გამოჩენილი ედიტ პიაფისაგან განსხვავებით, რომელსაც მიაჩნდა, რომ სიმღერა მხოლოდ ცუდად ყოფნის დროს გამოდისო. ნანის შინაგანი სამყაროსათვის მასაზრდოებელი ცხოვრებისეულ პერიპეტიათა

მრავალფეროვნება, გრძობათა გამაა, რაც ბედნიერებისა და უბედობის, სიხარულისა და ნალველის მონაცვლეობით იქმნება. მუსიკა განცდათა სიმძაფრის გარეშე მისთვის წარმოუდგენელია, თუმცა თავისი ბუნებით იგი უფრო ლირიკული, სევდანარევი სენტიმენტებისკენ არის მიდრეკილი.

სცენაზე მრავალწლიანი დგომის ტრიუმფალურ წარმატებებთან ერთად მას მსმენელის გულგრილობა, თუ წარუმატებლობის სიმწარეც არაერთხელ განუცდია, რაც მისი მოგონებებიდან კარგად ჩანს — ხშირად აუდიტორია ნაზი დუმბაძეს, ეთერ ჭელიძეს, გიული ჩოხელსა თუ სხვათ უფრო გაბმული ტამით ხვდებოდა, ვიდრე მას. მაგრამ სიმღერის ჟინით შეპყრობილს, ეს დიდად არ ზაფრავდა. არც უკან დაუხვივს ამის გამო. მისთვის გაცილებით უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო დარბაზში მყოფი თითო-ოროლა პროფესიონალი მაყურებლისა თუ ინტელექტუალური მუსიკოსის აზრი. სახელგანთქმულ მომღერალს ეხლაც კარგად ახსოვს, რა სიძნელეებს შეეჯახა, ვიდრე შიმნარე „საკულისო“ მღელვარებას გადალახავდა და სცენას გაითავისებდა: თავიდან არ ვიცოდი, სად წამელო ხელები. სცენაზე გასვლის მომენტიც საოცრად მძაბავდა, თითქოს სიარულიც მიჭირდა. დროთა განმავლობაში კი ვისწავლე საკუთარი სხეულის მართვა. ესეც ჩემით და სცენის „დამსახურებით“ —ო.

მრავალწლიანი თანამეგობრობა კონცერტმანისტერ მედეა განგლიაშვილთან. ნანის სასცენო-შემოქმედებითი ბიოგრაფიის ორგანული ასპექტია. მრავალხმრივ ნიჭიერი ეს პიროვნება არა რიგითი ადამიანი, არამედ მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, ცენტრალური ფიგურა და პროფესიული საყრდენი იყო. ისინი ერთმანეთს ე.წ. გეპეი-ში შეხვდნენ. მაშინ მედეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დიპლომანტი და ნიჭიერთა ცენტრალური მუსიკალური ათნლედის კურსდამთავრებული იყო. ცოტა ხანში მათი გზები გაიყო: ნანი „რერო“-ში, მერე „ორერა“-ში წავიდა. მედეა კი ინსტიტუტში დარჩა, მაგრამ მათ მაინც უნევდათ კონცერტებზე, შეხვედრებსა თუ სხვა ღონისძიებებზე ერთად გამოსვლა. თითქმის ხუთი წელი — 1974-დან 1979 წლამდე მედეა იბრძოდა, რომ ნანის



ზურაბ შარტველი და
ნანი ბერიკვაში



კაკია გურგენიძე, ნანი ბერიძე, რეზო გაბრიანი

„ორერა“ დაეტოვებინა. გაიმარჯვა კიდეც. 1980 წელს მისი დახმარებით მოსკოვის საკონცერტო დარბაზში „როსია“ შედგა მათი ერთობლივი საღამო. ასეთი იყო ამ ნიჭიერი ტანდემის შემოქმედებითი ურთიერთობის პრეისტორია. მედეა გონგლიაშვილის სახით ნანის გვერდს უმძვინვებდა თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, თავდაჯერებული, ფართო შესაძლებლობის მქონე პიანისტ-აკომპანიატორი და ჩინებული იმპროვიზატორი.

ნანის საშემსრულებლო დიაპაზონი ძალზე ვრცელია და გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების სასიმღერო ქმნილებებსა თუ რუსული სარომანსო ლირიკის ნიმუშებს აერთიანებს.

მან ორიგინალურად შეისისხლხორცა რუსული რომანსის სპეციფიკა, შესრულების თავისებურებანი და ამ მიმართულებით უბადლო მომღერლადაც იქნა აღიარებული, მაგრამ მისი რეპერტუარის ძირითადი ნაწილი მაინც ქართულ კომპოზიტორთა სახელებს უკავშირდება. ნანი არაერთი მათგანის მუზა თუ შთაგონების წყარო იყო. მარტო ვაჟა აზარაშვილს საგანგებოდ ნანისათვის თხუთმეტი სიმღერა აქვს დანერგილი.

მის მიერ შესრულებული ურიცხვი სიმღერა-შედეგების მწკრივშია რევაზ ლალიძის „განთიადი“, გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“, „სიმღერა ვაზზე“, „თბილისო“, გიორგი ცაბაძის „როცა დაჭკნენ ყვავილები ბაღში“, „ჩემს სიზმრებში ვილაყ ჩნდება“, „თბილისის ცა“, „სიმღერა მთვარეზე“, „საკნის სიმღერა“, არჩილ კერესელიძის „ვედრება“, შოთა მილორაგას „ისევ ის ბაღია, ისევ ის ატმები“, „ჯადოქარი“, დავით თორაძის „ქარი კვლავ არხევს“, ბიძინა კვერნაძის „თბილისის ლამე“, „ვარდები“, — ურთულესი სიმღერა-რომანსი, რომელშიც პოეზიის ტიტანის გალაკტიონისა და დიდი ბიძინა კვერნაძის მიერ „ბგერით განცდილი მეტაფორა“ ნანიმ გულშიჩამწვდომი სიფაქიზით გამოხატა. ასევე გია ყანჩელიის „ის აქ არის“, ვურაბ ბზენელის „სანთელი“, „ვედრება“, ვაჟა აზარაშვილის „ისევ წვიმს“, „გზები, გზები“, „სიმღერა მთელი ჩემი ქონება“, „მზე ჩემი მეგობარია“, „დღეები მიდიან“, „ეს ეკლესია“, „ხევსურული ბაღადა“, ნუგზარ ვანაძის „იძინებს მზე“, მარიკა კვლიაშვილის „ცოტა კიდევ მოითმინე, გულო“, ნუნუ გაბუნიას „ბედის ვარსკვლავი“. მის რეპერტუარშია აგრეთვე საუცხოო ქართული დუეტები: რევაზ ლალიძის „წუთისოფელი“, „გულს


რად მიკლავ“, ბიძინა კვერნაძის „მინდორთა მამშვენებლო“, ჯანსუღ კახიძის „მიზეზს ვეძებ“, ნუნუ დულაშვილის „იმერეთის ნიავო“, „ქუთაისო, ქუთაისო“ და ა.შ.

რუსული სიმღერა-რომანსების ნუსხაც საკმაოდ ვრცელია: „Слушайте, если хотите“ (დ. შიშკინის მუს.), „Снова пою“ (ბოტარის მუს. და-მუშავებული სამსონოვის მიერ), „Только раз“ (ბ. ფომინის მუს.), „Дорогой длинною“ (ბ. ფომინის მუს.), „Колитка“ (ა. ობუხოვის მუს.), „Свеча горела“ (ბ. ფელცმანის მუს.), „Снегопад“ (ვრ. ეკიმიანის მუს.), „Жестокий романс“ (ა. პეტროვის მუს.), დუეტი „დილოგი“ (გ. სარაჩიანის მუს.) ბუბა კიკაბიძესთან ერთად და სხვა მრავალი.

ჭიტებადქცეულ მის სიმღერა-მონოლოგებში სუბიექტური განწყობის ამსახველი ლირიკულ-ინტიმური თემატიკა დომინირებს. პოეტური პირველწყაროსა და მუსიკალური ფაქტურისადმი სათუთი დამოკიდებულება, მხატვრულ სახეთა არსში ღრმად წვდომა, დიდი სევდისა თუ აღმაფრენის გამოხატველი ემოციური პასაჟები, ვოკალური პარტიის ბგერითი პალიტრის ვირტუოზული წარმოსახვა მისი საშემსრულებლო პოტენციალის უსაზღვროების შეგრძნებას ბადებს. ყოველი მუსიკალური ფრაზა ესთეტიკურ-მინაარსობრივი ტევადობით, ტემბრული და ემოციური შუქ-ჩრდილების მრავალფეროვნებით, ხავერდოვანი სირბილით, უზადო ბგერითი კულტურით, სამაგალითო დიქციით, გამომსახველობის გრადაციათა სიკვანძით, მელოდიური ფრაზების ნატიფი ორნამენტირებით და რაც მთვარია, მხატვრული ზომიერების გრძნობით გამოირჩევა. მისთვის უცხოა გარეგნული ეფექტებით გატაცება. უტყუარი ინტუიციის მეოხებით იგი თავს აღწევს ლამის დოგმადგეყულ დათაფლულ მღერადობას, მონოტონურ, მეღანქოლიურ სენტიმენტალიზმსა თუ რომანტიკულ ეგზალტაციას.

ვოკალური კომპოზიციების მხატვრული ჩანაფიქრის გახსნისას იგი ტარდობდა დანერგილ ხერხებსაც იზიარებს და მკვეთრ სიახლეებსაც ეხმარება. არასოდეს იმეორებს სხვას. საშემსრულებლო ნოვაციების ძიებაში იგი ყოველთვის იცვლება. მუდმივი განახლება და „ფერისცვალა“ კი რთული შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც იგი შესანიშნავად წარმართავს. ამ გაგებით იგი ნოვატორია. ნოვატორობის უნარი კი ნიჭია, მისიაა...





ნანი და ზუზა

სახელმწიფოებრივი მომღერალი თითქმის ცოცხალ ლეგენდად იქცა (ეს სარეკლამო იარაღი არ გახლავთ), თუმცა მისთვის სრულიად მიუღებელია ამგვარი ეპითეტები და აღმატებული ქათინაურები. იგი დღემდე ასე მოდის — უკვირს, როცა ხოტბას ასხამენ. წუხს, თუ ძალიან აქებენ. სცენაზე გასვლის წინ ახლაც ღელავს და თრთის. არც თავისი კონცერტების ვიდეორიანანერების ყურება ეადვილება. არავის ურჩევს თავისი თავით აღფრთოვანებას და გულწრფელად შესთხოვს მამა-ზეციერს: „ნუ შემაჩვენებ და ნუ დამაჯერებ ჩემს განსაკუთრებულობას“—ო.

განსაკუთრებულად შფოთავს და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება ეუფლება მას კულტურული ხელოვნების საშიშ მოძალებასთან, გემოვნების დაქვეითების საგანგაშოდ გამოკვეთილ ტენდენციასთან, მუსიკალური კრიტიკის გაქრობასთან დაკავშირებით. სიმღერის ამ ურთულესი ჟანრის შექმნა კომპოზიტორებზე ნოღებულმა, მუსიკალური განათლების არმქონე, თუნდაც ნიჭიერმა, მაგრამ დილექტანტმა მთხზველებმა გადაიბარეს. ხოლო ტელე-რადიო ეთერსა და ნებისმიერ სცენაზე გამოსვლა ლამის უხმო პირთათვის ადვილად ხელნამოსაკრავი შეიქმნა. კითხვას თუ რას მიიჩნევს მტკივნეულ ფაქტორად თუ დილემად, იგი კითხვითვე პასუხობს: „რატომ აიგდეს ასე ყველაფერი. განა იოლია კომპოზიტორობა ან მომღერლობა? და კიდევ — მეტი მოწინება და პროფესიული სინდისიერება საჭირო სხვათა შრომის, შემოქმედების, საქმიანობის მიმართ. მეტი დაფიქრება გვმართებს, ვიდრე დამწყებ მომღერლებსაც კი ვარსკვლავის სტატუსით შევამკობდეთ. ყველამ ეძიოს ნაკლი, ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები...“

მისი ცხოვრების ყველაზე მთავარი ადამიანი და ყველაზე დიდი „თავის ტკივილიც“ მისი შვილებია — ეკა თავისი ნაშიერით. იტალიური კინო-ტიპაჟის დარი ეფექტური გარეგნობითა და სცენიური ხიბლით, კოლორიტული, კამკამა ხმით, რეპერტუარისადმი დამოუკიდებელი მიდგომითა და ემოციური განონასწორებულობით ეკა მამალაძემ დაიკავა უკვე თავისი კუთვნილი ნიშა. მშობლის კვალში ჩამდგარმა, მან კარგად უნყის, რომ დროდადრო ვერ აცდება განუმეორებელ ნანისთან შედარებას. რასაკვირველია, ეს ბევრად ამაღლებს მის პასუხისმგებლობას და თვით მომთხოვნელობას აღმავლობის კუთხით. ნანის მოსაზრებით, მისი

შვილობა ეკასთვის უფრო ჯვარი და მძიმე ტვირთია, ვიდრე ფორტუნას ნყალობა. როგორც დედა, იგი თითქოს გამადიდებელი შუშით მისჩერებია თავის ერთას და ყოველი ხარვეზი ერთიანად ეჩვენება. ძალიან უჭირს განცდების მოთოკვა, როცა ეკა მღერის.

პოპულარული (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) დედა-შვილის ტანდემი ნატალის ამღერებამ ვოკალურ „ტრიუმფირატად“, თუ საოჯახო-სასიმღერო „დინასტიად აქცია (რაც ესოდენ ნიშნეულია ქართული ტრადიციული ფოლკლორული სინამდვილისათვის). შვილიშვილი საოპერო კლასიკისაკენ გადაიხარა და ურთულეს, თუმცა საოცნებო და არა მარტო ია-ვარდით მოფენილ გზას გაუდგა. ნანიმ მოუწონა ეს არჩევანი.

სახელმწიფოებრივი მომღერლის პიროვნული არსი მისი ბუნების პოლარულ მხარეთა პარადოქსულ ურთიერთობაშია: მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების სიყვარულით განებივრებული და ლამის კერპადქცეული, ჭეშმარიტად სახალხო არტისტი სცენის მიღმა სადა, თავმდაბალი, უშუალო, გულითადი ადამიანია. იგი უპრეტენზიო და მარტივია ხალხთან ურთიერთობაში — არასოდეს იწონებს თავს გაზეპირებული, აქსიომატური და ბრძნული ფრაზებით. მისი გულისხმიერება, ალერსიანი ალალი ხასიათი, გადამდებია და დაუვიწყარი.

ნანი ბედნიერი ადამიანია — სათაყვანო საქმეს ემსახურება და არც შვილების მხრივ აქვს რაიმე სანუნუნო. სრული ბედნიერებისათვის კი ქვეყნის სიმშვიდესა და კეთილდღეობას ნატრობს. ყოველი მისი ლოცვა უფლისადმი ვედრებით მთავრდება: „დიდება შენდა, უფალო, გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო“.

ჩემი საუბარი ნანისთან თითქოს შედგა. „ნაზი ბგერების“, წარმტაცი მელოდიებისათვის მადლობის გამოსახატავად კი უდროოდ ნასული ინოლა გურგულიას მშვენიერი სიმღერის სტრიქონს მოვიხმობ: „აღტაცებისთვის, გატაცებისთვის, ლექსად ფრენისთვის, აღმაფრენისთვის, მადლობელი ვარ“.

დაბოლოს, ძვირფასო ნანი, კვლავაც დაუღალავად და ნეტარებით იგალობე „მარგალიტებად ასხმული სიმღერები“ მათთვის, ვინც ამ სულისშემძვრელი ჰანგების მარადისობა უკვე იწამა.



ფილიმდან „სამკაული სტრფოსამოცის“
ნანი და ეკა



პარიზი. ტაძრის კურთხევა

ცნობილი ხელოვანის — მიხეილ შინაურელის ახალი დოკუმენტური ფილმი თითქმის 20-იანი წლების ქართულ ემიგრაციასთანაა დაკავშირებული და დღევანდელი ივერიის პატივსაცემად მისი სიღმისეობის გახსენებითაა დაკავშირებული. მისი სახელია — პარიზში მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურები და პატრიარქის იერუსალიმის სინაგოგის გახსენებითაა დაკავშირებული. მათთვის საგმირობის მონაწილეების კალაპატრებითა...

ჰაია ოთახში

მათა მიქაია

ქართული ტაძარი პარიზში

„შვიდე სახლსა შენსა, თაყვანი-ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა, შიშითა შენითა, უფალო, მიძღუე მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარმართე შენ წინაშე გზა ჩემი.“

ლოცვა ტაძარში შესვლისა

სამშობლო სხვა არა არის რა, თუ არა შენი სახლი, სადაც დაიბადე და გაიზარდე; შენი ეზოს ბალახია, რომელზეც არაერთხელ გირბენია; მზეზე ვერცხლისფრად მოლაპლაპე ბაბუანვერაა, რომელსაც ფრთხილად მოწყვიტავ და სულს შეუბერავ; მეზობელია, რომელსაც ყოველ დღით ღიმილით ესალმები; პეიზაჟია, რომელსაც ყოველდღე ხედავ და გგონია, რომ ეს მუდმივად ასე იქნება; დედის ხელებია, დღით თბილი შეხებით რომ გაღვიძებენ; საყვარელ ეკლესიაში სულის დასამშვიდებლად ანთებული სანთელია...

როცა შორსა ხარ და ყველაფერი სულის ხუთვამდე გენატრება — ეს უკვე ნოსტალგიაა — განშორებისა და მონატრების სევდა. ეს გრძნობა უცხოა მათთვის, ვინც არასოდეს ყოფილა სამშობლოდან შორს, მაგრამ ნაცნობი და მტკივნეულია მათთვის, ვინც ახლაც ემიგრაციაშია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით საქართველოდან გადახვეწილები დედის სხეულს აგლეჯილი ჩვილივით მარტოსულად

გრძნობენ ხოლმე თავს. უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრება ძნელია — სხვა მენტალიტეტი, სხვა ჩვევები, შეიძლება სხვა რწმენა და ამას დამატებული ენობრივი ბარიერიც, რომელიც, პირველ ხანებში მაინც, ქმნის გარკვეულ პრობლემებს. ამიტომაც ცდილობენ ქართველები იქაც ერთად შეიკრიბონ, თანამოდმეებთან ერთად გაატარონ თავისუფალი დრო, ერთმანეთს ჭირ-ვარამი გაუზიარონ.

საფრანგეთი ჩვენი ქვეყნიდან ემიგრირებული მათთვის რატომღაც თავიდანვე იყო საინტერესო. რითი აიხსნება ეს — ამ ქვეყნის განსაკუთრებული ხიბლითა და მიმზიდველობით თუ მისი ულამაზესი დედაქალაქის მრავალფეროვნებითა და მრავალეროვნებით? ვინ იცის!

კულტურასა და ხელოვნებაში საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს: პარიზში, პროტესტანტულ ოჯახში დაბადებული, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე და ცნობილი მოგზაური, სერ ჯონ შარდენი, რომელმაც XVII საუკუნეში ქართლ-კახეთსა და სამეგრელოში იმოგზაურა; გამოჩენილი ფრანგი მწერალი, ალექსანდრე დიუმა-მამა, რომელიც არამარტო რომანისტი და დრამატურგი, არამედ მოგზაურიც იყო და კავკასიის შესახებ შთაბეჭდილებათა საინტერესო ნიგნი ეკუთვნის; მარი ბროსე — ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი, რომელმაც, საქართველოსთან დაკავშირებულ სხვა შრომებთან ერთად, ფრანგულად თარგმნა და გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები... ქართველი მხატვრები ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე.

საქართველოდან საფრანგეთში გასული საუკუნის ემიგრანტები იყვნენ არისტოკრატები და ხელოვანები, რომლებმაც სამშობლო 1921-24 წლებში დატოვეს. საზღვარგარეთ იძულებით ემიგრირებულ ქართველ პოლიტიკოსთა უდიდესმა ნაწილმა სწორედ საფრანგეთს შეაფარა თავი და მათი სამუდამო განსასვენებელი მიწის პატარა, მშობლიურად ქცეული ნაფლეთი გახდა, — „პატარა საქართველო“-დ ნოდებული ლევილი. სხვები ემიგრაციაში მეორე მსოფლიო ომის დროს დარჩნენ. უფრო მოგვიანებით, გასული საუკუნის ბოლოს, საზღვარგარეთ ემიგრანტთა ახალი ტალღა დაიძრა — 90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომების, ხელისუფლებათა ცვლის, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის, ასევე რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციის გამო ქვეყნიდან იძულებით გადახვეწილი ქართველების დიდი ნაწილი ახლაც საფრანგეთში ცხოვრობს.

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობები კი დღემდე გრძელდება: რეჟისორები ოთარ იოსელიანი, მიხეილ კობახიძე, ნინო კირთაძე და მამა-შვილი ბაბლუანიები კარგა ხანია საფრანგეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ფრანგული საზოგადოება კარგად იცნობს და აფასებს მათ შემოქმედებას.

წელს, სააღდგომოდ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უნმიდესმა და უნეტარეს-



პარიზი.თამარის ტაძარი

მა ილია II, პარიზში, წმინდა თამარ მეფის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი აკურთხა და, როგორც უწმიდესმა ბრძანა — ეს იყო ბედნიერი დღე მთელი საქართველოსთვის, ყოველთა ქართველთათვის.

მადლობა უფალს, არიან ქართველები, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ და უანგაროდ აკეთებენ ქართულ საქმეს. ტაძრის აღმშენებელი, პარიზში მოღვაწე ბიზნესმენი ელგუჯა ქებურია, თვითონაც ამ ტაძრის მრევლია. ტაძრის გუმბათი და კედლები ხატმწერმა მამუკა მიქელაძემ ქართული ტრადიციული ფრესკებით საეკლესიო საგალობლების ფონზე მოხატა, ამიტომაც ტაძარში შესვლისთანავე იგრძნობა ის სიყვარული, რწმენა და ქართული სული, რომლითაც შექმნილია თითოეული ფრესკა. ეს ულამაზესი ტაძარი ქართველების ერთად ყოფნით, ღვთისა და ერთმანეთის სიყვარულით განათებული რწმენის ნავსაყუდელი გახდა.

საფრანგეთის დედაქალაქში, ისევე, როგორც თბილისში, ნახავთ როგორც კათოლიკურ ეკლესიებს, ასევე სინაგოგებსა და მეჩეთებს. არის თხუთმეტი მართლმადიდებლური ეკლესია. მათ შორის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომელიც იმყოფება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში.

თამარის სახელობის ტაძრის კურთხევა იყო ზეიმი, დღესასწაული პარიზელი ქართველებისთვის და არა მხოლოდ მათთვის.

უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II და მეუფე აბრაამის კურთხევით თამარის სახელობის ტაძარში მოღვაწეობს არქიმანდრიტი მამა ანტონი (კანდელაკი). ის კურთხევის დღიდან პარიზელი ქართველების ჭირისა და ღმერთის მოზიარე, მათი მანუგეშებელი და სულიერი მეგობარი გახდა. მამა ანტონი წირვისთვის თვითონვე ამზადებს სეფისკვერებს. წირვაც, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე ტარდება. პარიზელ ქართველებს ძალიან უყვართ მამა ანტონი და ენდობიან თავიანთ მოძღვარს, რომლის სიტყვ-

ასა და ქადაგებას მრევლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— მე აქ მოვიდოდი იმ ენთუზიაზმით, რომ თითქოს უნდა მესწავლებინა მათთვის სიტბო და სამშობლოს სიყვარული გამეღვიძებინა. მოხდა კი პირიქით, აქაური ქართველებისგან ვისწავლე, რა არის სამშობლოს სიყვარული და მონატრება — ამბობს მამა ანტონი.

პარიზელი ქართველების შეკრების ადგილი რამდენიმე ქართული რესტორანია: „ჩემი პატარა საქართველო“ სენტ-მალენზე, „ფიროსმანი“ ბუტებრის ქუჩაზე თუ „ქართული სახლი“ პარიზის უძველეს და ულამაზეს უბანში, სენტ-ჟერმენზე... მათ სახელწოდებებშიც ხომ ჩანს, რამდენად უყვართ და ენატრებათ იქაურ ქართველებს საქართველო და ყველაფერი ქართული.


„ქართულ სახლში“ გახსნილია საკვირაო სკოლა, სადაც ორმოცამდე პატარა ქართველი ეუფლება ქართულ ენასა და ლიტერატურას. ახალი თაობისათვის მშობლიური ენისა და კულტურის სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე ასწავლიან მათ ქართულ ხალხურ ცეკვასა და სიმღერას. ასე ცდილობენ უფროსები ქართული სულით აღზარდონ სამშობლოს სიყვარულსა და მშობლიურ ენას შორიდან ნაზიარები თაობა.

ტაძარმა და საკვირაო სკოლამ ქართველები ერთად შეკრიბა. და არა მხოლოდ ქართველები. სიყვარულით ყვებიან საქართველოს მონატრებაზე ოსები და ქურთები, რომლებიც ქართველებთან ერთად იკრიბებიან „ქართულ სახლში“, ბავშვები ქართულ საკვირაო სკოლაში მიჰყავთ, ქართულ ენას, ქართულ ცეკვასა და სიმღერას ასწავლიან და ისევე, როგორც ქართველები, თვითონაც ოცნებობენ იმ დღეზე, როცა საქართველოში დაბრუნდებიან.

სწორედ ამ თემაზეა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის დოკუმენტური ფილმი „ჩვენ დავბრუნდებით“, რომელიც გვიყვება პარიზის ქართველობის ყოფა-ცხოვრებაზე, საქართველოს უსაზღვრო სიყვარულზე, ნოსტალგიაზე, „ქართული სახლის“ ნაყოფიერ და ძალიან მნიშვნელოვან საქმიანობაზე და, რაც მთავარია, თამარ მეფის სახელობის ტაძარზე.

ტაძარი უდიდესი საჩუქარია პარიზელი ქართველებისთვის, საშუალებას აძლევს ქართველ მართლმადიდებლებს იქ, უცხო მიწაზე, უცხო ქვეყანაში არ დაკარგონ ქართული სული და ჩვენი რელიგიური რწმენა.

საფრანგეთის ბრწყინვალე დედაქალაქში, წმინდა მეფე თამარის სახელობის პატარა, ულამაზეს ტაძარში ტარდება წირვა ქართულ ენაზე, ინათლებიან პატარა ქართველები და ეზიარებიან მართლმადიდებლობის მადლს. ყოველდღე პარიზული ქართული ტაძრიდან ზარების რეკვა ამცნობს იქ გადახვენილ ქართველებს, რომ სადაც არ უნდა ვიყოთ, ღვთის შეწევნით, ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს ბედს და ჩვენი ჯვარიც ჩვენ თვითონ უნდა ვზიდოთ. ხოლო ჩვენი მთავარი მიზანი სწორედ ის არის, რომ ყველანი დავბრუნდეთ საქართველოში.



მიშა იაშვილი

ქუთუზან ასობაძე

მიშა იაშვილი

ყველანი მთვარეულები ვართ, მაგრამ მას, ვისაც საკუთარი ჰალუციაციების ანალიზი შეუძლია, ფილოსოფოსი ჰქვია

ემბროუზ ბირსი

იაშვილების გვარი საქართველოში და მის ისტორიაში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ-ერთი საინტერესო და უძველესი გვარია. ყველაზე ადრეული ინფორმაცია ამ გვარის შესახებ 1432 წლით თარიღდება და კოტრიძეთა სიგელშია მოხსენიებული (იაშვილების საგვარეულო, თბ; 2002). ზოგი ისტორიული წყარო მათ რაჭის ერთ-ერთ წარჩინებულ გვარად წარმოადგენს. ჰქონდათ – სასახლეები, ციხესიმაგრე, გერბი, კარის ეკლესია, სადაც საგვარეულო ღვთისმშობლის ხატი ინახებოდა. როდესაც რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, იაშვილების სათავადოები გააუქმა და ისტორიული წყაროების მიხედვით, მეფის მთავრობას იაშვილების ნაწილისათვის მემამულეთა უფლებები დაუტოვებია, ხოლო მათი მონინაალმდეგები საქართველოდან გაუძევებია და ყმა-მამულეებიც ჩამოურთმევია (იაშვილების საგვარეულო, თბ; 2002). თავადი იაშვილები კი იმერეთიდან მოდიან. მათი არსებობა მე-13 ს-ის დასაწყისიდან იღებს სათავეს (Васильева С., Титулованные роды, 83).


ამ საინტერესო გვარზე უამრავი რამ შეიძლება გავიხსენოთ. უბრალოდ, ჩვენი სტატიის მიზანი ამ შესანიშნავი გვარის ერთ-ერთი წარ-

მომადგელის, მხატვარ მიხეილ (მიშა) იაშვილის წარმოჩინებაა. ეს არის გვარი, რომლის ბევრი ღირსეული წარმომადგენელი ჯერ გასაბჭოებამ და შემდგომ, ოცდაათიანი წლების რეპრესიებმა შეინირა. მიშა იაშვილის დიდი ბაბუების — ჯიბრაელ იაშვილის და ვლადიმერ ქოჩაკიძის ოჯახებიდან მამაკაცთა უმრავლესობა 1924 და 1937 წლებში ან დახვრიტეს, ან თავი მოაკვლევინეს; ზოგი საფრანგეთში წავიდა და თავი შეაფარა, მაგრამ ვერ გაძლეს სამშობლოს მონყვეტილებმა და უკან დაბრუნებულებს – ბოლო მოუღეს...

როცა ამ სტატიისათვის მიშამ მასალები მომიტანა, კითხვისას მიშას მამის – ნოდარ (კუკუნა) იაშვილის დანერგლ განცხადებას ნაფანყვი ერთ-ერთი მაშინდელი ჩინოვნიკისადმი მინეროილს, რომელშიც მისი ოჯახის წევრების ტრაგედიის “მცირე” ნუსხა იყო წარმოდგენილი ორივე მშობლის მხრიდან. კარგად რომ გაიგო, ვინ არის მიშა იაშვილი, აუცილებლად უნდა იცოდეს, სულ ცოტათი მაინც, მისი ოჯახის ისტორია. არგვეთიდან ქუხდა ჯიბრაელ (ჯიბო) იაშვილის მოდგმა. ამბობენ, რომ “ამ ოჯახში ნამღერი მრავალუამიერის ხმა, ქვეყნის ოთხივე კუთხეს წვდებოდაო”... (იაშვილების საგვარეულო, თბ; 2002). მისი შთამომავლობის ოჯახებშიც გაგრძელდა ეს ტრადიცია. მიშას მამის, კუკუნა იაშვილის ოჯახში შეკრებულ წრეს და სამეგობროს – მეგობრობის აკადემიას ეძახდნენ. მათ ოჯახში გაძლილ სუფრებს ხალხმა “ქართული სუფრის აკადემია” უწოდა. ამ სახელმა დროსა და თაობების გამოცდას უკვე გაუძლო. ჩემდა საბედნიეროდ, მეც მერგო წილად არაერთხელ ვყოფილიყავი იაშვილების “სუფრის აკადემიის” სტუმარი.

მიშას მამა, ნოდარ (კუკუნა) იაშვილი, 1941 წელს პოლიტიკური ბრალდებით გაასამართლეს – საქართველოს გათავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის სულისჩამდგმელის სტატუსით. 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ციმბირის გულაგები, სიცოცხლისათვის, გადარჩენისათვის ბრძოლა... ის ძალიან მიმზიდველი პიროვნება იყო, საოცრად კეთილი, მაგრამ ძალიან მკაცრი. გამოირჩეოდა სიღინჯით, დარბაისლობით. კეთილი თვალები და ნათელი მზერა, განსხვავებული საუბრის მანერა, სიცილი არასოდეს ტაქტს არ დაარღვევდა. ძალიან არ უყვარდა – ჩეკისტები (არც არის გასაკვირი მისი ოჯახის ტრაგედიის შემდეგ), ღირსეული კაცი იყო. ამდენი უბედურებით გამწარებულმა დედამ — თათუმამ, “რკინის ქალამნები” ჩაიცვა და ერთადერთ შვილს ციმბირში ჩააკითხა. მისჯილი 25 წელი 15 წლით ციმბირის გულაგებში გატარებით დამთავრდა. კუკუნა იაშვილი განსაცდელმა ვერ გატეხა: მთელ დღეებს, წლებს ფიქრსა და ფიზიკურ შრომამი ატარებდა. ამ უმძიმეს პირობებში მის ცხოვრებაში ბედნიერებამაც მოახერხა შეღწევა. ლაგერის ექიმი, მარია კუზმენკო მისი ცხოვრების ღირსეული მეორე ნახევარი გახდა. ამ დიდი, ლამაზი სიყვარულის ნაყოფი – მიშა იაშვილიც იქ, სოფელ ტასეჯოში დაიბადა (კრასნოიარსკის მხარე); ამიტომ ხშირად მეგობრები მიშას “ლაგერნიკს” ვეძახდით.

მახსოვს, 9 აპრილს მონამღული და ნაცემი, მიშამ, მარიკა დეიდასთან წამიყვანა. მან რამ-



დენიმე ნემსის გაკეთების შემდეგ ფეხზე დამაყენა. ჩემი მკურნალობა „პოეზიის“ საღამოების ფონზე მიდიოდა და თან მისი ნახატების განხილვაში ვიყავით. ერთ-ერთი მისი ნახატი, ულამაზესი იასამნების თაიგული, მიშას შავ ფონზე ვარდებით გაკეთებულ ჯვართან ერთად დიდხანს იყო პარლამენტის წინ გამოფენილი საქართველოსათვის ამ რთულ დღეებში. რა ბედი ენია ამ ნამუშევრებს არავინ იცის.

ბაბუას მოსახელე მიშა იაშვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიბადა 1954 წლის 21 მაისს სოფ. ტასეოში. როგორც მიშა იხსენებს, სამხატვრო აკადემიაში მამის და ბიძის — თენგიზ იაშვილის გადაწყვეტილების შედეგად მოხვდა და სწავლა ფერწერის ფაკულტეტის კინოტელე განყოფილებაზე დაიწყო. აქედან დაიწყო მისი საინტერესო, ხიფათიანი და არაერთმნიშვნელოვანი ცხოვრება. 1979 წელს თსსა დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს საკავშირო სამხატვრო აკადემიის თბილისის ფილიალის ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში (1981-1984 წწ.). მისი პედაგოგები სხვადასხვა დროს იყვნენ: ვ. შერპილოვი, გ. ქუთათელაძე, დ. თაყაიშვილი, გ. გიგაური, უ. ჯაფარიძე და სხვ.

აღბათ ისიც სიმბოლურია, რომ სადიპლომო ნამუშევარი მისი დიდი ბაბუის ძმის, პოეტ პაოლო იაშვილის „ფერადი ბუმტების“ მიხედვით შეიქმნა. როგორც ცნობილია, პაოლო იაშვილი ხატავდა და პარიზში დასაოსტატებლად გაე-

მგზავრა. გადმოცემით — არსებობს ბალმონტის თემაზე კარიკატურულ ჟანრში შესრულებული ნამუშევრები, რომლებიც საღამოებზე, შეხვედრების დროს აქვს გაკეთებული, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც პაოლოს არქივის დიდი ნაწილი, ეს ნამუშევრებიც დაიკარგა.

მიშა იაშვილი მხატვრების დიდ ოჯახში 1979 წლიდან შემოვიდა და დღემდე არაერთი გამოფენის მონაწილე და ორგანიზატორია.

ლამაზი იდეები არ კვდებიან...

80-ანი წლების თბილისი ვისაც ახსოვს, მათ ასევე კარგად ემახსოვრებათ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც რუსთაველის გამზირზე ყველა ორგანიზაციაში და მისთვის „მისაღებ“ პერსონასთან ჩერდებოდა, გახსნიდა პორთფელს და „იდეებს ყიდდა“... მას ყველა ღიმილით და კეთილგანწყობილებით იცილებდა თავიდან. არავინ იცის რა იდეებს ყიდდა და გაყიდა კი რამე... ჩვენ კი არაერთხელ კეთილად გვიხუმრია: „აღბათ, ოდესღაც ჩვენც ასე ვივლით რუსთაველზე ჩვენი იდეების პორთფელით“. ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენი თაობაც ე.წ. 80-იანელები — რუსთაველის გამზირზე დაიბადა. 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის „მხატვრის სახლში“ მხატვარ თემო გოცაძის მოხვლამ ბევრი ნოვატორული იდეის განხორციელებას შეუწყო ხელი. სწორედ „მხატვრის სახლში“ ერთობლივად გაჩნდა იდეა თაობების მიხედვით დაგველაგებინა ქართველი მხატვრები, ამის

შემდეგ კი თაობების მიხედვით გაგვეკეთებინა გამოფენების სერიები, დარგების მიხედვით. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, დავალაგეთ მხატვრები თაობებთან, დაიწყო კატალოგისათვის და გამოფენებისათვის მუშაობა. თვეების განმავლობაში, გამომცემლობის სტამბაში, კატალოგები რომ დროზე დაებეჭდათ მხატვრის სახლის თანამშრომლები მომსახურე პერსონალთან ერთად ღამეებს ვატენებდით, ვმორიგეობდით. კატალოგები გამზადდა, დაინიშნა გამოფენის განხილვის დღეც... ასე დაიბადა სხვა თაობებთან ერთად 80-იანელები.

თუ თქვენ 80-იანი წლების ჩვენი თაობის კოლორიტული ბიჭები გახსოვთ, მათ სიყვარულით რაღაც სახელს მოუფიქრებდით და ეს გამოგონილი სახელები დარჩა ბევრ მათგანს კიდევ: კაკაჩა, ბულდოგა, თუმნიანი, ჩოლოხა, მითხლუშა...

მეც, როგორც „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“ ბედის განკარგვით ამ ორომეტრიალის სათავეებში მოვხვდი.

ჩვენ თაობას ამბიციები ყოველთვის გამძაფრებული ჰქონდა და თუ თვალს გადავაფლავებთ მხატვრის სახლის არსებობის ისტორიას, კარგად გავიხსენებთ წარსულს — ჩანს ზღვა გამოფენები, როდესაც 80-იანელი მხატვრები სისტემატიურად აწყობდნენ არა მარტო მხატვრის სახლში, არამედ კლუბ „ფიროსმანი“ და სხვა საგამოფენო დარბაზებში. მარტო მიშას პერსონალური გამოფენების რიცხვიც რომ გავიხსენოთ, ისიც საკმარისია. ამას თავისი მიზეზი და ახსნა აქვს და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ესპანელი მწერალი არტურო პერეს-რევერტე წერს, რომ წიგნები — ცხოვრების სარკეა. ალბათ იგივე შეიძლება ითქვას მხატვრის ქმნილებებზეც, რადგან ისინი შემოქმედის სულიერი სამყაროს სარკეა. ისინი როგორც წიგნები, დაბადებიდანვე დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ და ისტორიას ქმნიან.

უცხო არავისთვის არ არის, რომ როგორც ახალგაზრდა შემოქმედთა უმრავლესობა, მიშაც სვამდა და გარკვეული პერიოდი მათი ნავსაყუდელი „მხატვრის სახლი“ და კლუბი „ფიროსმანი“ იყო, სადაც ფიროსმანის „სანატორელ სამოვარში“ ჩაის ნაცვლად კონიაკი დაგხვდებოდა, ხოლო თითოეული მათგანის დილაღე ხაშით და „ჩეკუშკით“ იწყებოდა. მიშასთვის ყოველი დღე ხიფათიანი იყო: ხან ავარია, ხან სურათის დასაკიდებლად კიბიდან ჩამოვარდნა, არაერთი ტვინის შერყევა, ნაჯახით რუსთაველზე პოლიციელს გამოკიდებული, ჩხუბები, შერიგებები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც მიშას და არც რომელიმე ჩვენი თაობის წევრს არავისათვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებია; უბრალოდ, ბიჭების ზიანი — საკუთარი ჯანმრთელობის და ზოგჯერ სიცოცხლის ხარჯზე ხდებოდა. იყო პერიოდი მიშა დილიდან დილამდე ქეიფს მიჰყოლია. არაერთხელ დაურეკავს ჩემთან მარიკა დეიდას და კუკუნას, შვილის ასავალ-დასავალი რომ გაეგოთ. დარეკვა თითქმის ყოველთვის მთავრდებოდა „მაკინტოშოვით გადაკიდებულ“ მიშას სახლში მიყვანით — ეს ხუმრობით; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერ ამის ფონზე კი გასაკვირი იცით რა იყო?! ყოველი ასეთი „ზაპოის“ პერიოდი ახალი პერსონალური გამოფენით მთავრდებოდა. ან როდის ასწრებ-

და მუშაობას, გააზრებას ამ ყველაფრის. მიხდა აქვე ავღნიშნო, რომ თითოეული ეს გამოფენა თუ ციკლი გამოფენებისა — საოცრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, არა მარტო მასალის ექსპერიმენტებით, კონცეფციის მიხედვით, სხადასხვა იყო შესრულების მანერაც.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს მიშა იაშვილის ხელოვნებას, მას შეუძლია კარგად განასხვავოს ერთმანეთისაგან მიშას სურათი ცხოვრებისა და შემოქმედების რომელ პერიოდს განეკუთვნება, რა მიზეზები დგას მის წინაშე, რას განიცდის შინაგანად...

მიშა იაშვილი აკვარელისტების ჯგუფთან ერთად შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდა ციმბირში. მურმანსკიდან დაბრუნებულმა „მხატვრის სახლში“ მოწყობილი საანგარიშო გამოფენით საზოგადოებას წარუდგინა აკვარელების სერია ჩრდილოეთის მხარის მრავალფეროვანი პეიზაჟები, გასაოცარი მისთვის დამახასიათებელი ფერადოვანი კოლორიტით. თავისუფალი, ზუსტი, დახვეწილი მონასმები საოცრად დინამიურია. როცა უყურებ ამ ნახატებს ჩრდილოეთის ჰაერსაც კი შეიგრძნობ, თითქოს სუნთქავ მის გამჭვირვალე ჰაერს. ნავეები, პორტები, ნაძვები, ჩრდილოეთის ციალი — ცოტა ხნით ამ პეიზაჟების განზომილებაში ხვდები თითქოს. ასეთი გამოფენები უამრავი იყო მიშა იაშვილის ცხოვრებაში. როცა მის მიერ შეგროვებულ „პორტფელიოს“ ვეცნობოდი, ყველგან, სადაც ინტერვიუს იძლევა, ის საუბრობს ვალდებულებებზე, ვალის დაბრუნებაზე ქვეყნისათვის... ეს არ არის შემთხვევითი მომენტი, არც თბილისური „მარიაჟობის“ გამოხატვა; არა, ეს მიშას შინაგანი თვისებების გამოვლენაა.

ამდენი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენა „ტრიანობის“ მაჩვენებელი არ არის (თუმცა „მარიაჟობისგანაც“ არ დგას შორს, თავისი პოზიტიური გაგებით), არამედ ის ყოველთვის თავისი შესრულებული სამუშაოს, საქმის, ქმედებების და შემდეგ ანგარიშის წარდგენის კონსტატირებას ახდენს.

გასაოცარი პატიოსნება არის მიშას პიროვნების მთავარი მახასიათებელი, მიუხედავად მრავალი ბოჰემური და არეული ცხოვრებისეული წლებისა. „მიშა იაშვილი მარტო კარგი მხატვარი კი არა, ნაღდი მამულიშვილია, რომელიც ფიქრობს ხალხის სულიერ ამაღლებასა და კოლეგების შემოქმედების პროულარიზაციაზე“ — აღნიშნავს მხატვარი გია გურასპაშვილი („ამბროლაურის მოამბე“, 2009). ამ შინაგანი პატიოსნების გამო, საბოლოო ჯამში, ის ყოველთვის იყო მოსიყვარულე შვილიშვილი, კარგი შვილი, მეუღლე, მამა, არაჩვეულებრივი ბაბუა. რაც შეეხება მეგობრობას, თქვენ თვითონ განსაჯეთ — თუ კი ვინმეს უჭირს, მიშა ყოველთვის იქ არის, თანაც ერთ-ერთი პირველი და რაოდენ მიიმე არ უნდა იყოს ამის აღნიშვნა, უამრავი მარტოხელა ადამიანი მისი საპატრონო და ზოგი, „დასამარხიც“ კი გახდა.

80-იან წლებში ჩვენი თაობის შემოქმედებით ახალგაზრდობას (მხატვრების გარდა იგულისხმებიან მწერლები, მუსიკოსები, მსახიობები) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიტუაცია გვახლოებდა. ბაკურიანის სიმპოზიუმები არა მარტო ურთიერთობების ვნებათა ღელვების, საკუთარი შემოქმედების წარმოჩინების სა-



შუალეხას იძლეოდა, არამედ იქ აგორებული მუხტი, გაგრძელებას ჰპოვებდა „მხატვრის სახლში“ და კლუბ „ფიროსმანში“ მოწყობილ საღამოებსა და ჯგუფურ გამოფენებში. ჩვენს გვერდით მუდმივად იყვნენ ახლგაზრდა პოეტები: მამუკა სალუქვაძე, დალილა ბედიანიძე, გიგი სულაკაური. აგრეთვე, უფროსი თაობის პედაგოგები და მეგობრები: ძია მიშა — ყიფიანი, დიმიტრი თაყაიშვილი — კუკუშა, როგორც მათ სიყვარულით ვეძახდით. ისინი არა მარტო გვასწავლიდნენ, არამედ ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ასეთი საღამოების ორგანიზებაში; მაშინ, კაკაჩას (თამაზ კაკაბაძე) შემდეგ მიშა უკვე კლუბ „ფიროსმანის“ პრეზიდენტი იყო.

მიშამ თბილისის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. ის სკოლაშივე „პოპულარული ბიჭების“ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ თბილისის ფონზე. იმ პერიოდში, მეც პირველ სკოლასთან არსებულ მუსიკალურ ნიჭიერთა ათწლედში ვსწავლობდი და მიშას ცხოვრებისეული მრავალი ისტორიის თვითმხილველი ვიყავი. პირადად მიშა იაშვილი 1980 წელს „მხატვრის სახლში“ გაიცანინი, როდესაც ახალდამთავრებულმა მუშაობა საგამოფენო სექტორში დავიწყე. ამ პერიოდში ჩვენ არც ისე განებივრებული ვიყავით ინტელექტუალური შრომებით, რომლის ავტორებიც — ბერდიაევი, ლოსევი, შურიე, გურჯიევი და ა.შ. იყვნენ. თუ ერთი მოიპოვებდა ასეთ წიგნს, ხელიდან ხელში გადადიოდა წასაკითხად და შემდეგ, იწყებოდა მსჯელობები, კამათი. თვალში მოსახვედრი იყო ბერდიაევის და დოსტოევსკის წიგნებით ხელში „საქმიანად მოარული“ კოტიკო ყუბანეიშვილი და მიშა იაშვილი რუსთაველის გამზირზე. და მერე აღარც მახსოვს ეს მეგობრობა ისე დაიწყო... დაიწყო და დღემდე გრძელდება, რადგან მოგესხენებათ, ნამდვილ მეგობრობაზე დრო და მანძილი ვერ მოქმედებს.

რამდენიმე წელი მიშა იაშვილი არქიტექტორ კოკა გეგეჭკორთან ერთად საჩხერეში სართავი ფაბრიკის დეკორატიულ გაფორმებაზე მუშაობდა. იმერულ მოტივებზეა შექმნილი და მინაკრემეტიზმის მასალით არის შესრულებული, რომელიც მინანქარს ვაგონებს.

ადამიანი უპრობლემოდ — ეს თითქმის წარმოუდგენელია. იშვიათია მოიძებნოს ისეთი ადამიანი, ვისაც პრობლემა არ აქვს. მიშას ბევრი პრობლემა შექმნია ცხოვრებაში, როგორც ემოციონალურ, ფიზიკურ, ისე ცხოვრებისეულ დონეზე. მიშა იაშვილის ცხოვრება ბევრი საინტერესო მოვლენებით აღინიშნება: სიმაღლეზე ასვლით და ჩამოვარდნებით; სავსე მნიშვნელოვანი ძვრებით; იყო წარმატებები, გულგატეხილობა, აღიარება, მარტოობა და აღზევებაც. პრობლემები თავისთავად აზროვნების პროცესიცაა და როცა ასეთი მომენტი დგება მის ცხოვრებაში, ის ყოველთვის პოულობს სტიმულს მოსაგვარებლად. ისე კი, მრავალ შემთხვევაში, მისი მუშაობა, ნანა იაშვილი ყოველთვის იყო და არის საყრდენი, ბურჯი იაშვილების დიდი ოჯახისათვის.

რა მიზანი აქვს მიშა იაშვილს ცხოვრებაში, რისთვის იღვწის, საითკენ მიდის მისი შემოქმედებითი და ცხოვრებისეული გზა?! ამაზე მისი ქმედებები იძლევიან პასუხს. პირველ რიგში, ეს

აღბათ, თავისთავის გამოცდაა, მეორეს მხრივ, აღბათ, განვითარება, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების მძაფრი შეგრძნება, კიდევ აღბათ, არ ჩამორჩეს ცხოვრების დინებას, იყოს ორიგინალური, გამორჩეული ყველასგან. მაგრამ რა მოტივაცია არ უნდა იყოს საფუძველში, ერთი ძირითადი რამ ყოველთვის იგრძნობა — საოცარი სიყვარული და ერთგულება სამშობლოსი, თბილისის, ოჯახის, მეგობრების.

სახლში ხომ მუდამ ეს ესმოდა და ამას უნერგავდნენ. მარკია დეიდას სიტყვებით მინდა გამოვხატო ეს:

“Отечеству будь верен своему
И, если надо, жизнь отдай ему,
Для этого достаточно мгновение.”

ან:

“И чтобы мне судьба не подарила,
Любое испытание приму.”

შესანიშნავი ადამიანი, ულამაზესი ქალბატონი, მოსიყვარულე მეუღლე, დედა და თან უნიჭიერესი შემოქმედი მარია კუზმენკო-იაშვილი, ძალიან ჰგავდა, თავის ლექსებს და სხვადასხვა ყვავილების თაიგულის ნატურმორტებს, დახვეწილობით და სილამაზით.

იმ პერიოდში, როცა მიშას „ზაპოი“ ჰქონდა, ხშირად მეგონა, რომ ბევრი რამ შეუმჩნეველი დარჩებოდა, მაგრამ არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას და პროცესს, რომელიც 80-იანი წლების თბილისში ხდებოდა, მისთვის გვერდი არ აუვლია. ის ხშირად იტყოდა: „ჩავეშვი, იმიტომ რომ წამოვდგე და თავიდან დავიწყო...“ მას არ შეუძლია ერთ ადგილზე არც ფიზიკურად გაჩერება, არც ემოციონალურ დონეზე. სულ ერქარება, სულ რაღაცას იგონებს, ხანდახან მიუჰაუზუნს ემსგავსება, გგონია, ღრუბლებში დაფრინავს, ის კი, უბრალოდ, ცდილობს თავისი იდეების გენერირებას და ამისთვის სხვადასხვა გზას ეძებს. მიშამ ყოველთვის არ იცის საითკენ უნდა იმოძრაოს, მაგრამ მისი ირაციონალური მოსვენებას არ აძლევს და მაინც, რაღაც ახლისკენ, ნოვატორულისაკენ ხდება მისი ძიებები. ის ადვილად იღებს არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს, მინდა გაგახსენოთ მეგობრებთან ერთად სხვადასხვა დროს განხორციელებული მისი არაერთი ორიგინალური პროექტი:

- თბილისური ეზოს ფენომენის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა — სამსონ ლეჟავასთან ერთად; „ნაღდ თბილისელებს ვაჩუქოთ რამდენიმე ლამაზი საღამო“ — ამბობენ ისინი. აფიშაც თავად დახატეს, ქსეროქსზე გაამრავლეს, და ეზოებში ერთდღიანი გამოფენებიც მოაწყვეს თბილისური ჰანგების თანხლებით.

- ჰქონდა მცდელობა, კლუბ „ფიროსმანში“ კაფე „ქიმერიონის“ ტრადიციები აღედგინა.

- 80-იანელებთან ერთად აბანოთუბანში შაბათ-კვირის გამოფენა-გაყიდვები, სადაც მხატვრები იქვე მუშაობდნენ.

- მის მიერ მოხატული ბოთლების კოლექცია
- კეც-კულტურა;

- „არაჩვეულებრივი გამოფენები“ და ბევრი სხვა.

ადამიანებს დიდხანს ფიქრი, ხშირად, იდეის განხორციელებაში უშლის ხელს. მიშა იაშვილი უმრავლეს შემთხვევაში, ახერხებს „აამუშავოს ბოძვითი იდეებიც“ კი; შეუძლია შეაგროვოს ახალი იდეების ფართო სპექტრი და განახორ-


ციელოს თავისი შესაძლებლობების სხვადასხვა ვარიანტები. ის არასოდეს შეჩერებულა თავისი ცხოვრებისეული და სულიერი წინსვლის პროცესში.

ლოგიკური გადანწყვეტილებები ეფექტურია, როცა ამას მიშა იაშვილი იღებს. ხოლო მისი ინტუიციური გადანწყვეტილებები, რომელიც მეექვსე გრძობაზე დამყარებული, სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო ხდება მის ნამუშევრებში. მისი ინტუიცია დროული და საჭიროა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ნამუშევრები, რომელსაც საზოგადოებამ პირობითად „კეც-კულტურა“ უწოდა.

მიშა იაშვილის მცდელობა — შეცვალოს სამყარო, არის გზა, რომელიც ქმნის საოცარს და უცნაურს, არაორდინალურს. მისი ენერგია — შინაგანი ნიჭია, თანდაყოლილი სიძლიერე და შესაძლებლობა — იმოქმედოს, იმუშაოს, ხატოს და გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. მისი შემოქმედება მთლიანად არის ამ ნიჭის დემონსტრირება — მოახდინოს შთაბეჭდილება, გაუღვივოს გრძობები, გამოუცოცხლოს სული, ცხოვრება. ის ექსტრემალური ლიდერის ტიპია, რადგან გენერატორია, მოქმედების ძლიერი წყაროა. მიშა სავსეა რწმენით ადამიანებისადმი და ამიტომაც მისი ნიჭი განსაცვიფრებელია. მიშა იაშვილზე შეგიძლია თქვა სტივ ფარბერის სიტყვებით: „რადგან მან შეძლო შეეცვალა მრავალჯერ თავისი ცხოვრება, შემოქმედებითი ხედვა, მას შეუძლია მოახდინოს რევოლუციური ცვლილება კაცობრიობის ისტორიაში“. ეს სულაც არ არის ხმამაღალი ნათქვამი, რადგან მისი „არაჩვეულებრივი გამოფენები“ ადამიანის სულიერი სამყაროს ცვლილებისათვის არის ზუსტად. როცა რაღაც იდეა გაქვს და იწყებ მის განხორციელებისათვის ქმედებას — ეს გარკვეულ ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას გულისხმობს. მიშა ყოველთვის წინ მიდის მიზნისკენ მისასვლელ გზაზე. სწრაფვა უფრო დამაჯერებლობას სძენს და ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში აღწევს მიზანს. მან იცის, რომ 80-იანელთა მოძრაობა „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მისი ძალისხმევით, არსებული სტერეოტიპების დამსხვრევას შეუწყობს ხელს. ის არასოდეს ყრის ფარხმალს და „ამიტომაც მისი ყოველი ნაბიჯი — ამ თავისთავის ძიების“ პარალელურ რეჟიმში წარმატებულია და რაც მთავარია, მას აქვს სურვილი და სწორი მოტივაცია იმის, რასაც აკეთებს.

კახეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო — ეს ჩამონათვალი ქართველი მხატვრების მოძრაობა „არაჩვეულებრივი გამოფენები“-ს მოძრაობის ტრადიციორიას უჩვენებს. მიშა საქართველოს ყველა რეგიონის მოვლას აპირებს და თან, სამომავლოდ, რაიონებიდან იქაურების თბილისში ჩამოყვანას ფიქრობს: „ისინი ქალაქს უნდა გავაცნოო“...

როდის ფიქრობს ამდენს, ან როდის ასწრებს ამდენი რამის გაკეთებას ეს ადამიანი?! მიშა სულ ხუმრობს, „ტრიპაჩობს“ — როგორც თვითონ აღნიშნავს, და ამ ხუმრობაში აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანი თურმე ძალიან ღრმად არის ჩახედული ამა-თუ იმ საკითხში. არასოდეს შურს სხვისი, ენერგიულია, მზად არის დაეხმაროს ადამიანებს. ის არის ადამიანი, რომელსაც აქვს ახალი აზროვნების საოცრად სწრაფად



ათვისების ნიჭი. თვითონ ყოველთვის უკმაყოფილოა და ყოველთვის ახლის ძიებაშია. ბევრი ჩვენი თაობის წარმომადგენელი წარსულში ჩარჩა, მონყდა რეალობას და დღევანდლობაშიც ადგილი ვერ მონახა. მიშამ თავის თავში მონახა იმის ძალა, რომ დაებალანსებინა წარსული, აწმყო და მომავალი. წარსულის გამოცდილებამ ხელი შეუწყო მყარი ადგილი დაეკავებინა აწმყოში. ქმნის დღევანდელ დღეს, თავის თავში დაჯერებულია და ექსპერიმენტების საშუალებას აძლევს თავის თავს.

„მხატვრობა, ხატვა — ხატია. ამიტომაც ახალ სურათს ვაკეთებ: ჩოხა ავიღე და წმ. გიორგის თავი დავადგი, ხომ იცი, ქართველების სული იყო იმ დროს და ჩვენ უნდა დავბრუნდეთ მასთან“. ის ამ სიტყვებს ისეთი გულწრფელობით გეუბნება, რომ რომანტიკოსი მიშა იაშვილი უცბად მენს თვალწინ ფოლოსოფოსად გარდაიქმნება. რომანტიკოსია, აბა რა ჰქვია იმას, რომ მარტო მიშას და კოკა გეგეჭკორს შეეძლოთ 1 ნოემბერს, თოვლიან თბილისში, ცოცხალი იასამანი ეჩუქებინათ, რომელიც მხატვრის სახლთან ერთად დაიფერფლა.

„ქართული გენი ხომ იცი როგორია, დათესავ და უცბად იზრდება“ — ამბობს მიშა იაშვილი საუბრისას; რწმენას მინდა დავუბრუნდეთ, რასაც იტყვი უნდა გააკეთო კიდეც; ვნებები მინდა დავაცხრო ჩემში, მინდა სული მოერიოს სხეულს და გააკეთო რაც ღმერთს სურს. ვის რა გზა აქვს გასავლელი და სად ჰპოვებს ამას, ეს ინდივიდუალურია. დავბერდი და მინდა ბავშვები გავზარდო, არა მარტო ჩემს შვილიშვილებს ვგულისხმობ, არამედ იმ ახალგაზრდობას, საქართველოს ხვალისდელი დღე რომ ებარება. ჩვენ ცხვირგრძელი ბურატინოები ვართ, გამალამინება გვჭირდება, რომ ადამიანებად ვიქცეთ.“



ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
 სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
 „ელვასერვისი“, იოსებოძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 95-51-70,
 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შექენა შეგიძლიათ რედაქციაში.
 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ოპერატორები:

მაია ჯინორიძე
 თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
 ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
 Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



მიზა იაშვილი

3-

